მასწავლებლის წიგნი

მანანა რატიანი
მანანა სეხნიაშვილი
მაია ბლიაძე
ცირა ბარბაქაძე
ნატალია ინგოროყვა
თამარ მოსიაშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2015

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებს, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისთვის და სათანადო ადგილის დასამკვიდრებლად.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები მოიცავს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამომუშავება და განვითარება ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებას სპეციფიკური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად.

ხშირად მოგვისმენია აკადემიური ხასიათის რეკომენდაციები:

- პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარება;
- მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან რომელიმე ერთ საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს და ა.შ.

პრაქტიკულ პედაგოგიკაში მნიშვნელოვანია, ვუპასუხოთ კითხვას: „როგორ?“

ამ სახელმძღვანელოს მთავარი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. ავტორები გვთავაზობენ მეთოდურ რეკომენდაციებსა და აქტივობებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება მასწავლებლებს, მოსწავლეებს ეკოლოგიური, სემიოტიკური და მედიაწიგნიერების უნარები განუვითარონ.

რედაქტორები:

ნატო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილისტი:

ირმა ტაველიძე

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-0-8221-4

© 2015, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარჩევი

ეკოლოგიური წიგნიერება 5

მანანა რატიანი 5

მანანა სეხნიაშვილი 59

მაია ბლიაძე 97

სემიოტიკური წიგნიერება 117

ცირა ბარბაქაძე 117

მედიაწიგნიერება 167

ნატალია ინგოროყვა 167

თამარ მოსიაშვილი 185

ეკოლოგიური წიგნიერება

მანანა რატიანი

1. ასწავლო დღეს ისე, რომ ფიქრობდე მომავალზე – განათლება მდგრადი განვითარებისთვის 7
2. გარემოს დაცვა – გადაუდებელი აუცილებლობა 22
3. გლობალიზაცია და მისი გამოვლინებები 28
4. გლობალური კლიმატცვლილება 34
5. ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები 46
6. წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები 52

ასწავლო დღეს ისე, რომ ფიქრობდე მომავალზე – განათლება მდგრადი განვითარებისთვის

თბილისს თითქმის 40 წელია გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელოვან ღონისძიებებსა თუ გადაწყვეტილებების მიღების ისტორიაში თავისი ადგილი უჭირავს. ამისი მიზეზია ის, რომ 1977 წელს ვუმასპინძლეთ საერთაშორისო კონფერენციას, რომლის დეკლარაცია დღესაც კი მიჩნეულია ნოვატორული იდეების მატარებლად. მასში პირველი ნაბიჯები გადაიდგა ეკოლოგიიდან გარემოსდაცვითი განათლებისკენ იდეების განვითარებაში. ამის შემდეგ მსოფლიო კიდევ უფრო წინ წავიდა და აღიარა, რომ ცალკე აღებული გარემოს დაცვა სოციალური და ეკონომიკური მდგენელების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება და მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ მდგრად განვითარებაზე დაიწყო საუბარი. დღეს ადამიანს უკვე გაცნობიერებული აქვს, რომ ეკონომიკის ზრდამ შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს, თუ უგულებელყოფილია გარემო, რაც მის დეგრადაციამდე და რესურსების განადგურებამდე მიგვიყვანს, ხოლო ადამიანის ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ შეიძლება დადგეს.

სწორედ ამიტომაა, რომ სტოკჰოლმისა და რიოს მნიშვნელოვანი დეკლარაციების შემდეგ UNESCO-მ მდგრადი განვითარების ათწლეულად გამოაცხადა 2005-2010 წლები. ამ პერიოდში ამაღლდა საზოგადოების ცნობიერება და არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა, შეიქმნა რესურსები, მდგრადი განვითარების პრინციპები საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირდა. თუმცა ეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ვერ მოხერხდა, სიღარიბისა და სხვა უფრო მძაფრი პრობლემების გამო.

წელს მსოფლიო მნიშვნელოვან გზაგასაყარზეა, ათასწლეულის გამოწვევის მიზნები 2015 წლის ბოლოს სრულდება, ისინი მდგრადი განვითარების მიზნებში გადაიზარდნენ. მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას ისინი უკვე აღიარებული აქვს და 25-27 სექტემბერს გაეროს სამიტის გენერალურ ასამბლეაზე მიიღებენ ახალ 15-წლიან გამოწვევას მდგრადი განვითარების 17 მიზნის სახით.

საქართველო აგრძელებს თავის ტრადიციებს და 2012 წელს „თბილისი +35“-ის მასპინძელი გახდა. 40 წლის შემდეგ საქართველოში ისევ შეიკრიბება გარემოსდაცვითი პრობლემებით დაინტერესებული მსოფლიოს საზოგადოება, რაც ჩვენ კიდევ უფრო მაღალ მოთხოვნებს გვიყენებს. მნიშვნელოვანია, განათლების სისტემამ აიღოს თავისი პასუხისმგებლობა მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვაში. ქვემოთ მოცემული პუბლიკაცია ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გამჭოლი კომპეტენციის, ეკოწიგნიერების გააზრების ერთი მცდელობაა, მოცემული თემები კი მასწავლებლებს დაეხმარება, ჰოლისტიკურად მიუდგნენ ჩვენ გარშემო დაგროვილ გარემოსდაცვით პრობლემებს; თავად გაიაზრონ, რომ მდგრადობა ვერ მიიღწევა საზოგადოების მონაწილეობის გარეშე და მოსწავლეებს გააზრებინონ საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ბუნებრივი და სოციალური გარემოსადმი.

ახალ, XXI საუკუნეში ყველაზე დიდი გამოწვევაა, აიტაცო მდგრადი განვითარების იდეა, რომელიც მეტისმეტად აბსტრაქტულად ჟღერს და აქციო რეალობად მსოფლიოს ყველა ხალხისთვის (კოფი ანანი). გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მხოლოდ სამეცნიერო წრეებით შემოიფარგლებოდა, ამ იდეებს კი მხოლოდ ცალკეული პირები იზიარებდნენ. თუმცა სამრეწველო რევოლუცია, რესურსების არარაციონალური, მტაცებლური მოხმარება სულ უფრო ფართოდ იკიდებდა ფეხს და ცვლიდა ბუნებრივ გარემოს. იმხანად ეს არც ისე თვალსაჩინო იყო, ვინაიდან რესურსების ფართომასშტაბიანი მოპოვება ძირითადად ზღვისიქითა ტერიტორიებზე, კოლონიებში ხდებოდა, რომელთა ბუნება მოფრთხილების საგანი არასდროს ყოფილა კოლონიზატორი ქვეყნებისთვის. გლობალური პრობლემების გაცილებით ფართო ჭრილში განხილვა მხოლოდ 1970-იან წლებში დაიწყო. უკვე არაერთი კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემა მოექცა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების თვალსაწიერში. ამის მიზეზია ანთროპოგენული ცვლილებები, რომლებიც უკვე პოვებს ასახვას ცხოვრების ყველა სფეროში, დაწყებული ჰიდროსფეროთი და ბიოსფეროთი, დამთავრებული ადამიანის ჯანმრთელობით. მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად იზრდება მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, აშკარაა, რომ ჩნდება ახალი დაავადებები, რომელთა შესახებ ახლო წარსულში წარმოდგენაც არ ჰქონდათ, მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება კი ხელს უწყობს მოსახლეობის უკეთ ინფორმირებას, რაც საზოგადოებაში განგაშის ატეხის ტოლფასია. სულ უფრო მეტი ადამიანი იძენს პროფესიას, რომელიც მეცნიერულ დონეზე შეისწავლის გარემოში მიმდინარე პრო-

ცესებს, მის უარყოფით ცვლილებებს, დეგრადაციას. ამრიგად, იწყება ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს დაბინძურების პრობლემის სიმწვავის რეალური გაცნობიერება. გლობალური პრობლემების სამეცნიერო განხილვა რომის კლუბში დაიწყო – ორგანიზაციაში, რომელიც აურელიო პეჩეის ინიციატივით ჩამოყალიბდა. მასში თავდაპირველად ათი ქვეყნის 30 წარმომადგენელი იყო გაერთიანებული. მათი საქმიანობა დღემდე მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რადგან სწორედ მათ მოახერხეს, საზოგადოების ყურადღება პრობლემებისთვის მიეპყროთ. იმავდროულად, ცდილობდნენ ეპოვათ კრიზისიდან გამოსვლის გზებიც. მათი მთავარი იდეა იყო მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება გარემოზე ნაკლები ზემოქმედებით. მათ ძირითად პრინციპს „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. რომის კლუბის ნაშრომთა კრებული ცნობილია „კაცობრიობის სიძნელეების“ სახელწოდებით. პოლ ერლიჩის „მოსახლეობის ბომბში“ ძირითადად ჭარბი მოსახლეობის პრობლემა დაისახა. მოსახლეობის ზრდა მრავალი რესურსული თუ ეკონომიკური პრობლემის სათავედ იქნა მიჩნეული. დენის და დონელ მედოუზების ნაშრომები წარმოაჩენდა მოსახლეობის ზრდის სხვადასხვა სცენარს, რაც ეკოლოგიური კოლაფსის მომასწავებლად მიიჩნეოდა, დასკვნა კი ასეთი იყო: ამ კოლაფსის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვაო. მათგან განსხვავებით, ბერი კომონერი გარემოს დაბინძურებისა და დეგრადირების უმთავრეს მიზეზად სიღარიბესა და საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებს მიიჩნევდა. როგორია დღევანდელი „არამდგრადი“ საზოგადოება? ცხოვრება თანამედროვე საზოგადოებაში გულისხმობს ერთმანეთთან დაკავშირებული პრობლემების მრავალფეროვნებას. მათ შორისაა გარემოსდაცვითი პრობლემები (გლობალური კლიმატცვლილება, მჟავე წვიმები და სხვა), სოციალური პრობლემები (ადამიანის უფლებების დარღვევა, კულტურათაშორისი კონფლიქტი და სხვა), ასევე – ეკონომიკური პრობლემები (მდიდარ და ღარიბ ქვეყანათა შორის სხვაობა და სხვა). განვითარების იმ ტიპმა, რომელმაც მასობრივი წარმოება თუ მასობრივი მოხმარება განავითარა, გამოიწვია პრობლემათა ფართო სპექტრი. მათ არა მხოლოდ წარმოების შედეგად გარემოს დაბინძურებისკენ მივყავართ, არამედ რესურსების არასწორი, ჭარბი და არარაციონალური ექსპლუატაციის გამო – მისი დეგრადაციისკენაც, რაც თავისთავად არაერთი რესურსმომპოვებელი არეალის გაღარიბებას იწვევს. მდგრადი განვითარების განმარტებები: მდგრადი განვითარება, მდგრადი საზოგადოება, მდგრადი მრეწველობა, მდგრადი ტურიზმი, მდგრადი სოფლის მეურნეობა ბევრისთვის ნაცნობი ცნებებია. მაინც რას გულისხმობს მდგრადი განვითარება?

- თანამედროვეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას იმგვარად, რომ არ შეიზღუდოს მომავალი თაობის მოთხოვნილებები (ბრუტლენდის კომისია, 1987 წ.).
- ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ეკოსისტემებზე დატვირთვის გათვალისწინებით (UNEP; WWF).

მდგრადი განვითარება არის პოზიტიური ცვლილება, რომელიც არ აცალკევებს გარემოს სოციალური სისტემებისგან, რომლებზეც ჩვენ ყველანი ვართ დამოკიდებული. მისი წარმატება განისაზღვრება ადამიანსა და გარემოს შორის კრიტიკული კავშირით აუცილებელი ცვლილებების განხორციელებისას (ჰამილტონ ვენთვორსის რეგიონული საბჭო). ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ასევე გარემოს დაცვა მდგრადი განვითარების ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმამტკიცებელი ღერძებია (2005 წლის მსოფლიო სამიტი). ზოგიერთი მდგრად განვითარებას მჭიდროდ უკავშირებს ეკონომიკურ ზრდას და მოთხოვნილებას, იპოვო ეკონომიკის გრძელვადიანი გაფართოების გზები ისე, რომ არ გამოლიო ბუნებრივი კაპიტალი (რესურსები) მიმდინარე ზრდისთვის. მდგრადი განვითარების ძირითადი მიზანია მსოფლიოს ყველა ხალხისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომ დაიკმაყოფილონ ყველა ძირითადი მოთხოვნილება და გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან მომავალი თაობების ცხოვრების ხარისხს (მდგრადი განვითარების სტრატეგია, დიდი ბრიტანეთი, 2005 წელი). მდგრადი განვითარება არის პროცესი, თანასწორი, ნაყოფიერი და თანამშრომლობითი სტრუქტურებით განავითარო საზოგადოების ეკონომიკური უფლება-მოვალეობები რეგიონში (ICCR). მდგრადი განვითარება გაიგივებულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან, რომლის დროსაც სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემების შესაძლებლობათა გადატვირთვა არ ხდება. როგორც ხედავთ, ეს და მრავალი სხვა განმარტება სვამს თავისებურ აქცენტებს. ყველაზე ფართოდ გავრცელებულად მაინც ბრუტლანდის კომისიის განმარტება მიიჩნევა. მაინც რა არის მდგრადი განვითარება? ჩვენს გარემომცველ სამყაროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ისეთი საზოგადოების ასაშენებლად, სადაც ყველას, მომავალი თაობების ჩათვლით, ექნება დაცულობის განცდა, უნდა ვეცადოთ, ისე განვვითარდეთ, რომ აქცენტები სოციალურ სამართლიანობასა და ბუნებრივი გარემოს დაცვაზე დაისვას. რეალიზება იმისა, რასაც „მდგრადი განვითარება“ ვუწოდეთ, მთელი კაცობრიობისთვის საშური საქმეა. მდგრადი განვითარება არის თავისებური გარანტი დემოკრატიული სოციალური სისტემებისა, რომლებშიც ყველას შეუძლია მო-

ნაწილეობა, ხოლო ეკონომიკური სისტემა საზოგადოების კეთილდღეობასა და გარემოზეა დამოკიდებული. ასევე ანგარიში ეწევა სხვადასხვა კულტურის უნიკალურობასა და ინდივიდუალურობას. იმავდროულად იქმნება ადამიანის უფლებათა დაცვის, მშვიდობის განმტკიცების, კულტურათაშორისი დიალოგის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ბუნებრივი რესურსების დაცვის, კატასტროფებისთვის თავის არიდების, სიღარიბის დაძლევისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარების ხელშემწყობი პირობები. 1987 წელს გამოვიდა ბრუტლანდის კომისიის ანგარიში „ჩვენი საერთო მომავალი", რომელშიც მდგრადი განვითარების სტრატეგიული კურსია მოცემული. 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენცია გარემოსდაცვით საქმიანობაში ახალი ეპოქის დასაწყისია. ამ კონფერენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მიჩნეულია ტერმინ „მდგრადი განვითარების" დამკვიდრება. ამავე კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეკომენდაციული ხასიათის დოკუმენტები: რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ და „დღის წესრიგი XXI საუკუნისთვის". აქ გამოთქმული მრავალი პრინციპი იქცა საერთაშორისო სამართლის ნაწილად გარემოს დაცვის საქმეში. მათ შორის უმთავრესია პრინციპი მდგრადი განვითარების შესახებ. „დღის წესრიგი XXI საუკუნისთვის" სამოქმედო გეგმაა, რომელიც უნდა განახორციელონ გაეროს სტრუქტურებში შემავალმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოთა მთავრობებთან ერთად ადგილობრივ და გლობალურ დონეებზე ყველა სფეროში, სადაც კი ადამიანის საქმიანობა რაიმე სახის ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. მდგრადი ეკოლოგიური განვითარება მხოლოდ გარემოს დაცვაზე არ არის ორიენტირებული. იგი გულისხმობს ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროს, მათ შორის – სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულს, პოლიტიკურსა და დემოგრაფიულს. რა არის განათლება მდგრადი განვითარებისათვის? გაერომ გამოაცხადა ათწლეული „განათლება მდგრადი განვითარებისთვის" – ათწლიანი პერიოდი (2005-2014 წ.წ.), რომლის განმავლობაშიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა მოწოდებულია, თავიანთ საგანმანათლებლო სტრატეგიებში ჩართონ მდგრადი განვითარების საკითხები და დასახონ გზები მათ მისაღწევად. სწორედ განათლება მდგრადი განვითარებისთვის გვაძლევს საშუალებას, განვავითაროთ ცოდნა, ფასეულობები და უნარები, რათა შევძლოთ გადაწყვეტილებების მიღება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთად, ლოკალურ და გლობალურ დონეებზე, რათა განვამტკიცოთ ცხოვრების ხარისხი დღეს ისე, რომ საფრთხე არ შევუქმნათ ქვეყნების (მოსახლეობის) მომავალს. განათლება მდგრადი განვითარებისთვის უკავშირდება არაერთი დისციპლინის შინაარსს და მოითხოვს ისეთი საკვანძო უნარ-ჩვევების განვი-

თარებას, რომლებიც სხვადასხვა საგანის განსახორციელებელია. განათლება მდგრადი განვითარებისთვის გვაძლევს საშუალებას, გავიაზროთ ძირეული გარდაქმნები, რომელთა დანერგვაც საჭიროა დღეს. ადამიანის ძალისხმევა, რა თქმა უნდა, მიმართულია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხერხდებოდეს ისე, რომ რესურსები არ გამოიფიტოს სწრაფად, მათი რეგენერაციის უნარის გაუთვალისწინებლად. იმავდროულად, განათლება მდგრადი განვითარებისთვის უნდა იყოს სასკოლო პოლიტიკის ნაწილი, მუდმივად განახლებადი და ფართოდ გავრცელებული. ცნება „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ დამკვიდრდა 1992 წლის, რიოს დეკლარაციით „გარემოსა და განვითარების შესახებ“. ამ დოკუმენტში აღნიშნულია განათლების განსაკუთრებული როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მდგარადი განვითარების ჩართვა (ინტეგრირება) საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურზე ხდება. ამით აღიარებულია განათლების საკვანძო როლი პოზიტიურ ცვლილებებში. მდგრადი განვითარების სტრატეგია დაიწერა გლობალური და რეგიონული გამოცდილების გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების სტრატეგია თარგმნილია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია გაეროს მდგრადი განვითარების დანაყოფის მისამართზე: www.un.org/esa/sustdev/documents/docs_key_conferences.htm
განათლება მდგრადი განვითარებისთვის არის ახლებური ხედვა, რომელიც ეხმარება ნებისმიერი ასაკის ადამიანს, უკეთ გაიაზროს სწრაფად ცვალებადი სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ. სიღარიბის, გარემოს დეგრადაციის, ურბანული დაგეგმარების, მოსახლეობის ზრდის, ჯანმრთელობის, კონფლიქტების, უფლებების შელახვისა თუ სხვა პრობლემების აღსაქმელად და გასააზრებლად საჭიროა ჰოლისტიკური, ინტერდისციპლინური მიდგომები.

რას გვასწავლის განათლება მდგრადი განვითარებისთვის?

- თითოეულ ადამიანს აქვს ძალა და პასუხისმგებლობა გლობალური მასშტაბის პოზიტიური ცვლილებების გამოსაწვევად და თავისი იდეების განსახორციელებლად;
- აყალიბებს ფასეულობებს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პასუხისმგებლობის გრძნობას და ცხოვრების წესს მდგრადი მომავლისთვის;
- ცხოვრების ყველა ასპექტს შორის ურთიერთკავშირია და ერთ ადგილას მომხდარმა ცვლილებამ შესაძლოა ნებისმიერ სხვა ადგილას იჩინოს თავი;
- ჩვენ გვეთქმის სიტყვა იმის თაობაზე, როგორი იქნება მომავალი; გვაქვს როგორც უფლება, ასევე მოვალეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღები-

სა, რომელთა შედეგებიც დიდი ხნის შემდეგ ეკონომიკური და ეკოლოგიური თანასწორობით წარმოჩნდება;

- შევუსაბამოთ ჩვენი ცხოვრება მომავალი თაობების მოთხოვნილებებსა და უფლებებს; გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი დღევანდელი ქმედება გავლენას ახდენს იმაზე, როგორი იქნება სიცოცხლე მომავალში;
- გავიგოთ, რამდენად მნიშვნელოვანი და ფასეულია ჩვენი სამყაროს კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- მიუხედავად ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში სხვაობისა, ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება იცხოვროს მდგრად სამყაროში;
- არამდგრადი ზრდა იწვევს გარემოს დეგრადაციას.

ვასწავლოთ დღეს ისე, რომ ვიფიქროთ მომავალზე – ალბათ ძნელია განმანათლებლებისთვის ამაზე რთული საკითხის დასმა. როგორი გვინდა იყოს მომავალი? რა ცოდნა უნდა მივცეთ ახალგაზრდებს, რომ მათი ცოდნა და უნარები ადეკვატური იყოს წლების შემდეგაც, როდესაც ისინი შრომის ბაზარზე გავლენ? ის, ვინც ასწავლის, რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს, რომ ასეთი თაობები აღზარდოს? სწორედ ამ საკითხებზე სამუშაოდ შეიქმნა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „განათლება მდგრადი განვითარებისთვის (გმგ)“ კომპეტენციების დოკუმენტი. კომპეტენციებზე მუშაობდნენ 18 ქვეყნის ექსპერტები და მათ იღებდა ყველა მონაწილე ქვეყანა ყოველწლიურ შეხვედრაზე. ამ დოკუმენტში, გარდა უშუალოდ კომპეტენციებისა, შემუშავებულია რეკომენდაციები პოლიტიკის გამტარებლებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის (აქვე აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის სტანდარტში მალე აისახება ეს კომპეტენციები, რაც, თანამედროვეობასთან ერთად, საერთაშორისო მოთხოვნაცაა). განმანათლებლები (განათლების სხვადასხვა საფეხურზე, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში მომუშავე მასწავლებელი, ლექტორი, აღმზრდელი თუ სხვა) არიან ცვლილებების მძლავრი აგენტები. განათლებაში ეფექტური ტრანსფორმაცია, უპირველესად, დამოკიდებულია განმანათლებლებზე, რომლებიც მოტივირებულნი არიან და, ამასთან, აქვთ საამისო შესაძლებლობა და ხელშეწყობაც. სწორედ ამიტომ, მდგრად განვითარებაში ტრენინგებში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც მასწავლებლები, ასევე ლიდერები და ადმინისტრატორებიც. ამ უკანასკნელთა ხელშეწყობის გარეშე ცვლილებები ინსტიტუციურ დონეზე მიუღწეველი დარჩება. გმგ კომპეტენციები დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად, რომლებიც ქვემოთ მოცემულ კომპეტენციების ცხრილში ვერტიკალურ სვეტებშია წარმოდგენილი:

ა. ჰოლისტური მიდგომა, რომელიც აერთიანებს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ აზროვნებას მოითხოვს;
ბ. ცვლილებების ხედვა, რომლის ფარგლებშიც კომპეტენციები ალტერნატიული მომავლის სცენარების განხილვას მოითხოვს, რომლის დროსაც ვსწავლობთ წარსულიდან და ჩართულები ვართ აწმყო ქმედებებში;
გ. ტრანსფორმაციის მიღწევა, რაც ემსახურება ცვლილებებს, ხელს უწყობს სწავლას/სწავლებას.

ჰოლისტიკური მიდგომა, თავის მხრივ, სამ კომპონენტს მოიცავს:
ა. ინტეგრირებულ აზროვნებას;
ბ. ინკლუზიურობას;
გ. სირთულეებისთვის თავის გართმევას.

ინტეგრირებული აზროვნება პასუხობს მდგრადი განვითარების გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება იყოს ლოკალური და გლობალური ხასიათისა და მოითხოვდეს ცნობიერების ამაღლებას, რადგან ერთ ადგილას მომხდარმა ცვლილებებმა შესაძლოა თავი იჩინოს სხვა ადგილზე, თუნდაც მოშორებით (მაგ., მჟავე წვიმები), ადამიანის დღევანდელმა არჩევანმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს სამყაროს მომავალზე. ეს გამოწვევები კომპლექსური ხასიათისაა და მათი მოგვარება მოითხოვს მრავალ დისციპლინაში არსებული ცოდნის გამოყენებას. ეს ცოდნა მოიცავს ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, საკანონმდებლო თუ სხვა სფეროებს. სხვადასხვა კულტურას შეუძლია მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას და ფასდაუდებელი გამოცდილება გაუზიაროს სხვებს. მდგრადი განვითარებისთვის პიროვნება უნდა დაუკავშირდეს სხვადასხვა ჯგუფს როგორც უშუალო, ასევე მოშორებული გარემოდან. ინტეგრირებული აზროვნება არის აზროვნებისა და ქმედებების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რაც უკეთესი მომავლის მიღწევის შესაძლებლობას ქმნის. ინკლუზიურობა გულისხმობს სურვილს, ჩაერთოს რაც შეიძლება განსხვავებული პერსპექტივები, იყოს ღია კრიტიკისთვის, მომავლის მდგრადი შეთანხმებებისთვის. მდგრადი განვითარების საკითხები ხშირად წინააღმდეგობრივი და რთულია. განსხვავებულ პერსპექტივებს შეუძლია, ერთი მხრივ, გაართულოს გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ, მიუხედავად რთული გზისა, მას უკეთეს შედეგამდე მივყავართ, როდესაც აწონილ-დაწონილია ყველა მოსაზრება, გამოთქმულია არგუმენტები და მათ საფუძველზეა მიღებული გადაწყვეტილება. როდესაც განმანათლებლები სხვადასხვა პერსპექტივას განიხილავენ, მათი შეხედულებები დაფარული

არ უნდა იყოს მსწავლელისგან, თუმცა არც თავს უნდა მოახვიონ მას. ასევე ღია უნდა იყვნენ თავიანთ შეხედულებებზე განსხვავებული აზრის მოსასმენად. სირთულეებისთვის თავის გართმევა განმანათლებლებს აძლევს საშუალებას, მსწავლელები ჩართონ კავშირების დამყარებაში განსხვავებულ კონცეფციებსა და იდეებს შორის. ამ იდეებსა და თემებს, რომლებიც მდგრადი განვითარების საკითხებზე დისკუსიას გულისხმობს, გაეროს „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ დეკრეტში ამოიკითხავთ. მაგალითად მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს: მშვიდობის სწავლება, ეთიკა და ფილოსოფია, მოქალაქეობა, დემოკრატია და მმართველობა, ადამიანის უფლებები, სიღარიბის დაძლევა, კულტურული მრავალფეროვნება, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, გარემოს დაცვა, ეკოლოგია, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი, კლიმატის გლობალური ცვლილება, ადამიანის ჯანმრთელობა, გარემოს (საკვების, წყლის, ატმოსფეროს ჰაერის, ნიადაგის) მდგომარეობა, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, ადგილობრივი ცოდნა, წარმოება და მოხმარება, სასოფლო-საქალაქო განვითარება, ეკოტექნოლოგიები, მდგრადი შეფასება (მაგ., გარემოს ზემოქმედების შეფასება-გზშ). მათ შორის კავშირების დამყარება შესაძლებელია ერთობლივი პროექტების მეშვეობით, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოსაყალიბებლად. ცვლილებების ხედვა გულისხმობს კავშირს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. ამ შემთხვევაში სამ განზომილებაზე შევაჩერებთ ყურადღებას: ა. წარსულიდან სწავლა, ბ. აწმყოში ჩართულობის წახალისება, გ. ალტერნატიული მომავლის შესწავლა. წარსულიდან სწავლა გულისხმობს წარსულის კრიტიკულ ანალიზს მისი განვითარებისა და მიღწევების სწორად შესაფასებლად. აწმყოში ჩართულობის წახალისებას ძირეული მნიშვნელობა აქვს, რადგან სასწრაფოდ მოსაგვარებელი ყოველდღიური პრობლემები მდგრადი განვითარების კუთხით მრავლად გვხვდება ჩვენს სინამდვილეში. მაგალითად, ჩვენი სამყარო სავსეა უთანასწორობით მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მილიარდობით ადამიანით, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ და ხელი არ მიუწვდებათ ელემენტარულ ყოფით სიკეთეებზე, მაშინ როდესაც მრავალი ადამიანი არარაციონალური რესურსმოხმარებით ცხოვრობს და მოიხმარს იმაზე მეტს, ვიდრე საჭიროა ცხოვრებისთვის. ამით ხდება რესურსების გამოლევა და გარემოს მზიდი ტევადობის ამოწურვა ისე, რომ ამ უკანასკნელს აღარ რჩება რეგენერაციის საშუალება. განათლებამ მდგრადი განვითარებისთვის უნდა უპასუხოს ყველა ადამიანის მოთხოვნებს აწმყოში ისე, რომ გაითვალისწინოს მომავალი თაობის მოთხოვნებიც. ეს შესაძლებელია მარტივი პრინციპით: „ვასწავლოთ დღეს ისე, რომ ვფიქ-

რობდეთ მომავალზე“. ალტერნატიული მომავლის შესწავლას რთული ბილიკების, გზებისა და შესაძლებლობების შესწავლით მდგრადი განვითარებისკენ მივყავართ. ეს პროცესი მოითხოვს მეცნიერულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, მათი მეშვეობით აწმყოს სწავლებას და სწორი არჩევნების გზით კრეატიულ აზროვნებას, მსწავლელთა ჩართვას შეხედულებების ჩამოყალიბებაში, როდესაც თითოეულ ქმედებას შეუძლია მიგვიყვანოს ჩვენ მიერ მოწონებულ მომავლამდე. ამისთვის საჭიროა კრეატიულობა, მიზნების დასახვა და გადაწყვეტილებების მიღება, კუთვნილების შეგრძნება, ენერგია, რაც სხვასაც უწევს მოტივირებას, გააკეთოს უკეთესი არჩევანი უფრო მდგრადი მომავლისთვის. ნაკლები ზიანის მიყენება არ კმარა, თუ მისი თავიდან აცილებაა შესაძლებელი. საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს კომპეტენციებს, რომლებიც მოქმედებს სამ დონეზე: ა. ტრანსფორმაცია იმისა, რაც ნიშნავს იყო განმანათლებელი; ბ. პედაგოგიკის ტრანსფორმაცია, მაგ., ტრანსფორმაციული მიდგომა სწავლისა და სწავლებისადმი; გ. საგანმანათლებლო სისტემის, როგორც ასეთის, ტრანსფორმაცია. განმანათლებლის ცნების გაგებისა და მისი პრაქტიკის ტრანსფორმაციას საკვანძო მნიშვნელობა აქვს. აქ სხვადასხვა საფეხურზე მომუშავეებმა უნდა გაიაზრონ სისტემის, პრაქტიკის, აზროვნების ცვლილების აუცილებლობა. პოზიტიური კავშირის დამყარება თავად განმანათლებლებსა და მსწავლელებს შორის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სისტემაში მომუშავე სხვა ადამიანების კავშირი. მოსწავლე მასწავლებლისგან ყველა კითხვაზე არ უნდა ელოდოს პასუხს; მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ ყოველთვის სწორი პასუხი ვერ ექნება, რომ თავადაც სჭირდება პასუხების ძიება და მუდმივი პროფესიული განვითარება. ის არა მხოლოდ კოლეგებისგან, არამედ საკუთარი მოსწავლეებისგანაც ცდილობს სწავლას, მსჯელობისას ისმენს და ითვალისწინებს სხვის მოსაზრებებს, კრიტიკულად აფასებს მათ და საჭიროების შემთხვევაში იცვლის წარმოდგენას ან არგუმენტირებულად, თავს მოუხვევლად უსაბუთებს ოპონენტს თავისი თვალთახედვის სისწორეს. პედაგოგიკის ტრანსფორმაცია გულისხმობს გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს კრეატიულობის, ინოვაციურობის თვალსაზრისით, სახავს ცხოვრების ალტერნატიულ გზებს. ის ხელს უწყობს მოსწავლეს, თავისი ყოველდღიური არჩევანის შედეგი გააცნობიეროს მდგრადი განვითარებისთვის. საგანმანათლებლო სისტემის ტრანსფორმაციის მნიშვნელობა უპირობოა, ვინაიდან არსებული ვერ უზრუნველყოფს განვითარების მდგრად მოდელს. ვიდრე ფორმალური განათლების როლი აღიარებუ-

ლია საზოგადოების მიერ და მიჩნეულია ფასეულად, სწორედ ფორმალური განათლების ტრანსფორმაცია ხდება პირველადი. ის ხელს უნდა უწყობდეს სწორი აზროვნებისა და მომხმარებლის კულტურის ჩამოყალიბებას, სადაც პიროვნება პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ ცხოვრებაზე, არჩევანზე, რომელსაც ყოველდღიურად აკეთებს თუ შორეულ მიზნებზე. ასეთ ცვლილებებს, რომლებიც მდგრადი მომავლისკენ არის მიმართული, ვერ მიაღწევს ცალკე მდგომი მასწავლებელი, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრატორი, მთლიანად სკოლა თუ მთავრობა. სწორედ განმანათლებელი უნდა ედგას სათავეში იმ სისტემის ტრანსფორმაციას, რომელშიც ისინი საქმიანობენ, თუმცა მათ დასჭირდებათ კრიტიკული კომპეტენცია, ისეთი, როგორიცაა ცვლილებების მოთხოვნა, ღიაობა ამგვარი ცვლილებებისადმი და კოლაბორაციული უნარები სხვებთან ერთად ამის საკეთებლად. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწილში კომპეტენციები გაერთიანებულია 4 კატეგორიად, რაც გაეროს სხვა საგანმანათლებლო დოკუმენტებიდან არის გადმოღებული. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ისინი ჰორიზონტალურადაა გამოსახული:

ა. სწავლობს, რომ იცოდეს – პირველი კატეგორიაა, რომელიც საშუალებას იძლევა გავაცნობიეროთ აწმყოს ის გამოწვევები, რომლებიც უდგას საზოგადოებას ლოკალურ და გლობალურ დონეებზე, მათში განმანათლებლისა და მოსწავლის როლი. კომპეტენციების ეს ნაწილი იწყება სიტყვებით „განმანათლებელი აცნობიერებს“;
ბ. სწავლობს, რომ აკეთოს – მეორე კატეგორიაა, რომელიც პრაქტიკულ უნარებსა და მოქმედების კომპეტენციებს აერთიანებს. ასეთი კომპეტენციები იწყება სიტყვებით „განმანათლებელს შეუძლია“;
გ. სწავლობენ თანაცხოვრებისთვის – წარმოაჩენს თანამშრომლობის, ურთიერთდამოკიდებულების, ერთობლივი გაგების, პლურალიზმის უნარებს. ასეთი კომპეტენციები იწყება სიტყვებით „განმანათლებელი თანამშრომლობს ისე, რომ...“;
დ. სწავლობს, რომ იყოს – მოიცავს კომპეტენციებს, რომლებიც პიროვნულ თვისებებზე, ფასეულობებსა და ღირებულებებზე გადის, ანიჭებს მას მეტ პერსონალურ პასუხისმგებლობას და, იმავდროულად, ავტონომიასაც. იგი თვითშეფასების ელემენტებსაც შეიცავს და იწყება სიტყვებით „განმანათლებელი არის ის, ვინც...“

	ჰოლისტური მიდგომა ინტეგრალური აზროვნება და პრაქტიკა	ცვლილებების ხედვა წარსული, აწმყო და მომავალი	ტრანსფორმაციის მიღწევა – ადამიანები, პედაგოგიკა, განათლების სისტემა
განმანათლებელი აცნობიერებს....	• სისტემური აზროვნების საფუძვლებს • გზებს, რომლითაც ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური სისტემები ფუნქციონირებს და როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს • თანამედროვე და მომავალი თაობების, მდიდრებისა და ღარიბების, ისევე როგორც ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას • პირად მსოფლმხედველობასა და კულტურულ წარმოდგენებს, ცდილობს რა გაიგოს სხვების შეხედულებები • კავშირს მდგრად მომავალსა და იმ გზებზე, როგორც ვფიქრობთ, ვმუშაობთ და ვცხოვრობთ • საკუთარ აზროვნების ფორმებს, მოქმედებებს და დამოკიდებულებებს მდგრად განვითარებასთან	• არამდგრადი განვითარების ძირითად მიზეზებს • რომ მდგრადი განვითარება არის თანამონაწილეობითი კონცეფცია • სასწრაფო აუცილებელობას შეიცვალოს არახელსაყრელი პრაქტიკა უკეთესობისკენ, რათა გახდეს ცხოვრება და გარემო ხარისხიანი, თანასწორი, სოლიდარული და მდგრადი • პრობლემის დასახვის, კრიტიკული უკუკავშირის, ხედვის და შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობას მომავლის დაგეგმვისას და ეფექტური ცვლილებებისთვის • გაუთვალისწინებლობებისადმი პრევენციული და შემარბილებელი მიდგომის აუცილებლობას • რატომ არის საჭირო განათლების სისტემის გარდაქმნა მეცნიერულ მიდგომებზე დაფუძნებით	• რატომ არის აუცილებელი შეიცვალოს განათლების სისტემა სწავლების ხელშესაწყობად • რატომაა საჭირო მოამზადო მსწავლელები ახალი გამოწვევების შესახვედრად • თუ როგორი მნიშვნელოვანია მსწავლელთა გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, როგორც ცვლილების/ ტრანსფორმაციის საფუძველი • თუ როგორ აძლიერებს სწავლის შედეგებს ჩართულობა სხვადახვა ცხოვრებისეულ საკითხებში და ეხმარება მოსწავლეებს, შეცვალონ მათი ჩვეული პრაქტიკა
განმანათლებელს შეუძლია...	• შექმნას სტერეოტიპებისგან თავისუფალი გარე-	• კრიტიკულად შეაფასოს ცვლილებების პროცესი	• ხელი შეუწყოს მონაწილეობით და მსწავლელზე

	მო იდეების და გამოცდილების გაზიარებისათვის სხვადასხვა თაობებში, კულტურებში, ადგილებსა და დისციპლინებში მათთვის ზიანის მიუყენებლად • იმუშაოს სხვადასხვა პერსპექტივით საკითხებზე, დილემებზე და კონფლიქტებზე • დააკავშიროს მსწავლელი ადგილობრივ და გლობალურ გავლენის სფეროებთან	საზოგადოებაში მდგრადი განვითარების მისაღწევად • გაუჩინოს სასწრაფო ცვლილების მოთხოვნა და მომავლის იმედი ცვლილებების დროს • ხელი შეუწყოს სხვადასხვა გადაწყვეტილებების პოტენციური შედეგების თუ ქმედებების შეფასებას • გამოიყენოს ბუნებრივი, სოციალური და ანთროპოგენული გარემო, მათ შორის საკუთარი დაწესებულება როგორც სწავლის წყარო • ხელი შეუწყოს მონაწილეობით და მსწავლელზე ორიენტირებულ განათლებას, რაც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და აქტიურ მოქალაქეობას	ორიენტირებულ განათლებას, რაც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და აქტიურ მოქალაქეობას • შეაფასოს სწავლის შედეგები ცვლილებების და მიღწევების თვალსაზრისით მდგრად განვითარებასთან კავშირში
განმანათლებელი თანამშრომლობს...	• რათა აქტიურად ჩართოს სხვადასხვა ჯგუფები თაობებიდან, კულტურებიდან, ადგილებიდან და დისციპლინებიდან	• ისე, რომ წარმართოს მსჯელობები ახალ შეხედულებებზე, რაც მდგრადი განვითარებისთვის ხელშემწყობია • ისე, რომ წაახალისოს ალტერნატიული გზების წარმოჩენა	• ისე, რომ უპირისპირდება არამდგრად გამოწვევებს განათლების სისტემაში, მ.შ. საკუთარი ინსტიტუციის ფარგლებში • ისე, რომ ეხმარება მსმენელებს, მოსწავლეებს გაარკვიონ ახალი იდეები და შეხედულებები დიალოგის წარმართვით, იცის, რომ ამისთვის სხვადასხვა ფორმატია დასაშვები

განმანათლებელი არის ის, ვინც...	• ჩართულია სხვადასხვა დისციპლინებში, ემპათიურია განსხვავებული კულტურის, პერსპექტივების, ადგილობრივი გამოცდილებისა და შეხედულებებისადმი	• არის მოტივირებული, დადებითი წვლილი შეიტანოს სხვათათვის სოციალურ და ბუნებრივ გარემოში, როგორც ლოკალურად, ისე გლობალურად	• ცდილობს წინდახედული ქმედებების განხორციელებას გაურკვეველ სიტუაციებშიც • ვისაც სწადია უპასუხოს არამდგრად გამოწვევებს • არის მონაწილეობითი სწავლების წარმართველი • არის კრიტიკული უკუგებისას • შთააგონებს შემოქმედებითობასა და განახლებას • ჩართავს მსწავლელებს პოზიტიური თანამშრომლობითი გარემოს შექმნაში • არის მონაწილეობითი სწავლების წარმართველი • არის კრიტიკული უკუგებისას • შთააგონებს შემოქმედებითობასა და განახლებას • ჩართავს მოსწავლეებს/მსწავლელებს პოზიტიური თანამშრომლობითი გარემოს შექმნაში

პროფესიული განვითარებისთვის მასწავლებლები და სხვა განმანათლებლები უნდა იცნობდნენ კომპეტენციებს, უნდა შეაფასონ საკუთარი პრაქტიკა მათთან მიმართებით და ამოიცნონ ნაწილი, რომელსაც: ა. აქტიურად იყენებენ; ბ. იყენებენ არცთუ ხშირად და გ. არ იყენებენ. ეცადონ, ცვლილებები სწორედ საკუთარ პრაქტიკაში მათი ჩართვით დაგეგმონ, ხოლო ადმინისტრაციამ ასეთ მასწავლებლებს ხელი უნდა შეუწყოს და წაახალისოს. ასევე აქტუალურია მასწავლებლების ხელშეწყობა იმ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაში, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას ემსახურება.

მნიშვნელოვანია, სკოლამ დაამყაროს კავშირი უფლებათადამცველ და გარემოსდამცველ არასამთავრობოებთან, რათა სახელმძღვანელოში შეტანილი თეორიული ცოდნა პრაქტიკულით გაჯერდეს და წარმოჩნდეს მჭიდრო კავშირი სკოლასა და ცხოვრებას შორის. ასევე საჭიროა, ადგილებში, სადაც უმაღლესი განათლების კერებია, დამყარდეს მათთან მჭიდრო კავშირი, ინახოს, რა მიმართულებით შეიძლება თანამშრომლობა. თემის ჩართულობა და მათი საჭიროებების გამოვლენა ეხმარება მოსწავლეებს, იფიქრონ საკუთარ დასახლებაზე, მოახდინონ პოზიტიური გავლენა და მიიღონ წარსულიდან ის გამოცდილება, რომლის გათვალისწინებაც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას.

გარემოს დაცვა – გადაუდებელი აუცილებლობა

ტრავერტინი წყლის მიერ, უმეტესად, ცხელი წყაროების მიერ დალექილი თეთრი და მოვარდისფრო შეფერილობის კიროვანი მინერალია, რომელიც ძირითადად კალციუმის კარბონატის დეპოზიტებისგან შედგება. ის მიწისქვეშა სიღრმეებში კარსტული რელიეფის სხვადასხვა ფორმით, ძირითადად, სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების სახით გვხვდება. მისი წარმოქმნა მიწისქვეშა წყაროებს უკავშირდება, რომლებიც ღრმა ფენებში ხსნის კიროვან ქანებს და ზედაპირზე ამოაქვს. ის მსუბუქი ფოროვანი ქანის სახით ილექება. საქართველოში ტრავერტინი გხვდება თრუსოს ხეობაში. ასევე ფართოდ ცნობილია ბრითათის ტრავერტინი. გვხვდება ასევე მდინარე პატარა ლიახვის სათავესა და მდინარე ლეხურის ხეობაში; დასავლეთ საქართველოში – რაჭაში, იმერეთსა და სვანეთში.

ტრავერტინებს იყენებენ საშენ მასალად და კირის გამოსაწვავად, თუმცა როდესაც მისი გავრცელების მასშტაბი სიდიდით არ გამოირჩევა, ასეთ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ღირებულება არანაკლებია, რადგან იზიდავს ტურისტებს, ასევე ხელს უწყობს მინერალური წყლების წარმოქმნას. მათი განადგურებით საფრთხე ექმნება როგორც ბუნებას, ასევე ეკონომიკის მნიშვნელოვან პოტენციას.

ჩვენს მეზობლად თურქეთის ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ და დიდ ქალაქში, სადაც კერძო ავტომობილების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობას აღემატება, მასობრივ ღელვას აქვს ადგილი. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ მიუახლოვდა ევროკავშირს და, შესაბამისად, მათი ქოლგა-რეგულაციები სავალდებულო შესასრულებელი არ აქვთ. თუმცა სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში პატარა სკვერის ადგილას სავაჭრო ცენტრის აშენების გადაწყვეტილება მოსახლეობამ გააპროტესტა. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის შედეგად 100-მდე დაშავებული და 2000-მდე დაკავებულია, ეს მაინც ვერ აგდებს დაბლა ტემპერატურას. აშკარად სახეზეა, რომ თურქეთში ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, რომლისთვისაც ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი სხვა ფასეულობებია. ჩვენს საზოგადოებაში დეფიციტია მიმდი-

ნარე მოვლენების ანალიზის, ამ ანალიზის შედეგად პრობლემების იდენტიფიცირების, პოზიციის ჩამოყალიბებისა და მათი გადაჭრის. ძალიან მნიშვნელოვანია იმ საკითხების წინ წამოწევა, რომლებიც გარემოს დაცვას ეხება – იმ გარემოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, კიდევ ათეული წლები უნდა ვიცხოვროთ და ასევე ჩვენს შემდგომ თაობებსაც დავუტოვოთ. სხვათა შორის, როდესაც ათეულ წლებზე ვსაუბრობ, ეს ეჭვს ბადებს. იმის მიხედვით თუ როგორი იქნება ჩვენი საცხოვრებელი გარემო, ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობაც შეიცვლება. ეს უკანასკნელი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე, ვაქცინაციასა და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე. ქვეყნებში, სადაც გარემოს დაცვა ქვეყნის პრიორიტეტია, მცირდება რისკ-ფაქტორები და იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა.

განვიხილოთ, თუ როგორ ხდება გარემოზე ზრუნვა განსხვავებული ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში.

საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენეს გეოგრაფებმა და ეკონომისტებმა, რისი ვიზუალიზაციაც პარაბოლის სახით ქვემოთ არის წარმოდგენილი:



ეს კუზნეცის მრუდის მოდიფიკაციაა, რომელიც უთანასწორობას ეხებოდა, და ამტკიცებდა, რომ განვითარების გარიჟრაჟზე უთანასწორობა მცირეა. რაც უფრო ეკონომიკურად ვითარდება საზოგადოება, მით უფრო მაღალი ხდება განსხვავებები მდიდარსა და ღარიბს შორის ქვეყნის შიგნით. ეს განსხვავება ნელ-ნელა მცირდება განვითარების გარკვეული სტადიის მიღწევის შემდეგ.

ამავე იდეის მატარებელია ზემოთ მოცემული მრუდიც, რომელიც 1990 წელს შეიმუშავეს გროსმანმა და კრუგერმა ნაფტა-ს ქვეყნებზე დაკვირვებით. თემის პოპულარიზაცია მსოფლიო ბანკმა 1992 წლის ანგარიშში მისი გამოყენებით მოახდინა. მოკლედ მთავარი იდეა ასე ჟღერს: ქვეყანაში გარემოს დაბინძურება გაიზრდება, ვიდრე მიმდინარეობს სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა, მაგრამ უკვე გარკვეული განვითარების მიღწევის შემდეგ ქვეყანა დაიწყებს გარემოზე ზრუნვასა და დაბინძურებაც შემცირდება.

ამ ყველაფრის მაგალითად შეგვიძლია ევროპის განვითარებული ქვეყნების გზა განვიხილოთ. ეს ქვეყნები თავს გარემოსდაცვითი პოლიტიკით იწონებენ და ბევრსაც აკეთებენ მის განსამტკიცებლად. ინდუსტრიამდელ პერიოდში მათ სუფთა გარემოთი დაიწყეს განვითარება, როდესაც არ იყო საწარმოო ნარჩენებით, ქიმიკატებითა და გამონაბოლქვით დაბინძურებული გარემო. ზოგადად, მათი ეკოლოგიური ნაკვალევი იყო მინიმალური. არ იყო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც გარემოს ანადგურებდა ეკონომიკის განვითარების სახელით. მაშინ მხოლოდ ტყეების ფართობის მკვეთრი შემცირება და ეროზია მიმდინარეობდა, რადგან საწვავად და საშენ მასალად მორები და შეშა გამოიყენებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში მათ სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა დაიწყეს, როდესაც ვითარდებოდა ინდუსტრია, საწვავად მხოლოდ ენერგიის ტრადიციული წყაროები გამოიყენებოდა, ვითარდებოდა ტექნოლოგიები. ჩამოყალიბდა მომხმარებლური კულტურა, რამაც იმდენად შეცვალა გარემო, რომ ქვეყნებმა სიტუაციის გამოსასწორებლად საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს მიმართეს. დაიწყო საწარმოების გაწმენდა, უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიებით არსებულის ჩანაცვლება და ასევე ზოგი დამაბინძურებელი ინდუსტრიის რელოკაცია, ანუ განვითარებად ქვეყნებში გადატანა. ასევე გარემოს გამაჯანსაღებელი ხდება მკაცრი რეგულაციების შემოღება, მაღალი ჯარიმების დაწესება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

დღეისათვის ამავე გზას გადიან სხვა ქვეყნებიც, უმეტესად, ესენი არიან აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნები, სადაც არნახული ტემპებით იზრდება საწარმოების რაოდენობა, მთლიანად ინდუსტრია, ასევე ავტოტრანსპორტის რაოდენობა. თანამედროვე განვითარების ტემპმა გადაუსწრო განვითარებული ქვეყნების განვითარების ტემპსაც, რადგან დღეს ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ქვეყნებს ბევრად მეტის საშუალება მისცა. ამდენად, პრობლემების მასშტაბები ბევრად მწვავედ იჩენს თავს. გან-

საკუთრებით ეს შესამჩნევია თანამედროვე მსხვილ ქალაქებში. აქ მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე და ძალიან მწვავედ დგას გამონაბოლქვის პრობლემა. სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნების დედაქალაქები ძირითადად თბილი და ნოტიო კლიმატით გამოირჩევა, რაც ზრდის სმოგის წარმოქმნის ალბათობას. ეს აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზეც. პილოტები, რომლებიც ბანგკოკში დაფრინავენ, ამბობენ, რომ ქალაქის მდებარეობის განსაზღვრა შორიდან, ყოველგვარი თანამედროვე აპარატურის გარეშეც არის შესაძლებელი, რადგან ის გამონაბოლქვის გუმბათით არის დაფარული. ეს არ არის მხოლოდ მომწამვლელი აირები, აქ ჭვარტლის ნაწილაკები (SPM) ბენზოლს შეიცავს, იმდენად მცირე 2,5 მიკრონის ზომისას, რომ ადვილად ხვდება ფილტვებში, რაც სიმსივნური დაავადებების მაღალ ალბათობას განაპირობებს. მაგალითად ჯაკარტაში, ბანგკოკსა და შანხაიში ავტომობილით გადაადგილებას იმდენად დიდი მაშტაბები აქვს, რომ ზოგ ადგილებში ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარებიც კი არ არის გათვალისწინებული. ამ პრობლემის გამო ყველაზე დიდი საცობები სწორედ ბანგკოკში გვხვდება, აქ მანქანა წლის მანძილზე 44 დღის ეკვივალენტს საცობში ატარებს.

ასეთ ქვეყნებს აქვთ საშუალება, გაითვალისწინონ უკვე დაწინაურებული ქვეყნების გამოცდილება და თავად არ გაიმეორონ ის შეცდომები, რომლებსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს, არ ავნონ გარემოს ისე, რომ ბუნების კომპონენტების რეგენერაციის (თვითაღდგენის) უნარს აღემატებოდეს. თუმცა ასეთი ქვეყნების მთავრობები ხშირად აცხადებენ, რომ არ აქვთ ფუფუნება, გარემოს დაცვის უფლება მისცენ თავს. ასევე ითხოვენ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა მათ თავს არ მოახვიონ სხვადასხვა ხელ-ფეხის შემბოჭველი გარემოსდაცვითი რეგულაციები და ისევე აცადონ განვითარება, როგორც ამას წარსულში განვითარებული ქვეყნები აკეთებდნენ. თუმცა გარემოს დეგრადაციის გარდა, ეს ვითარება მოსახლეობაში მძიმე ონკოლოგიურ და სხვა დაავადებებს იწვევს.

და, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მთელი „მრუდი“ გასავლელი აქვთ განვითარებადი ქვეყნების ყველაზე სუსტად განვითარებულებს. ამ ქვეყნებში ეკონომიკა იმდენად ჩანასახობრივ დონეზეა, რომ მისი შედეგები გარემოზე უმნიშვნელოა. მოსახლეობის შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ ხშირ შემთხვევაში საარსებო მინიმუმს ვერ აკმაყოფილებს. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული და თვითკმარი მეურნეობები აქვთ. ისინი მხოლოდ ბუნებრივ პირობებზე არიან დამოკიდებულები და განვითა-

რებული და სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების უარყოფით შედეგებს გლობალური კლიმატცვლილების სახით თავის თავზე იწვნევენ. ეს გამოხატულია გახშირებულ შტორმული ხასიათის ამინდებში, გახანგრძლივებულ გვალვებსა და თავსხმა წვიმებში, რასაც ხშირად მოსავლის განადგურება მოჰყვება. თუკი ამგვარ ბუნებრივ კატასტროფებს განვითარებულმა ქვეყნებმა შეიძლება ადვილად გაართვან თავი, განვითარებად ქვეყნებში ეს შიმშილობასა და სიკვდილსაც იწვევს.

კუზნეცის მრუდის მიხედვით, ყველა ქვეყანა, საბოლოო ჯამში, განვითარების მიღწევის შემდეგ შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას, თუმცა ეს თავისთავად ვერ მოხდება. ამის მისაღწევად საჭიროა დროული ჩარევა, მოსახლეობის განათლებაზე ზრუნვა, მათი ცნობიერების ამაღლება, იმდენად, რომ ერთ მოსაჭრელ ხესაც კი ათასობით დამცველი გამოუჩნდეს, როგორც ეს ჩვენს მეზობელ თურქეთში მოხდა. ასევე საჭიროა მთავრობის კოორდინირებული მუშაობა, რომლის დროსაც გარემო ინფრასტრუქტურულ პროექტებს არ გადაყვება.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ქვეყნებს არ აქვთ მორალური უფლება, იფიქრონ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, დაიცვან ბუნება, როცა ამისთვის შესაბამისი დრო მოვა. გარემოზე პასუხისმგებლობა მათ უნდა აიღონ ახლავე, რომ არ ავნონ საკუთარ და სხვა ქვეყნების მოსახლეობას და მომავალ თაობებს.

საქართველოსაც თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი მოსახლეობის წინაშე. უნდა ითქვას, რომ პრობლემა კომპლექსურია. ამ საკითხებისადმი მეტი ყურადღებაა საჭირო სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რათა ტრავერტინების ისტორია არ განმეორდეს, ასევე აუცილებელია რეგულაციების გამკაცრება. ამას კი დიდი პროტესტი შეიძლება მოყვეს ეკონომისტების მხრიდან, რომელთა მთავარი არგუმენტი რეგულაციებით ინვესტორების დაფრთხობაა. თუმცა როდესაც საუბარია ჩვენი შვილების და მომავალი თაობების ჯანსაღ გარემოზე, სირბილე არ გამოდგება. ჩვენ ვალდებულები ვართ, მათ კიდევ უფრო გამძაფრებული პრობლემები არ გადავულოცოთ სამომავლოდ. ადამიანების შელახული ჯანმრთელობა და ჯანდაცვის ხარჯები ბევრად უფრო მეტი ზარალის მომტანია, ვიდრე დროული რეგულაციების შემოღება, რომლებიც შესრულდება და მხოლოდ საერთაშორისო ანგარიშებისთვის არ გვენდომება. მოდერნიზაცია და ეკონომიკუ-

რი ზრდა შეუთავსებელი არაა გარემოს მდგრად განვითარებასთან, თუკი ამის ნება არსებობს.

რაც შეეხება ზოგადი განათლების სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს სასწავლო გეგმაში აისახა გარემოსდაცვითი შედეგები და ინდიკატორები, მათი დანერგვა ნელა მიმდინარეობს, რადგან სახელმძღვანელოებში არასაკმარისადაა ასახული ეს აქტუალური მასალა. ასევე დაემატა არჩევითი კურსი „გარემო და მდგრადი განვითარება“, მაგრამ ეს კურსი ფაქტობრივად დაუნერგავი დარჩა, რადგან არ გამოცხადებულა სახელმძღვანელოს კონკურსი. ამის გამო სკოლების ძალიან მცირე ნაწილმა აირჩია იგი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტებმა მოწვეულ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავეს ტრენინგ-მოდული, მაგრამ აქაც ბევრი მასწავლებელი არ დაინტერესებულა მისი გავლით. სახელმძღვანელოს უქონლობის და ამ მიმართულებით მასწავლებლების არასათანადო კვალიფიკაციის პირობებში ნაკლებ სავარაუდოა, რომ სკოლებში ეს კურსი სათანადო ხარისხით ისწავლებოდეს.

უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტების ჩამონათვალში იშვიათად თუ წააწყდებით გარემოს დაცვაზე მიმართულ სპეციალობებს, რასაც საზოგადოების მხრიდან მათზე ნაკლები მოთხოვნა, სახელმწიფოს მხრიდან მათი არაპრიორიტეტულობა და უნივერსიტეტების მხრიდან საკითხის არცოდნა განაპირობებს!

გლობალიზაცია და მისი გამოვლინებები

გლობალიზაცია კომპლექსური და წინააღმდეგობრივია. ზოგი მეცნიერი მას ეკონომიკურ ასპექტში განიხილავს, ზოგი – პოლიტიკურ ჭრილში. სინამდვილეში გლობალიზაცია გაცილებით ფართო მნიშვნელობის მქონე მოვლენაა და პოლიტიკურსა და ეკონომიკურთან ერთად სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც მოიცავს. არ შეიძლება, მისი შეფასებისას ისეთი ერთმნიშვნელოვანი ცნებებით შემოვიფარგლოთ, როგორიცაა „კარგი“ და „ცუდი“. გლობალიზაციის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი პროცესია კაცობრიობის ისტორიაში. მან მრავალი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსი, ადგილი და გავლენა შეცვალა. ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით, ინტერნეტმა, ერთსა და იმავე საწყის პოზიციაზე დახია ყველა ქვეყანა და ხელახლა ჩართო ისინი საყოველთაო მარათონში. თითქოს მნიშვნელობა დაკარგა კულტურულმა თუ ისტორიულმა წარსულმა, პოლიტიკურმა გავლენებმა და ა.შ., თუმცა უწინარესად სწორედ პოლიტიკურად გავლენიან და ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს აღმოაჩნდათ თანხები საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განსავითარებლად, რამაც ინტერნეტი მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა და ეს სახელმწიფოები უფრო მეტად დააწინაურა. შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა მანძილი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. თუმცა ამ ახალ თამაშში ჩაერთნენ სახელმწიფოები, რომლებიც სწრაფად იკვალავენ გზას განვითარებული ქვეყნებისკენ (სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები).

“Globe” ინგლისური სიტყვა და გლობუსს ნიშნავს, ხოლო “global” – მსოფლიოს, გლობალურს.

ტერმინ „გლობალიზაციის“ წარმოშობა უკავშირდება ამერიკელი სოციოლოგის, რ. რობერტსონის სახელს, რომელმაც ეს 1983 წელს სტატიაში გამოიყენა. ამ ცნებას მრავალნაირად განმარტავენ:

- **საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვერსიით**, ეს არის ქვეყნების ურთიერთობის გაფრთოება მთელ მსოფლიოში მომსახურების, საქონელბ-

რუნვისა და კაპიტალბრუნვის ზრდისა და მრავალფეროვანი ტრანზაქციების შედეგად ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების ფონზე;

- **ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის(OECD) ვერსიით** – ქვეყნების ურთიერთობათა გაფართოება, რაც განაპირობებს ვაჭრობის, ფინანსების, ადამიანებისა და იდეების ინტეგრაციის ზრდას მთელ გლობალურ ბაზარზე;
- **პიტერ ჰაგეტის მიხედვით** – პროცესი, რომლის შედეგადაც მოვლენები, აქტივობები და გადაწყვეტილებები, მიღებული მსოფლიოს ერთ წერტილში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოშორებით მცხოვრებ მოსახლეობაზე/თემებზე.

საბოლოო ჯამში, გლობალიზაციას ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ გააჩნია; მას ხშირად აიგივებენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული იდეების გავრცელებასთან და ერევათ გაერთგვაროვნებაში.

რატომ არსებობენ ანტიგლობალისტები?

ტელევიზიით ხშირად გადაიცემა სიუჟეტები ანტიგლობალისტთა პროტესტის შესახებ, ისინი განსაკუთრებით აქტიურდებიან საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმების G7, G8, G20 დროს. ანტიგლობალისტები მდიდარ ქვეყნებთან ერთად ადანაშაულებენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს. მათი მთავარი არგუმენტებია უმუშევრობა, ბავშვების შრომა, გარემოს უგულებელყოფა.

თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ გლობალიზაციის შედეგია, რომ დღეს ჩვენ ღია ეთერში ვუყურებთ ასეთ შეხვედრებს, ვითარდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები, ტრანსნაციონალური კორპორაციები პირდაპირ აბანდებენ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში საწარმოების გასახსნელად, რაც ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, თავი დააღწიონ სიღარიბეს, გაყიდონ საკუთარი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე.

გლობალიზაციის თეორიები

მართალია, გლობალიზაციის ცნება მხოლოდ 30 წლისაა, მაგრამ პროცესი ისეთი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და იმდენად ყოვლისმომცველი ხდება, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში მის შესახებ უკვე მრავალი თეორია შეიქ-

მნა და მეცნიერების მრავალი მიმართულების კვლევის ობიექტად იქცა. ამ პროცესის გათვალისწინებას ვერც საზოგადოებრივი გეოგრაფიის სწავლებისას ავუვლით გვერდს.

მსოფლიო ეკონომიკის თეორია (ჰიპერგლობალიზაცია)

ჰიპერგლობალისტები კაპიტალისტურ სამყაროს განიხილავენ, როგორც დომინანტს მსოფლიოში. საერთო ბაზარი ისე განვითარდა და გავრცელდა, რომ ერი-ქვეყნები უკვე მოძველებულია, მათ აღარ შესწევთ უნარი, იყვნენ თვითკმარები და საგარეო კავშირების გარეშე განვითარდნენ. ამასთან, ამ თეორიის მიმდევართა აზრით, საერთო ბაზარი უფრო რაციონალურია და თავისუფალია მთავრობათა ჩარევისგან, რადგან მას უკვე საერთაშორისო რეგულაციები აწესრიგებს.

ჰიპერგლობალისტების აზრით, საერთო ეკონომიკისა და ბაზრის ჩანასახი უკვე 1400-1500 წლებში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში გაჩნდა. როდესაც კოლონიზატორებმა ახალაღმოჩენილი თუ ახალდაპყრობილი ტერიტორიებიდან ნედლეულის გამოტანა დაიწყეს, ამით მოხდა რესურსებისა და შრომის ხელახალი გადანაწილება მსოფლიოში, ქვეყნები უფრო მეტად გახდნენ დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ამას უსამართლო ფორმა ჰქონდა – ხდებოდა კოლონიების პირდაპირი ექსპლოატაცია.

სადღეისოდ, ჰიპერგლობალისტების აზრით, არსებობს საერთო ბაზარი და მობილური შრომითი რესურსები. მსოფლიო ბირთვში უფრო მაღალკომპეტენტური, უნარებიანი, კაპიტალინტენსიური (კაპიტალტევადი), პროდუქტიული მოსახლეობა ცხოვრობს. ამავე ქვეყნებს ჰყავთ ძლიერი სამხედრო ძალები და მოიხმარენ ყველაზე მეტს იქიდან, რაც ეკონომიკაში იწარმოება.

პერიფერიებისთვის კი დიამეტრულად განსხვავებული ტენდენციებია დამახასიათებელი: დაბალი კომპეტენციის სამუშაო ძალები, შრომატევადი დარგების განვითარება, ნედლი პროდუქციის მოპოვება (გადამუშავების გარეშე), სუსტი არმია და ეკონომიკა.

ამ ორ, ერთმანეთისგან ძლიერ დაშორებულ პოლუსს შორის არის სემიპერიფერიული (გარდამავალი) ქვეყნები, რომლებიც ნაკლებად არიან დამოკიდე-

გლობალიზაციის კოფ-ის ინდექსი, 1970



ბული ბირთვ ქვეყნებზე, მეტად დივერსიფიცირებული ეკონომიკა აქვთ, მეტად ანგარიშგასაწევი არმია ჰყავთ.

პირველ ჯგუფს, ბირთვს, ეკუთვნიან ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული ქვეყნები, იაპონია, ავსტრალია; სემიპერიფერიას – ისლანდია, პორტუგალია, ირლანდია, აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიისპირა ქვეყნები, ყაზახეთი, თურქეთი, საქართველო, ჩინეთი, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, საუდის არაბეთი, ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა და სხვა. ქვეყნების უმეტესობა კი პერიფერიას ეკუთვნის.

რეგიონული ბლოკის თეორია (გლობალური სკეპტიციზმი)

გლობალური სკეპტიკოსები არ ეთანხმებიან ჰიპერგლობალისტებს. მათი მთავარი წინააღმდეგობის ნაწილია გლობალური ბაზრის არსებობა. სკეპტიკოსებს მაიჩნიათ, რომ მომავალი რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებს ეკუთვნის, რომელთა შორის უდიდესად ევროკავშირია მიჩნეული.

რეგიონული ბლოკების განვითარებით მოგებული რჩებიან ამ ბლოკში ჩართული ქვეყნები. ისინი სპეციალურ გაუმჯობესებულ და გამარტივებულ ხელშეკრულებებს დებენ ერთმანეთთან; მათ ურთიერთობებს სხვადასხვა კუთხით ხელს უწყობს სპეციალური რეგულაციები და კანონმდებლობა. ბლოკის გარეთ დარჩენილი მარგინალიზებული ქვეყნები ვერ სარგებლობენ იმ სიკე-

თით, რაც ამ ბლოკებსა და გაერთიანებებს მოაქვს. ეს აფერხებს მათ შემდგომ ინტეგრაციასა და განვითარებას.

რეგიონული ბლოკის თეორიის მიმდევრები უფრო მეტად ახერხებენ, ერთი კუთხით არ შეაფასონ მოვლენები, მაგალითად, განვითარებული ჩრდილოეთიდან პრობლემები სხვაგვარად ჩანს, ვიდრე სამხრეთიდან.

მესამე გზის (ტრანსფორმაციული) თეორია

ეს თეორია გლობალურ და ლოკალურ დონეზე ურთიერთკავშირს გულისხმობს. მესამე გზის თეორიის, სხვაგვარად, ტრანსფორმაციული თეორიის მიმდევრები ამოსავლად იმას მიიჩნევენ, საერთაშორისო პროცესების ფონზე რა რეაგირება უნდა მოახდინონ ერებმა/ქვეყნებმა/სახელმწიფოებმა, რათა გაუმკლავდნენ გლობალიზაციის პროცესის უარყოფით გამოვლინებებს, როგორ უნდა მოიპოვონ ლოკალურ დონეზე იმუნიტეტი. მათი საერთო ლოზუნგია „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“. ამით შესაძლებელია გაერთგვაროვნების/ჰომოგენიზაციის წინააღმდეგ გალაშქრებაც.

არსებობს ორი გზა – მიიღო ან არ მიიღო გლობალიზაცია. ის, ვინც საერთოდ არ მიიღო იგი, დღეს საერთაშორისო დონეზე იზოლირებულია. მიღების შემთხვევაში კი შესაძლებელია მისი მიღება მთლიანად ან სახეცვლილად (adoption and adaption of globalization).

ხშირად ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც კი უჭირთ ადგილობრივ ბაზარზე ფეხის მოკიდება ცვლილებების გარეშე. მარტივი მაგალითია „მაკდონალდსის“ მენიუს ცვლილება ქვეყნების მიხედვით (მაკთურქო – თურქეთში, სამარხვო მენიუ საქართველოში) ქვეყნის ბაზარზე დასამკვიდრებლად.

მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებსაც გლობალიზაციიდან დიდი მოგება აქვთ, მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდის მის წინააღმდეგ, ზოგი – რადიკალური ფორმით, ზოგიც – პიროვნული ქმედებებით, მაგალითად, არ ყიდულობენ იმპორტირებულ ნაწარმს, ადგილობრივს ამჯობინებენ.

მსოფლიო კულტურის თეორია

დანარჩენი თეორიებისგან განსხვავებით, მსოფლიო კულტურის თეორიის მიმდევრები ეკონომიკურ პროცესებს არ განიხილავენ მთავარ მამოძრავე-

ბელ ძალად. ისინი გლობალიზაციას უფრო ფართოდ უყურებენ და საუბრობენ კულტურისა და ცხოვრების წესის ჰომოგენიზაციაზე, რასაც გლობალიზაციის თანმხლებ მოვლენად მიიჩნევენ.

მსოფლიო კულტურას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ევროპულ ტრადიციებში. ევროპელი მისიონერები ასეულობით წლის განმავლობაში მოგზაურობდნენ მსოფლიოში ახალი მიწების აღმოსაჩენად, სავაჭროდ და დასამორჩილებლად. სწორედ ამ პროცესებს მოჰყვა ევროპული ცხოვრების წესის, როგორც მოდელის, გადატანა. სწორედ ამ ზეწოლის შედეგად მოხდა კულტურული ჰომოგენიზაცია, რომლის შედეგებიც გლოკალიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ტერმინი „გლობალიზაციისა“ და „ლოკალიზაციის“ სინთეზს წარმოადგენს. ეს არის ბალანსი, რომელიც მიიღწევა ადგილზე გლობალიზაციის პროცესისა და ადგილობრივი კულტურის შერწყმით. ამ შემთხვევაშიც შეიძლება, „მაკდონალდსის“ მენიუს მაგალითი მოვიყვანოთ – ის ეროვნული გემოვნებისა და კულტურის დამკვიდრებული ნორმების მიხედვით იცვლება. ამ პროცესის გამოვლინებებია აგრეთვე მიმბაძველობა, ურთიერთშერწყმა, რელატივიზაცია (ადგილობრივ ფასეულობათა გაუფასურება და ჩანაცვლება).

გლობალური კლიმატცვლილება

გლობალური კლიმატცვლილება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმ-ძაფრესი გარემოსდაცვითი პრობლემაა, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირე-ბულია სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ეკოლოგიურ პრობლემებ-თან. მას დიდი ეკონომიკური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლიც კი მოაქვს.

კლიმატის გლობალური ცვლილების თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსე-ბობს. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ მისი უმთავრესი მიზეზია ინდუსტრი-ული საქმიანობა და ამის შედეგად ატმოსფეროში გაფრქვეული აირები. სხვა მოსაზრებით, კლიმატის გლობალური ცვლილება ბუნებრივი პროცესია, რომ-ლის მსგავსიც არაერთხელ მომხდარა დედამიწის გეოლოგიური განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში. ერთი რამ ცხადია: მიმდინარე ცვლილებები საფრთხეს უქმნის ეკოსისტემებს და დედამიწის მთელ ცოცხალ სამყაროს.

ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ გლობალური დათბობა ბუნებრივი მიზეზებით არის გამოწვეული, ისეთებით, როგორებიცაა ვულკანების ამოფრქვევა ან მზის აქტიურობა. გეოლოგიური თვალსაზრისით კლიმატი არც ისე მდგრადია. თუ წარსულს გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ იყო ეპოქები, როცა დედამიწაზე ხან დათბობა ხდებოდა და ხან აცივება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ უკანასკნელი გლობალური გამყინვარების პერიოდი ნახტომისებურად გადავიდა დათბობაში. ამ პროცესების უმთავრესი მიზეზებია დედამიწის ორ-ბიტის ცვალებადობა მზის მიმართ, მეტეორიტების ვარდნა, ვულკანური ამოფ-რქვევები და ა.შ.

გაცილებით მეტი მეცნიერი იზიარებს მოსაზრებას, რომ კლიმატცვლილებაში ადამიანის ფაქტორი სულ უფრო მზარდია.

კლიმატის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები

ატმოსფეროში არსებობს აირები, რომელთა არსებობა აუცილებელია სიცოც-ხლისთვის, ვინაიდან სითბოს ატმოსფეროს ქვედა ფენებში აკავებს. ეს აირები

რომ არა, დედამიწაზე გაცილებით დაბალი ტემპერატურა იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. ამიტომ ეს აირები დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას უზრუნველყოფს.

თუმცა უკანასკნელ წლებში დაიწყო მსჯელობა ატმოსფეროში ამ აირების მატების ტენდენციაზე, რაც განპირობებულია ადამიანის მოთხოვნათა განუსაზღვრელი ზრდით, წარმოებით და ეკონომიკაში აღუდგენელი ენერგეტიკული წყაროების გამოყენებით.

აღნიშნული აირები, რომლებსაც სათბურის აირბს უწოდებენ, შთანთქავენ დედამიწიდან არეკლილ ინფრაწითელ გამოსხივებას და სითბოს დედამიწაზე აკავებენ. სწორედ ეს წარმოქმნის სითბოს დამატებით წყაროს (დამატებით გათბობას), რაც სათბურის ეფექტის სახელწოდებითაა ცნობილი.

სათბურის ეფექტის აირებია:

- წყლის ორთქლი;
- ნახშირორჟანგი;
- მეთანი;
- აზოტის ქვეჟანგი;
- ჰალოგენშემცველი აირები (ქლოროფთორნახშირბადები, ჰიდროქლორფთორნახშირბადები, გოგირდის ჰექსაფთორიდი და სხვ.).

სათბური აირების კონცენტრაციის ზრდას განსაკუთრებით უწყობს ხელს წიაღისეული საწვავის (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი) მზარდი მოხმარება. XX საუკუნის ბოლოს ინდუსტრიალიზაციისა და სატრანსპორტო სისტემის სწრაფი განვითარების კვალდაკვალ იზრდება ჰაერის სათბური აირებით დაბინძურება. უნდა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაცია იწვევს ავტომობილების, თვითმფრინავების, თბოელექტროსადგურების, ქარხნებისა თუ გადამამუშავებელი ფაბრიკების რაოდენობის ზრდას. მათი მოქმედებისთვის სულ უფრო მეტი რესურსის მოპოვებაა საჭირო, ეს კი სათბური გაზების კონცენტრაციას კიდევ უფრო ზრდის.

გარდა ამისა, ნაგავსაყრელებზე ნარჩენების დატკეპნისას მათგან გამოიდევნება ჰაერი, რაც ანაერობულ (უჟანგბადო) გარემოს წარმოქმნის, სადაც უკვე ლპობის შედეგად წარმოიქმნება და ჰაერში გაიფრქვევა მეთანი. ამას ემატება მესაქონლეობის ნარჩენები, ბრინჯის პლანტაციები, რომლებიც ასევე მეთა-

ნის წყაროა. ამდენად, მხოლოდ ნახშირორჟანგი არ წარმოადგენს სათბური აირების წყაროს. ატმოსფეროში მეთანის დღევანდელი კონცენტრაცია კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ მონაკვეთში არსებულზე მაღალია.



ნახ.1. საშუალო გლობალური ტემპერატურის ცვლილება

ამას ემატება მოსახლეობის ზრდა (მოსახლეობის რიცხოვნობამ 7 მილიარდს გადააჭარბა), რაც ზრდის რესურსებზე დაწოლას. იზრდება არა მხოლოდ საწვავის მოხმარება, არამედ ტყის ჭრაც, რაც, საბოლოო ჯამში, დედამიწის ეკოლოგიურ წონასწორობაზე უარყოფითად აისახება. მართალია, განსაზღვრული მოცულობის ნახშირორჟანგი მცენარეებისა და ოკეანის მიერ შთაინთქმება, მაგრამ ბალანსი დარღვეულია და თანამედროვე მსოფლიოში უფრო მეტი სითბური აირები გამომუშავდება, ვიდრე დედამიწას შეუძლია გაუმკლავდეს თვითაღდგენის უნარით.

კლიმატის ცვლილების შედეგები

კლიმატის ცვლილების შედეგი მრავალგვარია და სხვადასხვა პრობლემასთანაა გადაჯაჭვული, ისეთებთან, როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფების გააქტიურება (წყალდიდობები, მეწყერები, ღვარცოფები და სხვ.), გაუტყეურე-

ბა/გაუდაბნოება, ნიადაგის ეროზიის ზრდა, ბიომრავალფეროვნების შემცირება, რელიქტური/ენდემური სახეობების გადაშენების რისკის ზრდა, ლანდშაფტების დეგრადაცია, მათი მდგრადობის, გარემოსდაცვითი ფუნქციის შესუსტება-დაკარგვა, აგროკულტურების ნაყოფიერების შემცირება და ა.შ.



ნახ.2. კლიმატის გლობალური ცვლილების ზემოქმედება გარემოზე

კლიმატის გლობალური ცვლილება ეხება ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს. კლიმატცვლილების უარყოფით შედეგებს შორის აღსანიშნავია: **ეკოსისტემების შეცვლა**, სახეობები, რომელთაგან მრავალი ვერ ახერხებს ადაპტაციას, გადაგვარდება; ერთი მხრივ – გახანგრძლივებული გვალვიანობა, რომელიც არიდულ მიწის ფართობებს ზრდის, მეორე მხრივ კი – ძლიერი წვიმები; მთებისა და ზეწრული მყინვარების დნობა, შესაბამისად, ოკეანის დონის აწევა და სანაპირო ზოლებისა თუ მცირე კუნძულების დატბორვა, დაავადებების გავრცელების არეალის ზრდა, მათ შორის – ეპიდემიების გავრცელების რისკიც; ასევე – გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები და ექსტრემალური ტემპერატურები, მათ შორის – შტორმების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყრების, ზვავების, ცუნამის, ქარიშხლების გაძლიერება და გახშირება. ამ ტიპის პრობლემებმა კი, თავის მხრივ, შესაძლოა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის შემცირება და შიმშილობა გამოიწვიოს.

ტემპერატურების ექსტრემალურ მატებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას. ქვეყნები, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირო-

ბებია, აწარმოებენ მსოფლიოში მოხმარებული საკვების უმეტეს ნაწილს. აქვე ცხოვრობს მოსახლეობის უმეტესობაც. მომატებული ტემპერატურისა და შემცირებული ნალექების პირობებში გააქტიურდება ნიადაგის ეროზიული პროცესები, ის გამოშრება და გამოიფიტება, ქარი თუ წყალი ადვილად გადაიტანს მას, ეს კი მოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევს.

ნალექების შემცირებას უდაბნოების მიმდებარე ტერიტორიებზე თუ, საზოგადოდ, არიდულ რეგიონებში გაუდაბნოებული ფართობების მომატება მოსდევს. მცირდება მცენარეული საფარი, გაუდაბნოების შედეგად დეგრადირდება ლანდშაფტი, მცირდება მოსავლიანობა, გაუსაძლისი პირობები იქმნება პირუტყვის მოსაშენებლადაც. საბოლოოდ, ამას შიმშილობამდე მივყავართ.

ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამ შესაძლოა მოსახლეობის ეკომიგრაცია გამოიწვიოს, რაც დამატებითი ხარჯია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

ჰაერის ტემპერატურის მატება კიდევ უფრო გააქტიურებს ძლიერ ქარებს. ქარი დედამიწის ზედაპირის უთანაბრო გათბობის შედეგად წარმოიშობა. რაც უფრო მეტი იქნება ტემპერატურული სხვაობა ადგილებს შორის, მით უფრო ძლიერი იქნება შტორმული ხასიათის ქარებიც (ქარბუქი, გრიგალი, ქარბორბალა). ატმოსფეროსა და ოკეანეს შორის სითბური ენერგიის ინტენსიური გაცვლა ოკეანის ზედაპირზე შტორმების რაოდენობას გაზრდის. გახშირებული შტორმები მყინვარების დნობის ფონზე გამოიწვევს სანაპირო ზოლების დატბორვას, რაც უზარმაზარ ზარალს მოიტანს – მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ ოდითგანვე სანაპირო ზოლებში სახლდებოდა.

ტემპერატურის მატებას თან სდევს აორთქლების გაძლიერებაც, შესაბამისად, ნალექების რაოდენობაც იმატებს. განსაზღვრული ტერიტორიებისთვის ამან შესაძლოა დადებითი ცვლილებებიც კი გამოიწვიოს, მაგრამ ძირითადად გახშირდება წყალდიდობები და წყალმოვარდნები და მოიმატებს მათგან მიყენებული ზარალიც.

კლიმატის ცვლილება, სითბოსა და ნალექების მატება ზოგი ინფექციით **(ლეიშმანიოზითა და მალარიით)** ავადობის მატებასაც იწვევს. განსაკუთრებული რისკის ჯგუფებს ბავშვები და მოხუცები წარმოადგენენ.

კლიმატცვლილების ფაქტებად შეიძლება დასახელდეს:

- ჩრდილოეთის ზღვებსა და არქტიკაში ყინულის სწრაფი დნობა – დღეს ის უკვე 40%-ით თხელია, ვიდრე 40 წლის წინ იყო;
- უმთავრესი არაპოლარული მყინვარების სისტემების სწრაფი განადგურება – მაგალითად, კილიმანჯაროს თოვლი 1-2 ათწლეულის შემდეგ შესაძლოა ვეღარც ვიხილოთ;
- ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ტბებზე ყინულის საფარი ერთი კვირით გვიან ჩნდება და ერთი კვირით ადრე დნება, ვიდრე საუკუნის წინათ;
- შეიცვალა და იცვლება მცენარეთა ყვავილობისა თუ ჩიტების კვერცხის დების ციკლი, ასევე იცვლება ცხოველთა და მცენარეთა ქცევაც, რაც დათბობითაა გამოწვეული;
- იცვლება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ნალექების რაოდენობაც, მაგალითად, წვიმებმა უფრო ხშირი და უფრო კატასტროფული ხასიათი მიიღო;
- ელ ნინიოს სიხშირე და დამანგრეველი ეფექტიც უფრო მეტია, ვიდრე 70-იან წლებში.

გლობალური კლიმატის ცვლილების მოცემული სქემის რამდენიმე პუნქტი დამატებით განმარტებას მოითხოვს:

1. გახშირებულმა და ძლიერმა გვალვებმა შესაძლოა წარმოშვას და გაამწვაოს წყლის რესურსების ნაკლებობის პრობლემა, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ერთი წყალშემკრების აუზის ფარგლებში ცხოვრობენ, თუ ქვეყნებს აქვთ ტრანსასაზღვრო წყლის რესურსი (ზედაპირული თუ მიწისქვეშა წყლები). მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნილოსი, რომელიც 11 სახელმწიფოში მიედინება. 1960-იან წლებში მის აუზში ცხოვრობდა 60 მლნ კაცი, ხოლო 1995 წელს – 140 მლნ. ვარაუდობენ, რომ 2025 წელს მათი რიცხვი 300 მლნ-ს მიაღწევს. ამჟამინდელი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი პირდაპირ არის დამოკიდებული ირიგაციაზე. წყლის დეფიციტის გამო განსაკუთრებით მწვავეა კონფლიქტი ეგვიპტესა და სუდანს შორის.
2. პანელის დასკვნის შედეგად, 2050 წლისთვის მხოლოდ აზიაში გვალვები 1 მილიარდ ადამიანზე მოახდენს გავლენას.
3. გახშირებულმა და ძლიერმა გვალვებმა მოსავალი შესაძლოა შეამციროს და შიმშილობა და მიგრაციული პროცესები გამოიწვიოს. ამ არეალში მცხოვრები მოსახლეობა დაიძვრება უკეთესი გარემოს საძებნელად, სადაც წყალი და საძოვრები ხელმისაწვდომია. პანელის შეფასებით, 2020 წლისთვის მხოლოდ აფრიკაში გლობალური კლიმატცვლილებით გამოწვეულ წყლისდეფიციტიან არეალში 250 მილიონამდე ადამიანი იცხოვრებს.

4. ნახშირორჟანგის მომატებულმა აბსორბციამ შესაძლოა გაზარდოს ოკეანეებში წყლის მჟავიანობა, რაც პირდაპირ აისახება ნიჟარებზე და უარყოფით გავლენას მოახდენს ზღვების მთელ ეკოსისტემაზე. არადა, მსოფლიოს მოსახლეობის სასურსათო პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია მეტი ასეთი პროდუქტის ჩართვა ადამიანის რაციონში.
5. მსოფლიო ოკეანის დონის აწევა საფრთხეს უქმნის მრავალ ქვეყანას. სანაპირო ზოლში მრავალი დიდი ნავსადგური და დასახლებული პუნქტია განლაგებული. მათ დატბორვის საშიშროება ელით. ამას შესაძლოა მასშტაბური მიგრაციული პროცესები მოჰყვეს, რაც განპირობებული იქნება არა მარტო სანაპიროს დატბორვით, არამედ გახშირებული წყალდიდობებითა და წყალმოვარდნებითაც.
   ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოიშობა სანაპირო ზოლში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამლაშებასთან დაკავშირებით. მლაშე წყალი შესაძლოა შეერიოს მიწისქვეშა და მიწისზედა მტკნარი წყლის რეზერვუარებს, რაც მათ გამოსაყენებლად უვარგისს გახდის და შესაძლოა შიმშილობის მიზეზადაც კი იქცეს. კლიმატის ცვლილების შესახებ სახელმწიფოთაშორისი კომიტეტის მონაცემებით, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მსოფლიო ოკეანის დონემ 10-25 სმ-ით აიწია, რამაც უკვე შეუქმნა სერიოზული პრობლემები არაერთ ქვეყანას. მსოფლიო ბანკის შეფასებით, თუ ოკეანის დონე 1 მეტრით აიწევს, ეს პრობლემას შეუქმნის 56 მილიონ ადამიანს.
6. ერთ-ერთ უმთავრეს უარყოფით შედეგად მიიჩნევა კრიოსფეროს დეგრადაცია. მყინვარები დეგრადაციას განიცდის. მყინვარების დნობა ჯერჯერობით შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენს ზღვის დონეზე, მაგრამ თუ 100 წლის განმავლობაში ეს ტენდენცია შენარჩუნდა და ატმოსფეროში CO_2-ის შემცველობა სტაბილური დარჩა, დნობას დაიწყებს ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულებიც, რაც ზღვის დონის აწევას გამოიწვევს. საბედნიეროდ, მრავალი მეცნიერი მიიჩნევს, რომ არქტიკის ყინულების დნობა მოსალოდნელი არ არის.
7. ჰაერის ტემპერატურის ცვლილებები. უკანასკნელი 100 წელია, ატმოსფეროს მიწისპირა ფენებში ტემპერატურამ მოიმატა. ზრდამ XIX საუკუნის II ნახევართან შედარებით 0,3-0,6^{0}C შეადგინა. ჰაერის ტემპერატურის შემდგომ ზრდას შესაძლოა კლიმატური სარტყლებისა და ბუნებრივი ზონების ჩრდილოეთისკენ გადანაცვლება მოჰყვეს, ეს კი უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე მრავალი ბიოორგანიზმი მოახერხებს ადაპტირებას. კიდევ ერთი საფრთხეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა-აღების ვადების ცვლა, მცენარეთა პროდუქტიულობის შემცირება და მოსავლიანობის დანაკარგი, სოფლის მეურნეობის პარაზიტების გამრავლება და

სხვ. საბოლოდ ამან შესაძლოა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დეგრადაციამდე მიგვიყვანოს, ეს კი ჯაჭვური რეაქციით დიდ შიმშილობას გამოიწვევს.

8. გახშირებულმა ტროპიკულმა შტორმებმა შესაძლოა არა მხოლოდ უშუალოდ ის არეალები დააზიანოს, სადაც დღეისთვისაა აღრიცხული მათი გავრცელება. შესაძლოა შტორმები უფრო მასშტაბურიც გახდეს. ამ დროს მხოლოდ ზარალი და მსხვერპლი კი არ იქცევა პრობლემად, არამედ ამ შტორმების შედეგად გაჩენილი ხანძრებიც. იმავდროულად, ეს შესაძლოა დაბალი, სანაპირო ადგილებიდან მიგრაციის მიზეზადაც იქცეს. მოსახლეობა ეცდება, თავი დააღწიოს ზარალს, მოსავლის განადგურებას, შიმშილობას.
9. ბიომრავალფეროვნების დაკარგვა/შემცირება ხდება იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზმები ვერ ახერხებენ კლიმატცვლილებით გამოწვეულ ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებასთან ადაპტაციას ან ვერ ასწრებენ მიგრაციას. როდესაც კვების ჯაჭვი ირღვევა და კრიტიკულად მნიშვნელოვანი სახეობა ქრება, ამან შესაძლოა ეკოსისტემის სრული კოლაფსი გამოიწვიოს, რასაც არა მხოლოდ გარემოს, არამედ ეკონომიკის ცვლილებაც მოჰყვება. ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ადგილებში ძირითადად ეკოტურიზმია განვითარებული, გაღარიბებული ბიოსფერო კი ტურისტებისთვის ინტერესმოკლებული ხდება.
10. დიდმა მიგრაციულმა პროცესებმა შესაძლოა გამოიწვიოს სირთულეები, რადგან განსახლებისთვის ვარგისი ადგილები ძირითადად უკვე დასახლებულია, ხოლო ადგილს თავისი პოტენციური ტევადობა აქვს.
11. ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი შეიძლება მიადგეს დაზღვევას, რადგან იქნება ბევრი მოულოდნელი დანაკარგი, რაც სადაზღვევო მომსახურების ფასებს გაზრდის. შესაბამისად, გაიზრდება ფასები სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზეც. რიგითი მოსახლეობისთვის დაზღვევა უფრო მიუწვდომელი გახდება, რაც მკურნალობასაც მიუწვდომელს გახდის და ჯანმრთელობის საერთო სურათზე აისახება.
12. გახშირებული წყალდიდობები მეტ ზარალს გამოიწვევს. შესაძლოა ზედაპირული მტკნარი წყლების დაბინძურება, რაც ქოლერის, დიარეისა და წყალთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აფეთქებამდე მიგვიყვანს.
13. დონორები, რომელთა იმედიც აქვთ განვითარებად ქვეყნებს – მათ მოსახლეობას მეტად აზარალებს კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები – ვეღარ აუვლენ ასეთ მაღალ გადასახადებს, დახმარებებს, ვინაიდან გახშირდება კატასტროფული მოვლენები, დონორების დახმარების გარეშე კი ღარიბი ქვეყნები ამ მასშტაბურ პრობლემებს ვერ გაუმკლავდებიან.

14. დონორი ქვეყნების ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაც პრობლემას წარმოადგენს, რადგან გადაბერებული მოსახლეობის მიერ შექმნილი დოვლათი ნაკლებია, იკრიბება ნაკლები გადასახადი, ადგილზევე ბევრად მეტი თანხა იხარჯება სოციალური სფეროს მომსახურებაზე (დაზღვევა, პენსიები). ეს ხარჯები იზრდება განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის გამო.

დროთა განმავლობაში ეს პროცესები გამოიწვევს ადამიანის საცხოვრებელი გარემოს შეცვლას, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროზე.

მსოფლიოს 80 ქვეყანაში, სადაც დედამიწის მოსახლეობის 40% ცხოვრობს, არსებობს სასმელი წყლის პრობლემა. ეს ასახვას პოვებს მაღალ სიკვდილიანობასა და ამ რეგიონების სუსტად განვითარებულ სოფლის მეურნეობაზე. სწორედ ამიტომ წარმოიშობა დიდი კონკურენცია სწრაფად მზარდ ქალაქებსა და სოფლის მეურნეობას შორის.

საინტერესოა, რომ ყველა ქვეყანა თანაბრად არ დაზარალდება, ზოგი მოგებასაც კი მიიღებს კლიმატცვლილებისგან. მაგალითად, რუსეთში, ციმბირსა და არქტიკის შელფურ ნაწილში ბუნებრივი აირისა და ნავთობის დიდი მარაგებია. მათზე მოთხოვნა განვითარებასთან ერთად იზრდება. დღეს თუ რუსეთის ეკონომიკაში საწვავი რესურსების ექსპორტის წილად 32% მოდის, ეს მაჩვენებელი შესაძლოა 80%-მდე გაიზარდოს. არქტიკაც გაიხსნება გემებისთვის და ეს მეჩხერად დასახლებული რეგიონები ეკონომიკურად გამოცოცხლდება.

მოიგებს კანადაც. თოვლითა და ყინულით დაფარული სივრცეები აქაც გათავისუფლდება. ნაოსნობა აქამდე მიუდგომელ ადგილებშიც განვითარდება. ტყის ფასეული სახეობები უფრო ჩრდილოეთით, ტუნდრებშიც გავრცელდება. გარდა ამისა, ჩრდილოეთის მიწები ძალიან მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, დათბობის გამო მათი მოპოვება უფრო იაფი და კომფორტული გახდება.

ჩვენი როლი კლიმატის ცვლილების შერბილებაში

რატომ უნდა ვიცოდეთ ყველამ გლობალური კლიმატის ცვლილების შესახებ? შეუძლია თუ არა თითოეულ ჩვენგანს რამის გაკეთება ამ პროცესის შესარბილებლად, განურჩევლად იმისა, სად ცხოვრობს და როგორია მისი საზოგადოებრივი კუთვნილება?

არსებობს მარტივი ნაბიჯები, რომლებიც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მაგრამ დადებითად აისახება ჩვენს გარემოზე.

შინ თუ სკოლაში განსახორციელებელი მცირე ცვილებებით იკლებს სათბური აირების ემისია და იზოგება თანხაც. სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს, ადმინისტრაციას შეუძლიათ, ამაში წვლილი შეიტანონ. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

- შეცვალეთ ნათურები ენერგოდამზოგით, თავდაპირველად – იმ ოთახებში, სადაც სინათლე ყველაზე მეტხანს ანთია.
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა თანდათანობით უნდა შეიცვალოს თანამედროვე ტექნოლოგიებით, ისეთებით, რომლებსაც ენერგიის მოხმარების ეკონომიური რეჟიმი აქვს.
- გათბობისა და კონდიცირების სისტემები თუ ყოველწლიურად რეგულირდება, ფილტრები ეცვლება. ამით არა მხოლოდ ემისია მცირდება, არამედ ენერგიაც იზოგება. ახლის შეძენის დროს კი არჩევანი უფრო ეფექტურ, ენერგოდამზოგველ მოდელებზე შეაჩერეთ.
- მნიშვნელობა აქვს სახლის/სკოლის იზოლაციას. თუ კარ-ფანჯრის გამოცვლას არ აპირებთ, უმჯობესია, მათ იზოლაციაზე იზრუნოთ, რათა ტყუილად არ მოხდეს ჰაერის არასასურველი ცირკულაცია. ამით შესაძლებლობა მოგეცემათ, ჩაუწიოთ გამათბობლებს თუ გამაგრილებლებს (სეზონის მიხედვით), დაზოგოთ ენერგია და, შესაბამისად, ფინანსებიც.

გამოთვალეთ თქვენი სკოლის/სახლის ეკოლოგიური ნაკვალევი http://myfootprint.org/en/visitor_information/. ამ საიტზე მარტივ რჩევებსაც ამოიკითხავთ.

ზამთარში ჩაუწიეთ გათბობას ისე, რომ გამუდმებით არ გიწევდეთ ფანჯრების გაღება, ჰაერში უმიზნოდ არ აფრქვევდეთ სითბოს და მასზე დახარჯულ ენერგიას.

საუკეთესო შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ კერძო სახლი გაქვთ, შეგიძლიათ, ენერგიის გამოსამუშავებლად და წყლის გასათბობად განახლებადი ენერგოწყაროები გამოიყენოთ.

„გადახედე, უარი თქვი, შეამცირე“ (Reduce, Reuse, Recycle) – კენ ვებსტერის ეს წიგნი 2007 წელს ითარგმნა და გამოიცა. აქ აღწერილი პრინციპების ცხოვრებაში გატარება გარემოსთვის სასარგებლოა. მაგალითად, გადავამუშაოთ ან

მრავალჯერადად გამოვიყენოთ სხვადასხვა ნივთი. ამით იზოგება რესურსები, მათ დამზადებაზე დახარჯული ელექტროენერგია და ბუნებაშიც ნაკლები ნარჩენები იყრება.

ეზოშიც შეიძლება დამზოგველი ღონისძიებების გატარება. მაგალითად, კომპოსტირება ორგანული ნარჩენების შემცირების საშუალებას იძლევა, მიწის გასანაყოფიერებლად მათი გამოყენება კი ამცირებს ქიმიკატებისა თუ სასუქების მოხმარებას, მათთან დაკავშირებულ ხარჯებს და სათბური აირების წარმოქმნას.

წყლის ეკონომიურად მოხმარებას ხშირად ელექტროენერგიასთან ვერ აკავშირებენ, არადა წყალსაქაჩები დიდი რაოდენობით ენერგიას მოიხმარს, ასე რომ, შეაკეთეთ მოშლილი ონკანები, დაზოგეთ წყალი.

გაავრცელეთ ინფორმაცია დაზოგვის შესახებ ყველგან, სადაც კი ხმა მიგიწვდებათ – ამით წვლილს შეიტანთ გარემოს გაჯანსაღებაში.

გამოიყენეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია) მიღებული ცოდნა. ასწავლეთ მოსწავლეებს საგანი ისე, რომ გამჭოლი პრიორიტეტი გარემოს დაცვა იყოს. ეცადეთ, თქვენი ქცევით სწორი მაგალითი მისცეთ.

განახორციელეთ გარემოსდაცვითი პროექტები, მათ შორის – ენერგოდაზოგვა. ჩართეთ რაც შეიძლება ფართო საზოგადოება (მშობლები, თემი, თვითმმართველობა) ამგვარი პროექტების განხორციელებაში – ეს დადებით შედეგს კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის, გაიზრდება გარემოზე მზრუნველ ადამიანთა რაოდენობა.

ასე გამოიყურება გლობალური პროგნოზი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის ერთმნიშვნელოვანი. გააჩნია, როგორ მოვიქცევით, როგორ ვიზრუნებთ გარემოზე, რომელშიც ვცხოვრობთ, როგორი მომხმარებლები ვიქნებით, როგორ განვვითარდებით – ამაზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სწავლება ინტერაქტიული მეთოდებით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011
2. კლიმატის გლობალური ცვლილება და საქართველო, სახელმძღვანელო სკოლის მოსწავლეებისთვის. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), 2011
3. Planet Geography, (fifth edition) by Stephen Codrington, 2010
http://myfootprint.org/en/visitor_information/
http://www.foe.co.uk/resource/briefing_notes/50_climate_top_tips.pdf
http://www.epa.gov/climatechange/

ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები

- იცით თუ არა, რომ ერთ სუფრის კოვზ ნიადაგში უფრო მეტი ცოცხალი ორგანიზმია, ვიდრე ადამიანი მთელ დედამიწაზე?
- იცით თუ არა, რომ ანტიბიოტიკების უმეტესობა, რომლებიც ადამიანს სხვადასხვა ინფექციის დამარცხებაში ეხმარება, ნიადაგებში არსებული მიკროორგანიზმებისგან არის მიღებული?
- იცით თუ არა, რომ სოფლის მეურნეობა ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია მსოფლიოში და ამ სფეროში ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული?
- იცით თუ არა, რომ ნიადაგი აღუდგენელი ბუნებრივი რესურსია?
- იცით თუ არა, რომ საუკეთესო ჩინური კერძები ნიადაგს შეიცავს?
- იცით თუ არა, რომ სახელმძღვანელოს, წიგნისა თუ ჟურნალის წონის 70% ნიადაგია?
- იცით თუ არა, რომ კერამიკის ჭურჭელი, რომლიდანაც საჭმელ-სასმელს შევექცევით, ნიადაგია?
- იცით თუ არა, რომ კანის გასამკვრივებლად თუ გასაწმენდად განკუთვნილი თიხის ნიღაბი სინამდვილეში ნიადაგისგან მზადდება?

რითია ნიადაგი მნიშვნელოვანი?

როდესაც ლანდშაფტით ვტკბებით, ვერ ვამჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც მის ნაყოფიერებას განაპირობებს. ნიადაგის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს. ნიადაგი მხოლოდ მცენარეთა საზრდო როდია – ის ყველაფრის საწყისია. ისაა ბიოლოგიური მრავალფეროვნების განმაპირობებელი და მასზეა დამოკიდებული, გამოკვებავს თუ არა დედამიწა თავის სწრაფად მზარდ მოსახლეობას.

თუ მრავალი სხვა კომპონენტის ცვლილება ბუნებაში თვალსაჩინოა და მასზე დაკვირვება შესაძლებელია, ნიადაგში უმთავრესად ფარული პროცესები მიმდინარეობს და ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შევიტყობთ, რაც მცენარეებსა და ცხოველებს საფრთხე დაემუქრება ან სულაც გადაშენდება. უდი-

დეს კატასტროფებს ხშირად სწორედ ნიადაგის გადაგვარება ახლავს თან. ამის უარყოფას კი გამოუსწორებელ შედეგამდე მივყავართ, რადგან ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას ბევრი დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება. არსებობს მოსაზრება, რომ უძველესი ცივილიზაციების გაქრობა სწორედ ნიადაგის დეგრადაციამ განაპირობა. ეს ჰიპოთეზა მეოცე საუკუნის 80-იანი წლების აფრიკის გვალვების შედეგების ანალიზის შედეგად გაჩნდა.

ეროზიასთან ერთად, რომელიც ნიადაგის გამოფიტვას უწყობს ხელს, არსებობს მრავალი სხვა საფრთხეც: ნიადაგის დაბინძურება, მისი მჟავიანობის მომატება, ნაყოფიერების დაკარგვა, რომელიც ხმელეთის სხვადასხვა უბანზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. ამის მიზეზი კი უმთავრესად სოფლის მეურნეობის არასწორი მენეჯმენტია.

როდესაც ბუნების კონსერვაციაზე ვსაუბრობთ, მთავარი საზრუნავი სწორედ ნიადაგი უნდა იყოს.

სანამ პრობლემა თვალსაჩინო არ გახდება, მას ვერ ვამჩნევთ და აზრადაც არ მოგვდის მისი პრევენცია. ალბათ იმიტომ, რომ მისი შედეგები ძალიან ნელა მჟღავნდება. მაგრამ ამის გაუთვალისწინებლობა საფრთხეში აგდებს ჩვენს მომავალს, ვინაიდან ნიადაგის თითოეული სანტიმეტრის ჩამოყალიბებას ასეულობით წელი სჭირდება. თანამედროვე ცხოვრების ტემპი და განვითარების მასშტაბი დიდ საფრთხეს უქადის ნიადაგის ნაყოფიერებას, მისი შენარჩუნება კი თითოეული ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ნიადაგი ცოცხალი ბუნების მთავარი კომპონენტია. ის წყლის ინფილტრაციით ხელს უწყობს მისი წრებრუნვის პროცესს. გამოიყენება დაავადებებთან ბრძოლისთვის და, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის წარმმართველია, გვაძლევს საკვებს, ტანსაცმელს, ტექნიკურ მცენარეებს.

კლიმატცვლილება

1850 წლიდან მოყოლებული, სათბური აირების მნიშვნელოვანი წყარო ანთროპოგენული გახდა და მისი წილი საერთო სტრუქტურაში 35%-ს გაუტოლდა. მისი უდიდესი ნაწილი მიწათსარგებლობასა და მეცხოველეობასთან არის დაკავშირებული. მოსავალს, მარცვლეულს, ტყეებს და მცენარეებით დაფარულ სხვა ზედაპირებს შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სათბუ-

რი გაზების შემცირებაში. იმავდროულად, დიდია ნიადაგის როლი წყლის გაფილტვრაში, მის ინფილტრაციასა და შენახვაში, რაც ამცირებს ატმოსფეროში ექსტრემალურ მოვლენებს, ნიადაგის ეროზიას.

ადამიანის ჯანმრთელობა

სამრეწველო, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ნარჩენები აბინძურებს ნიადაგს, რის გამოც იზრდება ნიადაგის დეგრადაციის საფრთხე, ეს კი უშუალოდ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე სხვადასხვა გზით. მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება კი შიმშილობის პრობლემას ამძაფრებს. გარდა ამისა, დაბინძურებულ ნიადაგზე მოწეული მოსავალი ჯანმრთელობას ვნებს.

ნიადაგის დეგრადაციის პრობლემები

ნიადაგის დეგრადაცია მისი რაოდენობრივი და თვისებრივი შემცირებაა, რომელშიც გამოიყოფა:

- წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია;
- ბიოლოგიური დეგრადაცია (ჰუმუსის დაკარგვა, ცვლილებები მცენარეებისა და ცხოველების სასიცოცხლო ციკლში);
- ფიზიკური დეგრადაცია (სტრუქტურის შეცვლა, ფორიანობის შემცირება);
- ქიმიური დეგრადაცია (მჟავიანობა, ნაყოფიერების შემცირება, PH-ის ცვლილება, დამლაშება, ქიმიური ტოქსიკაცია).



ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიით ხდება ნიადაგების 80%-ის (20 მლნ კვ/კმ) დეგრადაცია მსოფლიოში. მჟავიანობა ნიადაგის ქიმიურ შემადგენლობას ცვლის, რაც ზრდის ტოქსიკური ლითონების ცირკულაციას. დამლაშებული ნიადაგები უმთავრესად ზღვიურ სედიმენტებში, ზღვისპირა, ცხელი და მშრალი კლიმატის არეალებში გვხვდება. ამ ადგილებში მარილი ფორების მეშვეობით ზედაპირზე ამოდის, რაც მცენარეების გადაგვარებას იწვევს.

დეგრადაციის მიზეზები

- ბუნებრივი მცენარეული საფარის შემცირება, რაც ზედაპირს ეროზიისადმი უფრო მოწყვლადს ხდის;
- არამდგრადი მიწათსარგებლობა, გადამეტებული მორწყვა, სასუქების, პესტიციდების არასწორი გამოყენება და გადამეტებული ძოვება;
- მიწისქვეშა წყლების ზედმეტი გამოყენება, რამაც შესაძლოა მიწების გამოშრობა და ფიზიკური დეგრადაცია გამოიწვიოს;
- ატმოსფეროში მძიმე ლითონებისა და სხვა დამაბინძურებლების მაღალი შემცველობა, რაც ნიადაგის ბუნებრივ წონასწორობას არღვევს;
- კლიმატის ცვლილებაც გაცილებით ინტენსიურ ხასიათს სძენს მიმდინარე პროცესებს, რაც რეგიონულად მეტად ვლინდება აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე, სადაც გაუდაბურება, გაუდაბნოება, ტყის საწვავად გამოყენება, არამდგრადი სოფლის მეურნეობა სულ უფრო მზარდ მასშტაბს იძენს.

მცენარეული საფარის შემცირების შედეგი

წყლის ინფილტრაციის დარღვევა, მიწისქვეშა წყლების შემცირება, ეროზიის წარმოქმნა, მიკროკლიმატის შეცვლა, მეტად – არიდულისკენ, ჭებისა და წყაროების დაშრობა

ნიადაგის დეგრადაციის მართვა

დეგრადაციის შემცირების სტრატეგიები: ხეების დარგვა, მექანიზაციის მდგრადი პროცესების განხორციელება, ფერდობების დატერასება, ზომიერი ირიგაცია და ღია სარწყავი სისტემების ჩანაცვლება, ქარსაცავი ზოლების განაშენიანება და სხვა მოსახლეობის შიმშილისგან დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ტრადიციული მეთოდები ხშირად ვერ უზრუნველყოფს ნიადაგის საფარის დაცვას, ამდენად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის იმ ნაწილის ახალი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევს.



მექანიკური მეთოდები

მექანიკურ მეთოდებს შორისაა შემაკავებელი ბარიერების აშენება, რაც ნიადაგის გადარეცხვასა და ქარის მიერ ნაყოფიერი ნაწილაკების გადატანას შეუშლის ხელს, ასევე – ფერდობების დატერასება და კონტურული ხვნა, ხეების ბარიერებად გამოყენება, რაც ჩამოტანილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილზე დაკავებას იწვევს. განსაკუთრებული საჭიროება წარმოიშობა იქ, სადაც მუსონური და თავსხმა წვიმებია და ეროზია ინტენსიურად მიმდინარეობს. ფერდობების ამგვარი გამაგრება საშუალებას იძლევა, მოსავალი იქაც მოიყვანონ, სადაც ეს სხვაგვარად გართულდებოდა.

ქარსაცავი ზოლები უფრო მეტად ქარისმიერი ეროზიის შემაკავებლად მიიჩნევა და მოსავლიანობას ზრდის, რადგან ნიადაგის ნაყოფიერება მისი ზედა ფენის შენარჩუნებით არ მცირდება. ქარსაცავი ზოლი ქარის სისწრაფესაც ამცირებს.

ხვნა-თესვის ტექნიკა

მნიშვნელოვანია ნარგავების საფარის შენარჩუნება რაც შეიძლება დიდხანს – ეს ზედაპირს ქარისმიერი ეროზიისგან დაიცავს.

იქ, სადაც ერთწლიანი ნარგავებია, მცენარეთა ფესვები მოსავლის აღების შემდეგ უნდა დარჩეს, რათა გაამაგროს ნიადაგის ფენა და მოშიშვლებული ზედაპირი ადვილად არ გამოიქაროს.

საჭიროა ბალაზების დარგვა და ნარგავებით გამწვანება ეროზირებულ ფართობებზე პროცესის შესაჩერებლად.

ორგანული, მცენარეული საფარი ნიადაგს საშუალებას აძლევს, მეტი წყალი შეაკავოს. გარდა ამისა, ის ამაგრებს სტრუქტურას და ნაკლებად მოწყვლადს ხდის ქარის მიერ ნაყოფიერი ნაწილაკების დაყოფისა და გადატანის მიმართ.

ნიადაგის დამლაშების მართვა

ამ კუთხით არსებობს სამი ძირითადი მიდგომაა:

- მარილის ნიადაგიდან გამოტუტვა და გამორეცხვა;
- კალციუმის სულფატის დამატება, რომელიც ნატრიუმის იონებს ჩაანაცვლებს;
- აორთქლების შემცირება, რაც შეამცირებს ნიადაგის ქვედა ფენებიდან წყალთან ერთად მარილის ზედაპირზე ამოტანას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Geography, Garrett Nagle, Briony Cooke, Oxford University Press, 2009
2. Soil Science Society of America, Annual Report, 2012
3. http://www.soil-net.com/legacy/advanced/soil_functions.htm

წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ხმელეთის 70% წყლით არის დაფარული. ამ წყლის 97% ოკეანეებსა და ზღვებშია თავმოყრილი და, შესაბამისად, მარილიანია, ამიტომ სასმელად უვარგისი. 3% მტკნარია, თუმცა აქედანაც მხოლოდ 0,3% მოდის მდინარეებსა და ტბებზე, დანარჩენი კი მყინვარებზეა ლოკალიზებული.

თუ დღეისთვის მოსახლეობის 40% განიცდის წყლის დეფიციტს, 2025 წლისთვის უკვე მისი 2/3 შეეჯახება ამ პრობლემას. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ წყალი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია.

ტერმინების განმარტება:

სასმელი წყალი არის წყალი, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით, მათ შორის – სასმელად, საჭმლის მოსამზადებლად და პირადი ჰიგიენისთვის.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ სასმელი წყალი, არანაკლებ 20 ლიტრისა ერთ სულ მოსახლეზე, ხელმისაწვდომია საცხოვრებლიდან არა უშორეს 1 კილომეტრისა.

ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასმელი წყალი კი არის წყალი, რომელიც ფიზიკური, ქიმიური და ბაქტერიული მახასიათებლებით აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ან ეროვნულ სტანდარტებს.

წყლის შეზღუდული ხელმისაწვდომობა მეტწილად აფერხებს ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას.

ქვემოთ მოყვანილი ფაქტები წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ გლობალურად თუ რეგიონულად.

ფაქტები წყლის დეფიციტზე

- 80 ქვეყანა, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 40% ცხოვრობს, წყლის დეფიციტს განიცდის.
- წყალზე მოთხოვნა ყოველ 20 წელიწადში ორმაგდება. სადაც წყლის დეფიციტი არ არის, წყლის დაბინძურება წარმოადგენს პრობლემას. მე-20 საუკუნეში წყალზე მოთხოვნა 6-ჯერ გაიზარდა, მოსახლეობის რაოდენობა კი – 2-ჯერ.
- ყოველწლიურად 3,4 მლნ კაცი კვდება წყლისა თუ სანიტარიულ-ჰიგიენურ პრობლემებთან დაკავშირებული მიზეზების გამო. მათი 99%-ზე მეტი - განვითარებად ქვეყნებში.
- სანიტარიულ-ჰიგიენური პრობლემების მოგვარება გვერდს უვლის ღარიბებსა და განვითარებადი ქვეყნების სოფლის მოსახლეობას.
- ქალაქების მოსახლეობა დიდი სისწრაფით იზრდება. ყოველწლიურად 6 მლნ კაცი ემატება ფაველებს (ჯურღმულებს) – ქალაქის ისეთ უბნებს, სადაც ელემენტარული სანიტარიული პირობები არ არის.
- ცხრიდან ერთ ადამიანს ხელი არ მიუწვდება სასმელ წყალზე. ჯამში ეს 780 მლნ კაცს შეადგენს.
- სუფთა სასმელი წყლის დეფიციტის გამო ყოველდღიურად კვდება 4500 ბავშვი. მათი უმრავლესობა 5 წლამდე ასაკისაა.
- ნებისმიერ დროს საავადმყოფოთა საწოლების ნახევარი უკავიათ ადამიანებს, რომლებსაც წყალთან დაკავშირებული დაავადებები აქვთ. განვითარებად ქვეყნებში დაავადებების 80% სწორედ წყლის, უფრო სწორად, მისი უქონლობის, ასევე, სანიტარიული პირობების უქონლობის ბრალია.
- განვითარებად ქვეყნებში წყლის მოსატანად უმეტესად ქალები დადიან, მათ შორის – გოგონებიც, რაც მათ განათლების მიღების შესაძლებლობას უზღუდავს. განათლების გარეშე დარჩენილ გოგონებს კი, დიდი ალბათობით, თავადაც არ ექნებათ შემოსავალი.
- მობილური ტელეფონი უფრო მეტ ადამიანს აქვს, ვიდრე საპირფარეშო.

როგორც ვიცით, მსოფლიოს უმწვავესი პრობლემების მოსაგვარებლად მესამე ათასწლეულს გაერო ათასწლეულის განვითარების მიზნებით შეეგება. ისინი უმთავრესად სოციალური პრობლემების აღმოსაფხვრელად ან შესამსუბუქებლად დაისახა. ესენი უმთავრესად ჯანდაცვის, განათლების, გენდერის პრობლემებია, თუმცა გაეროს აქვს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და პო-

ლიტიკური მიზნებიც. ერთ-ერთი მათგანია 2015 წლისთვის იმ მოსახლეობის რიცხვის განახევრება, რომელსაც ხელი არ მიუწვდება უსაფრთხო სასმელ წყალსა და საბაზისო სანიტარულ პირობებზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ამ ინიციატივის ფარგლებში იკისრა ვალდებულება, ყოველდღიურად 260 000 ადამიანს შეუქმნას პირობები წყლის ხელმისაწვდომობის მხრივ. ამის წყალობით დღეისთვის 1,7 მილიარდ კაცს მოუგვარდა სასმელი წყლის პრობლემა.

ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა წყლის დეფიციტზე

მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80 მლნ კაცით იზრდება. ბუნებრივია, ეს წყალზე მოთხოვნასაც ზრდის. მატება წლიურ 64 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს.

წყლის ფიზიკური დეფიციტი (Physical water scarcity) ხელმისაწვდომი წყლის ფიზიკურ ნაკლებობას გულისხმობს. ეს ის მდგომარეობაა, როცა რეგიონის/ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა აღემატება რეგიონის/ქვეყნის შესაძლებლობას, მიაწოდოს მას საჭირო მოცულობის წყალი. არიდული რეგიონები

სწორედ წყლის ფიზიკურ დეფიციტს განიცდიან. აქ ტემპერატურა და აორთქლება ნალექების რაოდენობას აღემატება. თუმცა ნალექების გავრცელების შესახებ ინფორმაცია არ არის საკმარისი სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად. ნალექი უმთავრესად სეზონურია, ამ სეზონებზე კი შესაძლოა წლიური ნალექის 90%-იც კი მოვიდეს, როგორც, მაგალითად, ინდოეთში. მუსონური წვიმები აქ უმთავრესად ივნისიდან სექტემბრამდე გრძელდება, ამიტომ ამ სეზონზე ხშირია ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენების საფრთხე, ხოლო წლის დანარჩენ დროს ნალექების ნაკლებობაა, რაც წყლის ხელმისაწვდომობას ზღუდავს.

მდინარე კოლორადოს დელტა

ფიზიკური დეფიციტი ადამიანის ზემოქმედების შედეგად უფრო მწვავდება. მაგალითად, როდესაც მდინარეებს სოფლის მეურნეობაში ირიგაციისთვის იყენებენ, მდინარის ქვედა წელში წყლის ბალანსი იცვლება. იმავდროულად, იმატებს დაბინძურება სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქებით, რაც საგრძნობლად ამწვავებს წყლის დეფიციტს. ამის ცნობილი მაგალითებია მდინარე კოლორადოს, სირდარიასა და ამურდარიას გამოყენება.

წყლის ფიზიკური და ეკონომიკური დეფიციტი მსოფლიოში

წყლის ეკონომიკური დეფიციტი (Economic water scarcity) გულისხმობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის ნაკლებობას, შეისყიდოს მოთხოვნილების შესაბამისი მოცულობის წყალი. სწორედ ამგვარი დეფიციტი წარმოაჩენს ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობას. მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. სიღარიბეს ემატება პოლიტიკური და ეთნიკური მიზეზებიც.

წყლის ეკონომიკური დეფიციტი, მოსახლეობის სიღარიბესთან ერთად, ბუნებრივი მატებითაც არის განპირობებული, რაც წყალზე მოთხოვნას თავისთავად ზრდის. გარდა ამისა, იზრდება მოთხოვნა საკვებსა და ბიოსაწვავზე, ამის შედეგად კი ირიგაციისთვის სულ უფრო მეტი წყალი მოიხმარება.

გლობალური კლიმატცვლილება ზრდის სიმშრალეს არიდულ რეგიონებში, რაც კიდევ უფრო ამწვავებს წყლის დეფიციტს.



სტოკჰოლმის წყლის ინსტიტუტის მონაცემებით, ადამიანს საარსებოდ წელიწადში 1000 კუბურ მეტრზე ნაკლები სასმელი წყალი სჭირდება, თუმცა ეს რაოდენობაც კი უთანაბროდაა განაწილებული. იცვლება ბუნებრივი მოცემულობებიც. მაგალითად, ყველაზე წყალუხვი მდინარეები იანძი, განგი და ნილოსი იმდენად დიდი მასშტაბით გამოიყენება ყოფა-ცხოვრებაში, რომ მიწისქვეშა აუზებში წყლის დონემაც კი იკლო, რაც საფრთხეს უქმნის მათ ნაპირებზე გაშენებული ქალაქების წყალმომარაგებას. თანაც ეს რეგიონები მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვითა და ბუნებრივი და მექანიკური მატებით გამოირჩევა.

წყლის დღიური მოხმარება ქვეყნების მიხედვით



გრაფიკზე მოცემულია წყლის დღიური მოხმარება შერჩეული ქვეყნების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე. სხვაობა ქვეყნების წყალმოხმარებას შორის ძალიან დიდია. შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მეტისმეტად შორიშორს არიან ერთმანეთისგან. განვითარებულ ქვეყნებს შორისაც კი დიდი სხვაობაა, რომლის ფარგლებშიც წყალმოხმარებით გამოირჩევიან ავსტრალია და აშშ. თუ გავითვალისწინებთ, რომ არც სხვა განვითარებულ ქვეყნებს აქვთ პრობლემები წყალმომარაგების მხრივ, თუმცა ის თითქმის ორჯერ ჩამოუვარდება აშშ-ისას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები წყალს უყაირათოდ მოიხმარენ.

რაც შეეხება უკიდურესად ღარიბ ქვეყნებს, მათი წყალმოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ჩამოუვარდება აუცილებელ მინიმუმს, რაც დღიურ 20 ლიტრს შეადგენს.

წყლის სისუფთავე ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ელემენტია. იქ, სადაც წყალი დაბინძურებულია, მაღალია დაავადების რისკი. წყალთან დაკავშირებულ დაავადებებად არის მიჩნეული დიარეა, ქოლერა, ჰეპატიტი და სხვა. მილიონობით ადამიანი სწორედ ამ მიზეზების გამო იღუპება. ამ დაავადებებთან გამკლავება სწორი მკურნალობით შესაძლებელია, თუმცა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო ამ ქვეყნებში მისი სათანადო შესაძლებლობა არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში წყალი თითქოსდა საკმარისია, მასზე მოთხოვნა 2025 წლისთვის გაორმაგდება. და მაინც, თუ წყლის მიწოდება თანაბარი იქნება, ის ეყოფა მოსახლეობას ყოველგვარი საქმიანობისთვის.

წყალი ამოუწურავი და განახლებადი ბუნებრივი რესურსია, თუმცა არასწორი მოხმარება მას ხშირად გამოუსადეგარს ხდის. მოსახლეობის სხვადასხვა აქტივობა რეზერვუარების დაბინძურებას იწვევს და წყალი სასმელად უვარგისი ხდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წყალს დაზოგვა და ეფექტური მენეჯმენტი სჭირდება. წყლის მენეჯმენტი მოიცავს მის მიწოდებას როგორც ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისთვის, ისე შინამეურნეობებისთვის. იმავდროულად წყალი არის სატრანსპორტო არტერია, რომელიც ადამიანებისა და ტვირთის მოძრაობა-გადაადგილებას უწყობს ხელს.

> სტატიაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე კითხვები შეიძლება სირთულის მიხედვით დავალაგოთ, სადაც პირველი ორი კითხვა ბლუმის ტაქ-

სონომიის ქვედა სააზროვნო უნარზე - „ცოდნაზე" გადის, მე-3 - „გამოყენებაზე", ხოლო მე-4 და მე-5 კითხვები მიმართულია მაღალი სააზროვნო უნარების განსავითარებლად:

1. რას ნიშნავს წყლის ფიზიკური დეფიციტი?
2. რას ნიშნავს წყლის ეკონომიკური დეფიციტი?
3. რუკის მეშვეობით განსაზღვრეთ წყლის დეფიციტთან დაკავშირებული ტენდენციები.
4. ახსენით ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს სუფთა სასმელი წყლის ხელმისაწვდომობას.
5. შეაფასეთ წყლის დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (მათი სუსტი და ძლიერი მხარეები), ჩამოაყალიბეთ ეფექტური წყლის პოლიტიკის თქვენეული გეგმა.

სტატიაში გამოყენებულია გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების წლიური ანგარიშები, რომლებიც http://www.un.org/millenniumgoals/ ბმულზეა ხელმისაწვდომი.

ეკოლოგიური წიგნიერება

მანანა სეხნიაშვილი

1. გარემოსდაცვითი განათლება ზოგადი განათლების საფეხურებზე 61
2. მდგრადი განვითარება გეოგრაფიის გაკვეთილზე 71
3. ოკეანეების გლობალური პრობლემები 81
4. მწვანე ქალაქები, როგორც პასუხი ურბანიზაციის უარყოფით შედეგებზე 86
5. ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა 92

გარემოსდაცვითი განათლება ზოგადი განათლების საფეხურებზე

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიური და სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპი გარემოზე ადამიანის ზემოქმედებას ზრდის. ეს იწვევს ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას, საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას, ზრდის ბუნებრივი კატასტროფების რისკს. დღეს მსოფლიო მასშტაბით მეტი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას, ალტერნატიული ენერგოწყაროების მოძიებას, ნარჩენების შემცირებას და გადამუშავებას.

განათლება მთავარი იარაღია ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის. გარემოსდაცვითი განათლების საერთაშორისო ხედვა პირველად ბელგრადის 1975 წლის ქარტიაში დაფიქსირდა, რომელშიც ჩამოყალიბებულია გარემოსდაცვითი განათლების მიზნები, ამოცანები, პრინციპები და გარემოსდაცვითი სამიზნე აუდიტორია (იუნესკო, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, 1975).

გარემოსდაცვით განათლებასთან ერთად, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მდგრადი განვითარების“ ცნებას, რომელიც უფრო ფართო ცნებაა. გაეროს მიერ დაფინანსებული ბრუნდტანის კომისიის ანგარიშის „ჩვენი საერთო მომავალი“ თანახმად, მდგრადი განვითარება არის – „განვითარება, რომელიც პასუხობს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები“ (გაეროსა და განვითარების გლობალური კომისია, 1987).

უკანასკნელ პერიოდში მოხდა გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმა, რაც აღინიშნება ტერმინით „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“. გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის თანახმად, განათლება მდგრადი განვითარებისათვის ხელს უწყობს გარემოსდაცვითი განათლების გაფართოებას სხვა სფეროებთან მისი ინტეგრირებით, იმ მიზნით, რომ შეიქმნას „ყოვლისმომცველი კონცეფცია, რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს“ (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, 2005). დღეისათვის „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ საერთაშორი-

სო დონეზე აღიარებულია, როგორც საზოგადოების მდგრადი განვითარების ფუნდამენტური სტრატეგია.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2005-2014 წლები გამოაცხადა „განათლება მდგრადი განვითარებისთვის ათწლეულად“ (იუნესკო, 2005).

გარემოზე მზრუნველი მოზარდის ჩამოყალიბება ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს, რაც უნდა განხორციელდეს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლებით. მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი განათლების მიმართ სისტემური მიდგომის დანერგვა. გარემოსდაცვითი თემატიკა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, განათლების ყველა საფეხურზე უნდა ინტეგრირდეს, საგანმანათლებლო აქტივობები ცოდნის გარდა ორიენტირებული უნდა იყოს უნარების განვითარებაზე. განათლების პარალელურად ბავშვებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ გარმოსდაცვით ღონისძიებებში, რათა გამოიმუშაონ შესაბამისი ჩვევები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი, ეკოლოგიური გარემოს შექმნას. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სწავლის შედეგების მიღწევას, არამედ მოსწავლეებსა და სტუდენტებში გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარებას. გარემოსდაცვითი ჩვევების შეძენა, სასწავლო დაწესებულებების გარდა, ხდება ოჯახში. ამიტომ, აუცილებელია ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მშობლების გარემოსდაცვითი ცნობიერების გაზრდაზე, ეკოლოგიური და ენერგოდაზოგვითი ქცევების განხორციელებაზე.

გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლებას უზრუნველყოფს „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც ერთიანი სისტემაა და მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. კანონის მიხედვით, გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა მოიცავს განათლების ყველა საფეხურს სკოლამდელიდან დაწყებული უმაღლესით დასრულებული. უფრო დეტალურად გარემოსდაცვითი განათლების საკითხები აღწერილია მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამაში. მასში განისაზღვრა ეკოლოგიური განათლება: „ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინურ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რისი საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესების საქმეში; იგი არის უმნიშვნელოვანესი სოციალური სტრატეგია, რომე-

ლიც თავის საბოლოო მიზნად ისახავს ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა საკუთარი საარსებო გარემოს შესახებ, აქვს შეფასების უნარი, ფლობს გარემოსთან ურთიერთობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და გამომუშავებული აქვს ძირითადი (მათ შორის, გარემოსდაცვითი) განწყობა-დამოკიდებულებები".

ეს დოკუმენტი არ იყო მხოლოდ ეკოლოგიურ განათლებაზე ორიენტირებული, აქ საკითხები ბევრად ფართოა და სისტემური. მისი მიზანია მდგრადი განვითარების იდეებისა და მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრინციპების პოპულარიზაცია და პროპაგანდა.

განათლება, მისი ყველა ფორმით, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებას მივაწოდოთ ცოდნა მდგრადი განვითარების საკითხებზე. განათლებას გადამწყვეტი როლი ეკისრება ისეთი უნარების განვითარებაში, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, მიღებული ცოდნა კონკრეტულ ქმედებებში გადაიტანოს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

გაეროს ევროპის ეკონომიკური განვითარების, რიო+20, თბილისი+35 და განათლება მდგრადი განვითარებისთვის სხვა რეკომენდაციების მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა გაჩნდეს ერთიანი სასკოლო მიდგომა მისი მთავარი მიზნების დასანერგად.

საგანმანათლებლო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველს წარმოადგენს 2004 წლის ოქტომბერში სამთავრობო ბრძანებულებით დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები" (ზგემ), რომელშიც მოცემულია, თუ რა უნდა შეძლოს მოზარდმა სკოლაში მიღებული ცოდნის საფუძველზე. ცხრა ძირითადი მიზნიდან მეორე პუნქტია „ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო". ამავდროულად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ მოზარდის ჩამოყალიბებას პატრიოტ, დამოუკიდებელ, შემოქმედებით, ინფორმირებულ და ამ ცოდნის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველ პიროვნებად.

ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ), რომელმაც მოსწავლეზე და შედეგებზე ორიენტირებული მიდგომა შემოგვთავა-

ზა. სწავლებისას ყურადღება მახვილდება განწყობა-დამოკიდებულებების, უნარ-ჩვევების, კვლევა-ძიების უნარის, ცოდნის გამოყენების, გადაწყვეტილების მიღებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაზე. მთავარი ორიენტირი გახდა არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. ამით სახელმწიფომ აღიარა ზოგადი განათლების ადგილი და როლი გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. ასევე განისაზღვრა, თუ რა საშუალებებით უნდა მოხდეს აღნიშნული მიზნების მიღწევა.

ეროვნული სასწავლო გეგმა (ესგ) არის დოკუმენტი, რომელიც ზგემ-ის მიღწევის მთავარ საშუალებას წარმოადგენს.

ესგ-ის შესავალ ნაწილში ინტერდისციპლინარული სახით მოცემულია გამჯოლი პრიორიტეტული კომპეტენციები. დასახელებულია ცხრა პრიორიტეტული კომპეტენცია, რომელთაგან ერთ-ერთი ეკოლოგიური წიგნიერებაა: „ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში“.

კომპეტენციების განვითარება არ არის ერთი კონკრეტული საგნისა თუ საგნობრივი ჯგუფის პასუხისმგებლობა, მათ შესრულებაზე სათანადოდ უნდა იზრუნოს თითოეულმა საგანმა. ამისთვის საჭიროა სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარება, რაც ერთ საგანში შეძენილი ცოდნის სხვა კონტექსტში გადატანისთვისაა მნიშვნელოვანი (ტრანსფერი).

დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასებში ისწავლება საგანი „ბუნებისმეტყველება“, რომელიც აერთიანებს გეოგრაფიის, ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სამოქალაქო აღზრდის საკითხებს. ბუნებისმეტყველების სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია განწყობა-დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, კვლევა-ძიებასა და ცოდნის გამოყენებაზე.

მოსწავლე დაწყებით საფეხურზევე იწყებს გარემოში დამოუკიდებლად ორიენტირებას და უჩნდება მისი კვლევის სურვილი. სწავლების ამ საფეხურზე საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოსწავლის მიერ გარემოს პასიური აღქმიდან აქტიურ შემეცნებაზე გადასვლას, შემოქმედებითი აზროვნებისა და გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ბუნებისმეტყველების საგნის შედეგები და ინდიკატორები მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით აწვდის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს, უვითარებს გარემოსადმი პოზიტიურ განწყობა-დამოკიდებულებას, ასევე უღვივებს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას.

უსაფრთხო ქცევები დაწყებითი სტანდარტის თემაა. მეექვსე კლასის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უკვე შეუძლია უსაფრთხოების ზომების დაცვა ნებისმიერ სახიფათო ადგილას, ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემოში, ასევე შესაბამისი ნიშნების ამოცნობა. იცის თავდაცვის წესები.

საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლისას მოსწავლე იგებს, თუ როგორ ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო.

მოსწავლემ უნდა შეითვისოს ცოდნა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციების შეფასება, საგანგებო ვითარებებში მოქმედება.

მე-4 კლასამდე საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტები შედის სხვა სასწავლო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, ბუნებისმეტყველება, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა, მათემატიკა). მათი დამოუკიდებელი შესწავლა IV კლასიდან იწყება, ერთი სემესტრის განმავლობაში (12 საათი) მოსწავლეები სწავლობენ „სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებას“, ხოლო V კლასში ორი წლის განმავლობაში შეისწავლიან კურსს „ჩვენი საქართველო“.

მე-4 კლასის პროგრამა მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პირადი უსაფრთხოებისთვის და ასევე საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის სწავლებისთვის. ამ ასაკში ისინი შეისწავლიან უსაფრთხოების ზომებს ქალაქსა თუ ღია ადგილებში ფეხით და სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისთვის. მათ უკვე იციან პირობითი ნიშნები და სიმბოლოები, რომლებიც არეგულირებს მოძრაობას, შეუძლიათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი ამოცნობა.

მე-5 კლასში იწყება ისტორიის, გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების დამოუკიდებელი ინტეგრირებული კურსის შესწავლა.

ამ ასაკში მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ, რომ თავად ისინი საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად საქართველოს მოქალაქეები არიან. მათ უნდა გაიაზრონ, რომ საქართველოს მოქალაქეებს საერთო გარემო, წარსული, აწმყო და მომავალი აერთიანებთ და რომ დღევანდელი საქართველო, როგორც სახელმწიფო, მათ ერთიანობას ეფუძნება.

სწავლების საბაზო საფეხურზე მოსწავლეს კიდევ უფრო მეტად უვითარდება შემეცნებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ის მოვლენების გარეგნული აღწერიდან გადადის მოვლენათა არსის წვდომაზე, შეიმეცნებს ძირითად ფიზიკურ, ქიმიურ კანონებს და ბიოლოგიურ კანონზომიერებებს. მოსწავლე იწყებს ემპირიული გზით სამყაროს აღქმას, შემოქმედებითად აზროვნებას, ცდილობს სამყაროში ადამიანის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას.

საბაზო საფეხურის დასრულებისათვის მოსწავლემ უნდა იცოდეს ლოკალურ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე მიმდინარე ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესების სივრცობრივი ასპექტები. მას ასევე უნდა შეეძლოს საქართველოსა და სხვა ქვეყნის გეოგრაფიული მახასიათებლების (ბუნებრივი პირობების, რესურსების, განსახლებების, ეკონომიკის დარგების, სოციალური სფეროს, ეკოლოგიური ვითარების, რეგიონული ერთეულების) შედარება და ამის საფუძველზე მსგავსება-განსხვავებებისა და კავშირების დადგენა. ყოველივე ზემოთქმულის შესწავლა უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებაში. მოსწავლემ უნდა გაიაზროს გარემოს დაცვის აუცილებლობა და მისი კავშირი საზოგადოების მდგრად განვითარებასთან; აღმოაჩინოს, თუ რა მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარება თანამედროვე სამყაროს გადარჩენისთვის.

საბაზო საფეხურზე ისტორიის კურსში მოსწავლე იგებს და მსჯელობს კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში დასახლების ტიპების გაჩენის მიზეზებზე, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები დასახლების ტიპებზე, საზოგადოების ტრადიციებსა და მეურნეობის განვითარებაზე; ასევე კონფლიქტის შედეგად გამოწვეული მიგრაციული პროცესების დახასიათება, ტექნოგენური კატასტროფების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რომლებიც წარმოიქმნა საომარი მოქმედებების არეალში.

გეოგრაფიის კურსში მრავლადაა წარმოდგენილი გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების თემები: მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი

რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე. იგი მსჯელობს რესურსების გამოყენებით გამოწვეული დაბინძურების შესახებ, მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიერ ზოგიერთი რესურსის მოხმარების აუცილებლობის შესახებ და განსაზღვრავს მათი დაზოგვის გზებს; მსჯელობს მთიან რელიეფთან დაკავშირებულ ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე, შესაძლო თავდაცვის ღონისძიებების შესახებ, შეუძლია შედარება სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ თავდაცვის საშუალებებთან. იცის ატმოსფეროს, ოკეანისა და ზედაპირული წყლების ძირითადი დამაბინძურებლების შესახებ და მსჯელობს მის დაცვასა და რაციონალურ სარგებლობაზე. მოსწავლეს ესმის გარემოსდაცვითი ღონისძიებების აუცილებლობა და მონაწილეობს მათში; აანალიზებს გეოეკოლოგიური პრობლემების გამომწვევ ბუნებრივ და ანთროპოგენულ ფაქტორებს ლოკალურ და გლობალურ დონეზე; ასახელებს გეოეკოლოგიური პრობლემების შედეგებს და გამოთქვამს ვარაუდს, თუ რა მოხდება მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში. შეუძლია წინა ეპოქის რომელიმე ლოკალური გარემოს გეგმის ან ფოტოსურათის საფუძველზე მსჯელობა ანთროპოგენულ ცვლილებებზე ეპოქებს შორის; ბუნებაში ომით გამწვეულ ცვლილებებზე და მსჯელობა მათ უარყოფით შედეგებზე. აცნობიერებს შავი და კასპიის ზღვების ფიზიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს, კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვან რესურსებს და გარემოსდაცვით პრობლემებს; გამოთქვამს მოსაზრებებს გარემოს დაცვის როლსა და პერსპექტივებზე; მსჯელობს სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალების განვითარებისა და გამოყენების პერსპექტივებზე განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში, მსჯელობს ურბანიზაციის ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებზე და მათთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებზე. იცის საქართველოსა და კავკასიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები, გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები; იცის საქართველოს ენერგეტიკული რესურსები, გარემოზე მათი ზემოქმედების ხარისხი. ეცნობა მდგრადი განვითარების გარემოსდაცვით პრობლემებს, გამოყოფს მათგან საქართველოსთვის აქტუალურს და მსჯელობს გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს საქართველოში გეოეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის ბუნებრივი და ანთროპოგენური წყაროები: ნიადაგის, წყლის, ჰაერის ძირითადი დაბინძურების წყაროები. ეცნობა ბუნებისდაცვითი ორგანიზაციების მუშაობის სტრატეგიებს; შეუძლია, საჭიროებისამებრ მიმართოს მათ; აცნობიერებს საქართველოში დაცული ტერიტორიების სხვადასხვა კატეგორიის არსებობის მნიშვნელობას, შექმნის მიზეზებს.

საბაზო საფეხურზე (მე-8 კლასი) ისწავლება უსაფრთხოება საგანგებო ვითარებებში, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე კომპლექსურად სწავლობს საქართველოსათვის დამახასიათებელ საგანგებო სიტუაციებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, შესაძლო შედეგებს, თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებებს, მსჯელობს ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ რა სახის ქმედებებს შეაქვს წვლილი გარემოს დაცვაში.

სამოქალაქო განათლება დამოუკიდებელ საგნად მე-9 კლასში შემოდის და მის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების სწავლება: ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობა ადამიანის/ საზოგადოების კეთილდღეობისათვის, ამ გარემოსთვის საფრთხის შემცველი ქმედებები და ამ ქმედებებით შეტანილი წვლილი გარემოს დაცვაში.

ბიოლოგიის კურსის ფარგლებში საშუალო საფეხურზე შეისწავლიან ფოტოსინთეზის, მცენარეების მნიშვნელობის, მცენარის სატრანსპორტო სისტემისა და წყლის, მინერალური ნივთიერებების მოძრაობის კანონზომიერებების, ეკოსისტემაში მიმდინარე ნივთიერებათა მიმოქცევის და ენერგიის ცვლის პროცესების, ლოკალურ გარემოში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების (მაგ., მძიმე მეტალები, ზოგიერთი პესტიციდი, სასუქები), ამ ნივთიერებების მიმოქცევისა და დაგროვების, ლოკალურ ეკოსისტემაზე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების, გარემოს დაბინძურების შედეგად წარმოქმნილი რისკის, საკვების/წყლის დაბინძურების რისკის და ამ რისკების შემცირების გზების საკითხებს.

ფიზიკის კურსის ფარგლებში ამ საფეხურზე გათვალისწინებულია საზოგადოების განვითარებასა და გარემოზე ელექტრონული ხელსაწყოების გავლენის სწავლება; მეცნიერული აღმოჩენების დაკავშირება ყოველდღიურობასთან. ასევე ისწავლება სხვადასხვა ტიპის ელექტრული ხელსაწყოს გავლენა საზოგადოების განვითარებასა და გარემოზე; ბირთვული ენერგიის გამოყენების შესახებ როგორც მშვიდობიანი, ასევე სამხედრო მიზნებისათვის; მისი გავლენა გარემოზე.

საშუალო საფეხურზე უფრო სიღრმისეულადაა წარმოჩენილი მდგრადი განვითარების საკითხები.

გეოგრაფია სავალდებულოა X-XI კლასებში, X კლასში ისწავლება მოქალაქეობა, ისტორია – X-XII კლასებში, ხოლო სამოქალაქო უსაფრთხოება – XII კლასში.

ამ საფეხურზე გეოგრაფიის ფარგლებში მსოფლიო გეოგრაფია და გლობალური პრობლემების გეოგრაფია ისწავლება. მოსწავლე გამოთქვამს მოსაზრებებს და ასაბუთებს სხვადასხვა ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის მოსახლეობის, რესურსებისა და ტრადიციების გონივრული გამოყენების მნიშვნელობას. აანალიზებს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს (ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური); გამოთქვამს ვარაუდს არსებული პრობლემების წარმატებით გადაჭრის შესახებ;

მე-11 კლასში კი ისწავლება პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და ანთროპოგენური ხასიათის გლობალური პრობლემები. მათ შორისაა: ომისა და კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები, ტერორიზმი, პოლიტიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრის გზები, გლობალური პრობლემები და საერთაშორისო ორგანიზაციები, გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გლობალურ-დემოგრაფიული პრობლემები, შრომითი მიგრაცია და ფულადი გზავნილები; სურსათის პრობლემა. ბუნებრივი რესურსების უთანაბრო განაწილება, ცხოვრების დონე და ხარისხი; გლობალურ-სოციალური და ეთნოკულტურული პრობლემები; განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები; სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემათა გადაჭრის გზები; საერთაშორისო ეკოლოგიური თარიღები; ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDG); ბუნებრივი გარემო და მასთან დაკავშირებული პრობლემები; გარემოს ათვისების პრობლემები: ატმოსფერო, ჰიდროსფერო, პედოსფერო; მსოფლიო ოკეანე და მისი პრობლებები; გლობალური გეოეკოლოგიური პრობლემები – კრიტიკული რეგიონები; ტექნიკური პროგრესი და გლობალური პრობლემების წარმოშობა; გლობალური ხასიათის ბუნებრივი და ანთროპოგენური პრობლემების გადაჭრის გზები; მთიან ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები; სანაპირო ზოლის ათვისებისა და დაცვის პრობლემები. საშუალო საფეხურზე სამოქალაქო განათლებაში ისწავლება გააზრებული მონაწილეობა და თანამშრომლობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობების კვლევა საკუთარი დასახლების მაგალითზე.

საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს საშუალება აქვთ, აირჩიონ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფიდან არჩევითი საგნები, რაც მათ ინტერესის მიხედვით გაღრმავებული სწავლების საშუალებას აძლევს.

არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან გარემოსდაცვითი მიმართულების შემდეგი საგნები გამოირჩევა: „გარემო და მდგრადი განვითარება“, „კონსერვაციული ბიოლოგია“, „გეოეკოლოგია და გარემოს მართვა“ და „ბუნების ძეგლების მონიტორინგი“.

მეტად მნიშვნელოვანია სკოლებში გარემოსდაცვითი მიმართულებით არაფორმალური გაერთიანებებისა და კლუბების შექმნა და განვითარება. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეკოკლუბებში ჩართული ბავშვების ცნობიერება შეიცვალა და ისინი უფრო მეტად მგრძნობიარენი და მზრუნველნი გახდნენ გარემოს მიმართ. მეტად მნიშვნელოვანია ამ გამოცდილების გაანალიზება და სხვა სკოლებში გავრცელება. არსებობს რისკი, რომ ეკოკლუბები შეწყვეტენ არსებობას, როგორც კი გარედან მხარდაჭერა დასრულდება. იმისათვის, რომ ეს გამოცდილება არ დაიკარგოს და უფრო მეტიც, გავრცელდეს, შექმნილმა ეკოკლუბებმა უნდა შეიძინონ მდგრადობა.

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის – საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2012-2014);
2. სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კვლევა – გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში (თბილისი 2014 წელი);
3. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

მდგრადი განვითარება გეოგრაფიის გაკვეთილზე

მინდა, გეოგრაფიის მასწავლებლებს ერთი აქტივობა შემოგთავაზოთ, რომელიც მოსწავლეთა დაინტერესებაშიც და **ეროვნული სასწავლო გეგმის გამჯოლი კომპეტენციების** განვითარებაშიც დაგეხმარებათ. ეს არის მდგრადი განვითარება, რომლის განმარტების ფორმულირება პირველად 1987 წელს მოხდა გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მიერ მოხსენებაში „ჩვენი საერთო მომავალი“.

ეს არის თემა, რომელიც კატის გამოცდების საკითხთა შორის არ ხვდება, ამიტომ დღეს მისი სწავლება არ არის აქტუალური. საზოგადოდაც, გლობალური გეოგრაფიის სწავლება მეორეხარისხოვნად მიიჩნევა. ეს ჩემი პირადი აზრი არ გახლავთ. არადა, დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება მდგრადი განვითარებისკენ არის მიპყრობილი, რადგან დედამიწის მოსახლეობის მომავალი ჩვენს დღევანდელ საქმიანობაზეა დამოკიდებული – იმაზე, როგორ მოვახერხებთ ჩვენი სახლის, დედამიწის, გაფრთხილებას და მოვლას.

მდგრადი განვითარება ნიშნავს თანამედროვე მოთხოვნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომ მომავალი თაობების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას საფრთხე არ შეექმნას. ის გაცილებით ტევადი და მრავალწახნაგა ცნებაა, ვიდრე ეკოლოგიური უსაფრთხოება და საზოგადოების განვითარების მრავალ სფეროს მოიცავს.

მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შერწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. ამიტომაც მდგრადი ეკოლოგიური განვითარება მხოლოდ გარემოს დაცვაზე არ გახლავთ ორიენტირებული. იგი მოიცავს ადამიანის საქმიანობის სხვდასხვა სფეროს: სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულს, პოლიტიკურსა და დემოგრაფიულს. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მოდელი შეიძლება საფუძვლად დაედოს ქვეყნების, რეგიონების, ერების, გლობალური საზოგადოების განვითარებას.

ყველა სახელმწიფოს, ყოველ რეგიონს შეიძლება მდგრადობის თავისი მოდელი ჰქონდეს. ამ კუთხით მდგრადობა გულისხმობს ისეთ ცნებებსა და კატეგორიებს, როგორებიცაა მშვიდობა, დემოკრატია, სამართლიანობა და ა.შ. მდგრადი განვითარების პირობებში ისინი თვისებრივად ახალ დატვირთვას შეიძენენ. მათი მთავარი მახასიათებელი გლობალურისა და ლოკალურის, უნივერსალურისა და ეთნიკურის ჰარმონიზაცია იქნება.

ამასთან ერთად, მდგრადი განვითარება, თავისი უნივერსალურობის გამო, შესაძლოა თავადვე გადაიქცეს ერებსა და სახელმწიფოებს შორის მარეგულირებელ მექანიზმად.

2002 წლის იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების საერთაშორისო კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა თემის ახლებურ გააზრებას. აქცენტი დაისვა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის კონცეფციებსა და მეთოდებზე. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სწავლების პროცესის გააქტიურების თაობაზე მდგრადი განვითარების კონცეფციის რეალიზაციის მიზნით. 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიება – „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მეტად აქტუალურია სკოლაში მდგრადი განვითარების სწავლება. გთავაზობთ მე-11 კლასის გლობალური გეოგრაფიის გაკვეთილის გეგმას და რესურსებს, რომლებიც ამ საკითხებს ეხება.

აქტივობა №1. მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს „მდგრადი განვითარება“. სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან აზრი ამ ცნებაზე, მის პრინციპებსა და მიზნებზე. ყველა იდეა იწერება დაფაზე. შემდეგ ხდება იდეების დაჯგუფება მსგავსების მიხედვით, გაერთიანება და გაცხრილვა. მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მდგრადი განვითარება არის სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს გადაკვეთის ადგილი:



აქტივობა № 2. ჯიგსოუს ტექნიკა

კლასი იყოფა ხუთკაციან ჯგუფებად. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა მასალა, რომელიც ერთი მთლიანი ინფორმაციის, ამ შემთხვევაში – მდგრადი განვითარების, გარკვეულ ნაწილს შეადგენს და აქვს შესაბამისი რიგითი ნომერი (მაგ.: 1, 2, 3, 4, 5). მოსწავლე ინდივიდუალურად ამუშავებს ამ ტექსტს. მისი ამოცანაა, ისე შეისწავლოს იგი, რომ შეძლოს მიღებული ინფორმაციის სხვისთვის გადაცემაც.

ტექსტი „მდგრადი განვითარება“ გაყავით ხუთ ნაწილად: I ნაწილი იქნება „მდგრადი განვითარება და ზოგადი განმარტებები“, II ნაწილი – „მდგრადი განვითარების პრინციპები“, III ნაწილი – „მდგრადი განვითარების მიზნები“, IV ნაწილი – „დღის წერიგი – 21-ე საუკუნე“ და V ნაწილი – „ეკოლოგიური პრობლემები და მდგრადი განვითარების ასპექტები“.

ტექსტის განაწილების შემდეგ ხდება „ექსპერტთა ჯგუფების“ ჩამოყალიბება. მოსწავლეები, რომლებიც ამუშავებენ N1 ინფორმაციას, ერთიანდებიან მაგიდის ირგვლივ, რომლის ნომერია 1; ვისაც აქვს ინფორმაცია N2, იკრიბება მეორე მაგიდის გარშემო და ა. შ. აქედან გამომდინარე, თითოეული მაგიდის ირგვლივ აღმოჩნდებიან ერთი და იმავე ინფორმაციის მქონე მოსწავლეები ხუთივე ჯგუფიდან, რომლებიც შემდგომ იქცევიან ინფორმაციის „ექსპერტებად“. ისინი ერთად კითხულობენ და კიდევ ერთხელ სწავლობენ საერთო მასალას, ასრულებენ შესაბამის დავალებებს, რომლებიც მითითებულია ტექსტში და ამავე დროს ეძებენ ამ მასალის სხვისთვის გადაცემის საუკეთესო და ეფექტურ გზებს, მეთოდებს. მაგალითად, წერენ გეგმას, ხაზავენ სქემებს და სხვ. ტექსტის კიდევ ერთხელ გაანალიზებისა და დავალებების შესრულების შემდეგ ისინი ბრუნდებიან თავიანთ ძირითად ჯგუფებში და რიგითი ნომრის დაცვით (ჯერ ჰყვება პირველი ნომერი, შემდეგ – მეორე და ა. შ.) თავიანთ მასალას ერთმანეთს წარუდგენენ.

ჯგუფის მიზანია, მისმა ყველა წევრმა სრულყოფილად აითვისოს თითოეული „ექსპერტის“ მიერ დამუშავებული მასალა და გამოყოს იქიდან საქართველოსთვის აქტუალური თემები, იმსჯელოს გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. მათ უნდა დაინახონ, რომ როგორც ეკონომიკა და საზოგადოება განიცდის გარემოს ზეგავლენას, ასევე საზოგადოებაც თავისი საქმიანობით ახდენს ზეგავლენას გარემოზე.



ბარათი 1 – მდგრადი განვითარება და ზოგადი განმარტებები

„მდგრადი განვითარება“ არის ინგლისური ტერმინის „sustaynable development” თარგმანი და აღწერს ისეთ განვითარებას, რომელიც შეესაბამება დღევანდელი თაობის ინტერესებს, დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნები ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას მომავალი თაობების შესაძლებლობებს. ტერმინი მოიცავს მდგრადი განვითარების სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს და წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკური და მეცნიერული დისკუსიების ერთ-ერთ აქტუალურ თემას.

1) საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.
2) მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა (1995 წ.) ხაზი გაუსვა სოციალური სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას.

3) ბიოლოგიური რესურსების ისეთი გზითა და სისწრაფით გამოყენება, რომელიც მომავალში არ გამოიწვევს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირებას და მომავალი თაობები მას საჭიროებათა გათვალისწინებით შეინარჩუნებენ.

ბარათი 2 – მდგრადი განვითარების პრინციპები

მდგრადი განვითარება ნიშნავს, რომ ერთობლივად უნდა დაბალანსდეს ეკონომიკური წინსვლა, სოციალური სამართლიანობა და ფიზიკური და ბუნებივი გარემოს დაცვა. ამისთვის კი საჭიროა:

- ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობდეს სოციალურ წინსვლას და ანგარიშს უწევდეს გარემოს დაცვას; ასეც შეიძლება ითქვას: ეკონომიკური წინსვლა არ უნდა იწვევდეს სოციალურ და გარემოსდაცვით უკუსვლას, სოციალური საფრთხის, დაძაბულობის, უკმაყოფილების ზრდას ან ფიზიკური გარემოს ისეთ დეგრადაციას, რომელიც ადამიანთა ჯანსაღ ცხოვრებას ხელმიუწვდომელს გახდის (ჯანმრთელობის დაზიანების, დასვენების შესაძლებლობათა მოსპობის გამო).
- ამავე დროს სოციალური პოლიტიკა არ უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი და არც გარემოს დეგრადაციას უნდა იწვევდეს.
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა კი ხარჯეფექტური უნდა იყოს. იგი არ უნდა წარმოადგენდეს გაუმართლებელ ტვირთს არც ეკონომიკისთვის და არც საზოგადოების სოციალური კეთილდღეობისთვის, ანუ დაცული უნდა იყოს ბალანსი საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მოთხოვნათა შორის.

მდგრადი განვითარების კონცეფცია უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1) მაქსიმალური ეფექტურობით იქნას გამოყენებული ბუნებრივი რესურსები ბუნებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე;
2) ცოცხალი რესურსებით საგებლობისას არ მიადგეს ზიანი ბიომრავალფეროვნებას და დასახულ იქნას გზები მისი აღწარმოებისა და გამრავალფეროვნებისა;
3) უნდა მოიცავდეს რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სამომავლო რისკები;
4) არსებული რესურსების ბაზაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება;
5) ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ მთავარი პრიორიტეტების გამოყოფა და სრულყოფა;

6) ტრადიციული ენერგორესურსების ენერგოგანახლებადი რესურსებით ჩანაცვლება შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარების გზით. მდგრადი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად სწორედ განახლებადი ენერგეტიკა უნდა იქნას მიჩნეული;
7) ბუნებრივი რესურსების კონსერვაციისა და გამოყენების ჰარმონიზაცია.

ბარათი 3 – მდგრადი განვითარების მიზნები

ნიმუში რესურსების გამოყენებისა, რომლის მიზანია, გარემოს დაცვისას რაციონალურად დააკმაყოფილოს ადამიანური საჭიროებები. ეს საჭიროებები შესაძლოა მხოლოდ აწმყოში გვხვდებოდეს, მაგრამ ასევე შესაძლოა მომავალ თაობებსაც ჰქონდეთ. ამ ტერმინს ბრუნდტლანდის კომისია (Brundtland Commission) იყენებდა და მდგრადი განვითარების ყველაზე ხშირად ციტირებადი განსაზღვრება გახდა: „აკმაყოფილებს დღევანდელობის საჭიროებებს მომავალი თაობების უნარიანობის გათვალისწინებით". მდგრადი განვითარება აერთიანებს ბუნებრივი ეკოსისტემის პროდუქტიულობაზე ზრუნვას კაცობრიობის მიმართ სოციალურ გამოწვევასთან. 1970-იან წლებში ტერმინი „მდგრადობა" გამოიყენებოდა იმისთვის, რომ აღეწერათ ეკონომიკა „ძირითადი ეკოლოგიური უზრუნველყოფის სისტემების თანაფარდობაში".

ეკოლოგები მიუთითებდნენ „The Limits To Growth"-ზე (სახელმძღვანელო) და წარმოადგენდნენ „მყარი მდგომარეობის ეკონომიკის" ალტერნატივას, რათა ყურადღება მიეპყროთ გარემოზე ზრუნვისადმი. მდგრადი განვითარების სფერო კონცეპტუალურად შეიძლება დაიყოს სამ შემადგენელ ნაწილად: ეკოლოგიური მდგრადობა, ეკონომიკური მდგრადობა და სოციოპოლიტიკური მდგრადობა.

მდგრადი განვითარების მიზნები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1) ბუნების ცოცხალი რესურსების გამოყენება, თუ ის მდგრადია, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის, რადგან ამგვარი გამოყენებით მიღებული სოციალური და ეკონომიკური სარგებელი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტიმულს ხალხისთვის, დაიცვან ბუნება.
2) ცოცხალი რესურსებით სარგებლობისას ადამიანები ზრუნავენ, შეამცირონ ბიომრავალფეროვნების განადგურება.
3) მდგრადი გამოყენება მოიცავს ამ რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას.

4) მართვის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას რისკები.
5) დღევანდელობის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.
6) მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა (1995 წ.) ხაზი გაუსვა სოციალურ სეგრეგაციასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობას.

სეგრეგაცია – დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა. ნიშნავს კანონის ან წესჩვეულების საფუძველზე ეთნიკური ჯგუფების განცალკევებას. ევროპაში არსებობდა სეგრეგაციის ოფიციალური ფორმები; მაგალითად, ოდესღაც ებრაელები გეტოებში იყვნენ იზოლირებულნი. ამჟამად ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ბევრ ბოშას მტრული მოპყრობით ან ეკონომიკური სეგრეგაციით აიძულებენ, ცალკე თემებად იცხოვრონ.

ბარათი 4 – „დღის წესრიგი – 21-ე საუკუნე“

„დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის” არის მდგრადი განვითარების მიღწევის გლობალური გეგმა 21-ე საუკუნეში. იგი მიღებულია კონსენსუსის გზით სახელმწიფოთა ლიდერების მიერ გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია).

„დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის“ არის სამოქმედო პროგრამა, როგორ გახდეს მსოფლიოს განვითარება მდგრადი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით. მისი მთავარი მიზანია მსოფლიოს მომზადება იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც იგი შეეჯახება 21-ე საუკუნეში. „დღის წესრიგი – 21-ეს“ დინამიკური პროგრამაა, რომელსაც ახორციელებს სხვადასხვა სუბიექტი ქვეყნებისა და რეგიონების სიტუაციის, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

1993 წელს გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საბჭოსთან შეიქმნა მდგრადი განვითარების კომისია. ეს არის მთავრობათაშორისი ორგანო. მისი დანიშნულებაა პროგრამის განხორციელების კოორდინაციახელშეწყობა.

გაეროსთან ასევე შექმნილია მდგრადი განვითარების განყოფილება, რომელიც ფუნქციობს როგორც დამოუკიდებელი სამდივნო.

2002 წლის აგვისტო-სექტემბერში იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) ჩატარდა მსოფლიო სამიტი „რიო+10“, რომელზეც განხილულ იქნა პროგრამის მიმ-

დინარეობა. წინა პლანზე წამოიწია მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის საკითხმა.

„დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის“ საფუძვლად დაედო მდგრადი განვითარების პროგრამების შემუშავებას როგორც განვითარებულ (ინგლისი, გერმანია, იაპონია, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, ავსტრია და სხვ.), ისე განვითარებად ქვეყნებშიც (პოლონეთი, ბულგარეთი, ყაზახეთი, რუსეთი და სხვ.).

ბარათი 5 – ეკოლოგიური პრობლემები და მდგრადი განვითარების ასპექტები

ათწლეულების განმავლობაში გარემოს დაცვა და ეკონომიკა განიხილებოდა, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორები. თანამედროვე განვითარება ცხადყოფს, რომ შეიცვალა მიდგომა ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერმიმართებისადმი. თანდათან ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ ის, რაც ეკოლოგიურად გონივრულია, შედეგების მომტანია ეკონომიკურადაც.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ორ ფაქტორს – გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას – შორის არ არსებობს კონფლიქტი. დაპირისპირება არ ნიშნავს მათ შეუთავსებლობას. უფრო მეტიც, შეუძლებელია მათ შორის შეუთავსებლობის არსებობა, რამდენადაც ბუნებრივი გარემო არის ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი საფუძველი. პროდუქციის შექმნა მოითხოვს წიაღისეულს, საწარმოებს სჭირდებათ ტერიტორია. წარმოების პროცესი გავლენას ახდენს გარემოზე, საწარმოო ნარჩენები იწვევს ზემოქმედებას ბუნების კომპონენტებზე – წყალზე, მიწაზე, ჰაერზე.

ეკოლოგიური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა შესაძლებელს ხდის ეკონომიკისა და ეკოლოგიის თავსებადობას. ამ თვალსაზრისით, ეკოლოგიურ პოლიტიკას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე. ის შეიძლება იქცეს:

- ინოვაციურობის პოლიტიკად;
- ინვესტიციისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნის (ინვესტიციის) პოლიტიკად;
- დასაქმების პოლიტიკად.

ეკოლოგიური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს, როგორ შეიძლება განვითარდეს გარემოს დაცვა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, და იმავდროულად ადგენს, რა მინიმალური მოთხოვნები უნდა შესრულდეს ეკონომიკის მხრიდან.

დღეს ორი დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისი განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. ეს ორი პრობლემა ერთიან, კოორდინირებულ გადაწყვეტას მოითხოვს.

ეკოლოგიური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ემყარება მოსაზრებას, რომ დიდი ეკოლოგიური გამოწვევები იმავდროულად ეკონომიკური ამოცანებია და პირიქით, ეკონომიკური განვითარება გარემოს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. მზარდი მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე, რომელთა მოცულობაც მცირდება, ხოლო ფასი იზრდება, საფრთხეს უქმნის როგორც გარემოს, ისე ჩვენს ეკონომიკურ კეთილდღეობასაც. კლიმატური ცვლილებების მიმართ პასიური დამოკიდებულება კაცობრიობას ეკონომიკურად შეიძლება უფრო ძვირი დაუჯდეს, ვიდრე აქტიური გარემოს დაცვის პოლიტიკა.

იმისთვის, რომ ეკონომიკური განვითარება და ცხოვრების მაღალი დონე თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი როგორც თანამედროვე განვითარებულ, ისე მესამე სამყაროს განვითარებად სახელმწიფოებში, აუცილებელია ეკონომიკური განვითარების, ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების ხარჯვის შემცირების ერთობლივი მიღწევა. წარმოების პროცესის წარმართვისთვის ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ თვალსაზრისით, გარემოს დაცვის პოლიტიკა იმავდროულად მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნის პოლიტიკაა, რამდენადაც იაფი ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს წარმოების პროდუქტზე და კონკურენტუნარიანს ხდის საქართველოს, როგორც ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს მქონე ქვეყანას.

ეკოლოგიური და ეკონომიკური ამოცანების დაახლოება ხსნის გზას ახალი შესაძლებლობებისკენ: რესურსების ეკონომიურ ხარჯვაზე ორიენტირებულ პროდუქციასა და პროცესებზე მზარდი მოთხოვნა ზრდის მწვანე მომავლის ბაზარს. ვისაც შეუძლია ამ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, ის ქმნის გარანტირებულ სამუშაო ადგილებს. ამდენად, გარემოს დაცვის პოლიტიკა დასაქმების პოლიტიკაა.

პრეზენტაციის შემდეგ განხილვა და დისკუსია ვერ მოესწრება, ამიტომ კარგი იქნება, თუ მეორე გაკვეთილისთვის დაიგეგმება ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციების გამართვა და მდგრადი განვითარების სხვადასხვა ასპექტის განხილვა.

გამოყენებული ინტერნეტსაიტების სია მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულებაში დაეხმარება.

P.S. სტატიაზე მუშაობა დასრულებული მქონდა, რომ მე და ჩემს მოსწავლეებს ერთი საინტერესო გაკვეთილი გამოგვივიდა. მე-11 კლასში გლობალურ პრობლემებს განვიხილავდით. მშვიდობისა და განიარაღების პრობლემის პირველობას დავეთანხმეთ, მაგრამ ჩვენ მაინც განათლება მივიჩნიეთ უპირველეს პრობლემად!!!

გამოყენებული ინტერნეტსაიტები:

1. http://www.gruni.edu.ge/lang/;
2. http://www.ifsdeurope.com/home.html;
3. http://w3.cenn.org/wssl/uploads/files/Sustainable_Development_and_Reforms_in_Georgia_GEO.pdf;
4. http://www.government.gov.ge/files/288_44590_370351_UN-A4-Geo-Full (PM).pdf.

ოკეანეების გლობალური პრობლემები

ოკეანე დედამიწის ზედაპირის უმეტეს ნაწილს, 71%-ზე მეტს იკავებს. ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 311 მლნ.ტონა წყალი მოდის. ოკეანე გავლენას ახდენს ატმოსფეროს მდგომარეობაზე და წარმოადგენს საკვებისა და სასარგებლო წიაღისეულის წყაროს. ის ყველაზე პროდუქტიული ეკოსისტემაა დედამიწაზე, თევზჭერის 80%-ს სწორედ ოკეანე განაპირობებს. იგი არის სიცოცხლის აკვანი პლანეტაზე.

ოკეანე მნიშნელოვან გარემოსდაცვით ფუნქციას ასრულებს:

- დიდი წვილილი მიუძღვის დედამიწაზე სიცოცხლის არსებობასა და კლიმატის ჩამოყალიბებაში;
- გავლენას ახდენს ატმოსფეროს შემადგენლობაზე და წარმოადგენს მინერალური რესურსების მნიშვნელოვან „საწყობს“;
- დიდი გავლენა აქვს მეტეოპროცესებზე: წყლის მასა დაბალ განედებში, ტროპიკებში, მზის სითბოს აგროვებს, რომელიც შემდეგ გადაადგილდება მაღალი განედებისკენ, რაც ხელს უწყობს ატმოსფეროს ცირკულაციას, საბოლოოდ კი განსაზღვრავს კლიმატის ჩამოყალიბებას.
- პლანქტონის როლი განუზომელია ატმოსფეროს შემადგენელი აირების დაბალანსებისთვის. იგი აღიარებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანგბადის წყარო. ატმოსფეროში არსებული ჟანგბადის 50–70% ფიტოპლანქტონისაგანაა წარმოქმნილი ფოტოსინთეზის პროცესში. ანთროპოგენური ზემოქმედებით გამოწვეული თანამედროვეობის ყველაზე დიდი პრობლემა ნახშირბადის ციკლის დარღვევაა. ბისფეროში მოხვედრილი CO_2-ის ნახევარი ოკეანის ცოცხალი ორგანიზმების მიერ შეიწოვება.
- მნიშვნელოვანია ოკეანის როლი ადამიანის ცხოვრებაში: იგი ასრულებს გარემოსდაცვით, თევზჭერის, ნედლეულის მოპოვების, რეკრეაციულ, სატრანსპორტო და სხვა ფუნქციებს.

მსოფლიო ოკეანის მნიშვნელობიდან ერთ-ერთია თევზჭერა, წლიური შემოსავალი აღემატება 55 მილიარდ დოლარს.

საკვების მხოლოდ 1%-ს იძლევა ოკეანე, მაგრამ ცხოველური ცილების 1/4 სწორედ მსოფლიო ოკეანის წილია. მაგალითად, მიანმარს, ჩინეთს, იაპონიას ცხოველური ცილების ნახევარზე მეტს სწორედაც ოკეანე აძლევს. ღია ოკეანეში აქტიურად ვითარდება „მარიკულტურა“, ე.წ. ოკეანის „რანჩო“. ტერმინი „მარიკულტურა“ ნიშნავს სასარგებლო წყალმცენარეების, მოლუსკების, თევზებისა და სხვა ორგანიზმების მოშენებას ზღვების სანაპიროზე, ლიმანებსა და მდინარეების ესტუარებში. ამჟამად მათზე მოდის წყლის პროდუქტების 1/10. მარიკულტურის განვითარებას უძველესი ტრადიცია აქვს, იაპონიაში უკვე 200 წლის წინ ხდებოდა მოლუსკების კულტივირება. უახლოეს ათწლეულში კი „მარიკულტურა“ კაცობრიობას 50 მლნ. ტონა საკვებ პროდუქტს მისცემს.

საერთაშორისო წყლის ტრანსპორტის წლიური შემოსავლი 150 მლრდ. დოლარს აღემატება. საზღვაო ტრანსპორტი გამოირჩევა მაღალი დინამიურობით და დაბალი თვითღირებულებით.

ოკეანისა და მისი სანაპიროს რეკრეაციული დანიშნულება ძალიან დიდია. მას აქვს სამეცნიერო ღირებულებაც. სწორედ ოკეანეშია აღმოჩენილი პლანეტარული მნიშვნელობის აღმოჩენები, რომლების შესწავლაც ადამიანს ეხმარება გაიგოს დედამიწის წარმოშობა და ევოლუციის გზა. ოკეანეში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა და დაადასტურა ოკეანის გაფართოება და დედამიწის ქერქის მუდმივი მოძრაობა, საიდანაც ხდება დედამიწის „გაახალგაზრდავება“. რაც უფრო მეტად იზრდება მსოფლიო ოკეანის როლი კაცობრიობის განვითარებაში, მით მეტად იზრდება მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი და მით უფრო მეტად იჩენს თავს სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები. უპირველესი პრობლემა ბიოლოგიური რესურსების ამოწურვაა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წარმოუდგენელი იყო, რომ მსოფლიო ოკეანე, რომელიც დედამიწის 1/4-ს იკავებს, შეიძლებოდა დაბინძურებულიყო და ბიოლოგიური რესურსები ამოწურულიყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემა დაბინძურებაა, რაც გულისხმობს პირდაპირ ან არაპირდაპირ ნივთიერებებისა და ენერგიის მოხვედრას წყალში. არსებობს სხვადასხვა სახის დაბინძურება: ქიმიური, ფიზიკური, მექანიკური და ბიოლოგიური. დაბინძურების 70%-ს განაპირობებს სახმელეთო წყაროები, მათ შორის განსაკუთრებით წარმოების, მშენებლობის, კომუნალური, სოფლის მეურნეობის და რეკრეაციის. მთავარ საფრთხეს წარმოადგენს კანალიზაცია, ქიმიკატები (ლითონები), ნაგავი, პლასტმასის და რადიოაქტიური ნარჩენები. ზოგიერთი მათგანი ტოქსიკურია და ნელა იხრწნება, გროვდება ცოცხალ ორგანიზმებში.

მსოფლიო ოკეანის დაბინძურების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის მინერალურ რესურსებზე. მათ შორის ნავთობზე და ბუნებრივ გაზზე, რომელთა მოპოვება უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საოცარი ტემპით გაიზარდა მსოფლიო ოკეანის შელფზე (განსაკუთრებით არქტიკაში). დღეს უკვე წლიური შემოსავალი 200 მლრ. დოლარზე მეტია. თანამედროვე ტექნოლოგიებით ნავთობის მოპოვება ხდება 500 მეტრ სიღრმეზე, რაც უკვე სცილდება კონტინენტურ შელფს და იწვევს „ზღვის“ ნავთობის ფასის ზრდას. დადგენილია, რომ ოკეანეში ყოველწლიურად 1,5 მლნ ტონამდე ნავთობი იღვრება, მაშინ როცა 25 მლნ ტ ნავთობი სრულიად საკმარისია, რომ მთელი მსოფლიო ოკეანის ზედაპირი 0,1 მმ სისქის ნავთობის აპკით დაიფაროს.

მსოფლიო ოკეანე ასევე მდიდარია ჰიდროქიმიური ნედლეულით, რომელსაც შეიცავს წყალი: ნატრიუმით, მაგნიუმით, კალციუმით, კალიუმით, ბრომით, იოდით და სხვა ელემენტებით. მსოფლიო ოკეანის ხელშეუხებელ საბადოს წარმოადგენს ახალგაზრდა რიფული ზონები. წყალი თბება 50-60°C -მდე, მარილიანობა კი იზრდება 260%-ით. მაღალი მარილიანობის პირობებში ცხელ წყალში ჩამოყალიბდა ძვირფასი ლითონები, სულფიდური მადნები, რომლის კონცენტრაცია ზოგჯერ 10-ჯერ მეტია, ვიდრე რკინის, მანგანუმის ხმელეთზე არსებულ საბადოებში.

მსოფლიო ოკეანე კოლოსალური ენერგიის წყაროა, რომელსაც ადამიანი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ იყენებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მიქცევა-მოქცევის, ოკეანური დინებების, ტალღების, ტემპერატურის გრადიენტის გამოყენება გარემოს თითქმის არ აყენებს ზიანს. ამოუწურავია მძიმე წყალბადის თერმობირთვული სინთეზი დეიტერიუმთან (წყალბადის მძიმე იზოტოპი; ჟანგბადთან შეერთებისას წარმოიქმნება ე.წ. „მძიმე წყალი“, რომელიც ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავდება თავისი თვისებებით). დეიტერიუმის რაოდენობას 1 ლიტრ ოკეანურ წყალში შეუძლია მოგვცეს იმდენი ენერგია, რამდენიც 120 ლიტრ ბენზინს.

ოკეანის რესურსების აქტიურმა ათვისებამ „დემოგრაფიული ზეწოლის“ გაძლიერება გამოიწვია. მოსახლეობის განსახლებამ სანაპირო ზოლში გადაიწია. 100-კილომეტრიან სანაპირო ზოლში 2,5 მილიარდი ადამიანია დღეს დასახლებული. ამას თუ დავუმატებთ ტურისტებისა და რეკრეანტების რაოდენობას, გამოდის, რომ „სანაპირო“ მოსახლეობა გაცილებით გაიზარდა. სანაპირო ზოლში ურბანული ფართობიც გაცილებით მეტია, ვიდრე შიდა რეგიონებში. მხოლოდ საზღვაო ტურიზმის (საკრუიზო ტურიზმი) შემოსავალი დაახლოებით 50 მილიარდი დოლარია.

სანაპიროზე არაორგანიზებული დასვენება – ტურიზმი, პიკნიკები, მზისა და ჰაერის აბაზანების მიღება და სხვ. მთელი რიგი მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების გაჭუჭყიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ სანაპიროებისა და თავთხელი ზონების ბუნებრივ კომპლექსებში ხვდება დამაბინძურებელი და ბიოგენური ნივთიერებები ამ ადგილებში დამსვენებელთა დიდი კონცენტრაციის გამო. ისინი უშუალოდ ან წყალში ხვდება, ან ნაპირებზე რჩება და შემდეგ ჩამდინარე ნაკადებით ირეცხება ან ნიადაგში ჩაირეცხება და გრუნტის წყლებით ხვდება წყალსატევებში.

აშშ-ში წყლის ეკოსისტემებზე და წყლის ხარისხზე ტურისტების მავნე ზეგავლენის შესაფასებლად, მოდელირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ჯორჯიის ტბაზე გამოკვლევები ჩატარდა. ამ შეფასების ეფექტური საშუალება იყო მკვდარი წყალმცენარეების გროვების მრავალფაქტორული ანალიზი. ნიმუშები ტბის ირგვლივ მდებარე 125 საცდელ სადგურში აიღეს. შედეგად შეადგინეს ტბის ცალკეულ ადგილებზე მკვებავი ნივთიერებების ზეგავლენის რუკა. იმიტაციური მოდელის საფუძველზე შესწავლილი იქნა ამ ტბის ეკოსისტემების რთული ურთიერთკავშირები. ძირითადი მოდელების ცვლილებით, როგორიცაა წყალში ფოსფატების შემცველობა, მოდელირებული იყო ეკოსისტემების ყველა კომპონენტის მიხედვით დატვირთვების ზემოქმედება გარემოზე.

დასვენების მრავალ ზონაში არ არის გადაწყვეტილი ტერიტორიების სანიტარული დასუფთავების საკითხი, ნარჩენებს ნაპირზე მარხავენ, ყრიან ბუნებრივ ღრმულებში ან ტოვებენ ადგილზე. ამ ნარჩენების ერთი ნაწილით ოკეანის დინებების მეშვეობით წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში დაგროვდა და ხელოვნური, ნაგვის კუნძული შექმნა, რომლის ფართობიც ამერიკის შეერთებული შტატების ფართობს აღემატება.

ნაგვის კუნძული წყნარ ოკეანეში

ამ კუნძულის გარდა, კიდევ ოთხი უდიდესი ნაგვის გროვაა წყნარ, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში.

მსოფლიო ოკეანე განიხილება ასევე საომარი მოქმედებების სასტარტო ტერიტორიად. სახმელეთო ტრანსპორტისგან განსხვავებით, წყლის ტრანსპორტი გამოირჩევა მაღალი სიჩქარითა და მაქსიმალური გეოგრაფიული და

სტრატეგიული მობილობით. აქედან გამომდინარე, ოკეანე გახდა გეოპოლიტიკური ინტერესის სფერო.

მსოფლიო ოკეანემ, როგორც ჩაკეტილმა ეკოსისტემამ, ძნელია გაუძლოს ინტენსიურ ანთროპოგენურ ზეწოლას, რაც ქმნის მისი სიკვდილის რეალურ საფრთხეს. გამოჩენილმა ნორვეგიელმა მოგზაურმა, ტორ ჰეიერდალმა თქვა: „მკვდარი ზღვა – მკვდარი პლანეტა“.

ზღვები და ოკეანეები კაცობრიობის მემკვიდრეობითი საგანძურია და მათი ბედი ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე. სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობს გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემუშავების, რატიფიცირებისა და დაცვის მექანიზმებში.

თუ მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეიცვალა, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინათ, რა ელის მსოფლიო ოკეანეს მომავალში.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნება ახალი საზღვაო ნაკრძალი, რომლის ფართობი 1.27 მილიონი კვადრატული კილომეტრი იქნება. ნაკრძალი მოეწყობა წყნარი ოკეანის საზღვაო პარკის ფსკერზე, რომელიც მდებარეობს ჰავაის კუნძულებსა და ამერიკის სამოას (ამერიკის კუნძულოვანი ტერიტორია წყნარ ოკეანეში) შორის. იგი მთელ მსოფლიოში უდიდესი საზღვაო ნაკრძალი იქნება და ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა აღნიშნულ რეგიონში აიკრძალება.

გამოყენებული და საინტერესო ინტერნეტსაიტები:

1. http://www.grandars.ru/student/mirovaya-ekonomika/problema-mirovogo-okeana.html
2. http://ecology-education.ru/index.php?action=full&id=533
3. http://geographyofrussia.com/problema-mirovogo-okeana/
4. http://www.globaltrouble.ru/problemy_mirovogo_okeana.html

მწვანე ქალაქები, როგორც პასუხი ურბანიზაციის უარყოფით შედეგებზე

გარემოს დაბინძურებას პოსტინდუსტრიულ მოვლენად მიიჩნევენ, თუმცა ეკოლოგიური პრობლემები არც ძველი რომისა და ანტიკური საბერძნეთისთვის ყოფილა უცხო. ჰაერის დაბინძურება, რომელსაც რომაელები „მძიმე ცას“ უწოდებდნენ, დიდწილად შეშის წვის შედეგი იყო, რომელსაც როგორც გასათბობად, ისე სამეწარმეო საქმიანობისთვის იყენებდნენ.

ძველ რომში დიდ სირთულეებს წარმოშობდა ჩამდინარე წყლები და ნარჩენები/ნაგავი. რომაელები საგანგებო ღონისძიებებს მიმართავდნენ ეკოლოგიური პრობლემების შესარბილებლად. იმპერატორმა იუსტინიანემ (ჩვ. წ.აღ. 482-565), ყველა მოქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, წყალი და ჰაერი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. ძველ რომში ჰქონდათ საკანალიზაციო სისტემა, რომლის მეშვეობითაც დაბინძურებული წყალი მდინარე ტიბრში ჩაედინებოდა და რომელიც XIX ს-ის დამდეგამდე ერთადერთი იყო მთელ ევროპაში. ძველი რომი ცნობილია ასევე აკვედუკებით, რომლებიც სუფთა, ახალი წყლით ამარაგებდა რომის მოსახლეობას.

საწვავად ხე-ტყის მასობრივმა გამოყენებამ ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია ბაბილონში, ფინიკიასა (ლიბანი) და საბერძნეთში. იმდროინდელ გარემოზე უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგის აღწერისას ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი (427 – 347 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე) ბერძნულ მთებსა და გორაკებს გამოფიტული ორგანიზმის ძვლებს ადარებს, ჰიპოკრატე (460–377 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე) კი ადამიანის ავადმყოფობის გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ქალაქებში არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს ასახელებს.

რესპუბლიკური რომის პერიოდში შეიმჩნევა მდიდარი მოქალაქეების ქალაქის ცენტრიდან პერიფერიებში გადინების საინტერესო ტენდენცია (ადრეული სუბურბანიზაციის ნიმუში), რაც შესაძლოა ცენტრში ცხოვრების პირობების გაუარესებით ყოფილიყო ნაკარნახევი. დღემდე მოღწეული ისტორიული ცნობების თანახმად, დროთა განმავლობაში რომის ელიტური მოსახლეობის

საცხოვრებელ ადგილად ყალიბდება საპარკო ზონებში განთავსებული ქალაქგარე ვილები (აგარაკები).

ენერგეტიკულმა კრიზისმა და გარემოს დაბინძურებამ ძველ ბერძნებს მზის პასიური ენერგიის გამოყენება ასწავლა – მათ დაიწყეს ქალაქებისა და შენობების მზიან ადგილებში მშენებლობა, რაც ბევრი მათი თანამედროვე ხალხისთვის სრულიად უცხო იყო. მზის ენერგიას განსაზღვრული დოზით რომაელებიც იყენებდნენ, თუმცა მათ დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ხე-ტყე შავი ზღვის რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ როგორც ბერძნულ, ისე რომაულ კულტურებში არსებობდა ე.წ. „წმინდა კორომების“ ცნება, რაც იმ დაცულ ტერიტორიებს აღნიშნავდა, სადაც აკრძალული იყო ხეების მოჭრა.

მჭიდროდ დასახლებული დიდი ქალაქებისთვის უძველესი დროიდანვე ცნობილია ურბანიზაციის ნეგატიური შედეგები: ხმაურის მომატებული დონე, ნარჩენების უტილიზაციის, ჰაერისა და წყლის დაბინძურებისა და ბუნებრივი ლანდშაფტების გარდაქმნის პრობლემები, არახელსაყრელი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სხვ.

უძველესი აღმოსავლეთის ქალაქები: ბაბილონი, ალექსანდრია, მემფისი, ნინევია, ანტიკური სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრები – რომი, ათენი და სხვ. – პრაქტიკულად იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რა პრობლემებიც დღევანდელი დიდი ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი.

გაერთიანებული ერების მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ევროპის მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 75% ქალაქებშია თავმოყრილი. რაც მთავარია, ამ პროცესის ზრდის ტენდენცია ნელა, მაგრამ კვლავაც გრძელდება.

XX ს-ის პირველ ნახევარში აშშ-ში, ჩიკაგოს უნივერსიტეტში, შემუშავდა ორი კონცეფცია: ეკოლოგიური მიდგომები ქალაქების ანალიზის პროცესში და ურბანიზმი, როგორც ცხოვრების ფორმა. „ჩიკაგოს სკოლა“ – სწორედ ამ სახელითაა ცნობილი მკვლევართა ის ჯგუფი, რომელმაც ქალაქებში მიმდინარე პროცესების შესწავლასა და ანალიზს უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა მიუძღვნა.

2009 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით კომპანია „სიმენსმა“ („Siemens“) და დამოუკიდებელმა კვლევითმა და საკონსულტაციო ფირმამ „The Economist

Intelligence Unit (EIU)“ 30 ევროპული ქალაქი (უმეტესად დედაქალაქები) შეისწავლეს. გარემოსა და კლიმატის დაცვის კუთხით განხორციელებული სამუშაოების შესაფასებლად გამოყენებული 30 ინდიკატორი დაიყო 8 ძირითად ჯგუფად: (1) CO2-ის ემისია, (2) ენერგია, (3) შენობები, (4) ტრანსპორტი, (5) წყალი, (6) ჰაერი, (7) ნარჩენების/მიწის გამოყენება და (8) გარემოს ეკოლოგიური მართვა (იხ. ნახ 3). კვლევის მეთოდოლოგია შეიმუშავებულ იქნა EIU-ის მიერ, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და „სიმენსთან“ ერთად. შედეგად, ჩამოყალიბდა ე.წ. მწვანე ქალაქების ინდექსი (Green City Index) – ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების უნიკალური სისტემა, რომელმაც გამოავლინა თითოეული ქალაქის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი კი ის იყო, რომ ქალაქებს მიეცათ ერთმანეთის ცოდნისა და მიღწევების გაზიარების საშუალება. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ვენაში ყველაზე უკეთესი გამწვანებაა, დანიის ქალაქები ყველაზე ინტენსიურად იყენებენ ქარის ენერგიას, ლუბლიანაში ნარჩენების გადამუშავების საუკეთესო სისტემაა, პარიზში შესაძლებელია ველოსიპედებით უფასოდ სარგებლობა, სტამბულში დანერგილია ნაგავსაყრელებიდან მეთანის მიღების პროცესი, ტალინში კი ავტობუსები აღჭურვილია სპეციალური სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს შუქნიშნების მუშაობას მწვანე ტალღის პრინციპით.



აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კვლევები ჩატარდა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, მათ შორის – აშშ-ისა და კანადის 27 ქალაქში, აგრეთვე – აფრიკასა და აზიაში. მწვანე ქალაქების ინდექსი ზომავს თითოეული ქალაქის როგორც არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას, ასევე მზაობას, შემდგომშიც განახორციელონ გარემოსდაცვითი პროექტები. შერჩეული 30 ინდიკატორიდან 16 წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებელს და ზომავს ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას. ასეთი ინდიკატორების მაგალითებია CO_2-ის ემისია, ენერგიის მოხმარება, ნარჩენების რაოდენობა და ჰაერის დაბინძურება. დანარჩენი 14 ინდიკატორი წარმოადგენს ხარისხობრივ მაჩვენებელს, მაგალითად, იღებს თუ არა ქალაქი ვალდებულებას, გამოიყენოს უფრო მეტი განახლებადი ენერგია, გააუმჯობესოს შენობების ენერგოეფექტურობა, შეამციროს ნარჩენების წარმოება, მოახდინოს მათი გადამუშავება და ა.შ. ინდექსი წარმოადგენს ყველა ინდიკატორის მიხედვით მინიჭებული ქულების ერთობლიობას. თავდაპირველად მოხდა თითოეული კატეგორიის, მაგალითად, ენერგიის მოხმარების, ინდექსის გამოთვლა. ამისთვის თითოეულ ინდიკატორს (მნიშვნელოვნების მიხედვით) მიენიჭა სხვადასხვა წონა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ინდიკატორების დიდ უმეტესობას ერთნაირი წონა (მნიშვნელობა) აქვს. 8 ძირითადი კატეგორიის ინდექსი შეფასდა 10-ქულიანი სისტემით (0-დან 10-მდე). საერთო ინდექსი წარმოადგენს ამ კატეგორიების ინდექსების ჯამს, სადაც ყველა კატეგორიის ინდექსს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმალური საერთო ინდექსი შესაძლოა იყოს 100.

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა ლიდერი ქალაქები. კერძოდ, საერთო მაჩვენებლების ჯამით საუკეთესო აღმოჩნდა კოპენჰაგენი.

ქალაქი კოპენჰაგენი

კოპენჰაგენმა ჯერ კიდევ 1960 წელს დაიწყო თავის ურბანულ ცენტრში მანქანების შემცირება. იგი ყოველწლიურად 2-3%-ით ზრდის ფეხით მოსიარულეთა გზებს. ავტოპარკინგი ჩაანაცვლა 18-მა სკვერმა, რომელთა საერთო ფართობია 100 000 კვ მ. კომპაქტურობისკენ მიდრეკილი პოლიტიკის მეშვეობით ბევრი საჯარო დაწესებულება ქალაქის ცენტრშია და იქამდე მხოლოდ ფეხით შეიძლება მისვლა. ქალაქებში საფეხმავლო გზების გაფართოებამ ცენტრებში მნიშვნელოვანი მოგება მოიტანა ეკონომიკური და საცხოვრისის ვარგისიანობის კუთხით. საზოგადოებრივ სივრცეებში ვხვდებით შადრევნებს, ძეგლებს, საზოგადოებრივ ხელოვნებასა და ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც იზიდავს ხალხს, მაგალითად, რესტორნებს, კაფეებს, მაღაზიებს და ა.შ. ყველა ქალაქს თავისი

ისტორია აქვს, რაც მათ უნიკალურობას სძენს და კარგია ფეხით სასიარულოდ. ამ ყველაფერს ხელს უწყობს კარგი საზოგადოებრივი ღონისძიებები.

ენერგიის რაციონალური გამოყენებისა და სათბურის გაზების ემისიების შემცირების კუთხით ლიდერი აღმოჩნდა ოსლო; შენობების ენერგოეფექტურობის კუთხით – ბერლინი; სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრის კუთხით – სტოკჰოლმი; წყლის რაციონალურად გამოყენებისა და ნარჩენების მენეჯმენტის კუთხით – ამსტერდამი, ჰაერის ხარისხის კუთხით – ვილნიუსი; გარემოს ეკოლოგიური მართვის კუთხით – ბრიუსელი. ამავე დროს, მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ გარემოს მდგომარეობის ხარისხის მიხედვით უპირობო ლიდერები არიან ჩრდილოევროპული ქალაქები: კოპენჰაგენი, ოსლო და სტოკჰოლმი. გამოიკვეთა მეტად სანდო კორელაცია მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხს შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ევროპის ქალაქთა პირველი ათეულიდან ცხრაში მშპ-ის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 31 ათას ევროზე მაღალია. აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ უფრო მდიდარი ქალაქები გაცილებით მეტ ინვესტიციას აბანდებენ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვაში ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად. კორელაცია ქალაქის მოსახლეობის რაოდენობას, ტერიტორიის სიდიდესა და ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხს შორის უმნიშვნელოა. ქალაქი-ლიდერების მოსახლეობა როგორც ჩრდილოეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში ბევრად არ აღემატება ან სულაც ჩამორჩება 1 მილიონს. ქალაქები, სადაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მაღალი დონეა, სიის ზედა ნაწილში არიან, რაც გამოხატავს მათი მოსახლეობის მზადყოფნას, გაითვალისწინონ ეკოლოგიური მოთხოვნები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გარემოსდაცვითი ინიციატივების განხორციელებაში.

ქალაქი ბრისტოლი „2015 წლის ევროპის მწვანე დედაქალაქად აღიარეს“. იგი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ბრისტოლში გაეშვა საპილოტე პროექტი, რომელიც კრძალავს ბავშვიანი ოჯახებისთვის პოპულარულ ადგილებში მოწევას. ეს ინიციატივა ორგანიზაცია „მოწევისგან თავისუფალი სამხრეთ-დასავლეთის“ წევრებმა წამოიწყეს. მათ მიაჩნიათ, რომ ამით მოსახლეობას ეკოლოგიურად მისაღებ საცხოვრებელ პირობებს შეუქმნიან.

„ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასება“ (IEA) მუნიციპალურ დონეზე GEO-ქალაქების სახელწოდებით არის ცნობილი. ინიციატივა GEO-ქალაქები პირველად ლათინურ ამერიკაში წარმოიშვა 2000 წელს, „გაეროს გარემოს-

დაცვითი პროგრამის (UNEP)“ მმართველი საბჭოსა და გლობალური მინისტერიალის გარემოსდაცვითი ფორუმის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონში მდგრადი განვითარების ინიციატივის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების მინისტრთა ფორუმისა და „ათასწლეულის განვითარების ამოცანების“ შედეგად. პროექტი „GEO ქალაქები – ქალაქი მეხიკო“ დაიწყო 2003 წელს და მას შემდეგ ანალოგიური გარემოსდაცვითი შეფასებისა და შესაძლებლობათა გაძლიერების პროცესი ლათინური ამერიკის ყველა მთავარ ქალაქში განხორციელდა. ამის შემდეგ GEO ქალაქების რეპლიკაცია მოხდა აფრიკის, ევროპისა და აზიის ქალაქებშიც. სადღეისოდ პროექტ „GEO-ქალაქების“ ფარგლებში მსოფლიოს 40-ზე მეტი ქალაქის ექსპერტი მუშაობს „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის“ (UNEP) მიერ შემუშავებული ერთიანი მეთოდიკის საფუძველზე, მატრიცით: „ზემოქმედება – მდგომარეობა – შედეგები – ღონისძიებები“. „GEO-ქალაქების“ ინიციატივა სავსებით პასუხობს ე.წ. „რიოს სამიტის“ („დღის წესრიგი 21-ე საუკუნისთვის“, 1992) ფუნდამენტურ პრინციპებს, აგრეთვე მდგრადი განვითარების მსოფლიო ფორუმის (იოჰანესბურგი, 2002), „ათასწლეულის მიზნების“ (ათასწლეულის ფორუმი, ნიუ-იორკი 2000), „ოლბორგის ქარტიისა“ (1994) და „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის“ (UNEP) ხელმძღვანელი საბჭოს გადაწყვეტილებებს. ამავე დროს, აღნიშნული ინიციატივის განხორციელებისას იყენებენ გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა „ადგილობრივი თვითმართველობები მდგრადი განვითარებისათვის“ (Local Governments for Sustainability /ICLEI/) მსოფლიო პროცესის ფარგლებში, ასევე – ევროპული რეგიონული პროცესების: „ევროპული მოძრაობა მდგრადი ქალაქებისათვის“ (The European Campaign for Sustainable Cities), „ურბანული ევროპის მენეჯმენტი – 25. მდგრადი მომავალი ქალაქებისთვის“ (“Managing Urban Europe – 25. Sustainable future for cities”) და სხვა საერთაშორისო ინიციატივების ფარგლებში.

სცენარები წარმოგვიდგენს მომავლის ხედვას: რა შეიძლება მოხდეს, თუ ამჟამინდელი ტენდენციები გაგრძელდა? როგორია სხვა სამომავლო ალტერნატივები? სცენარების შედგენა მიზნად ისახავს გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინების სტიმულირებას, ცნობიერების ამაღლებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერას და სასურველი ცვლილებების წახალისებას [44]. GEO-ქალაქების ანგარიშები დღეისათვის მომზადებულია პოსტსაბჭოური ქალაქებისთვისაც, ეს ქალაქებია: დონეცკი, უკრაინა (2007), ერევანი, სომხეთი (2007), ალავერდი, სომხეთი (2009), გიუმრი, სომხეთი (2009), ჰრაზდანი, სომხეთი (2009). 2011 წელს დასრულდა მუშაობა ქალაქ თბილისის ანგარიშზე. ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ ინტერნეტსაიტზე: http://geocities-tbilisi.ge/index.php

ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა

მსოფლიოს ყურადღება გარემოს დაცვისკენაა მიპყრობილი, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს დღეს ბუნების გადასარჩენად, მაგრამ რას აკეთებს თითოეული ჩვენგანი?

ახალს არაფერს ვიტყვი, თუმცა ამაზე საუბარი არ მომბეზრდება, რადგან გეოგრაფიის ცოდნა არ არის ქვეყნებისა და დედაქალაქების დასწავლა, არც ტექსტებისა და ნომენკლატურის გაუაზრებელი დაზეპირება. რატომ უნდა დავკარგოთ ამისთვის დრო, როცა ამდენი საინტერესო რამ ხდება ჩვენ გარშემო, როცა გეოგრაფიის შესწავლა პირდაპირ კავშირშია მდგრად განვითარებასთან და ჩვენი ყოველი აქტივობა მიმართული უნდა იყოს გარემოზე პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების აღზრდისკენ? ვინ უნდა შეაყვაროს მოზარდს საკუთარი ქვეყნის ბუნება, ვინ უნდა ასწავლოს მისი გაფრთხილება და რაციონალური გამოყენება, თუ არა გეოგრაფიის მასწავლებელმა?

ეს სიტყვები ლოზუნგად რომ არ გადაიქცეს, საჭიროა, მასწავლებლებმა მოსწავლეებს რეალურად დაანახონ თითოეულის პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა. ამისთვის კარგი საშუალებაა დოკუმენტური ფილმებით სწავლება.

მინდა, გაგაცნოთ ფილმი, რომელმაც არაერთ მაყურებელს მოჰგვარა ცრემლი: „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“. ეს ანიმაციური სურათი ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან ჟიონოს ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით არის გადაღებული.

ფილმი, რომელიც მარტოხელა მწყემსის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, გარემოზე ზრუნვის საოცარი მაგალითია. საზოგადოება ელის ადამიანს, მთავრობას, მესიას, რომელიც მოვა და პრობლემას მოუგვარებს. ელის და ამ ლოდინში ბრაზობს ყველასა და ყველაფერზე. ფილმის პერსონაჟების გაუსაძლის ყოფას შური და ბოღმაც ამძიმებს. ერთადერთი, ფილმის მარტოხელა, თუმცა არა მარტოსული გმირი ელზეარ ბუფიე შრომობს თავდაუზოგავად, უხმოდ და უპრეტენზიოდ, უდაბურ ადგილას ხეებს რგავს და ცდილობს შეცვალოს

როგორც გარემო, ისე ადამიანთა ყოფა. ერთხელ მასთან შემთხვევით ახალგაზრდა მოგზაური ხვდება. მოგზაური მოიხიბლება ბუფიეს საქციელით და წლების შემდეგ კვლავ ბრუნდება იმ ადგილებში. გარემო უკვე სახეცვლილი ხვდება. იქ მცხოვრებთა ყოფაც რადიკალურად არის შეცვლილი. ადამიანებს ბედნიერი ცხოვრება დაუბრუნდათ. თუმცა ელზეარ ბუფიე თავის საქმიანობას კვლავ ჯიუტად აგრძელებს.

ფილმი გვიჩვენებს, რამდენად დიდია ადამიანის გავლენა გარემოზე, ადამიანთა ყოფაზე. განსაკუთრებით ამაღელვებელია ელზეარის პირადი ტრაგედია. ეს არის კაცი, რომელსაც ყველა საყვარელი ადამიანი გარდაეცვალა და მარტოობაში ატარებს დარჩენილ დღეებს. თუმცა მან მარტოობისთვის განწირული ცხოვრება მისაბაძ მაგალითად აქცია.

ამ ფილმის ნახვით გამოწვეული ემოცია, მერწმუნეთ, ძალზე ძლიერია, ხოლო ფილმში რამდენიმე ძირითადი და დამატებითი თემის გამოყოფაა შესაძლებელი: გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება, ადამიანი და გარემო, ტყის მნიშვნელობა და ტყის გადარჩენა, პიროვნების ტრაგედია და როლი საზოგადოებაში...

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებთან ერთად შეარჩიოს აქტუალური თემები. ჯგუფები ჩამოწერენ ძირითად და დამატებით თემებს. პრეზენტაციის შემდეგ გეოგრაფიის მასწავლებელი აკეთებს პრეზენტაციას მოცემულ თემაზე (ლანდშაფტის ცნება, განსხვავება ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს შორის და სხვ.).

მასწავლებელი უბრუნდება მოსწავლეთა მიერ გამართულ პრეზენტაციებს და სვამს კითხვას: რა მნიშვნელოვანი ელემენტები გამორჩათ მათ? სასურველია, ხაზი გაესვას ელზეარ ბუფიეს პიროვნულ თვისებებს, ადამიანის როლს საზოგადოების განვითარებაში და ა. შ.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სავარაუდო კითხვებს: რის დანახვას ისურვებდით იმ ადგილას, სადაც ახლა ქალაქის მერია, საბჭოს ადმინისტრაციული შენობა, საავადმყოფო ან სხვა დაწესებულება დგას? სოფლად რომ ცხოვრობდეთ, როგორ გამოიყენებდით უპატრონო ცარიელ კარიერებს ან მიტოვებულ მაღაროებს?

ჯგუფები მართავენ ნამუშევრის პრეზენტაციას.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებად ყოფს.

სამუშაო რამდენიმე ნაწილისგან შედგება. თითოეული ნაწილის განსახორციელებლად საჭიროა რამდენიმე აქტივობა. მუშაობა ჯგუფებში მიმიდინარეობს.

მშენებლობის გეგმის შედგენა:

- შეკრიბეთ ინფორმაცია იმ ადგილის შესახებ, რომელიც ჯგუფმა აირჩია სამუშაოდ (ძველი და ახალი თბილისი, ბათუმი, ფოთი და ა. შ.). მოიძიეთ საგაზეთო სტატიები, ინტერნეტსაიტები.

ეს სავარჯიშო გაყოფილია 2 ნაწილად:

I ნაწილი – „მშენებლობა: რატომ და როგორ“ – ტარდება დისკუსიის ფორმით. II ნაწილში – „მშენებლობის გეგმის შედგენა“ – მოსწავლეები ადგენენ განვითარების პროექტს თავიანთ ლოკალურ გარემოში.

I ნაწილი. მშენებლობა: რატომ და როგორ?

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ადგილობრივი მშენებლობის განვითარების ისტორიას. აჩვენებს რუკებს და ფოტოებს იმის შესახებ დისკუსიის სტიმულირებისთვის, როგორ განვითარდა ადგილობრივი გარემო ბოლო 50-100 წლის განმავლობაში. საუბრობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ძალებზე, რომლებმაც ეს ცვლილებები განაპირობეს. იყო ცვლილებები პოზიტიური? ვისთვის და რატომ?
2. ჯგუფები ასახელებენ ცვლილებებს, რომლებიც მათ თვალწინ მოხდა. მაგალითად, შენობების გაფართოებას, სუპერმარკეტებისა და საცხოვრებელი სახლების აგებას. ვინ ისარგებლა ამ პროექტების განხორციელებით და როგორ? მაგალითად, აშენდა იაფი საცხოვრებელი სახლები ადგილობრივი მოსახლეობისთვის თუ ფინანსური კომპანიების ინვესტიციები დაიხარჯა მდიდრული აპარტამენტებისა და სადღესასწაულო შენობების ასაგებად?
3. ჯგუფები განიხილავენ რეგიონის მსხვილმასშტაბიან რუკას და შეარჩევენ ადგილს, სადაც ყველა მონაწილე მოისურვებს მუშაობას.

ნაწილი II. მშენებლობის გეგმის შედგენა

1. ჯგუფები განიხილავენ მოცემული ადგილის განვითარების ყველა შესაძლო გზას და სხვადასხვა ვარიანტის დადებით და უარყოფით მხარეებს.
2. მომდევნო ამოცანა თითოეული ჯგუფისთვის არის კონსენსუსამდე მისვლა იმის თაობაზე, როგორ განვითარდეს შერჩეული ადგილი; ქმნიან დიზაინს, შემდეგ – მაკეტს.
3. როდესაც ყველა მაკეტი მზად იქნება, თითოეული ჯგუფი თავის გეგმას წარმოადგენს.

ანალიზი და შეფასება

გეგმების განხილვისას მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს:

- რა ძირითადი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდით, როდესაც იღებდით გადაწყვეტილებას არჩეული ადგილის კეთილმოწყობის შესახებ? მაგალითად, ხარჯი, დრო, ძალისხმევა, მოგება, ადგილობრივი მოთხოვნილებები, – რომელ მათგანს ენიჭებოდა უპირატესობა?
- ითვალისწინებდა დასახული გეგმა ხალხის ინტერესებსა და ეკოლოგიურ პირობებს? რამდენად მტკიცე იყო ეს პროცესი?
- პასუხობდა გეგმა თითოეული ადგილობრივი მოსახლის ინტერესებს? ბავშვების, სხვადასხვა უმცირესობის ინტერესებს?
- რა რესურსები იქნება საჭირო გეგმის განსახორციელებლად?
- გამოიყენებოდა თუ არა განახლებადი რესურსები შეძლებისდაგვარად მათი რეალიზაციისთვის?
- რამდენად მომჭირნედ ხდებოდა არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება?
- როგორ გავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება ეკოსისტემაზე? მაგალითად, ითვალისწინებს თუ არა ის ველური ბუნების შენარჩუნებას?

ამ გაკვეთილის შემდეგ სასურველია დაიგეგმოს პროექტი, რომლის მიზანი ადგილობრივი გარემოს შეცვლაზე იქნება ორიენტირებული.

ეკოლოგიური წიგნიერება

მაია ბლიაძე

1. მსოფლიო რუკები ეკოლოგიური ინდექსის მიხედვით 99
2. მწვანე რევოლუცია 103
3. ბუნების საოცრებები, რომლებიც 2030 წელს, სავარაუდოდ, აღარ იარსებებს 107
4. კიოტოს ოქმი: ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის? 111

მსოფლიო რუკები ეკოლოგიური ინდექსის მიხედვით

ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსი (EPI – Environmental Performance Index) სახელმწიფოთა ეკოლოგიური, ანუ „მწვანე“ პოლიტიკის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის რაოდენობრივი შეფასების მეთოდია. EPI ქვეყნების ეკოლოგიური მაჩვენებლების ჩამონათვალისა და სტატისტიკური ინიციალიზაციის მეთოდიკაა მათი „მწვანე“ პოლიტიკის გათვალისწინებიოთ. EPI-ის მიხედვით ხდება ქვეყნების რანჟირება რამდენიმე კატეგორიად, რომლებიც ძირითადად ორ ჯგუფად ერთიანდება: ეკოსისტემის სიცოცხლის ხანგრძლივობა (Ecosystem Vitality) და ეკოლოგიური ჯანმრთელობა (იგივე ეკოლოგიური რაციონალურობა).

იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური პოლიტიკისა და მართვის ცენტრმა (Yale Center for Environmental Law and Policy) კოლუმბიის უნივერსიტეტსა და მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმთან ერთად უკვე ათ წელიწადზე მეტია შეიმუშავა საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსი. 2000 წელს მათ ერთად გამოაქვეყნეს EPI-ის წინამორბედი – ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსი. ამ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური კურსის კორექტირებას მდგრადი განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით. ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის დადგენა იყო პირველი მცდელობა, შეეფასებინათ მსოფლიოს ქვეყნები ეკოლოგიური მდგრადობის რამდენიმე კრიტერიუმით, მათ შორის – ბუნებრივი რესურსების მარაგებით, გარემოს დაბინძურების დონით წარსულსა და აწმყოში, გარემოსდაცვითი ღონისძიებებით. 2006 წელს ეს მაჩვენებელი ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსით შეიცვალა, რომელიც იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების მკვლევართა ჯგუფმა შეიმუშავა. წინა მაჩვენებლისგან განსხვავებით, ეს ინდექსი აღარ ზომავდა მდგრადობას და მის ნაცვლად აფასებდა ეკოლოგიურ ეფექტურობას. EPI კონცენტრირებულია ქვეყნებში არსებულ „მწვანე“ პოლიტიკასა და მის შედეგებზე. ანგარიში ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება.

ინდექსის მეთოდოლოგია ისეა შემუშავებული, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ, შეადარონ თავინთი მიღწევები და ნაკლოვანებები სხვა ქვეყნების ანა-

ლოგიურ მაჩვენებლებს. შედარება ხდება 10 მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც ორ ძირითად ეკოლოგიურ ჯგუფად იყოფა: 1. ეკოლოგიური ჯანმრთელობა, ანუ გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე; 2. ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება. ამ ჯგუფებში შედის შემდეგი 10 მაჩვენებელი: ეკოლოგიური ჯანმრთელობა, ჰაერის დაბინძურება და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჰაერის დაბინძურება და გავლენა ეკოსისტემის მდგომარეობაზე, წყალი (გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე), წყლის რესურსები (გავლენა ეკოსისტემის მდგომარეობაზე), ბიომრავალფეროვნება, ტყე, თევზჭერა, სოფლის მეურნეობა, კლიმატის ცვლილება და ენერგეტიკა.

ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსი

ჯგუფი	**ეკოლოგიური ჯანმრთელობა (30%)**		
პოლიტიკური კატეგორია	**ეკოლოგიური ჯანმრთელობა (15%)**	ჰაერის დაბინძურება და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე(7,5 %)	წყალი (ეფექტი ადამიანის ჯანმრთელობაზე (7,5%)
ინდიკატორი	1. ბავშვთა სიკვდილიანობა (15%)	2. მყარი ნაწილაკები (3,75 %) 3. ჰაერის დაბინძურება შენობა-ნაგეგობებში (3,75 %)	4. სანიტარიის ხელმისაწვდომობა (3,75 %) 5. სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა (3,75 %)
ჯგუფი	**ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობა (70%)**		
პოლიტიკური კატეგორია	ჰაერი (ეფექტი ეკოსისტემაზე) (8,75 %)	წყლის რესურსები(ეფექტი ეკოსისტემაზე) (8,75 %)	ბიომრავალ ფეროვნება (17,5 %)
ინდიკატორი	6. SO2 1 სულ მოსახლეზე (4,38%) 7. SO2-ის დამოკიდებულება მშპ-სთან (4,38%)	8. წყლის ხარისხის შეცვლა (8,75%)	9. საარსებო გარემოს დაცვა(4,38 %) 10. ბიომის დაცვა(8,75 %) 11. საზღვაო დაცული რაიონები (4,38 %)
პოლიტიკური კატეგორია	**სოფლის მეურნეობა (5,83 %)**	ტყე (5,83 %)	თევზჭერა (5,83 %)
ინდიკატორი	12. სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიები(3,89 %) 13. პესტიციდების რეგულირება (1,94 %)	14. ტყის რესურსების მარაგი (1,94 %) 15. ტყის ფართობების ცვლილება (1,94 %) 16. ტყის საფარის დაკარგვა (1,94 %)	17. თევზჭერასანაპირო შელფზე (2,92 %) 18. თევზის რესურსების ექსპლუატაცია (2,92 %)

პოლიტიკური კატეგორია	**კლიმატისა და ენერგეტიკის ცვლილება (17,5%)**		
ინდიკატორი	19. CO_2 1 სულ მოსახლეზე (6,13%) 20.CO2-ის დამოკიდებულება მშპ-სთან (6,13 %) 21. CO_2-ის რაოდენობა კილოვატ/საათზე (2,63%) 22.მთლიან წარმოებულ ელექტროენერგიაში აღდ-გენადი ელექტროენერ-გიის პროცენტი (2,63 %)		

თითოეული ინდიკატორის მიხედვით ქვეყანას ენიჭება ქულა. ქულების რაოდენობა დამოკიდებულია სახელმწიფოს პოზიციაზე იმ დიაპაზონის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება ამ ინდიკატორების ყველაზე უარეს მაჩვენებელსა (0 სტაბილურ სკალაზე) და სასურველ მიზანს (100 ქულის ეკვივალენტი) შორის. სასურველი მიზანი შესაძლებელია დადგინდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, მაგ., სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების, პროფესიული დასკვნებისა და სხვა წყაროების მიხედვით.



რუკაზე შინდისფერით აღნიშნულია ქვეყნები, სადაც ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსი ძალიან დაბალია, ხოლო მწვანე ფერით – ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი მაღალია.

უკანასკნელი მონაცემები 2014 წლის 25 იანვარს გახდა ცნობილი დავოსის ფორუმზე. რეიტინგების დადგენაში 178 ქვეყანა მონაწილეობდა. ცხრილში მოცემულია პირველ და ბოლო ათეულებში შემავალი ქვეყნები. საქართველო 101-ე ადგილზეა 47.23 ქულით.

	ადგილი და ქვეყანა	ქულა		ადგილი და ქვეყანა	ქულა
1.	შვეიცარია	87.67	169.	ბანგლადეში	25.61
2.	ლუქსემბურგი	83.89	170.	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	25.01
3.	ავსტრალია	82.4	171.	სუდანი	24.64
4.	სინგაპური	81.78	172.	ლიბერია	23.95
5.	ჩეხეთი	81.47	173.	სიერა-ლეონე	21.74
6.	გერმანია	80.47	174.	ავღანეთი	21.57
7.	ესპანეთი	79.79	175.	ლესოტო	20.81
8.	ავსტრია	78.32	176.	ჰაიტი	19.01
9.	შვედეთი	78.09	177.	მალი	18.43
10.	ნორვეგია	78.05	178.	სომალი	15.47

EPI ყოველ ახალ მოხსენებაში ევოლუციას განიცდის. მაგ., 2012 წელს EPI-სთან ერთად გამოქვეყნდა ეკოლოგიური ეფექტურობის ტენდენციური ინდექსი, ანუ ისტორიული EPI, რომლის მიხედვითაც ქვეყნების რანჟირება მოხდა ბოლო ათწლეულში მათი ეკოლოგიური მიღწევების მიხედვით. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომელ ქვეყნებში გაუმჯობესდა ეკოლოგიური მდგომარეობა დროთა განმავლობაში და სად გაუარესდა. ისტორიული EPI-ს მიხედვით, ლიდერი ქვეყანაა ნიგერი, რომელმაც მაჩვენებელი 45.88%-ით გააუჯობესა და რეიტინგში 142-ე ადგილი დაიკავა, ხოლო სიტუაცია ყველაზე მეტად გაუარესდა ბაჰრეინსა (–4.09% და 82-ე ადგილი) და კატარში – (1.33% და 44-ე ადგილი).

მწვანე რევოლუცია

მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში ამერიკელმა უილიამ გაუდიმ საერთაშორისო ლექსიკონში ახალი ტერმინი – „მწვანე რევოლუცია“ დაამკვიდრა. ეს კომპლექსური, მრავალკომპონენტიანი ცნებაა, რომელიც უპირველესად განვითარებად ქვეყნებს ეხებოდა. მწვანე რევოლუცია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების მასობრივი დანერგვის პროცესია სოფლის მეურნეობაში. იგი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ახალი აგროტექნოლოგიების, მანქანა-იარაღების, მოწყობილობების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების დანერგვის გზით ხორციელდება.

მწვანე რევოლუციამ სტარტი 1943 წელს მექსიკაში აიღო მექსიკის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პროგრამის ფარგლებში და როკფელერის ფონდის დახმარებით.

მწვანე რევოლუციის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ამერიკელმა ბიოლოგმა, 1970 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ნორმან ბორლოგიმ, რომლის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ღატაკი ქვეყნების სურსათით მომარაგების გაუმჯობესებას და ათასობით ადამიანი შიმშილით სიკვდილისგან გადაარჩინა. მისი სამეცნიერო ნაშრომების წყალობით შესაძლებელი გახდა მაღალი გამძლეობისა და მაღალმოსავლიანი მცენარეული კულტურების გამოყვანა. დაავადებების მიმართ რეზისტენტული ხორბლის ეს ჯიშები ბევრად მეტ მოსავალს იძლეოდა, ვიდრე ჩვეულებრივი ჯიშები და ბევრად უკეთ რეაგირებდა სასუქებზე. მოგვიანებით მან და მისმა კოლეგებმა იგივე მეთოდები გამოიყენეს აზიაში ბრინჯისა და სიმინდის მოსავლიანობის გასაზრდელად. მაგალითად, 1968 წელს ინდოეთში ხორბლის, ფილიპინებზე კი ბრინჯის რეკორდული მოსავალი იქნა მოწეული.

ასეთმა ახალმა ჯიშებმა შესაძლებელი გახადა განვითარებად ქვეყნებში სურსათის დეფიციტის დაძლევა და საკვების წარმოების საგრძნობლად გაზრდა. ეს პროცესი ისტორიაში „მწვანე რევოლუციის“ სახელით შევიდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში არაფერია რევოლუციური, რადგან ამ მიზნის მიღწევას ადამიანები დიდხანს ცდილობდნენ. ამიტომ უპრიანი და სწორი იქნებოდა, მისთვის რევოლუციის ნაცვლად ევოლუცია დაგვერქმია. სხვათა შორის, მსგავსი ევოლუცია ბევრად უფრო ადრე განხორციელდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში: XX ს-ის 30-იან წლებში აშშ-ში, კანადაში, გაერთიანებულ სამეფოში, 50-იან წლებში კი – დასავლეთ ევროპაში, იაპონიასა და ახალ ზელანდიაში. თუმცა მაშინ მას სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას უწოდებდნენ, რადგან ამ პროცესს საფუძვლად ედო მექანიზაცია და ქიმიზაცია, რომელიც შერწყმული იყო ირიგაციასთან და სელექციურ მუშაობასთან. მხოლოდ მე-20 ს-ის მეორე ნახევარში, როცა ანალოგიური პრობლემები შეეხო განვითარებად ქვეყნებს, ეს პროცესი „მწვანე რევოლუციად" მოინათლა.

ამერიკელი ეკოლოგი ტეილორ მილერი ორ მწვანე რევოლუციას გამოყოფდა: 1 – განვითარებულ ქვეყნებში და 2 – განვითარებად ქვეყნებში. რუკაზე ნაჩვენებია ორივე „მწავნე რევოლუციის" გეოგრაფიული გავრცელების არეალი. ნათლად ჩანს, რომ მეორე მწვანე რევოლუციამ 15 ქვეყანაზე მეტი მოიცვა მექსიკიდან კორეამდე გადაჭიმულ სარტყელში. აქ აშკარად ჭარბობს აზიის ქვეყნები, მათ შორის, მოსახლეობის რაოდენობით დიდი სახელმწიფოები, სადაც ხორბალი და/ან ბრინჯი ძირითადი საკვები კულტურაა. ამ ქვეყნების მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ ისედაც ნაყოფიერებადაქვეითებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დიდი დატვირთვა გამოიწვია. მე-20 ს-ის 60-70-იან წლებში ამ ქვეყნებში დაახლოებით 300 მლნ. ოჯახი ან ქრონიკულად შიმშილობდა, ან გადარჩენის ზღვარზე იმყოფებოდა. სწორედ ამიტომ „მწვანე რევოლუცია" მათ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის გზად აღიქვეს.

მწვანე რევოლუცია განვითარებად ქვეყნებში სამ მთავარ კომპონენტს მოიცავს. ესენია:

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანა. ამ მიზნით მე-20 ს-ის 40-90 წლებში შეიქმნა 18 საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლებიც სხვადასხვა კულტურის გამოყვანაზე იყვნენ ორიენტიურებული. ესენია: მექსიკა – ხორბალი და სიმინდი; ფილიპინები – ბრინჯი; კოლუმბია – ტროპიკული სასურსათო კულტურები; ნიგერია – ჰუმიდური და სუბჰუმიდური ტროპიკული რეგიონების სასურსათო კულტურები, კოტ-დ'ივუარი – ბრინჯი, პერუ – კარტოფილი, ინდოეთი – მშრალი

ტროპიკული რეგიონების საკვები კულტურები და სხვ. ამ ცენტრებს შორის ყველაზე ცნობილია პირველი ორი.

2. მწვანე რევოლუციის მეორე კომპონენტი ირიგაციაა. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მარცვლეული კულტურების ახალ ჯიშებს თავისი პოტენციალის რეალიზება მხოლოდ კარგი წყალმომარაგების პირობებში შეუძლიათ. ამიტომაც მწვანე რევოლუციის დაწყებასთან ერთად ბევრ განვითარებად ქვეყანაში, უპირველესად კი აზიაში, მორწყვას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციეს.
   ამჟამად მსოფლიოში სარწყავი მიწები 19%-ს შეადგენს, მაგრამ ზუსტად მწვანე რევოლუციის გავრცელების რაიონებში იგი ბევრად მეტია: სამხრეთ აზიაში – დაახლოებით 40%, ხოლო აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში – 35%. რაც შეხება ცალკეულ ქვეყნებს, ამ მაჩვენებლით მსოფლიოში ლიდერობენ ეგვიპტე (100%), თურქმენეთი (88%), ტაჯიკეთი (81%) და პაკისტანი (80%). ჩინეთში ირწყვება მთელი დამუშავებული მიწების თითქმის 37%, ინდოეთში – 32%, მექსიკაში –23%, ფილიპინებში, ინდონეზიასა და თურქეთში – 15–17%.
3. მწვანე რევოლუციის მესამე კომპონენტია თავად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, ანუ მანქანების, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება. ამ მიმართულებით განვითარებადმა ქვეყნებმა, მათ შორის „მწვანე რევოლუციის“ ქვეყნებმა, განსაკუთრებულ პროგრესს ვერ მიაღწიეს.

მწვანე რევოლუციის დადებითი მხარეები უდავოა. მთავარი კი ისაა, რომ მან საკმაოდ მცირე დროში სურსათის წარმოების ზრდა გამოიწვია, როგორც მთლიანად, ისე 1 სულ მოსახლეზე. ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ სასურსათო პრობლემა საკუთარი მარცვლეული კულტურების წარმოებით მოაგვარა.

მსოფლიო სასურსათო ორგანიზაცია FAO-ის (http://www.fao.org/home/en/) მონაცემებით, 1966-1974 წლებში აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის 11 ქვეყანაში ბრინჯით დაკავებული სავარგულები მხოლოდ 15%-ით გაიზარდა, ხოლო მისი მოსავალი – 74%-ით. ანალოგიური მაჩვენებლები აქვს ხორბალს აზიის 7 ქვეყანასა და ჩრდილოეთ აფრიკაში – მინუს 4% და 24%. ყოველივე ამას კი მოჰყვა სასურსათო პრობლემის სიმწვავისა და შიმშილის საფრთხის შემცირება. დადებითია ისიც, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 2-3-ჯერ გაიზარდა და ასევე გაიზარდა მოთხოვნილება სასუქებსა და მანქანა-დანადგარებზე.

სხვათა შორის, „მწვანე რევოლუცია“ საკუთარი წარმატების მსხვერპლი გახდა. 60-იანი წლებიდან სურსათის წარმოების ზრდამ საკვები გააიაფა, მაგრამ ამავე დროს გამოიწვია სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევასა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების შემცირება. თავის მხრივ, ამას შედეგად მოჰყვა პროდუქტიულობის ზრდის ტემპის შენელება.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, მინერალური სასუქებისა და პესტიციდების ფართო გამოყენების გამო წარმოიშვა ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები. მიწების ინტენსიფიკაციამ დაარღვია ნიადაგის წყლის რეჟიმი, რამაც გამოიწვია მასშტაბური დამლაშება და გაუდაბნოება.

დღეს მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. მთელ რიგ რეგიონებში კლიმატურმა ცვლილებებმა, წყლის დეფიციტმა და ბიოლოგიური საწვავის წარმოების გაზრდამ კვლავ გაზარდა სურსათზე მოთხოვნილება. ამიტომ უკანასკნელ ხანებში კვლავ გაისმის მოწოდებები, რომ კაცობრიობას ახალი „მწვანე რევოლუცია“ სჭირდება.

ბუნების საოცრებები, რომლებიც 2030 წელს, სავარაუდოდ, აღარ იარსებებს

ტურისტულმა პორტალმა Budget Travel იმ ღირსშესანიშნაობათა სია შეადგინა, რომლებიც 2030 წლისთვის, სავარაუდოდ, აღარ იარსებებს. CNN-ის ინფორმაციით, მათი მოსალოდნელი გაქრობა ტურისტების დამატებით ნაკადს მიიზიდავს. ტურისტულმა ნაკადებმა შესაძლოა ორმხრივი გავლენა მოხდინონ ბუნებაზე: ერთი მხრივ, ისინი გააუარესებენ დედამიწის ამ უნიკალური ადგილების ეკოლოგიურ მდგომარეობას, მეორე მხრივ კი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შესაძლოა ბუნების ამ საოცრებათა გადასარჩენად გამოიყენოს.

განვიხილოთ ჩვენი პლანეტის ეს ღირშესანიშნაობები.

ბელიზის ბარიერული რიფი (ინგლ. Belize Barrier Reef) მარჯნის რიფების 280-კილომეტრიანი ზოლია და ბელიზის სანაპიროდან 13-24 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. იგი მეზოამერიკული ბარიერული რიფის შემადგენლობაში შედის და 900 კილომეტრზეა გადაჭიმული იუკატანიდან გვატემალის სანაპირომდე. ეს რიფი უდიდესია ატლანტის ოკეანეში და მეორე მსოფლიოში, ავსტრალიის აღმოსავლეთით მდებარე დიდი ბარიერული რიფის შემდეგ. სამწუხაროდ, ბელიზის ბარიერული რიფი მნიშვნელოვნად დაზიანდა ჯერ კიდევ 1998 წელს, როცა საკმაოდ ბევრ ადგილას მარჯნების 50% დაკარგა. მიუხედავად გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა, რიფების ეკოსისტემა მუდმივად საფრთხეშია და მარჯნები დღესაც აგრძელებენ გაუფერულებას, რაც როგორც გლობალური დათბობის, ისე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის, კერძოდ, არაკონტროლირებადი ტურიზმის, ნაოსნობისა და თევზჭერის შედეგია. რიფი 1996 წელს შეიტანეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

კონგოს ქვაბულს, ამაზონის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია ჯუნგლებით (ნოტიო ტროპიკული ტყეებით) დაფარული ტერიტორიის ზომით. გაეროს ექსპერტთა მონაცემებით, 2040 წლისთვის ამ ტყეების უნიკალური ფლორის 2/3 გაქრება და გადაშენდება, თუ მათ დასაცავად დროულად არ იქნა მიღებული

სათანადო და ეფექტური ზომები. ტყეებს უმოწყალოდ ჩეხავენ საძოვრების, მაღაროების მოსაწყობად, ტყით დაფარული ტერიტორიის ფართობის შემცირება კი კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მკვდარი ზღვა გაუმდინარი მლაშე ტბაა, რომელიც ისრაელისა და იორდანიის საზღვარზე მდებარეობს და გჰორის ტექტონიკური ღრმულის ყველაზე დაბალი ნაწილი უკავია. მკვდარი ზღვა ხმელეთის ყველაზე ღრმა ადგილია, რომლის წყლის დონე ზღვის დონიდან – 423 მ-ზე მდებარეობს და ყველაზე მლაშე ტბაა დედამიწაზე. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მკვდარი ზღვის ფართობი მესამედით შემცირდა და 24 მეტრით უფრო წყალმარჩხი გახდა. ძველი პლაჟები უკვე 1.5 კმ-ით არის დაშორებული სანაპირო ხაზს. წყალი მკვდარ ზღვაში მხოლოდ მდინარე იორდანეს ჩააქვს, მისი მოსაზღვრე ქვეყნები კი მდინარის წყალს უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებენ. ექსპერტთა ვარაუდით, 50 წლის შემდეგ მკვდარი ზღვა საერთოდ გაქრება, მით უმეტეს, რომ კოსმეტიკური და პარფიუმერიული ფირმები მუდმივად ამცირებენ ზღვის ფსკერის მინერალურ მარაგს.

ევერგლეიდის ეროვნული პარკი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთით, ფლორიდის შტატში მდებარეობს. ის 1947 წლის 6 დეკემბერს დაარსდა და მისი ფართობი 6 105 კმ^2-ს შეადგენს. იგი სიდიდით მესამე ეროვნული პარკია შეერთებულ შტატებში. ევერგლეიდის ეროვნული პარკის მთავარი დანიშნულებაა, შეინარჩუნოს ამ ტერიტორიაზე არსებული უნიკალური ეკოსისტემა. პარკს ამ მხარეში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციაც აქვს. ყოველწლიურად ამ ტერიტორიას მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს. 1976 წელს იუნესკომ ევერგლეიდი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა. პარკში მობინადრე 36 სახეობის ცხოველი გადაშენების პირასაა მისული. მათგან აღსანიშნავია ფლორიდული პუმა, ამერიკული ნიანგი და სხვები. პარკის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ჭაობებს უკავია, რომლებიც ძლიერაა დაბინძურებული ირგვლივ მდებარე ფერმების მიერ. გარდა ამისა, ადგილობრივი წყლის 60%-ს ახლომდებარე ქალაქებისა და ფერმების წყლით უზრუნველყოფისთვის იყენებენ. აღსანიშნავია, რომ პარკი ერთადერთი ადგილია, სადაც ბინადრობს ფლორიდული პუმა, რომლის რაოდენობა 1900 წლიდან დღემდე 2-ჯერ შემცირდა. ვარაუდობენ, რომ მომდევნო 40 წლის განმავლობაში ფლორიდული პანტერა და 20 სხვა სახეობის ცხოველები საერთოდ გაქრებიან. 2010 წელს, იუნესკოს 34-ე სესიაზე, ევერგლეიდის ეროვნული პარკი ეკოსისტემის სერიოზული დეგრადაციის გამო საფრთხეში მყოფი ძეგლების სიაში შეიტანეს.

მადაგასკარი აფრიკის კონტინენტთან, ინდოეთის ოკეანეში მდებარე ყველაზე დიდი კუნძულ-სახელმწიფოა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში კუნძულზე ტყის ფართობი საგრძნობლად შემცირდა და თუ სათანადო ზომები დროულად არ იქნა მიღებული, ექსპერტთა ვარაუდით, უკვე 40 წლის შემდეგ მადაგასკარის ტროპიკული ტყეები მთლიანად გაიჩეხება ან დაიწვება, ტყის ბინადარნი დაიღუპებიან და საერთოდ, შესაძლოა, კუნძული ტყეების გარეშე დარჩეს. დაცულ ტერიტორიებს კუნძულის მხოლოდ 5% უკავია, რის გამოც ცხოველები ადვილად ვერ მიგრირებენ მადაგასკარის ტერიტორიაზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კუნძულის ბინადარი ზოგიერთი სახეობა ჯერაც არ არის შესწავლილი და რეგისტრირებული და შესაძლოა ისე გადაშენდეს, რომ მათი შესწავლა ვერც კი მოესწროს. იუნესკომ კუნძულის ტყეები გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში შეიტანა.

115 298 კმ^2 ფართობის მქონე მალდივის კუნძულები ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს. მალდივის არქიპელაგი 1190 მცირე კუნძულს – ატოლს მოიცავს, რომელთაგან მხოლოდ 220-ია დასახლებული. ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ეს კუნძულები ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 764 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით 130 კმ-ზეა გადაჭიმული. კუნძულები ძველი ჩაძირული ვულკანური მთების მწკრივს წარმოადგენს. თუ გლობალური დათბობა გაგრძელდა, მალდივის კუნძულები, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 1.8-2 მეტრს არ აღემატება, დაიტბორება. 2008 წელს მალდივის რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ისინი იწყებენ მიწების შესყიდვას სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ინდოეთში, რათა საკუთარი მოქალაქეები იქ დაასახლონ, 2009 წელს კი ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობის სხდომა წყლის ქვეშ ჩაატარა, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მოსალოდნელი საშიშროებისთვის და მსოფლიოს ყურადღებაა მიეპყრო.

ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლარული რაიონები, ანუ არქტიკა და ანტარქტიდა, მრავალი გეოგრაფიული ობიექტის მსგავსად, ასევე გლობალური დათბობის მსხვერპლია. შესაბამისად, საფრთხე ემუქრება მათ ისედაც მწირ ფლორასა და ფაუნას, რადგან პოლარული ყინულების დნობის შედეგად იღუპება მთელი ეკოსისტემები, კვებითი ჯაჭვების ჩათვლით. მაგალითად, ანტარქტიდის საიმპერატორო პინგვინების 80%-ს დაღუპვა ემუქრება, არქტიკაში კი საფრთხე ექმნებათ თეთრ დათვებს. მეცნიერთა პროგნოზით, ყინულის ახალი მასივების ფორმირება ანტარქტიდაში 20-40 წლის განმავლობაში შეწყდება.

ტახუამანუს ჯუნგლები სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო პერუს სამხრეთ-აღ-მოსავლეთ რეგიონში, მადრე დე დიოსის პროვინციაში მდებარეობს. ეს ჯუნ-გლები წითელი ხის მარაგით გამოირჩეოდა, თუმცა უკონტროლო გაჩეხვის გამო მათი მარაგი უფრო და უფრო მცირდება. აშშ წითელი ხის თითქმის 80%-ს ყიდულობს. თითოეული ხისგან მილიონობით დოლარის ღირებულების ავეჯი მზადდება. ტყეების გაჩეხვის შედეგად ნადგურდება ეკოსისტემა. ვითარებას არ-თულებს ისიც, რომ აქ ოქროს მოიპოვებენ, რის გამოც ბინძურდება ჰაერი და წყალი.

ჩინეთის მდინარე იანძი ყველაზე გრძელი მდინარეა აზიაში და მესამეა მსოფ-ლიოში. მისი სიგრძე 6 418 კმ-ია. მდინარე სათავეს ტიბეტის მთიანეთში იღებს და ქალაქ შანხაის სიახლოვეს, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ჩაედინება. იან-ძი ასევე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წყალუხვი მდინარეა. მის აუზში ჩი-ნეთის მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს. მრავალმა მკვლევარმა და ჩინეთის ოფიციალურმა პირებმა უკვე აღიარეს, რომ იანძის აუზში გავრცელე-ბული ფლორისა და ფაუნის სახეობებს გადაშენება ემუქრება, ამის მიზეზი კი ტყეების უკონტროლო ჩეხვა, კაშხლების მშენებლობა და დიდი წყალსაცავე-ბის შექმნაა.

კიოტოს ოქმი: ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის?

თანამედროვე ტიპის ეკონომიკის განვითარებას თან სდევს გარემოს დაბინძურება და კლიმატის ცვლილება (გლობალური დათბობა). კლიმატის ცვლილება დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენისა და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესია. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში 0.74 ± 0.18°C-ით გაიზარდა. კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ჯგუფის ექსპერტთა IPCC-ის (Intergovernmental Panel on Climate Change, http://www.ipcc.ch) დასკვნით, დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან, სავარაუდოდ, განპირობებულია ანთროპოგენური, ანუ ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით, რის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს. ამავე ორგანიზაციის მოსაზრებით, 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1-6,4°C-ით. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი ეს დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი წონასწორობის აღდგენა და საშუალო ტემპერატურის დასტაბილურება.



ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობა, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

საერთაშორისო ორგანიზაციამ Global Humanitarian Forum (http://www.ghf-ge.org/) გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობაა დასახელებული. ამის შესახებ „New Scientist" წერს. მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება. საქმე ის არის, რომ კლიმატის ცვლა იწვევს ისეთი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების გახშირებას, როგორიცაა გვალვა და წყალდიდობა. გარდა ამისა, ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაზეც, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. Global Humanitarian Forum-ის მონაცემებით, სიკვდილიანობის დიდი წილი (90%) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 ათასამდე გაიზრდება.

ჯერჯერობით უცნობია, დედამიწის რომელი რეგიონი დაზარალდება უფრო მეტად ამ ცვლილებების შედეგად. ამიტომ 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე „გარემო და განვითარება", მსოფლიოს 156 სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა გაეროს ჩარჩო-ხელშეკრულებას კლიმატის ცვლილების შესახებ, რომლის მიზანი იყო ადამიანისთვის სახიფათო კლიმატის ცვლილების, გლობალური დათბობის, საწინააღმდეგო ზომებისა და ღონისძიებების შემუშავება. მოგვიანებით ამ კონვენციას მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა შეუერთდა.

გაეროს კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდისა და ამით გამოწვეული გლობალური დათბობის შეჩერება.

ხელშეკრულების საწყისი ვარიანტი, ე.წ. ჩარჩო-კონვენცია, სათბური აირების გაფრქვევის კონკრეტულ ზღვრებს არ ადგენს. ასეთი ზღვრები დგინდება ქვეხელშეკრულებებით, ე.წ. ოქმებით (პროტოკოლებით). კიოტოს ოქმი მიიღეს

იაპონიის ქალაქ კიოტოში 1997 წლის 11 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს. ოქმის განხორციელების დეტალური წესები დადგენილ იქნა 2001 წელს მაროკოში, კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის მე-7 სესიაზე და ცნობილია მარაკეშის შეთანხმების სახელით. კიოტოს ოქმს საქართველო 1999 წლის ივნისში შეუერთდა.

კიოტოს ოქმი გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმებაა. ოქმის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის დასტაბილურება ისეთ დონეზე, რომელიც დედამიწის კლიმატისთვის საშიში არ იქნება. კონვენციისგან განსხვავებით, კიოტოს ოქმი ქვეყნებისთვის სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითოეული ქვეყნისთვის – განსხვავებულ) ზღვრებს (ლიმიტებს, კვოტებს) ადგენს. ქვეყნებს ეძლევათ უფლება, გაფრქვევათა შემცირების ნაწილი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეასრულონ, ანუ, ფაქტობრივად, კვოტებით ივაჭრონ. კიოტოს ოქმის მთავარი თავისებურება ის არის, რომ ოქმი ადგენს ინდუსტრიალიზებული ქვეყნებისთვის სათბურის აირების შემცირების სავალდებულო მიზნებს. ეს გამოიხატება 2008-2012 წლებისთვის ემისიების საშუალოდ 5%-ით შემცირებით 1990 წლის დონესთან შედარებით.

კიოტოს ოქმი ბუნებრივ გარემოსთან მიმართებით ერთადერთი რეალურად მოქმედი მექანიზმია, ჩარჩო-დოკუმენტია იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც მიმართულია ატმოსფეროში ადამიანის მოქმედების შედეგად მოხვედრილი ნახშირორჟანგის მოცულობის სტაბილიზაციისა და შემცირებისკენ. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველაზე დიდი ვალდებულება, 2008-2012 წლებისთვის განსაზღვრული პროცენტით შეამცირონ სათბურის აირთა ემისია 1990 წლის დონესთან შედარებით, იკისრეს ევროგაერთიანებამ (8%), აშშ-მ (7%) და იაპონიამ (6%). რუსეთმა, უკრაინამ და ახალმა ზელანდიამ იკისრეს ვალდებულება, მოახდინონ ემისიების სტაბილიზაცია 1990 წლის დონეზე. საბოლოო ჯამში, ამ ოქმის რეალიზაციის შედეგად ნახშირორჟანგის ემისია სულ 5%-ით უნდა შემცირდეს. ეს ვალდებულებები საერთოდ არ ეხება განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის - ჩინეთს, რომელიც აშშ-ის შემდეგ ნახშირორჟანგის ყველაზე დიდი მწარმოებელია დედამიწაზე და ინდოეთს, რომელიც მას დიდად არ ჩამორჩება. საბოლოო ჯამში, ეს ორი ქვეყანა, როგორც ჩანს, მრავალჯერ გადაჭარბებს ნახშირორჟანგის ემისიის იმ შემცირებას, რომელსაც განვითარებული ქვეყნები დიდი ჯაფის შედეგად მიაღწევენ.



კიოტოს ოქმის ხელისმომწერი ქვეყნები 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით

- ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოქმს და ამავე დროს მოახდინეს მისი რატიფიკაცია
- ქვეყნები, რომლებიც შევიდნენ 1-ელ და მე-2 დანართებში
- ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოქმს, მაგრამ არ მოუხდენიათ მისი რატიფიკაცია
- ქვეყნები, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ოქმზე ხელის მოწერისა და მისი რატიფიცირების გადაწყვეტილება
- ქვეყნები, რომლებიც გავიდნენ კონვენციიდან

კიოტოს ოქმი ემისიების გლობალური შემცირებისკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და უზრუნველყოფს არსებით სტრუქტურას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სამომავლო საერთაშორისო ხელშეკრულებებისთვის.

იმის აღიარებით, რომ სათბურის აირების არსებულ მაღალ დონეებზე უმთავრესად პასუხისმგებელნი არიან განვითარებული ქვეყნები 150-წლიანი აქტიური სამრეწველო საქმიანობის გამო, ოქმი მათ „საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის პრინციპიდან“ გამომდინარე ვალდებულებებს აკისრებს.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ კიოტოს ოქმის ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაშიც კი არ არსებობს გარანტია, რომ ტემპერატურის ზრდის ტემპი შესამჩნევად შენელდება, ამიტომ მრავალი კრიტიკოსი და მწვანეთა მოძრა-

ობის ლიდერი ეჯვქვეშ აყენებს ოქმის მნიშვნელობას, თუ მას გამონაბოლქვების უფრო მნიშვნელოვანი შემცირება არ მოჰყვა.

ოქმის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და რომ UNFCCC-ის მოთხოვნები მომავალშიც გადაიხედება, როცა უკვე აშკარა იქნება ამ შეთანხმების პირველი შედეგები. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს უფროსის, გიორგი ლაზრიევის აზრით, საქართველოში კლიმატის ცვლილების ყველაზე ნეგატიური ზემოქმედება გამოვლინდება შავი ზღვის სანაპირო ზოლში ხმელეთის დატბორვითა და მტკნარი წყლის დაბინძურებით.

კლიმატის ცვლილების ყველაზე უარყოფითი შედეგი აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურის ზრდა და გვალვიანობის ინტენსივობის მატება იქნება. ამას დაემატება ჰაერის ტემპერატურის მაღალ მნიშვნელობათა გახშირება (განსაკუთრებით – მარცვლოვანი კულტურების მომყვან რაიონებში), რაც საგრძნობლად შეამცირებს მოსავლიანობას. ასევე მოსალოდნელია ვაზის კულტურის მოსავლიანობის შემცირება კახეთის რაიონებში. გახშირდება და უფრო ინტენსიური გახდება საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები – გვალვები და წყალდიდობები.

სემიოტიკური კომპეტენციები

ცირა ბარბაქაძე

1. სემიოტიკა – მეცნიერება, მეთოდოლოგია, მსოფლხედვა 119
2. რა არის ნიშანი? 123
3. სემიოტიკა და სიღრმისეული სემიოტიკა 127
4. ენა – უნივერსალური მულტისემიოტიკური სისტემა 131
5. როგორ წავიკითხოთ ერთი ლექსი სამ სემიოტიკურ ენაზე 136
6. რა არის ვიზუალიზაცია, ანუ რატომ უნდა იფიქროთ სახეებით? 140
7. აზრი ღრუბელია და წვიმა – სიტყვები... 144
8. სისხლის სემიოტიკა 148
9. ვარსკვლავების სემიოტიკა ანა კალანდაძის პოეზიაში 153

სემიოტიკა – მეცნიერება, მეთოდოლოგია, მსოფლხედვა

ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყველაფერი ნიშანია... ადამიანები, ფაქტები, მოვლენები ყოველთვის ტოვებენ „ნაკვალევს“... მაგრამ თავისთავად ნიშნები არაფერს ნიშნავს... ისინი ატარებენ ინფორმაციას და სწორედ ამ ინფორმაციის გასაშიფრად ჩვენი გონება ისევ ნიშნებით ოპერირებს. ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ მხოლოდ ნიშნების მეშვეობით... ვიფიქროთ ნიშნებით... არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენი ფიქრი ვერბალურია თუ ვიზუალური... ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს განსხვავებული სისტემის ნიშნებთან.

> სხვათა შორის, საინტერესოა, თქვენ როგორ ფიქრობთ? სიტყვებით თუ სურათებით...? ან ამ სურათებს როგორ ხედავთ? როგორც სტატიკურ, ფოტოგრაფიულ კადრებს, თუ როგორც კინემატოგრაფიულ კადრს...? იქნებ, უბრალოდ, თქვენი ფიქრი დაკავშირებულია მელოდიების მონაცვლეობასთან...?

სემიოტიკის სამყარო ნიშნების სამყაროა, სამყარო ტექსტია და სემიოტიკის ობიექტი შეიძლება იყოს ყველაფერი (რადგან ყველაფერი ნიშანია). ეს ახსნა სემიოტიკას იმდენად გლობალურს და მოუხელთებელს ხდის, რომ ამ მეცნიერების კონკრეტული საზღვრების დადგენა შეუძლებელი ხდება. ამიტომაც არის სემიოტიკა – საზღვრების მოშლა კონკრეტულ მეცნიერებებს შორის. მაგრამ ეს არ არის უბრალო საზღვრების მოშლა... ეს არის ურთიერთშერევის და ურთიერთგავლენის პროცესი, საიდანაც გამოსული „ნიშანი“ არასდროს არ იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო... სემიოზისის პროცესიც სწორედ ეს არის.... მუდმივი ქმნადობა და არასდროს დასასრული... თუ ნიშანმა მიიღო ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული მნიშვნელობა (საუბარია ნიშნებზე შემოქმედებაში), მაშინ ეს ნიშანი მკვდარია, ამიტომაც უწოდებენ სემიოლოგები ლექსიკონებს – მნიშვნელობათა სასაფლაოს.... მნიშვნელობა მხოლოდ ცოცხალ პროცესში ცოცხლდება, აქ იძენს იგი ნამდვილ მნიშვნელობას, განსაზღვრულ კონტექსტში, განსაზღვრულ დროსა და სივრცეში...

სემიოტიკის სხვა განსაზღვრების მიხედვით, სემიოტიკა – ეს არის ლინგვისტური მეთოდებით სხვა სისტემების აღწერა... აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ

სემიოტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტაფორა, რომელიც სხვა ნიშნურ სისტემებს აღწერს, როგორც ენას... რადგან ნებისმიერი ნიშნური სისტემის მიმართ მეტაფორულად ჩვენ ვიყენებთ ენის მეტაფორას, მაგალითად: ცხოველების ენა, ჟესტების ენა, მოდის ენა, რელიგიის ენა, რიტუალების ენა, სიყვარულის ენა.... ეს სისტემები ფუნქციონირებს ენის სისტემის შესაბამისად, ენა პირველადი მამოდელირებელი სისტემაა და მისი ანალოგიით იგება ახალი მოდელი სხვა სისტემაზე.

სემიოტიკის მეთოდი – აღიწეროს ყველაფერი, როგორც ენა – სემიოტიკურ სისტემებს ახალი რაკურსით წარმოგვიდგენს.

ენა პირველადი მამოდელირებელი სისტემა კი გამოდის ამ შემთხვევაში, მაგრამ საინტერესოა, თავად ენის სისტემა რას ეფუძნება და რამდენად პირველადია. მეცნიერებს ამ საკითხზეც ჰქონდათ დიალოგი. მას შემდეგ, რაც გამოიკვლიეს და დაადასტურეს იზომორფიზმი გენეტიკურ და ვერბალურ კოდებს შორის, ლინგვისტი რომან იაკობსონი და ბიოლოგ-გენეტიკოსი ფრანსუა ჟაკობი განიხილავდნენ, გამოვლენილი იზომორფიზმი მხოლოდ გარეგნული იყო, მსგავსი ინფორმაციული მოთხოვნებით განპირობებული, თუ იგი მომდინარეობდა იმ ფილოგენეტური პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ლინგვისტური კოდი გენეტიკური კოდის მოდელების შესაბამისად აიგება?

რომან იაკობსონის მიხედვით, ლინგვისტური კოდი უშუალოდ ზემოდან დაედო გენეტიკურ კოდს და სტრუქტურული პრინციპები გადმოწერა ლინგვისტურ კოდში. ანუ ორგანიზმი არაცნობიერად ფლობს ინფორმაციას სტრუქტურის შესახებ და ეს არაცნობიერი ცოდნა ვლინდება მრავალი სისტემის აგებისას.

ამ თეორიის მიხედვით, ენის სტრუქტურებს გენეტიკური კოდის სტრუქტურები განაპირობებს... გამოდის, რომ სემიოტიკური მატრიცა ჩვენი არაცნობიერი ცოდნაა და ყოველთვის არსებობდა, მაშინაც, როცა ამას არავინ აკვირდებოდა და არავინ განიხილავდა...

სემიოტიკის, როგორც მეცნიერების, უზენაესი მიზანიც შესაძლოა ეს იყოს: ყველა ნიშნური სისტემის მატრიცის გამოვლენა, ანუ გამოვლენა იმ სტრუქტურებისა, რომლებიც იზომორფულია ყველა სემიოტიკური სისტემის მიმართ. ეს შეიძლება მართლაც იყოს გენეტიკური კოდი და მასში ჩატვირთული ჩვენთვის ცნობილი და უცნობი სტრუქტურები.

ეს აღწერა ახლოსაა იმასთან, რასაც მეცნიერები უწოდებენ **სტრუქტურალისტურ აღწერას**. ტექსტის სემიოტიკურ-სტრუქტურალისტური ახსნა ეფუძნება იმგვარი სტრუქტურების გამოვლენას, რომლებიც საფუძვლად უდევს ტექსტს, არის არაცნობიერი და ობიექტური. პოლ რიკერის მიხედვით, სტრუქტურალიზმის მიზანია დისტანცირება, ობიექტურობა, პირადი დამოკიდებულების, სუბიექტურობის გამორიცხვა.

აინშტაინი სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას გულისხმობდა, როცა წერდა, რომ მთვარე არსებობს იმის მიუხედავად, ჩვენ ვაკვირდებით თუ არა მას. ყოველგვარი ინტერპრეტაცია ბაზისური სტრუქტურებისა, არის მხოლოდ დამახინჯება და ობიექტური მონაცემების პირად გამოცდილებაზე მორგება.

გარდა სტრუქტურალისტური მეთოდისა, სემიოტიკისთვის აქტუალურია **ინტერტექსტუალური მიდგომაც**, რომლის მიხედვითაც, სამყარო არის ერთი მთლიანი ტექსტი. ელემენტები, რომლებიც შეადგენენ ტექსტს, განპირობებულნი არიან სხვა ტექსტებით ან გვაგზავნიან სხვა ტექსტებისკენ. ამ შემთხვევაში, ელემენტთა მნიშვნელობის დასადგენად მთავარია არა ტექსტის იმანენტური სტრუქტურა, არამედ „გაგზავნა“ და „ციტატი“. ამ ფაქტის ლოგიკური შედეგია ნიშნის არარეფერენტული გაგება, როდესაც მნიშვნელობის გასაგებად გვაგზავნის სხვა ნიშნისკენ, ის კიდევ – სხვისკენ და ასე შემდეგ. ბოდრიარის მიხედვით, გადავდივართ სიმულაკრების სამყაროში.

ინტერტექსტუალური მიდგომა შლის ცალკეული ტექსტის საზღვრებს. ეს არის ტექსტის ტოტალური ღიაობა, რომელიც ქმნის სემანტიკურ სიცარიელეს, ის შეიძლება შეივსოს მკითხველის მიერ (უმბერტო ეკო). ასეთ კვლევებს მეცნიერები უწოდებენ „თამაშს“ და „გაქცევას ენის დიქტატისგან“. ინტერტექსტუალობა ეფუძნება ცოდნას კულტურაზე, როგორც მნიშვნელობათა რეზერვუარზე.

სამყაროს (ენის, ტექსტის...) სტრუქტურალისტური და ინტერტექსტუალური აღწერები კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, პირიქით, ავსებს... მედლის ორი მხარეა (თუმცა სემიოტიკურ აღწერებს კიდევ ბევრი მხარე აქვს). პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამოვლენილ და საფუძველში არსებულ სტრუქტურებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – სემანტიკურ განუსაზღვრელობასთან, თამაშთან, რაც აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია.

„ენა ყოფიერების სახლია“ – ჰაიდეგერის ეს მეტაფორა კიდევ უფრო აქტუ-

ალური ხდება სემიოტიკური კვლევებით. ამასვე ამბობს გადამერი: ენა ადამიანურის არსებობის უნივერსალური ცენტრია...

სემიოტიკა კონსტრუირდება, როგორც ერთგვარი მეტამეცნიერება: პირსის მიხედვით, მეტა-ლოგიკა, იელმსლევის მიხედვით, მეტალინგვისტიკა. ამავე დროს, იყოფა მრავალ ქვედარგად....

უმეტესობისთვის სემიოტიკა დღემდე რჩება განუსაზღვრელად, ერთგვარ გამოცანად და საიდუმლოდ – მისი სიღრმისა და მრავალი რაკურსის გამო.

სემიოტიკური ხედვა შეგვიძლია შევადაროთ ისეთ სათვალეს, რომელიც მრავალფოკუსიანია. ეს იმას ჰგავს, ხეს რომ უყურებდეთ ერთდროულად ყველა გვერდიდან, ზემოდან, ფესვებიდან, სხვა ობიექტთან (ობიექტებთან) ერთად, უყურებდეთ, ამავე დროს, ყველა დროში: როცა დაიბადა, როცა გაიზარდა, როცა განვითარდა და ასე შემდეგ... უყურებდეთ წელიწადის ყველა დროს ერთდროულად... და კიდევ რამდენი ფოკუსი შეიძლება ჰქონდეს... და ყველა ამ ხედვას რომ გაამთლიანებ, მხოლოდ ხეს კი არა, იმ იდეასაც მისწვდებით, საიდანაც ხე დაიბადა... ეს ხედვა შეგიძლიათ გადაიტანოთ: სხვა საგნებზე, მოვლენებზე, ფაქტებზე, ადამიანებზე, კულტურებზე... სემიოტიკური ხედვა – ღრმა და შორს ხედვაა, ასეთ ხედვას ფიზიკის მიღმაც გაჰყავხართ, სადაც ფორმები წყვეტენ ფორმად ყოფნას... სიტყვები წყვეტენ სიტყვად ყოფნას...

რა არის ნიშანი?

„ნიშნის ისტორია – ეს მისი „გაცნობიერების“ ისტორიაა.“
როლან ბარტი

სემიოტიკა ახალი დროის მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ნიშნური სისტემების შექმნის, აგებისა და ფუნქციონირების კანონებს. იგი თავისი კვლევის ობიექტს პოულობს ყველგან: ენაში, მათემატიკაში, ლიტერატურაში, არქიტექტურაში, ქვეცნობიერ პროცესებში, მითში, რიტუალში, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში და სხვაგან.

ფუკო წერს იმის შესახებ, რომ თანამედროვე (პოსტმოდერნისტულ) ეპოქაში ფორმირდება აზროვნების ახალი სტილი, ახალი კულტურა. ნიშანდობლივია, რომ ბარტი სემიოტიკას განიხილავს თანამედროვე ფილოსოფიაში პოსტმოდერნისტული პროექტის რეალიზაციის საშუალებად.

სემიოტიკის ძირითადი ტერმინი – ნიშანი, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულად განისაზღვრებოდა. არისტოტელესთან ნიშანი აღნიშნავს არა მარტო ნიშანს, არამედ სიმპტომსაც, ხოლო სიტყვები აზრის პირობით ნიშნებად არის მიჩნეული.

პირსის მიხედვით, ნიშანი სხვა არაფერია, თუ არა უნივერსალური შუამავალი ადამიანურ გონებასა და სამყაროს შორის. აღსანიშნთან დამოკიდებულების მიხედვით, პირსი გამოყოფდა: იკონურ ნიშნებს, ინდექსურ ნიშნებს და სიმბოლურ ნიშნებს.

პირსის სემიოტიკა განავითარა მორისმა. მან სემიოტიკის ერთ-ერთი მთავარი ტერმინი „სემიოზისი“ განმარტა, როგორც „პროცესი, რომელშიც რაღაც ფუნქციონირებს, როგორც ნიშანი“. მორისმა გამოყო სემიოზისის სამი განზომილება: სემანტიკა, რომელიც იკვლევს ნიშნის დამოკიდებულებას თავის ობიექტთან; სინტაქტიკა, რომელიც ნიშნების ერთმანეთთან დამოკიდებულებას შეისწავლის და პრაგმატიკა, რომელიც იკვლევს დამოკიდებულებას ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის.

სოსიური განიხილავდა ნიშანს, როგორც ბილატერალურს (ორმხრივს), როგორც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთობას, რომელსაც არა აქვს თავის-

თავად მნიშვნელობა და მხოლოდ სისტემის სხვა ელემენტებით განისაზღვრება. სოსიურს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ნიშნის სინონიმად სიმბოლოს გამოყენება, რადგან ნიშანი პირობითია, ხოლო სიმბოლო არ შეიძლება ყოფილიყო ბოლომდე პირობითი. ბენვენისტმა შემდგომში დააზუსტა, რომ პირობითია ნიშნის დამოკიდებულება რეალობასთან და არა ნიშნის კომპონენტებს შორის დამოკიდებულება. ნიშნები ქმნიან ენას, რომელიც გამოდის ყველა სხვა სისტემის ინტერპრეტატორად (ბენვენისტი).

კარცევსკიმ განავითარა ნიშნის იდეა და შემოიტანა ასიმეტრიული დუალიზმის გაგება (აღმნიშვნელი და აღსანიშნი მხოლოდ წამიერად უკავშირდებიან ერთმანეთს).

სხვადასხვა სკოლისა და ავტორის მიერ ნიშნისა და სიმბოლოს განსხვავებულმა, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, სინონიმურმა განსაზღვრებებმა ამ ტერმინების აღრევა გამოიწვია.

პირსმა ნიშნის განსაკუთრებული სახე აღნიშნა სიმბოლოთი და ტერმინად გამოიყენა. ამ ფაქტმა გამოიწვია უხერხული ომონიმია, რამდენადაც ზოგიერთ ევროპულ ტრადიციაში შესაბამისი სიტყვა აღინიშნებოდა საერთო მნიშვნელობით – ნიშანი.

ფრანგული ტრადიციის გათვალისწინებით, მალმბერგმა შემოგვთავაზა, განვასხვაოთ სემიოტიკა, რომელიც შეისწავლის არაენობრივ ნიშნებს, მეცნიერებისაგან, რომელიც ენის სიმბოლოებს შეისწავლის.

კასირერი „სიმბოლურ ფორმებს“ მიაკუთვნებდა ენას, მითს და ხელოვნებას და სიმბოლურს და სემიოტიკურს სინონიმებად მიიჩნევდა. მსგავსი ტერმინების მნიშვნელობა რუსულში დაეფუძნა დასავლურ ენებს, ხოლო მოგვიანებით – რუსული სიმბოლიზმის მიერ შემოტანილ ტერმინებს.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ნიშანი და სიმბოლო, უბრალოდ, სინონიმებია.

ნიშნის საინტერესო ინტერპრეტაცია წარმოადგინა როლან ბარტმა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ნიშანი გულისხმობს სამი ტიპის დამოკიდებულებას. უპირველესად, ესაა შინაგანი დამოკიდებულება, რომელიც აკავშირებს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს და ორი გარეგანი დამოკიდებულება: პირველი

ვირტუალურია, იგი მიაკუთვნებს ნიშანს სხვა ნიშანთა განსაზღვრულ სისტემას, მეორე დამოკიდებულება აქტუალურია, ის აერთიანებს ნიშანს გამონათქვამის სხვა ნიშნებთან. ამ დამოკიდებულებების მიხედვით, იგი გამოყოფს ნიშნის სამ განზომილებას: სიმბოლურს, პარადიგმატულს და სინტაგმატურს.

ბარტის აზრით, ტერმინთა აღრევას იწვევს ის ფაქტი, რომ თითოეული მკვლევარი, თითოეული სკოლა ცდილობს, თავისი ანალიზი დააფუძნოს ნიშნის მხოლოდ ერთ რომელიმე განზომილებაზე და ტერმინების ამოსავალიც ეს დამოკიდებულებაა.

ნიშნისა და სიმბოლოს სხვადასხვა განსაზღვრებების შეჯერების საფუძველზე ჩვენ უნდა ვაღიაროთ სემიოტიკის ტერმინთა იერარქიაში ნიშანი, როგორც ძითითადი ტერმინი, რომლის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სიმბოლოსი. სიმბოლო ნიშნის სახეა, რომელსაც თავისი მახასიათებლები აქვს და მხოლოდ ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნიშნის სინონიმი.

მესამე ათასწლეულში მეცნიერება თავისი განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. შეიცვალა სამყარო და ის ინფორმაციული ველი, რომელიც ამ სამყაროს აკრავს. შესაბამისად, ხდება მეცნიერების გადაწყობა ახალ მეთოდოლოგიებზე, რომლებიც უკეთ ახსნიან სამყაროს და ადამიანს. სწორედ ასეთი მეცნიერებაა სემიოტიკა.

სემიოლოგები ლექსიკონებს „მნიშვნელობათა სასაფლაოს“ უწოდებენ. სემიოტიკას არ აინტერესებს სიტყვის მყარი (სალექსიკონო) მნიშვნელობა. იგი ორიენტირებულია არა იმდენად ნიშნის დენოტაციურ, რამდენადაც კონოტაციურ მნიშვნელობაზე, ანუ იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც სიტყვა იძენს ტექსტში (კონტექსტში). სემიოზისის პროცესი პრაქტიკულად უსასრულოა, რადგან განსხვავებულია ის კონტექსტები, რომლებშიც ნიშანი ფუნქციონირებს. უმბერტო ეკოს აზრით, ნიშნის არსი იხსნება შემოუსაზღვრავ სემიოზისში, რაც იმაში გამოიხატება, რომ მნიშვნელობა არასდროს არ ქმნის ჩაკეტილ სისტემას, რამდენადაც ნიშანთა სამყარო კომუნიკაციის პროცესში მუდმივ მოძრაობაშია.

სემიოტიკური გაგებით, ნიშანი, ამავე დროს, არის სიმპტომი (მედიცინაში სიმპტომი განიმარტება, როგორც რაიმე დაავადების დამახასიათებელი ნიშანი), რამდენადაც მისი ახსნა არის გარკვეულ აზრზე მინიშნება, ანუ სემიოტიკური ნიშანი ნიშანი-მინიშნებაა ერთსა და იმავე დროს. ამგვარი გაგება დევს ყველაზე უფრო პრიმიტიულ ნიშნებში. მაგალითად, მწვანე ფერი გადასასვლელ-

ზე არა მხოლოდ მწვანე ფერია, არამედ მინიშნება: მოძრაობა ნებადართულია! არსებობს უფრო რთული აგებულების ნიშნები, როცა მკვლევარი თავად ახდენს კოდების მეშვეობით ახსნას. ამგვარი ინტერპრეტაციები ყოველთვის რისკთან არის დაკავშირებული, რადგან არსებობს სუბიექტური გააზრებების დიდი ალბათობა.

დღეისათვის სემიოტიკა წარმოადგენს საკმაოდ განვითარებულ თეორიას, რომლის მეთოდები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ადამიანის შემოქმედების სრულიად განსხვავებული სფეროები.

არსებობს ლიტერატურის სემიოტიკა (ბარტი, დერიდა, რუსული ფორმალისტური სკოლა...), პოლიტიკური სემიოტიკა (ბარტი, ჯგუფი „tel kel"...), მასობრივი კომუნიკაციების სემიოტიკა (გრეიმასი...), ხელოვნების სემიოტიკა (კრისტევა, ეკო, ლოტმანი...), კინოსემიოტიკა (მეტცი, პაზოლინი), თეატრის სემიოტიკა (პავი), ზოოსემიოტიკა (სებეოკი), ფსიქოანალიტიკური და პედაგოგიური სემიოტიკა (ლაკანი, პიაჟე...)...

სემიოტიკის თვალთახედვით, სამყარო შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ნიშანთა სისტემა, რომელიც თავის თავში უამრავ განსხვავებულ ქვესისტემას მოიცავს, თანაც ამ მიკროსისტემების „ენა" სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. შეიძლება თუ არა, არსებობდეს განსხვავებულ სისტემათა „საერთო ენა"? რით განსხვავდება და რა აქვს საერთო ერთი სისტემის ნიშანს მეორე სისტემის ნიშანთან? რატომ მოუყარა თავი სემიოტიკამ ყველა განსხვავებულ ნიშანს? არსებობს თუ არა უნივერსალური ნიშნები? რა პრინციპით უნდა აიგოს ახალი „ბაბილონის გოდოლი" ისე, რომ არ დაინგრეს?

რას ნიშნავს ბარტის სიტყვები: „ნიშნის ისტორია – მისი გაცნობიერების ისტორიაა"? ეს არის მეცნიერების დამოკიდებულება ნიშნის მიმართ მისი ყველაზე ზედაპირული შესწავლიდან სიღრმისეული შესწავლისკენ. როგორც დავინახეთ, ბარტი სამ შრეს გამოყოფს ნიშანში, შესაძლოა, მომავალში მეცნიერებმა სხვა განზომილებებიც აღმოაჩინონ. თუ ადამიანსაც განვიხილავთ, როგორც ნიშან-სიმბოლოს, მისი შეცნობა-ამოცნობის პროცესიც ხომ მრავალგანზომილებიანია და არასოდეს ბოლომდე ამოხსნილი. საინტერესო პარადოქსია, რომ მეცნიერი სწავლობს ადამიანს (ანუ საკუთარ თავს), როგორც ნიშან-სიმბოლოს.

სემიოტიკა და სიღრმისეული სემიოტიკა

„ყოველი მეცნიერება ეხება ან საგნებს, ან ნიშნებს...
მაგრამ საგნები შეიცნობა მხოლოდ ნიშნებით...“

ნეტარი ავგუსტინე

სემიოტიკა, ისევე, როგორც ადამიანი და ისევე, როგორც ენა, არსებობს: გარეგანი და შინაგანი, სიღრმისეული...

სემიოტიკა არის:

- მეცნიერება ნიშანთა შესახებ;
- მეცნიერება ნიშნებზე და ნიშანთა სისტემებზე;
- მეცნიერება ნიშანთა სისტემებზე, რომლებიც ფუნქციონირებენ ბუნებასა და საზოგადოებაში;
- მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ნიშნებს და მათი ინტერპრეტაციის პროცესს;
- მეცნიერება, რომელიც შეისწავლის განსხვავებულ ნიშანთა სისტემების აგებისა და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს.

ტრადიციულად სემიოტიკა აღწერს ფორმალიზებულ ნიშანთა სისტემებს, რომელშიც კვლევის მეთოდი ასე გამოიყურება:

ენა ⇨ ადამიანი

სადაც ადამიანი განიხილება, როგორც სოციალური არსება, კომუნიკაციური პიროვნება, რომელიც ასრულებს ამა თუ იმ ენობრივ როლს სოციუმში.

სიღრმისეულ სემიოტიკაში კვლევის ვექტორი იცვლება:

ადამიანი ⇨ ენა

სიღრმისეული სემიოტიკის შესწავლის ობიექტია ადამიანის შინაგანი სამყარო, თავად „შინაგანი ადამიანი“, როგორც ასეთი. შინაგანი, შემოქმედებითი ადამიანის პრეზენტაცია ენაში (ან სხვა ნიშნურ სისტემებში) ქმნის სრულიად განსხვავებულად ორგანიზებულ ნიშანთა სისტემებს.

ერთი მხრივ, არსებობს ენა, როგორც გაგებინების საშუალება მარტივი კომუნიკაციისთვის და, მეორე მხრივ, არსებობს შემოქმედებითი ენა, რომელიც თავისი ფორმით უკვე მეტაფორულია.

შემოქმედებითი ენა – ეს არის ჯერ დიალოგი საკუთარ შინაგან მე-სთან, ამ დიალოგისას იბადება შინაგანი აზრობრივი სტრუქტურები. სემიოტიკური ჯაჭვი ასე გამოიყურება:

ადამიანი ⇨ შინაგანი ადამიანი ⇨ შინაგანი მეტყველება ⇨ ენა

შინაგანი – გარეგანი ერთი მედლის ორი მხარეა... ცხოვრებას, ადამიანებს, ფაქტებს, მოვლენებს, საგნებს... ყველაფერს ამქვეყნად აქვს თავისი „შიგნითა მხარე“, სხვა განზომილება.

სიტყვა **შინაგანი** სინტაგმას ქმნის არსებით სხელებთან: შინაგანი სამყარო, შინაგანი ადამიანი, შინაგანი მეტყველება, შინაგანი ხმა, შინაგანი ემოცია, შინაგანი კავშირი, შინაგანი მდგომარეობა და ასე შემდეგ. საპირისპიროდ, არსებობს ამ ყველაფრის გარეგანიც.

როგორც ოკეანე შედგება ზედაპირისა და სიღრმისაგან, ასე – ადამიანი და მხატვრული ტექსტიც.

თუ ვაღიარებთ, რომ დაბადებით ყველა ადამიანი შემოქმედია, მაშინ იმის აღიარებაც მოგვიწევს, რომ ბევრი კარგავს ცხოვრებაში ამ უპირატესობას და რჩება ზედაპირულ ადამიანად.

მხატვრული მეტყველება ენის შემოქმედებითი ბუნებაა.

ლოსევი – ვინ ვარ მე?

შემოქმედებითი მეტყველება ტროპებით გამოვლენილი (და თუნდაც ტროპების გარეშე) – ეს არის ყოველთვის ნიშანი-მინიშნება, რომელმაც უნდა გაგვიყვანოს ტექსტის მიღმა, თქმულის და გამოხატულის მიღმა... ფორმიდან – უფორმობისკენ... გამოთქმულიდან – გამოუთქმელში...

და მაინც, ვინ არის ის შინაგანი ადამიანი, შინაგანი მე, რომელსაც ვეძებთ, რომლის შესახებაც თითქოს ვიცით და არც ვიცით... რომელიც ავლენს და არც ავლენს თავის თავს და რომელიც გვინდა ვიპოვნოთ იმ სემიოტიკური ნიშნებით, ცნობიერებაში რომ აღბეჭდილან... ნაკვალევი, რომელმაც შინაგანი ადამიანის კვალზე უნდა გაგვიყვანოს...

ამ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესოდ მსჯელობს და საინტერესო კითხვებს სვამს ლოსევი წიგნში: „საგანი და სახელი“:

ვინ ვარ და როგორი ვარ მე? სად არის საკუთრივ ჩემი მე? რით განსხვავდება სხვა დანარჩენისაგან? მე ვხედავ ჩემს ხელებს, ფეხებს, თავს – არის ეს ჩემი მე? – არა... ხელი ჩემია, მაგრამ მე არა ვარ ხელი, იგივე ითქმის ფეხზე და თავზეც... სხეული ჩემია, მაგრამ მე არა ვარ სხეული... ჩემშია ცნობიერება და განცდები... ჩემი შიში, ჩემი სიყვარული, ჩემი იმედი, ჩემი აზრი... იქნებ ესენი ვარ...? – არა... როგორც ჭურჭელი, რომელშიც წყალი ასხია, არ არის წყალი... ასევე არა ვარ მე ეს შემადგენლობაც...

და თუ ჩემი სული მხოლოდ ჩემია და არა მე თვითონ... ანუ მხოლოდ „მეკუთვნის“ და არ ვარ მე – თავად...? მაშინ სად ვარ მე...? თავად სიკვდილი და სიცოცხლეც მხოლოდ მეკუთვნის და „მე თავად“ არ ვარ...

ბახტინის „ადამიანი სარკესთან“ შინაგანი და გარეგანი ადამიანის პრობლემას ეხება: ეს მე კი არ ვიყურები შიგნიდან ჩემი თვალებით, არამედ მე ჩემს თავს ვუყურებ სამყაროს თვალებით, მე შეპყრობილი ვარ სხვით... ჩემი თვალებიდან სხვისი თვალები იმზირება...

კონფლიქტი და ასიმეტრიულობა შინაგან და გარეგან (და, შესაბამისად, მათ მეტყველებას), დასაზღვრულ და დაუსაზღვრავ ადამიანს შორის სემიოტიკის ორ დონეს: ტრადიციულ და სიღრმისეულ სემიოტიკას შეესაბამება.

პოეტები ამ აზრს ხშირად პოეზიაშიც გამოხატავენ, მაგალითად, სოლოვიოვი:

Милый друг, иль ты не видишь,
Что все видимое нами,
Только отблеск, только тени
От незримого очами...

და ტიუტჩევის ლექსი: «Silentium!»

...Как сердцу высказать себя?
Другому как понять тебя?
поймет ли он, чем ты живешь?
Мысль изреченная есть ложь,
Взрывая, возмутишь ключи,
— Питайся ими — и молчи...

მეცნიერთა განმარტებით, სიღრმისეული სემიოტიკის ფაქიზი ამოცანაა: დაადგინოს ინდივიდუალური ენობრივი ცნობიერების კანონები და პრინციპები, გამოიკვლიოს შინაგანი ენა, როგორც შექმნილი და ქმნადი მიკროკოსმოსი.

ენა – უნივერსალური მულტისემიოტიკური სისტემა

ენის ძირითადი ფუნქცია ურთიერთგაგებინების ფუნქციაა... თუმცა ამავე ენის მეშვეობით სულ უფრო ნაკლებად ესმით ადამიანებს ერთმანეთის. არადა, უკეთესი საშუალება არ არსებობს. პრიორიტეტი მაინც ენას აქვს და ექნება. განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება სწავლების პროცესს, როდესაც გაგებინება აზრის გადაცემის მთავარი პირობაა. აზრის გადაცემის სხვა სემიოტიკური სისტემებიც არსებობს, მაგრამ აუდიტორიაში (კლასში) აზრთა ურთიერთგაცვლის მთავარ ფორმად მაინც ლინგვისტური (ენობრივი) ფორმა რჩება. სხვა ფორმები, როგორიცაა: ვიზუალური და აუდიო-დამხმარე სემიოტიკური საშუალებებია, სწავლებაში ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ძირითადი.

როგორც მკვლევრები ამბობენ, თანამედროვე სამყარო უფრო მეტად გახდა ვიზუალური აღქმის... რადგან დრო აჩქარდა, ახალი ტექნოლოგიები შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ადამიანი გამუდმებით „გადარბენაზეა“... ამიტომ ურჩევნია „დაინახოს“, ვიდრე „წაიკითხოს“. ამ მოვლენას კარგად შევამოწმებთ სოციალურ ქსელებში. ვიზუალური ნიშნები სწრაფ აღქმასთან არის დაკავშირებული. ჩვენ შეგვიძლია ერთი „შეხედვით“, მაგალითად, ფოტოს მეშვეობით, გავიგოთ მთელი ამბავი და „დროს არ ვკარგავთ“ წავიკითხოთ (ან მოვისმინოთ) ინფორმაცია. „სელფების“ სიხშირეც სწორედ ამასთან დაკავშირებული პროცესია. ადამიანი სიტყვების ნაცვლად გამოიხატება ვიზუალურად. ამის საშუალებას სოციალური ქსელები იძლევა, მაგრამ ჩვეულებრივად ცხოვრებაში და ურთიერთობებში ენის გარეშე „ენობრივი ადამიანი“ ვერ იქნება. ენა – ეს არის ჩვენი საზღვარიც და უსაზღვროების წყაროც. ამიტომ მართალია ჰაიდეგერი, როდესაც მეტაფორულად ენას წარმოადგენს, როგორც „ყოფიერების სახლს“ და სინამდვილის სტრუქტურირების მთავარ საშუალებას.

ახალგაზრდებიც უფრო მეტად უყურებენ ფილმებს და თამაშობენ თამაშებს, ვიდრე კითხულობენ. ეს არის საუკუნის მოცემულობა და ამ პირობებს ჩვენ ვერ გავექცევით.

ვხედავ... მესმის... ვგრძნობ...

ფსიქოლოგები, აღქმის მიხედვით, ადამიანებს ჰყოფენ: ვიზუალებად, აუდიალებად და კინესთეტებად.

ვიზუალები „ხედავენ“, აუდიალებს „ესმით“ და კინესთეტიკები „გრძნობენ“. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ენა უნივერსალურია. მეტყველების დიაგნოსტირებით შესაძლებელია დავადგინოთ, აღქმისა და აზროვნების რომელ ტიპს განეკუთვნება ადამიანი. ანუ ეს ყველაფერი მაინც ენით და ენაში გამოიხატება. წარმოიდგინეთ, რომ ენა არის მასალა, რომლისგანაც „ხატავ“, ქმნი მუსიკას და მოქმედებ შეგრძნებებზე....

თუ გინდათ, გაარკვიოთ აღქმისა და აზროვნების რომელ ტიპს განეკუთვნებიან თქვენი სტუდენტები (მოსწავლეები), მოაყოლეთ მათ ერთი და იგივე ამბავი, კარგად მოუსმინეთ და დააკვირდით ლექსიკას, რომელსაც ისინი გამოიყენებენ თხრობისას.

ვიზუალი – ამბავს გადმოსცემს სიტყვებით, რომელიც ხედვასთან არის დაკავშირებული, ის სურათებად ხედავს ამბავს და თხრობაში ხშირად მიმართავს ზმნას **„ვხედავ“**. მისი საყვარელი ფრაზებია: „არ მინახავს ეს“, „შევნიშნე, რომ განსაკუთრებულია“, „ეს ნათელს ჰფენს საქმეს“; ნახატები, ხატოვანი აღწერა, ფოტოგრაფია უფრო მნიშვნელოვანია აღქმის ამ ტიპისთვის, ვიდრე სიტყვები; ისინი უეცრად ამჩნევენ იმას, რისი დანახვაც შესაძლებელია: ფერი, ფორმა, ხაზი, ჰარმონია და უწესრიგობა.

აუდიალისთვის – მთავარი არის რიტმი, ჰარმონიულობა, ჟღერადობა და უპირატესობა აქვს ზმნას **„მესმის“**. დამახასიათებელი ფრაზები: „ვერ ვიგებ, რას მეუბნები“, „ვერ ვიტან ხმამაღალ მელოდიას“, „რა წყნარად საუბრობ“... ამ ტიპისთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც აკუსტიკურია: ხმა სიტყვა, მუსიკა, ხმაურის ეფექტები.

კინესთეტი – ამბავს გადმოსცემს ემოციებით, მისთვის მთავარი შეგრძნებებია და საყვარელი ზმნა – **„ვგრძნობ“**. დამახასიათებელი ფრაზები: „არ შემიძლია ამის გაგება“, „ვგრძნობ სიხარულს“, „აუტანელი ატმოსფეროა“, „შენმა სიტყვებმა შემძრა...“ დიალოგისას კინესთეტიკებს აინტერესებთ ადამიანის შინაგანი შეგრძნებები.



მაგალითად, რითი ხვდება ადამიანი, რომ ვიღაცას უყვარს?

ვიზუალი (ხედვითი აღქმა) – იმით, თუ როგორ უყურებენ მას;
აუდიალი (სმენითი აღქმა) – იმით, თუ რას და როგორ ეუბნებიან მას;
კინესთეტი (შეხებით აღქმა) – იმით, თუ როგორ ეხებიან.

ჰკითხეთ ადამიანს, სად გაატარებდა შვებულებას სიამოვნებით?

ვიზუალის პასუხი: ლურჯი ზღვა, ყვითელი ქვიშა, კაშკაშა მზე, სარკმლიდან მთიანი პეიზაჟი, გარუჯული გოგო-ბიჭები ზღვაზე....

აუდიალის პასუხი: ტალღების ხმა, დილის სიჩუმე, თოლიების ჭყივილი, ენერგიული მუსიკა, ქარის ხმა...

კინესთეტის პასუხი: თბილი შხეფები, ზღვის სუნი, ცხელი ქვიშა, რელაქსაცია...

მსგავსი სვარჯიშო-დავალებებით ადვილად განსაზღვრავთ მოსწავლეთა აღქმის ტიპებს.

„ყველაფერი თქვენს ხელშია“

რაკი ვიცით, რომ მსმენელები შეიძლება იყვნენ განსხვავებული აღქმის, აზროვნებისა და შემეცნების ადამიანები, მასწავლებლის მეტყველება ყოველთვის გათვლილი უნდა იყოს ყველა კატეგორიაზე და, ამავე დროს, ის უნდა შეეცადოს, რომ აზროვნების ყველა არხი გაუხსნას მოსწავლეებს, რათა მათ უკეთ ესმოდეთ საკუთარი თავის, ერთმანეთის და ამ გზით აღმოაჩინონ საკუთარი უნარებიც, რისი მეშვეობითაც უკეთესად ორიენტირდებიან მომავალში პროფესიაზე. განსხვავებული პროფესიები ხომ განსხვავებულ უნარებს მოითხოვს...

ადამიანი, ისევე როგორც ენა (ანდა, პირიქით), მულტისემიოტიკური არსებაა, თუმცა მას უფრო მეტად აღქმის, აზროვნებისა და შემეცნების ერთი რომელიმე ფორმა აქვს განვითარებული.

ვფიქრობ, რომ აღზრდისა და განათლების სისტემაში თავიდანვე ჩადებული უნდა იყოს, რომ ბავშვი მრავალმხრივ განვითარდეს და უპირატესი ამ შემთხვევაშიც შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ფორმა, მაშინ ის ამ მიმართულებით უკეთ შეძლებს შემოქმედებით რეალიზაციას.

საუკეთესო სავარჯიშო ამ მიმართულებით არის მეტაფორული ამბების, ზღაპრების, იგავების თხრობა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის. ასეთი მეტაფორული ამბები შეიცავს აზროვნებისა და შემეცნების სამივე ფორმას. გამოკითხვისას შესაბამისი კითხვებით აქცენტები უნდა გაკეთდეს ამ ფორმებზე. ასეთი მეთოდით შეძლებთ განუვითაროთ ბავშვებს განსხვავებული უნარები.

მეტაფორული ამბები ერთნაირად მოქმედებს თავის ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებზე, ამიტომ ხშირად მოუყევით. სასურველია, ამ ნიშნით შერჩეული ტექსტები შევიდეს სასკოლო სახელმძღვანელოებშიც.

ფსიქიკის სიღრმისეულ სტრუქტურებზე მოქმედებს ამგვარი ამბავი-მეტაფორები:

> ეს ამბავი მოხდა დიდი ხნის წინ ერთ ქალაქში, რომლშიც ცხოვრობდა ბრძენი. მისი სიბრძნის შესახებ შორს იყო ხმა გავარდნილი. მაგრამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა ბრძენი

და გადაწყვიტა, ისეთი კითხვა მოეფიქრებინა, რომელზეც ვერ უპასუხებდა. კაცი წავიდა მინდორში, დაიჭირა პეპელა და მუჭში მოიმწყვდია. იფიქრა, წავალ ახლა და ვკითხავ ბრძენს: მუჭში რომ პეპელა მყავს, ცოცხალია თუ მკვდარიო? თუ მეტყვის, რომ ცოცხალია, ხელისგულებს მოვუჭერ პეპელას და მკვდარს ვაჩვენებ და თუ მეტყვის, რომ მკვდარია, გავხსნი მუჭს და გამოვაფრენ პეპელასო. მაშინ გაიგებს ყველა, ვინ არის ჩვენ შორის უფრო ბრძენიო.

წავიდა კაცი მუჭში პეპლით ბრძენთან და ეკითხება: მუჭში რომ პეპელა მყავს, ცოცხალია თუ მკვდარიო? მაშინ ბრძენმა, რომელიც ნამდვილად ჭკვიანი ადამიანი იყო, უპასუხა: „ყველაფერი შენს ხელშიაო“.

მოკლედ, მასწავლებლებო, „ყველაფერი თქვენს ხელშია“ და იმოქმედეთ....

როგორ წავიკითხოთ ერთი ლექსი სამ სემიოტიკურ ენაზე

სამყარო ჩვენში განსხვავებულად შემოდის, განსხვავებული არხებით: ხმებით, ხედვით, შეგრძნებებით... სამივეთი ერთად, ან ერთით – განსაკუთრებით... ამას არა აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთსა და იმავე მოვლენებს განსხვავებულად აღვიქვამთ და რომ ამ განსხვავებულობამ კონფლიქტი არ უნდა გამოიწვიოს... არადა, რამდენჯერ მინახავს ამის გამო მოკამათე ადამიანები, ან ადამიანები, რომლებმაც ერთმანეთს ვერ გაუგეს მხოლოდ იმის გამო, რომ განსხვავებული აღქმის ენებით საუბრობენ...

ნიშანთა სამი განსხვავებული სემიოტიკური სისტემა: ბგერები, სახეები, შეგრძნებები... ჩვენ ადრეც ვთქვით, რომ ეს განსხვავებული ენები (მეტაფორული გაგებით, ენები) თავს იყრის ენაში – ყველაზე უნივერსალურ სემიოტიკურ სისტემაში...

ენით გამოითქმის პოეზია – რითმი, რიტმი, ბგერადობა ქმნის მუსიკას... ქმნის სრულიად განსხვავებულ მუსიკას... ქმნის სიმფონიას... იწვევს განსხვავებულ შეგრძნებებს, აღვიძებს წარმოდგენებს...

აბა, კიდევ ერთხელ მოუსმინეთ გალაკტიონის მიერ წაკითხულ „მთაწმინდის მთვარეს“ (ბუნებრივია, გალაკტიონის ხმით წაკითხული სხვა ეფექტია და წიგნიდან წაკითხული – სხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ავტორს მოვუსმინოთ) და მერე მოსწავლეებს (სტუდენტებს) დაუსვით კითხვა: ლექსის მოსმენის შემდეგ როგორი აღქმა უჩნდებათ, როგორ მოქმედებს მათზე ლექსი, რას გრძნობენ პირველ რიგში...? თუ შეგძნებების გადმოცემა გაუჭირდებათ, შეგიძლიათ მეტაფორული სიტყვა დაასახელებინოთ...

https://www.youtube.com/watch?v=NtgEDE-hp0w

ჩემი გამოცდილებით, სტუდენტებს ძალიან საინტერესო და განსხვავებული პასუხები აქვთ, რომლებიც ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ისინი შეესაბამება ჩვენი აღქმა-აზროვნების სამ არხს: აუდიალურს, ვიზუალურს და

კინესთეტიკურს; არის შემთხვევები, როდესაც სამივე არხით ხდება შემეცნება და, ასეთ შემთხვევაშიც, უპირატესი არის ერთი რომელიმე.

1. ესმით მუსიკა და ავიწყდებათ ტექსტი – აუდიალური
2. ისმენენ ტექსტს და ხედავენ სურათებად – ვიზუალური
3. შეიგრძნობენ ემოციებს – კინესთეტიკური

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები (სტუდენტები) გაარკვევენ, მათთვის აღქმა-აზროვნების რომელი ტიპია უფრო მეტად დამახასიათებელი, ლექსი შეგვიძლია განვიხილოთ „სამ ენაზე", სამ განსხვავებულ სემიოტიკურ განზომილებაში:

ლექსის მუსიკალობას ქმნის: ავტორის ხმა, რითმა, რიტმი... ბგერათმეტყველება...

ფერები, ფორმები, ხაზები, მეტაფორები, შედარებები... – ვიზუალურ აღქმას აძლიერებს, ხოლო კინესთეტიკას შეგრძნებებზე მიმართული ლექსიკა („თუ როგორ ვგრძნობ, რომ...")... და სხვა.

რა თქმა უნდა, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ მოსწავლეები სრულიად განსხვავებულ ვიზუალურ აღქმებს წარმოადგენენ, ისეთებს, როგორიც შეიძლება ტექსტში საერთოდ არ იყოს... ეს დამოკიდებულია მათ ემოციურ და სულიერ კონტექსტებზე... უნდა მისცეთ საშუალება, რომ ლექსის მოსმენის შემდეგ საკუთარი „ტექსტები" შექმნან და გამოავლინონ იმ სემიოტიკურ ენაზე, რომელიც მათთვის უფრო ახლობელია, ასევე მოისმინონ განსხვავებული აღქმები, რაც საინტერესო იქნება მათთვის და გაამთლიანებს ლექსის აღქმას... ძალიან ხშირად ისინი გამოავლენენ ნეგატიურ ემოციებსაც და უნდა აუხსნათ, რომ ნეგატიური ემოცია „ცუდს" არ ნიშნავს, რომ პოეზიას ეს ფუნქციაც აქვს... ერთგვარი განწმენდის...

ლექსის წაკითხვა არ ნიშნავს ლექსის კითხვას... ლექსის წაკითხვა არ ნიშნავს მის გაგებას, ლექსის გაგება არ ნიშნავს მის შეგრძნებას... ლექსი საერთოდ არ „იკითხება"... ნამდვილი ლექსი – ეს არის ამოუწურავი ემოციების განახლების წყარო... მისი წაკითხვა ინდივიდუალურია და ყველა წაკითხვა „სწორია"... პოეზიას აქვს სიღრმეები და მასწავლებელი არსებობს იმისთვის, რომ ამ სიღრმეში შეიყვანოს მოსწავლე და არასდროს არ უკარნახოს, რა არის სწორი და არასწორი. მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება, გამოავლინოს ის აზრი, ის ემოცია, ის შეგრძნება, რომელიც გაუჩნდება... და მერე დააკვირდეს ამ მოვლენებს, რაც ხდება მასში – რატომ და როგორ ხდება?

საბოლოოდ, პოეზია (ლექსი) გარკვეული სიხშირეა, გარკვეული ენერგია და მისი შეცნობა ნიშნავს მასთან რეზონანსში მოსვლას და ეს რეზონანსი შეიძ-ლება გამოიწვიოს ლექსის მუსიკალობამ, ვიზუალურობამ, კინესთეტიკურმა შეგრძნებებმა... ან თითოეულმა, ან სამივემ...

გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარის“ მოსმენის შემდეგ ერთმა სტუდენტმა ასეთი პასუხი გამცა: *მე ეს ლექსი სხეულით შევიგრძენი, არ მესმოდა სიტყ-ვები, არც მუსიკა, არ გამჩენია წარმოდგენები... უბრალოდ, მონაცვლეობით: მაციებდა და მაცხელებდა... სხვა პასუხი იყო მეტაფორული: თითქოს ბომბი ამიფეთქეს თავში... ან ასეთი: მე, უბრალოდ, გაფრენა მომინდა... კიდევ სხვა: ეს იყო ვულკანის ამოფრქვევა...*

ლექსის სიცოცხლე სწორედ ამაშია: ის იწვევს რეფლექსიას, ქმნის ახალ და განუმეორებელ შეგრძნებებს, ბადებს ახალ მეტაფორებს... ის ყოველი მოსმე-ნისას თავიდან იწერება იმისთვის, ვინც კითხულობს (ისმენს)...

პოეზიაც განსხვავებულია ამ მხრივ: ის, რომელიც მუსიკას ანიჭებს უპირატე-სობას, ის, რომელიც ხატოვანია და რომელიც შეგრძნებებზეა მიმართული... იმის თქმა მინდა, რომ პოეტებიც შეგვიძლია, რომ ამ მხრივ „გამოვიკვლიოთ“. თუ გალაკტიონთან ყველაფერია, ზოგიერთ პოეტთან უფრო ვიზუალური სჭარბობს, ზოგიც მთლიანად კინესთეტიკურ შეგრძნებებზეა აგებული. ახლა გასაგებია, აუდიალური აღქმის ადამიანს რომ ვიზუალური პოეზია არ მო-ეწონება და პირიქით... ზოგადად, პოეზიის დიფერენცირება პოეტების აღქმის მიხედვითაც შეიძლება გავაკეთოთ: აუდიალური პოეზია, ვიზუალური პოეზია, კინესთეტიკური პოეზია.... შეიძლება ამ ტიპის სხვა დაყოფაც.

კლასიკური ჰაიკუ უმეტესად ვიზუალური პოეზიაა:

„ალუბლის თვალწინ
ღრუბლის კვამლში
ჩაიძირა ეული მთვარე“ (ბასიო მაცუო)

ამ ტიპის ვიზუალური პოეზია ერთგვარი „სავარჯიშოცაა“ ვიზუალური აზ-როვნების გასაძლიერებლად, იმდენად ხილვადია, შეუძლებელია ამ ლექსის სხვაგვარი აღქმა.

ან ეს სახე:

ჩემს ძველ სახლში,
რომელიც დავტოვე,
ალუბალი ყვავის... (კობაიაში ისა)

ბუნებრივია, ვიზუალური სახეები მხოლოდ სახეებად არ რჩება, ისინი აღვიძებენ ემოციებს და ჰაიკუს მთელი ფილოსოფიაც იმაში მდგომარეობს, რომ წარმოქმნას ვიზუალური სახეები, გამოიწვიოს ემოცია და რეფლექსია... უფრო მეტი ითქმება სტრიქონებს შორის, სტრიქონებს მიღმა...

აუდიო-პოეზიის ნიმუშია თანამედროვე კულტურაში პოეტ ზურაბ რთველიაშვილის პერფორმანსები... მასში იმდენად ძლიერია აუდიო-აღქმა, თითოეული სიტყვა ვიბრირებს და ენერგიას წარმოშობს, ამ ენერგიას პოეტი აძლიერებს სხვა რიტმებითაც, რითაც პოეზია ემსგავსება ერთგვარ რიტუალს. ეს არის ლექსი-შესრულება, შეუძლებელია ამგვარი პოეზია მხოლოდ გრაფიკულად გადმოიცეს, მასში ჩართულია პოეტის ყოველი ნერვი, ყველა კუნთი, ყველა საცეცი... შეგიძლიათ, მოგწონდეთ ან არ მოგწონდეთ ამგვარი პოეზია, მაგრამ ის არსებობს და ვფიქრობ, გაცილებით უფრო „უშუალოა", ვიდრე წიგნის ფურცლებით გაშუალებული პოეზია.

https://www.youtube.com/watch?v=xDFUWa9pR5Y

და, რა თქმა უნდა, ლექსში მთავარი ის არის, რაც გამოუთქმელი რჩება...

რა არის ვიზუალიზაცია, ანუ რატომ უნდა იფიქროთ სახეებით?

„როდესაც იდეა მიჩნდება, მაშინვე ვიწყებ მის განვითარებას წარმოსახვაში: ვცვლი კონსტრუქციას, ვაუმჯობესებ და აზრობრივად მომყავს მექანიზმი მოძრაობაში. ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აზრებში ვმართავ ჩემს ტურბინას თუ სახელოსნოში... ასეთ ვითარებაში შემიძლია, სწარაფდ განვავითარო და სრულვყო კონცეფცია ისე, რომ არ შევეხო არაფერს...“

ნიკოლა ტესლა, „My Inventions“

ადამიანის სხეული მექანიზმია, ოღონდ ცოცხალი მექანიზმი. ამ რთული სისტემის მუშაობის ცოდნა საშუალებას გვაძლევს, ვმართოთ ის. რაც უფრო ღრმად ვეცნობით და ვსწავლობთ, მით უფრო ეფექტური ხდება მართვის შედეგები.

ცოტა უცნაური სიტუაციაა – უკვე ორი ვართ: ერთი, ვინც სწავლობს და მეორე, ვისაც სწავლობს... შეიძლება, მესამეც გამოჩნდეს, უფრო სწორად, ის სულ ჩანს და მთავარია: ის, ვინც აკვირდება იმას, ვინც სწავლობს და იმას, რომელსაც სწავლობს...

სად ვართ ჩვენ... რომელი ვართ...?

ლოსევი წერს: თუ სული ჩემი - მხოლოდ „ჩემია“ და არა მე თვითონ... მაშინ სად ვარ „მე“?

დავაკვირდეთ იმ კუთვნილებით ნაცვალსახელს, რომელსაც საკუთარი თავის მიმართ ვიყენებთ: ჩემი სული... ჩემი ხელი, ჩემი ნაწერი, ჩემი ფიქრები, ჩემი აზრები... ეს ყველაფერი მე „მეკუთვნის“, ანუ არც ერთი მათგანი „მე“ არ ვარ „თავად“... უბრალოდ, მეკუთვნის...

როგორც სადენები არ არის დენი, არამედ მხოლოდ გამტარია, ასევე არ არის ადამიანის სხეული სული, ისიც გამტარია...

„მე“ იმყოფება დაბადების, სიკვდილის და ცხოვრების მიღმა... (ლოსევი). არა მგონია, ამ განმარტებამ შვება მოგვიტანოს...

მოკლედ, ჩვენ (პირველი) ვსწავლობთ ჩვენს (მეორე) მექანიზმს და ის (მესამე) სულ გვაკვირდება...

ახლა ჩვენში იმ ადამიანს დავუბრუნდეთ, რომელიც ფიქრობს, ქმნის, წარმოიდგენს, წარმოისახავს... ანუ სურვილებს აქცევს ფორმებად, „ფილმად". ვიზუალიზაცია სწორედ ეს არის: წარმოსახვაში სასურველი რეალობის დანახვა სახეებით. ეს ჩვენი ყოველდღიური არსებობაა, არაფერია ახალი... ახალი ის არის, რომ ჩვენ ვიწყებთ მის შესწავლას და ამ სისტემის შესწავლით და გამოყენებით უფრო საინტერესოს გავხდით ჩვენს ცხოვრებას.

ვიზუალიზაციის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ, როგორ მუშაობს ჩვენი ცნობიერი და არაცნობიერი. როდესაც ჩვენი აზრები ხშირად მეორდება ცნობიერში, ამის შემდეგ ის პირდაპირ გადაედინება არაცნობიერში. არაცნობიერი მას იღებს, როგორც ჭეშმარიტებას და ქმნის ყველა პირობას, რომ ის გამოვლინდეს, მატერიალიზდეს რეალურ ცხოვრებაში... საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ტვინი ვერ არჩევს, არ შეუძლია ზღვარის გავლება რეალურ და წარმოსახულ მოვლენებს შორის.

როდესაც ადამიანი პერიოდულად ფიქრობს ერთსა და იმავე მოვლენაზე და, ამავე დროს, წარმოიდგენს მას, რაც შეიძლება მკაფიოდ, არაცნობიერი ზღაპრული ჯინივით იწყებს მის შესრულებას.

არაცნობიერი ჩვენი ყველაზე ერთგული მეგობარია, ის ყოვლისშემძლეა; ის უსმენს ჩვენს აზრებს, დაუყოვნებლივ გამოაქვს დასკვნები, იწყებს გზების ძიებას სასურველის მისაღწევად, მაგრამ არსებობს ერთი პირობა – მისი ენა განსაკუთრებულია... მას მხოლოდ ვიზუალური, „სახეების" ენა ესმის, ამიტომ არის მნიშვნელოვანი ვიზუალიზაცია... ანუ მკაფიოდ წარმოსახვა იმისა, რაც გსურთ... მაგრამ მხოლოდ წარმოსახვა არაფერია, თუ მას არ ახლავს შესაბამისი კინესთეტიკური განცდები, შეგრძნებები, ანუ ის უნდა იყოს ემოციური. მხოლოდ ეს ანიჭებს ვიზუალურ სახეებს ძალას... ამ გზით წარმოსახული ღრმად იჭრება ჩვენში... შესაძლოა, რომ ამ პროცესს სასიამოვნო მუსიკაც ახლდეს თან.

ახლა შეგიძლიათ, რომ თქვენი ცნობიერების „რევიზია" ჩაატაროთ: რაზე ფიქრობთ ხშირად, რას წარმოისახავთ? რომელი სახეებია თქვენს ცნობიერებაში რეგისტრირებული და ნამდვილად გსურთ თუ არა მათი „ახდენა"?

ადამიანები ძალიან ხშირად ფიქრობენ იმაზე, რაც არ სურთ, ატარებენ ნეგატიურ წარმოდგენებს და ამით ნიშანს აძლევენ არაცნობიერს, რომ იმოქმედოს... მერე უკვირთ, რატომ „ახდა“ ის, რაც არ სურდათ, მაგრამ რაზეც ბევრს ფიქრობდნენ.

კარგი იქნება, თუ აირჩევთ აზრის გამოხატვის პოზიტიურ ვერსიას და კონცენტრირდებით სასურველზე და არა იმაზე, რაც არ გსურთ... ადამიანი ის არის, რაზეც ფიქრობს, რაზეც საუბრობს, რა წარმოდგენებსაც ატარებს... ვისაც ფიქრის შეცვლა შეუძლია, მას შეუძლია სამყაროს შეცვლაც... ბრმა ბედისწერას ქმნის ჩვენი უმოქმედობა და ავტომატიზმი...

ვიზუალიზაცია, როგორც განსაკუთრებული სემიოტიკური ენა, შეგვიძლია ბევრი მეთოდით განვუვითაროთ მოსწავლეებს... მაგალითად, მოასმენინეთ კლასიკური მუსიკა და სთხოვეთ, რომ გაახმოვანონ, რასაც წარმოისახავენ... ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორე სემიოტიკურ სისტემაში „გადასვლა“ შემოქმედებითი პროცესიც არის, საინტერესოც და მოსწავლეთა უნარების გამოვლენაც ასე უფრო მოხერხდება... მუსიკა შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგალითად, მოცარტის „მთვარის სონატა“:

https://www.youtube.com/watch?v=vQVealHWWck

საინტერესო იქნება იმაზე დაკვირვებაც, რომელი ემოცია იქნება დომინანტი ტექსტებით გადმოცემულ შინაარსებში: სევდა, სიხარული, შიში, ბედნიერება...?

ნიკოლა ტესლა ადამიანის ევოლუციაში უპირველეს მნიშვნელობას გამომგონებლობას ანიჭებდა, რადგან თლიდა, რომ ეს იყო შემოქმედებითი აზროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი. ადამიანის განვითარების უზენაეს მიზნად მას მიაჩნდა მატერიალურ სამყაროზე ცნობიერების სრული დიქტატი. თავისი ყველა აღმოჩენა ტესლას ვიზუალური აზროვნების წყალობით აქვს გაკეთებული... ბევრმა მეცნიერმა აზროვნების ამ ტიპის წყალობით შეცვალა სამყარო...

აინშტაინიც ყოველთვის სახეებით ფიქრობდა და არა სიტყვებით ან მათემატიკური სიმბოლოებით... ხოლო ტესლას წარმოსახვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხელშესახებად ხედავდა ყველაფერს... ტესლას სტრატეგიას ჰგავს მოცარტის სტრატეგია, რომელიც ამბობდა, რომ მუსიკას ჯერ გონებაში ქმნიდა და მერე გადმოჰქონდა ქაღალდზე, უკვე დასრულებული...

რატომ არის მნიშვნელოვანი, ამ გენიოსთა აზროვნების წესი ვიცოდეთ? ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების სპეციალისტები თვლიან, რომ ამ სტრატეგიების ცოდნით ბავშვებში ძლიერდება ვიზუალური აზროვნება და ამიტომ სკოლიდანვე უნდა გამოვუმუშავოთ ეს უნარები მათ, შევაჩვიოთ სახეებით აზროვნებას...

როდესაც ბავშვები მშობლებს გამოგონილ ამბებს უყვებიან და მშობლებს ეს ამბები არ მოსწონთ, ისინი ეუბნებიან, რომ ეს მათი ფანტაზიაა, ან რომ ეს ცუდი მოგონებაა და მალე გაივლის და ცდილობენ, რაც შეიძლება, დაუთრგუნონ ასეთი ფანტაზიები და „გადმორთონ" რეალურ ცხოვრებაზე.

ტესლას ამ დრო, სხვა მეთოდი ჰქონდა... როდესაც რაიმე წარმოსახვა აეკვიატებოდა (და გენიოსს ასეთი ბევრი ჰქონდა) და თავიდან ვერ იშორებდა, კი არ თრგუნავდა, იწყებდა ამ წარმოსახვის მართვას და უძებნიდა ისეთ განვითარებას, როგორიც მას სურდა... ვფიქრობ, ეს სტრატეგია ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე შეაჩვევს, მართონ წარმოსახვები და შემდგომში არა მხოლოდ წარმოსახვები, არამედ საკუთარი თავი და საკუთარი ცხოვრება.

წარმოსახვის უნარის განსაკუთრებულობაზეა თანამედროვე ესპანელი მწერლის, ხუან მარსეს პატარა მოთხრობა („უჟანგავი ფოლადის ავტომობილი"), რომელსაც ხშირად ვიმოწმებ ხოლმე ასეთ შემთხვევაში. მოთხრობაში სულ ორი პერსონაჟია: ძლევამოსილი ფინანსისტი და ღარიბი ბიჭუნა. შემთხვევითობის წყალობით, მათი გზები გადაიკვეთება და მოწყენილი მაგნატი ღარიბი ბიჭუნასაგან ისეთ რამეს გაიგებს და ისწავლის, რაზეც მანამდე არასდროს არ უფიქრია... ბიჭუნა მას აზიარებს ნამდვილ მისტიკას და პირველად 50 წლის განმავლობაში სინიორ ალკონი სამსახურში არ მიდის... რაღაც მოხდა მის ცხოვრებაში ისეთი, რამაც ჩვეული ავტომატური რეჟიმიდან ამოაგდო... მოკლედ, ბიჭუნას დაჟინებულობით და ძლიერი წარმოსახვით მან შეიძინა მანქანა, რომელიც არ არსებობდა და რომლის დანახვაც შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადაწყვიტა, რომ შეეძინა ბიჭუნას შეთავაზებული არარსებული ლინკოლნ-კონტინენტალი.

P.S. სწორედ ასეთ შემთხვევებზე ამბობს ტესლა: რომ ცნობიერება ბატონობს საგნებზე...

აზრი ღრუბელია და წვიმა – სიტყვები...

სემიოტიკური ესეი სემიოტიკაზე

კარგი იქნებოდა, სიტყვების გარეშე შეგვეძლოს ახსნა, გაგებინება, აზრის გადაცემა... ერთი მზერით ან ერთი ჟესტით... იმას კი არ ვამბობ, რომ ასეთი რამ შეუძლებელია, უბრალოდ, ასეთი კომუნიკაცია სოციალურ გარემოში მიუღწეველია და ინდივიდთა პრიორიტეტად რჩება... თქვენი არ ვიცი და მე ხშირად მჭირდება, ის, რასაც ვხსნი, სხვა საშუალებებითაც ავხსნა, დავაზუსტო, დავაკონკრეტო, მოვიშველიო ანალოგიები, ასოციაციები... ჩამოვიტანო და დავაზუსტო სქოლიოში... სქოლიოდან კიდევ სხვაგან გადავაგზავნო: იქ იხილეთ... აქ იხილეთ... და ასე შემდეგ... ამ ყველაფრის შემდეგ, ვერ გეტყვით, აზრი კიდევ უფრო ცხადი თუ კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება. აზრთა ამ გაუვალობაში ზოგჯერ სჯობს დადუმდე, გაჩუმდე. სტრატეგია შეცვალო იმის მოსალოდნელი შიშით, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ამ კონტექსტში, შესაძლოა ადრესატმა სხვაგვარად გაიგოს ან საერთოდაც ვერაფერი გაიგოს...

როგორ გამარტივდებოდა ადამიანთა შორის, ხალხებს შორის, კულტურათა შორის დიალოგი, ადამიანებს რომ მარტივად ესმოდეთ ერთმანეთის... თუმცა, ვინ იცის... თუ ნამდვილად გავიგებდი, მეორე ადამიანს რა უნდა, იქნებ უფრო დიდი უფსკრული გაჩენილიყო ჩვენ შორის...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩვენ ვცხოვრობთ ფორმათა სამყაროში და ჩვენს აზრებს სიტყვების ან სხვა ფორმების საშუალებით გამოვხატავთ... მივმართავთ ვიზუალურ საშუალებებსაც, ჟესტ-მიმიკასაც... ვანაწევრებთ აზრს, ვიგოდსკის მეტაფორისა არ იყოს: თითქოს აზრი ღრუბელია და წვიმა – სიტყვები...

და რაკი ჩვენ ვცხოვრობთ ფორმათა სამყაროში, ნებისმიერი ურთიერთობა ეფუძნება ნიშნებით აზრის გადაცემას და გაცვლას და ხშირ შემთხვევაში – ერთი აზრის განსხვავებული ფორმებით და შინაარსებით გამოხატვას. მთავარია, მივაგნოთ ფორმას, რომელშიც ჩვენი აზრი შედარებით სრულყოფილად იქნება გამოხატული და გამოთქმული, რადგან გამოხატვა ათავისუფლებს...

ერთი ფრანგი მწერალი, ფრანსის პონჟი, წერით თვითგამოხატვას წონასწორობას უწოდებს: როდესაც აზრის ვერბალიზაცია ხდება, შინაგანი გამოდის

გარეთ... „ჩვენ რომ მხოლოდ სხეული ვიყოთ, ადვილად მივაღწევდით ბუნებასთან წონასწორობას, მაგრამ ჩვენს მხარეზეა სული: მძიმე თუ მსუბუქი – ვინ იცის? მას ამძიმებს: ხსოვნა, წარმოსახვა, განცდები... მაგრამ ჩვენ გვაქვს სიტყვები – თითოეული წარმოთქმული სიტყვა გვამსუბუქებს... ხოლო წერას რაც შეეხება, საერთოდ სხვა მხარეს გადავყავართ...“

სამყაროში ყველაფერი ნიშანია....

ნიშანია ყველაფერი: ადამიანთა ენა თავისი ლექსიკით, მეტაფორებით და სიმბოლოებით... ცხოველთა და ფრინველთა ენა, ნიშანია მითები და რიტუალები... მათემატიკური ციფრები... სოციალური მოვლენები....

და სრულიად არასაიდუმლოდ გეტყვით, რომ ადამიანიც ნიშანია...

ამ და სხვა სისტემათა ნიშნებს სწავლობს სემიოტიკა...

სემიოტიკა სწავლობს ნიშანს სამ განზომილებაში:

სემანტიკა – იკვლევს ნიშნის დამოკიდებულებას თავის ობიექტთან, ანუ იმასთან, რასაც აღნიშნავს; მაგალითად, მე მქვია მარიამი, მაგრამ ეს, თავისთავად, არაფერს ნიშნავს, სახელი პირობითია, დასადგენია ჩემი მნიშვნელობა, რომ ეს მნიშვნელობა იქცეს იმ სახელის მნიშვნელობად, რომელიც პირობითად მქვია... და თუ მე სხვადასხვა ადამიანი მომანიჭებს სხვადასხვა მნიშვნელობას, წარმოიდგინეთ, მნიშვნელობათა რამდენი სპექტრი უნდა გაერთიანდეს, რომ ადამიანი აღიწეროს...

სინტაქტიკას აინტერესებს ნიშნების ერთმანეთთან დამოკიდებულება... ადამიანი, რომელსაც სხვადასხვა ადამიანთან აქვს აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება... ასე არიან სიტყვებიც ურთიერთმეზობლობაში...

პრაგმატიკა – ნიშანსა და მის მომხმარებელს შორის დამოკიდებულებაა... მომხმარებელი (ადამიანი) ხშირად ნიშანს ანიჭებს სრულიად სხვა მნიშვნელობას, ვიდრე ეს მისი სალექსიკონო მნიშვნელობაა... ამიტომ ნიშნის სტატუსის დასადგენად გასათვალისწინებელია ეს ასპექტი.

სემიოტიკა არის მეცნიერებაც, კვლევის მეთოდიც, მსოფლხედვაც...

ფუკოს მიხედვით, ახალი პოსტმოდერნული ეპოქის აზროვნების ახალი სტილი.

ბარტის აზრით, პოსტმოდერნისტული პროექტის რეალიზაციის საშუალება...

უმბერტო ეკოს აზრით, ნიშნის არსი იხსნება შემოუსაზღვრავ სემიოზისში, რაც იმაში გამოიხატება, რომ მნიშვნელობა არასდროს არ ქმნის ჩაკეტილ სისტემას, რამდენადაც ნიშანთა სამყარო კომუნიკაციის პროცესში მუდმივ მოძრაობაშია...

ვთანხმდებით იმაზე, რომ ჩვენ ვიცით თუ არა სემიოტიკის არსებობა, ამის მიუხედავად, ჩვენ ვართ ნიშანათა გარემოცვაში და ვოპერირებთ ნიშნებით... აქ და ახლაც... და ვცდილობთ, რაღაც ავხსნათ და ისე ავხსნათ, რომ გავაგებინოთ მეორე ადამიანს, ან შევიყვანოთ აზრების ისეთ ლაბირინთში, რომელშიც თავად დაიწყებს ფიქრს... მთავარია, რა გვაქვს მიზნად, როდესაც კომუნიკაციის პროცესში ვართ...

სემიოლოგები ლექსიკონებს „მნიშვნელობათა სასაფლაოს“ უწოდებენ, სემიოტიკას ნაკლებად აინტერესებს სიტყვის მყარი, უზუსური მნიშვნელობები, იგი ორიენტირებულია კონოტაციურ მნიშვნელობებზე, ანუ იმ მნიშვნელობებზე, რომელსაც სიტყვა იძენს ტექსტში და რამდენადაც კონტექსტები ამოუწურავია, უსასრულოა სემიოზისის პროცესიც...

სემიოტიკა არის სამყაროს და ადამიანების განსაკუთრებული, მრავალგანზომილებიანი ხედვაც...

ტექსტიც მრავალგანზომილებიანია... სულ შრეებად უნდა დაშალო, რომ პირველაზრამდე მიხვიდე... განსაკუთრებით ეს ეხება მხატვრულ ტექსტებს. პოეტისთვის „თოვლი“ ან „ქარი“ ან „წვიმა“ მხოლოდ ბუნების მოვლენები არ არის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ლექსში ეს ლექსემები პირდაპირი მნიშვნელობითაა გამოყენებული... ერთდროულად ის ბევრ რამეს აღნიშნავს და მიანიშნებს... მაგალითად, ყველასათვის ცნობილ სტრიქონებში: „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...“ – შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ „ქარი“ არაფერ შუაშია...

როგორ გავაცოცხლოთ „მკვდარი ნიშნები“?

სემიოტიკის, როგორც მეცნიერების და როგორც კვლევის მეთოდის, გააქტიურება და გააქტუალურება თავისთავად უკვე იმის ნიშანია, რომ სამყარო

გართულდა, ადამიანები გართულდნენ და ნიშნები დაშორდნენ იმას, რასაც ნამდვილად გამოხატავენ... ნიშნები დაშორდნენ არსს... ზოგ შემთხვევაში კი, ნიშნებმა მიატოვეს მნიშვნელობები და დაცარიელდნენ... მოხდა ნიშნის დეესემანტიზაცია... წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც სხეული დატოვა... არა, ცოცხალი კი დარჩა, მაგრამ სული (შინაარსი, მნიშვნელობა) სადღაც დაკარგა... აი, ნიშნებსაც ეს დაემართათ... ქართულში არსებობს ასეთი ფრაზეოლოგიზმები: ცარიელი სიტყვა, ცარიელი ადამიანი, უაზრო ლაპარაკი (შესაბამისად, უაზრო ადამიანი)... უფრო ზუსტად რომ ავხსნა ნიშნების სიცარიელე, ფეისბუკს მოვიშველიებ... წარმოიდგინეთ, თქვენს კედელზე უეცრად ყვავილების თაიგული ჩნდება, რომელიღაც ფრენდმა მოგართვათ... თქვენც თავაზიანად მადლობას უხდით და „სმაილიკებს“ უხატავთ და რა...? რომ მოგინდეთ, იმ ყვავილებს შემოიტანთ ოთახში და ლარნაკში ჩააწყობთ...? ახლა წარმოიდგინეთ, რომ ცოცხალი და მოსიარულე ადამიანი ისე მიემართება თავის არსს, როგორც ფეისბუკის ყვავილი არ არის ნამდვილი ყვავილი...

და როგორ შეიძლება ნიშნების „გაცოცხლება“, „მნიშვნელობებით ავსება...?“ დაახლოებით ასე: რომ შეგეძლოთ ფეისბუკის პროფილიდან ყვავილების თაიგული რეალობაში (ოთახში) შემოიტანოთ და ლარნაკში ჩააწყოთ...

რატომაც არა... სემიოტიკური ხედვა ამ პერსპექტივასაც გთავაზობთ.

ეს როგორ განახორციელოთ, იფიქრეთ...

კონცეპტი-ნიშნებით პოეზიის სწავლება უფრო ღრმა და საინტერესო სწავლებაა. რა არის კონცეპტი? კონცეპტი წარმოადგენს აზრის ვერბალურ გამოვლინებას, აზრი კი იქმნება ნიშნებით, ჩვენ შეგვიძლია აზრს ჩავწვდეთ მხოლოდ სიტყვების მეშვეობით. კონცეპტი მიეკუთვნება ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას, იგი ენისა და აზრის ერთიანობაა, რომელიც ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და ინახავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით. სანიმუშოდ ქვემოთ გთავაზობთ ორ სტატიას. პოეზია განხილულია კონცეპტების ანალიზით. შეგიძლიათ, სხვა პოეტებიც ასე შეასწავლოთ მოსწავლეებს.

სისხლის სემიოტიკა

იცი, რამ მოგიყვანა, ბაბუა?
– არა! – უპასუხა შვილიშვილმა.
– მე გეტყვი, აბა: სისხლმა მოგიყვანა, ბაბუა, სასწაულია სისხლი...
მხოლოდ სისხლი ლაპარაკობდა და ფიქრობდა, ხოლო რას ლაპარაკობდა და ფიქრობდა სისხლი, – ღმერთმა უწყის!“

ნოდარ დუმბაძე „სისხლი“

იესომ „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად“. (მათე, 26, 27-28).

„სისხლი“ არქეტიპული სიმბოლოა, რომელთანაც ერთდროულად არის დაკავშირებული როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციები. მნიშვნელობათა ამბივალენტურობა არის კონცეპტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი (განსხვავებით სიტყვისაგან).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის ფრაზეოლოგიაში სისხლთან დაკავშირებით უარყოფითი შინაარსის კონოტაციები სჭარბობს. ასეთებია: სისხლი აემღვრა (ბრაზი მოერია), სისხლი მოაწვა (ბოღმა ახრჩობს), სისხლი გაეყინა (ელდა ეცა, შეეშინდა), სისხლი გაუშრა (გაიტანჯა), სისხლი თავში აუვარდა (მეტისმეტად გაბრაზდა), სისხლი მართებს (ვინმე ჰყავს მოკლული), სისხლს ეძებს (ვინმეს მოსაკლავად დასდევს) და ასე შემდეგ.

სისხლი არის სიმბოლო სიცოცხლის, სიკვდილის და სიყვარულის; დაკავშირებულია დაბადებასთან, ქორწინებასთან, ომთან... კონცეპტი „დაატარებს“ ბიბლიურ ცოდვასაც, რაც ასე გამოხატა ანა კალანდაძემ ლექსში: „და თქვა უფალმან...“

და თქვა უფალმან კაენის მიმართ:

სად არის აბელ, ძმაი შენი...
კაენ, სად არის, აბელ?
სისხლის იკვრება რკალი...
სხვისას... არ იღებს ზეცა,
საკუთარს ითხოვს, კაენ!

სისხლი ქრისტიანული სიმბოლოცაა: იესომ „აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად" (მათე, 26, 27-28).

„სისხლის ყივილი" – ეს მეტაფორა დაკავშირებულია ყოველივე მშობლიურთან, რომელიც განუყოფელია ადამიანის „მე"-სგან. ამიტომ, თუ ადამიანი ტოვებს სამშობლოს, გარკვეული აზრით, ის ტოვებს საკუთარ თავსაც, რადგანაც ადამიანი კოლექტიურ-ისტორიული სხეულის, სამშობლოს ნაწილია.

ვაჟა-ფშაველა „ალუდა ქეთელაურში" სისხლის აღების წესს ასე აპროტესტებს:

ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითონაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევდეს,
პურადაც მოსახმარია.

მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცალია,
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.

შენ რო სხვა მაჰკლა,
შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

წარმოდგენილ ნაწყვეტში მტერობის მოსურნე და შურისმაძიებელი ადამიანის მთელი ცხოვრება სისხლის ფონით არის წარმოდგენილი და ნაჩვენებია ცხოვრების ამ წესის შეუქცევადი ხასიათი. კონცეპტის ამგვარი გააზრება, რა თქმა უნდა, უარყოფით კონოტაციებს ქმნის.

სისხლი ითხოვს სისხლს, სისხლი წყვეტს... ზოგჯერ ის ადამიანზე მეტია... ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა" შეიძლება დავიმოწმოთ ამ კონტექსტით: „მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!"

ქართულ პოეზიაში სისხლის სხვა მნიშვნელობებიც გვხვდება. საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მიერ პოეზიის განმარტება: „პოეზია ნიჭია, მადლია, რომელიც ეძლევა კაცთა, მხოლოდ ღვთივ რჩეულთა, მადლია, მაგრამ, ამასთანავე, ტვირთიც არის, რადგანაც იგი მოვლენილია, რათა ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს!" პოეზიის სისხლთან დაკავშირება საინტერესო სახეს ბადებს. ერთი მხრივ, სისხლდენა მტკივნეული პროცესია და, მეორე მხრივ, ლექსის დაბადება – დიდი სიხარული. ამგვარ ამბივალენტურ კონოტაციას ქმნის სისხლი ტიციან ტაბიძის ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში:

გდიოდა ლექსი, შენ როგორც სისხლი,
მოურჩენელი გულის იარა,
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.

„სისხლის სისხლთან ზიარება" – ეს არის პოეზიის, როგორც სისხლის, და ფიზიკური სისხლის ურთიერთშერევის მისტიკური აქტი.

მირზა გელოვანი ერთ ლექსში წერს:

თქვენ ღვინოს ნუ სვამთ სხვა თასიდან, უარი თასებს!
უარი ყველას... სიყვარული ერთს ათასიდან.

ვინც უკვდავებას, როგორც ხვითოს, ქვეყნად აფასებს,
დალიეთ ღვინო ჩემი თასიდან.

ვულკანის ტკივილს სიყვარული ვინც შეავედროს,
ვისაც სურს, ღამის ნაოჭებში ცამ გაუღიმოს,
დალიეთ სისხლი ამ თასიდან უალავერდოდ,
ჩემი თასიდან დალიეთ ღვინო.

მირზა გელოვანის დამოწმებულ ლექსში სისხლი და ღვინო სინონიმებია. „დალიეთ სისხლი ამ თასიდან“ ბიბლიური ალუზიაა.

რატომ მაინცდამაინც სისხლის მეტაფორიზაციით გადმოიცემა სულის უკვდავების იდეა? ამ მოვლენის ასახსნელად შეიძლება მივმართოთ ისევ სისხლის ბიბლიურ გაგებას. მაგალითად, ბიბლიაში ვკითხულობთ: „რადგან სისხლშია ხორციელის სული...“ (ლევიანნი, 17:11) ანდა: „რადგან სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი...“ (ლევიანნი, 17:14). ამ გაგებიდან გამომდინარე, შეიძლება უკეთ აიხსნას ილია ჭავჭავაძის გამონათქვამი: პოეზია მოვლენილია, „რათა ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს!”

მაშასადამე, პოეზია „სისხლის გადასხმაა“, თან გამუდმებული გადასხმა... რატომ სისხლის? რადგან სისხლშია სული! (ბიბლიური გაგება).

სისხლის განსაკუთრებულობასა და ძალაზე მეტყველებს ძველ საქართველოში სისხლის შერევით ძმადნაფიცობის განმტკიცების ტრადიციაც.

სისხლი უწყვეტ ციკლს ქმნის – წარსულიდან მოდის აწმყოში და გადაედინება მომავალში. სისხლის უწყვეტობა (ქართული გენის უკვდავების მეტაფორა) კარგად გამოიხატა მუხრან მაჭავარიანის ლექსში: „ვითარცა მტკვარი...“

ვითარცა ღვინო – ქვევრიდან ხაპში –
ხაპიდან დოქში – დოქიდან ჯამში –
ქართული სისხლი, ქართული სული,
ქართული სიტყვა, ქართული გული
გადადიოდა კაციდან კაცში...
გზადაგზა სვამდნენ, ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,

უღმერთოდ ჰრყვნიდნენ, უგულოდ ჰყიდდნენ.
და... მიუხედავად ამისა,
მაინც, –
გამოიარა რუსთველის გული,
გამოიარა ვახტანგის გული,
გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული...
და დღეს –
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს –
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს სულხანის ნაქონი სისხლით –
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი,
ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი
და...
იარონ! იარონ! იარონ!
ამინ!

წარმოდგენილი ლექსი ერთგვარი ლოცვა და საგალობელია ქართული გენისა. ამ სიმძაფრეს ავტორი სწორედ სისხლის პოეტიკით აღწევს. „კაციდან კაცში“ სისხლის გადასვლა „თასიდან თასში“ გადასვლასთან ასოცირებული, ერთგვარად მისტიკურ რიტუალს ემსგავსება და „გრაალის თასის“ სიმბოლიკასაც გვახსენებს.

ვარსკვლავების სემიოტიკა ანა კალანდაძის პოეზიაში

პოეზია, გარდა იმისა, რომ მეტყველების ფაქტად რჩება, იგი, ამავე დროს, მის საზღვრებს გარეთაც იჭრება... ენის სტიქიის მოძრაობაში ჩაფლული, მისი ნაწილაკების გადაადგილებით გართული პოეტი ან თვითონ ირჩევს სიტყვებს, ან სიტყვები ირჩევენ პოეტს.

ოქტავიო პასი

ენაში არსებული ნებისმიერი სიტყვა პოეტურ მეტყველებაში შეიძლება იქცეს იმგვარ მეტაფორებად, რომელთა სრულად აღწერა შეუძლებელი იქნება. „მწერალი ამრავლებს მნიშვნელობებს და ტოვებს მათ დაუმთავრებელს და ღიას. ენის მეშვეობით ის ქმნის აღმნიშვნელებით გაჯერებულ სამყაროს და ვერასოდეს ვერ იღებს საბოლოო აღსანიშნს“ (ლოტმანი).

თავის დროზე ხლებნიკოვმა კრუჩენიხთან ერთად წამოაყენა თეზისი, რომლის თანახმადაც, მხატვრული ნაწარმოები შეიძლებოდა, რომ მხოლოდ ერთი სიტყვისგან შემდგარიყო. მათი აზრით, ეს იყო არა მხოლოდ ავანგარდული პროექტი, არამედ თავად სიტყვის სახეობრივი ბუნების ლინგვისტურად განპირობებული რეკონსტრუქცია. თავად სიტყვა უკვე პატარა ნაწარმოებია, – აცხადებდნენ ისინი. ამაზე მიუთითებს მიხეილ ეპშტეინი, როცა წერს: აფორიზმი ითვლება ყველაზე მცირე ლიტერატურულ ჟანრად – ერთ წინადადებაშია აზრი შეკუმშული... მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მცირე ჟანრი – მხოლოდ სიტყვა. სწორედ სიტყვა წარმოდგება, როგორც დასრულებული ნაწარმოები, როგორც სიტყვაშემოქმედების დამოუკიდებელი რეზულტატი. ეპშტეინი ხაზს უსვამს სიტყვას, არა როგორც ენის ერთეულს და ენათმეცნიერების საგანს, არამედ როგორც ლიტერატურულ ჟანრს, რომელშიც არის პლასტიკა, იდეა, სახე, თამაში, კოლიზია და სიუჟეტი. ერთსიტყვიანობა – ერთი სიტყვის ხელოვნება, რომელიც თავის თავში მოიცავს ახალ იდეას ან სურათს – მაქსიმუმი აზრი მინიმუმ ენობრივ ერთეულში!

მე გავაგრძელებდი ეპშტეინის აზრს და დავამატებდი, რომ ამგვარ „ლიტერატურულ ჟანრად“ და დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებად სიტყ-

ვა შეიძლება იქცეს, ამავე დროს, სხვა სიტყვებთან ურთიერთობის შედეგად. ენის ბუნებაში ჩადებული მეტაფორულობა მხატვრულ სააზროვნო სივრცეში კიდევ უფრო აქტუალიზდება და ამოუწურავ ქმნადობას გვთავაზობს. „ყოველი სიტყვა უამრავ პოტენციურ მნიშვნელობას შეიცავს. როცა სიტყვა სიტყვებს უკავშირდება და იქმნება ფრაზა, იმ მრავალ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი აქტიურდება და მთავარ მნიშვნელობად იქცევა“ (ოქტავიო პასი). ენაში დევს მნიშვნელობადქმნადობის იმგვარი პოტენციალი, რომელიც პრაქტიკულად ამოუწურავია.

ცალკეულ ავტორთა პოეტურ შემოქმედებაში გამოიყოფა ისეთი „სიტყვა-ნაწარმოებები“, „სიტყვა-კონცეპტები“, რომელთა გარშემო შეიძლება გადაეწყოს პოეტის ენობრივი სამყარო. იმისათვის, რომ ამგვარი სიტყვა-კონცეპტები, სემანტემები, გამოვლინდეს, საჭიროა:

ა) ტექტში სემანტემის გამოყენების მაღალი სიხშირე, მარკირება;
ბ) აღნიშნული სემანტემის მეტაფორულობის მაღალი ხარისხი, რაც გამოიხატება ახალ მნიშვნელობათა წარმოქმნაში;
გ) პოეტის შემოქმედების კონცეპტი თავისი ფუნქციონირებით ტექსტში გამოხატავს ავტორის იდეას.

ჩვენი კვლევის ობიექტს ამ მიმართულებით წარმოადგენდა ანა კალანდაძის პოეზია. პოეტურ ნაწარმოებში არის ისეთი სიმბოლოები, რომლებიც ითხოვენ ინტერპრეტაციას თავად ავტორისათვის (მამარდაშვილი).

კვლევის შედეგად პოეტის შემოქმედებაში გამოიკვეთა სიტყვა-კონცეპტი „ვარსკვლავი“.

შეიძლება ითქვას, რომ სემანტემა „ვარსკვლავი“ მეტ-ნაკლები სიხშირით თითქმის ყველა პოეტის შემოქმედებაში გვხვდება, მაგრამ ანა კალანდაძის ,,ვარსკვლავი“ ნამდვილად განსაკუთრებულია. რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვა? კითხვაზე პასუხი მარტივია და პოეტის ინდივიდუალობიდან მომდინარეობს. როგორც ჩანს, ამ სიტყვით გამოხატული აზრი ყველაზე მეტად ენათესავება პოეტის სულს. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობიდან დაწყებული, მის ყველაზე უფრო დაუსაზღვრავ მნიშვნელობამდე, თითქმის ყველაფერს თავი მოუყრია ანა კალანდაძის შემოქმედებაში. ოთარ ჭილაძისა არ იყოს:

„ძვირფასო, სიტყვას აქვს თავის ფასი,
ზომა და წონა, სუნი და ფერი
და ისიც ყველა ჩვენგანის მსგავსად
იცინის, ტირის, ოცნებობს, მღერის...“

და არა მხოლოდ...

ვფიქრობ, ვარსკვლავებთან დაკავშირებული სულისკვეთება და პოეტის შემოქმედების არსი კარგად გამოიხატა ანას შემდეგ სტრიქონებში:

ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი
და ცეცხლით ვივსები იმათებრ...
„ო, ღმერთო, ო, ღმერთო, საბაოთ,
სინათლე, სინათლე, სინათლე...“

რა აზრია გამოთქმული სტრიქონში: „ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი“? რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობა – რომ წარმოვიდგინოთ, პოეტი როგორ მისჩერებია ღამეულ ვარსკვლავებიან ცას. პასუხი ამავე სტრიქონებშია: სინათლე! არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ანა კალანდაძე სინათლის პოეტია, რაც სწორედ „ვარსკვლავთმჭვრეტელობაში“ და იმათებრ „ცეცხლით ავსებაში“ მეტაფორულად გამოხატა ავტორმა. რატომ დაუნათესავდა პოეტის სული ვარსვლავს? იმ თვისებების გამო, რომელსაც ვარსკვლავი ატარებს – სიშორე, სინათლე, იდუმალება, სიჩუმე...

ტომას სტრენზ ელიოტი ერთ ესეში წერს: „რა სიტყვებიც უნდა გამოიყენოს მწერალმა, რამდენადაც შესაძლებელია, სარგებლობს ამ სიტყვათა ისტორიის ცოდნით, იმის ცოდნით, თუ როგორ გამოუყენებიათ ეს სიტყვები. ამგვარი ცოდნა ეხმარება მის ამოცანას, მიანიჭოს სიტყვას ახალი სიცოცხლე და ენას კი ახალი იდიომი შეჰმატოს. არსებითი ტრადიცია ასეთია: მიწვდე, რამდენადაც შესაძლებელია, მთელ მნიშვნელობას ენის ისტორიისა, რაც სიტყვის მიღმაა“.

ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სიტყვის სახარებისეული გაგებაც. „როცა იესო დაიბადა იუდეის ბეთლემში, მეფე ჰეროდეს დღეებში, იერუსალიმში მოვიდნენ ვარსკვლავთმრიცხველნი აღმოსავლეთიდან და თქვეს: სად არის, იუდეველთა მეფე რომ დაიბადა? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათე, 2.1; 2.2); აგრეთვე:

„მათ მოუსმინეს რა მეფეს, წავიდნენ. და აი, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და გაჩერდებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო (მათე, 2.9). ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებობს ისეთი იდიომები, როგორებიცაა: ბედის ვარსკვლავი, ვარსკვლავი აენთო (ადამიანი დაიბადა), ვარსკვლავი ჩაქრა (ადამიანი მოკვდა)...“

ვარსკვლავი ანასთვის აგრეთვე უფლის მაცნეა:

ღამით, იქ, ზემოთ, ვარსკვლავს აანთებს
ვიღაცის ხელი,
გათენებამდე სანთელივით რომ
იწვის და ღვენთავს...
თორემ აქ ვის რა გააძლებინებს,
კლდეთ უფსკრულებში,
უამვარსკვლავოდ? ამსხივოდ?
უშველოს ღმერთმა...

ბედის ვარსკვლავის მნიშვნელობით არის გამოყენებული სემანტემა ვარსკვლავი შემდეგ კონტექსტებში:

აცისკროვნდება გულში ედემი!
ნათობს ვარსკვლავი ჩვენი ბედისა...
რად ვშფოთავთ ჩვენ მის გამოჩენამდე?

ანდა:

დამეხსენ სრბას: იგი დამეწევა
იის კონებით, –
ვარსკვლავი ჩემი ვარსკვლავთშორის
მარადის მრწემი, –
და სიხარულით ამაღლდება
საუფლო ჩემი.

არა მხოლოდ ადამიანს, ქვეყანასაც თავისი ბედის ვარსკვლავი დაჰყვება:

მიწავ, უსასოდ დამცირებულო,
გამარჯვებისას შენ ისევ შესვამ:

მოდის ვარსკვლავი გაბრწყინებული,
რომ დაგვიბრუნოს დიდება ესე!

ბიბლიაში ვკითხულობთ: „თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად... დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინა მიწა, გაეყარათ ნათელი და ბნელი...“ სიბნელე-სინათლის, კეთილისა და ბოროტის კონტრასტულობას ისევ ვარსკვლავებით (ბიბლიური მნიშვნელობით) წარმოადგენს პოეტი:

ვარსკვლავი იგი სიხარულისა
ჩემს წილ მარადის
აღავლენს ციალს,
რაც უფრო ღამე
ჩამოდის ბნელი,
იგი უფრორე
ელავს და ბრწყინავს!

ან:

გაკრთეს ნათელი შინაგან ბნელთა,
ვით კვალი ვარსკვლავთ მიმოსვლათანი...

ადამიანი-ვარსკვლავი ასევე არ არის უცხო მნიშვნელობა და მეტაფორულობა, და ანას პოეზიაში ამ მნიშვნელობასაც ვხვდებით. რჩეული ადამიანი „შუქურვარსკვლავია“ და მისი გარდაცვალებისას პოეტი იტყვის: „ცას მოსწყდა შუქურვარსკვლავი“, პატრიოტ ჯარისკაცებს კი ვარსკვლავებს ადარებს: „მიდიხართ მტვრიანი, მტვრიანი ჩექმებით და ვარსკვლავებივით ბრწყინავთ“.

9 აპრილს დაღუპულები უფლის ვარსკვლავებია:

ახლოა ჟამი შუაღამისა,
ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება...
კვდება სრულიად საქართველოსთვის, — ლოცვით,
გალობით,
ვინც ახლა კვდება.

შეიძლება აქ გაგვახსენდეს ოთარაანთ ქვრივის გიორგი, რომელიც სატრფოს მიმართავს: „სად შენ და სად მე... სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს...“ (ადამიანი-ვარსკვლავი).

ბუნებრივია, რომ ვარსკვლავი სიწმინდესთან, ბრწყინვალებასთან ასოცირდება პოეტისათვის, ამიტომ ჩნდება ამგვარი სახეები:

ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ,
თუ წმინდა მამებს უნთიათ ზეთი?

ანგელოსი დაეთხოვა მიწის შვილთა,
შორს გაფრინდა ვარსკვლავების შარავანდით.

ბრწყინვა კანდელთა
ჰგავდა ბრწყინვას ვარსკვლავთ მირიადთ...

შენ შემოდიხარ უცხოდ მორთული
და ვარსკვლავებით თავდანამშვენი.

პოეტური მეტყველება არსებითად დიალოგია, როგორი მონოლოგური ფორმითაც უნდა იყოს გამოხატული. პოეტი ყოველთვის ვიღაცას (რაღაცას) მიმართავს, ელაპარაკება. სხვაგვარად საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა გამოხატვა. „ენა ერთმანეთთან აკავშირებს სამ ელემენტს: „მე“, „შენ“ და „ის“, ანუ საგანი. ვიღაცა ვიღაცას რაღაცაზე ესაუბრება“ (პოლ ვალერი).

მიმართვის ობიექტი პოეზიაში შეიძლება უსულო იყოს. ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა არც პოეტისათვის და არც პოეზიისათვის. ანა კალანდაძეს ხშირად აქვს დიალოგი ვარსკვლავებთან.

და გაქრნენ სადღაც...
ცის სიღრმეში კრთოდა ვარსკვლავი,
რატომ მოსწყდიო? –
მანაც მკითხა, –
საუფლოს შენსა?

რას გადმომყურებ ბანზეით,
შე ლურჯ ვარსკვლავთა ციალო? და სხვა.

იდენტიფიკაცია ვარსკვლავთან ნიშნეულია ანას პოეზიისათვის. ბრწყინვა, ანთება, ჩაქრობა – ეს ის ლექსიკაა, რომელიც ვარსკვლავთან უშუალო კავშირშია, მისი მახასიათებელია. რაკი ჩვენ აღმოვაჩინეთ პოეტის იდენტობა მნა-

თობთან, შესაბამისად, ვარსკვლავის ლექსიკა ბუნებრივად გადადის პოეტზე. ის ამბობს:

მე ავმაღლდები შენს ლურჯ ცაზე,
შენთვის ვიბრწყინებ,
აღვინთები და დავშრტები შენდა!

ეჭვი არ არის, რომ ამ შემთხვევაში „პოეტი–ვარსკვლავი“ ლაპარაკობს. პოეტის იდენტიფიკაცია ვარსკვლავების ჩუმ სამყაროსთან კარგად გამოიხატა შემდეგ სტრიქონებში:

დუმს ვარსკვლავების
ჩუმი სამყარო...
მას შეჰღაღადებს
მიწა ცოდვილი...
გამოიღვიძე,
მიუსაფარო,
ო, სულო ჩემო,
გეყო ლოდინი, –
გაფრინდი ცისკენ!

თუ ცა ვარსკვლავებით თვალს დახუჭავს, იხუჭება პოეტის გულის თვალიც და ეს იდენტიფიკაციის კიდევ ერთი მშვენიერი დასტურია:

დახუჭა თვალი ცამან ცხოველმან
და... დაიხუჭა „გულისა თვალიც“...

ზოგჯერ ცხოვრებისაგან განრიდების მოსურნე პოეტი ვარსკვლავად ყოფნას ესწრაფვის, რადგან ყოფიერება სავსეა ცრუ და ამაო ხმებით, რაც ახშობს და თრგუნავს ლირიკულ მეს. ვარსკვლავივით შორს ყოფნა იდენტიფიკაციის შემდეგი საფეხურია:

არ მინდა და, –
ვამბობ...
არ მინდა და, –
ვისმენ...
იმ ვარსკვლავის მსგავსად

შორს მამყოფა
ისე...
არსაიდან ხმაი
არ მწვდებოდეს
ცასა...
ო, მამყოფა
ისე,
იმ ვარსკვლავის მსგავსად!

პოეტის იდენტიფიკაცია ვარსკვლავთან ისევ ანა კალანდაძის სტრიქონებით უნდა ავხსნათ. კითხვაზე: რატომ ვარსკვლავებთან? – ანას პასუხი ასეთია:

მაგრამ მე მაინც, ო, მე მაინც
სიხარულს ვესავ...
ესიტყვებიან ვარსკვლავები
გულისთქმას ჩემსას
უშიშრად და დაუფარავად...

ამ ლექსში ანას წინაპრის – ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებიც ხმიანდება: „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო...“; ვარსკვლავი ყოველთვის „თანამავალია“, – სადაც მიდიხარ, მოგყვება. სწორედ ამიტომ ის არის ავთანდილის მეგობარიც, სატრფოს მოშორებული, მნათობებს რომ ესაუბრება.

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა ეამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის“.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, ავთანდილისა და ანა კალანდაძის ლირიკული გმირის სულიერი ნათესაობა, როცა ისინი მნათობებს მიმართავენ სულის სანუგეშოდ. ავთანდილი მიმართავს ზუალს:

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“.

ანა კალანდაძე მიმართავს ზუალს:

აღმეკრა პირსა მე მწუხარება:
სიხარულისგან დამცალა ზემან
და ვარდიანი ჩემი კარავი
წყვდიადისათვის დააგდო მზემან...
შემომეძარცვა შარავანდედი
დაუნჯებული და იდუმალი...
განქარდა ჩემი ხატი იისა
და... ჩემს კარავზე დგახარ, ზუალო!
აღმეკრა პირსა მე მწუხარება.

ამ ორ ტექსტს შორის საერთო მწუხარებაა, განსხვავებული ენობრივი ფორ-მებით გამოხატული, მაგრამ ერთი სათქმელი. ამ სათქმელს ზუალი განაპირო-ბებს. ახლა სხვა მნათობისადმი მიმართვაც ვნახოთ:

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,
შე-ცა-მღებე და შემსვარე წითლად სისხლითა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა.

ანა კალანდაძე:

ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური,
არცა წუხილის ცრემლები ვკადრე:
მოიღო ცეცხლი მან ღვთაებრივი,
გადამაფარა ციური მადლი...
მომართვა თვისი მაღალი ტახტი,
დამარქვა თუღი თვისი მეფური...
განმაძლიერა მე შიშსა ზედა...
ო, მარსს არ ვკადრე მე საყვედური:
ძალუმი იყო წყალობა მისი!

ავთანდილი ასპიროზს მიმართავს:

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დაამშვენებ კეკლუცთა დამშვენებითა მაგითა,
ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.

ანა კალანდაძე:

> და ბრწყინავს, ბრწყინავს, ბრძენი ასპიროზ,
> ქვაბების თავზე ამაყად მდგარი,
> და დაუშრეტის იდუმალებით
> კვლავ ნუგეშსა სცემს ამ შემოგარენთ.

ამ უნებური ანალოგიით ჩვენ ვადასტურებთ შემოქმედი სულების კავშირს მნათობებთან. ისინი სხვადასხა დროში და განსხვავებულ სიტუაციებში მიემართებიან ციურ სხეულებს, მაგრამ ფაქტია, რომ „თვალი ცისკენ უჭირავთ“ – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. ამგვარ ტექსტებში მინიმუმ ორმაგი კოდირებაა, ერთი ფიზიკური სამყაროსათვის, ხოლო მეორე-მიღმური სამყაროსათვის დანიშნული.

კითხვები, რომლებიც კვლევისას მიჩნდება და რომლებზედაც პასუხებს ვპოულობ... უეცრად აღმოჩნდება, რომ ანა კალანდაძე რომელიმე ლექსით მიდასტურებს. ასე მოხდა ამჯერადაც პოეტის შემდეგი სტრიქონებით:

> აქ სალამურით ატირდება
> პატარა მწყემსი,
> რა აღონებს პაწია ბიჭსა?
> ბრწყინავს ვარსკვლავი:
> ცას იმისი გულისთქმა ესმის,
> ცას უუშორესს, შეუცნობელს,
> გრძნეულს და მისანს.

თუ ჩავთვლით, რომ პატარა მწყემსი, ზოგადად, მაძიებელი ადამიანის სიმბოლოა, გაბრწყინებული ვარსკვლავები ადასტურებენ, რომ უფალს ესმის მისი...

მიუღწეველი (ანუ უფალი) ვარსკვლავის ბუნებისაა (ანდა, პირიქით), ბრწყინვალეა, ამიტომ: „გამომიბრწყინდი, მიუღწეველო, აწ უცნაური მექმენ საცნაურ...“ – წერს პოეტი და ამ გამობრწყინებაში ჭეშმარიტების გაელვებას გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ვარსკვლავის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება შესაბამის განცდათა გადმოსაცემად ბუნებრივია ანასთვის.

ვარსკვლავი ბრწყინავს,
ო, ვარსკვლავი,
კრთის სასიამო
და მთვარე არის კვლავ
სხივთა მთოვარ...

ან:

და მშვიდთა ცათა ამოენთება
ვარსკვლავი კიდეთ,
დაუბრუნდებათ თვისი ფერი
დიდებულ ნაძვებს...

სატრფოს კი ისე აღარ ელის პოეტი, როგორც ხავერდოვანი ღამის წყვდიადი ვარსკვლავს:

ო, აღარ ველი მას,
როგორც ვარსკვლავს –
ხავერდოვანი
ღამის წყვდიადი...

ნამიანი ბალახიც კი ავტორისთვის „ვარსკვლავების ლაღი ბიბინია"... და ასე შემდეგ... ვფიქრობთ, სრულად ვერ შევძელით წარმოგვედგინა ყველა ის კონოტაციური მნიშვნელობა, რომელსაც ვარსკვლავი აჩენს ანას პოეზიაში.

„სიტყვა", როგორც რეალობა, განუყოფელია მთქმელისაგან, იმისგან, ვისთვისაც ეს მეტყველებაა დანიშნული და აგრეთვე იმ სიტუაციისაგან, რომელშიც ეს სიტყვა წარმოითქმის (გასეტი). რა თქმა უნდა, სხვაგვარად სიტყვა მხოლოდ აბსტრაქციაა.

ასეთივე აბსტარაქციაა სიტყვა „ვარსკვლავი", რომლის სალექსიკონო მნიშვნელობაა – ცის სხეული, რომელიც საკუთარი შუქით ნათობს; შორი მანძილის გამო ვარსკვლავი ცის კამარაზე ჩანს, როგორც ყოველმხრივ სწორხაზოვნად სხივების გამომცემი მნათობი წერტილი (ქეგლ-ი, 1955: 30).

ქართულ სალიტერატურო ენაში ლექსემა „ვარსკვლავმა" მყარი შესიტყვებებიც წარმოშვა, ასეთებია: კუდიანი ვარსკვლავი (კომეტა), ვარსკვლავი მოწყდა

(მეტეორმა გაიელვა), მოწყვეტილი ვარსკვლავი (მეტეორი), ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი (ძალიან ლამაზი), ვარსკვლავებს ეპოტინება (მიუწვდომლისკენ მიისწრაფვის), ვარსკვლავებს ეთამაშება (ლამაზია), ბედის ვარსკვლავი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული... გადატანითი მნიშვნელობით ვარსკვლავი აღნიშნავს აგრეთვე ბედს, განგებას, მიზანს. (მაგ.: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს...“(ილია).

როგორც დავინახეთ, სიტყვა „ვარსკვლავს“ ენის სისტემაში საკმაო პოტენცია მოეპოვება იმისათვს, რომ გააგრძელოს „მნიშვნელობათქმნადობის“ პროცესი პოეტურ მეტყველებაში...

ანა კალანდაძის პოეტური ტექსტების მიხედვით, სიტყვა „ვარსკვლავის“ საბოლოო აზრი უფლისკენ მიდის, ვარსკვლავი უფლის ერთ-ერთი ეპითეტია. საბოლოო აღსანიშნი ღმერთია, რომელიც თავად დაუსაზღვრავია და დაუსაზღვრავია ის სემანტემაც, რომელიც მისი აღმნიშვნელი ხდება. ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესოა შუა საუკუნეების ხედვა. შუა საუკუნეების სიმბოლიზმის კოსმოლოგიური უნივერსალიზმი დაკავშირებულია „უკანასკნელი“ აღსანიშნის გაგებასთან. წმინდა ავგუსტინესთან რეალურად ყოველ საგანს შეუძლია აღნიშნოს მეორე საგანი, ანუ გამოვიდეს აღმნიშვნელის როლში... ამ პერსპექტივაში ერთადერთი საგანი, რომელიც არ შეიძლება აღსანიშნის როლში გამოვიდეს, არის ღმერთი. გარკვეული აზრით, აქ გათანაბრებულია „რეფერენტის“ სემიოტიკური გაგება და „პირველმიზეზის” მეტაფიზიკური გაგება.

სიგნიფიკაციური დამოკიდებულების საბოლოო პოლუსებია: ღმერთი – სიტყვა: „სუფთა აღსანიშნი“ და „სუფთა აღმნიშვნელი“, სადაც მატერიალურობა ფიქსირებულია სიტყვის პოლუსზე, ხოლო სპირიტუალობა – რეფერენტის პოლუსზე.

სიტყვის მთავარი აზრი, იდეა ყოველთვის შენიღბულია ღია ტექსტით, ანუ იმ ტექსტით, რომელიც უშუალოდ არის ჩვენ წინაშე. მეტაფორულობა ზოგადად შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარეგან მეტყველებაში ტექსტის, სიტყვის შინაგანი აზრის გამოვლენის ფაქტი. თავისთავად, მეტაფორა უკვე შენიღბული აზრია. მეტაფორულად ეს აზრი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: ზღვა(ან ოკეანე), რომელიც თავის თავში აერთიანებს ზედაპირს და სიღრმეს (ზედაპირი ღია ტექსტია, ხოლო სიღრმე – დაფარული ტექსტი, ქვეტექსტი). როგორ

შეიძლება სიღრმის გამოკვლევა? სიღრმეში ჩასვლით ან ზედაპირზე ამოტივტივებული რაიმე ნიშნის ახსნით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ზედაპირზე ამოტივტივებული საგანი – ეს ღია ტექსტში ქვეტექსტიდან (სიღრმიდან) „შემოჭრილი“ ტროპებია, რომელთა ახსნით და ანალიზით ვშიფრავთ სიღრმეს, ანუ აზრს, იდეას. სიღრმის გამოკვლევა სიღრმეში ჩასვლითაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ენა წყვეტს არსებობას იდუმალში გადასვლის გამო.

როგორც ვნახეთ, ანა კალანდაძის პოეზიაში საინტერესოდ წარმოჩნდა „ვარსკვლავების პოეტიკა“. ფეშენკო წერს: „თუ დავუშვებთ, რომ სემიოტიკას აქვს თავისი განვითარების სიუჟეტი, მაშინ ამ განვითარების კულმინაცია ის წერტილია, რომელშიც სემიოტიკა ხვდება პოეტიკას“ (ფეშენკო).

მაშ, რაზე გადის გზა აზრიდან სიტყვისკენ და, პირიქით, სიტყვიდან აზრისკენ? ამაზე ვიგოტსკი გვიპასუხებდა: „...აზრი არ ემთხვევა არათუ სიტყვებს, არამედ არც მათ მნიშვნელობებს, რომლებითაც ის გამოითქმება. გზა აზრიდან სიტყვისკენ მნიშვნელობაზე გადის. ჩვენს მეტყველებაში ყოველთვის არის დაფარული ქვეტექსტი. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად იქმნება ახალი გზა აზრიდან სიტყვისკენ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების გავლით“ (ვიგოტსკი). სწორედ ასეთ ახალ მნიშვნელობებს გვთავაზობს პოეტური მეტყველება. იქნებ არც ისე ახალია დღეისთვის ის აზრი, რომელიც თავის დროზე კანტმა გამოხატა აგრეთვე მეტაფორულად: ორი რამ მაოცებს ამქვეყნად – ვარსკვლავებიანი ცა ჩემ ზემოთ და მორალური კანონი ჩემში! მორალური კანონი თუ უფლისმიერია (და ნამდვილად არის უფლისმიერი), მასთან ვარსკვლავებიანი ცის დაკავშირება სულაც არ არის შემთხვევითი და ამასვე ადასტურებს კანტის ამ აზრის ანა კალანდაძისეული რეინტერპრეტაცია.

იქნებ სამყარო სულ რამდენიმე მეტაფორის (რე)ინტერპრეტაციაა?

მედია-
წიგნიერება

ნატალია ინგოროყვა

1. მედიაწიგნიერების კომპეტენცია –
სანდო უნარი, რომელიც გვჭირდება 169

მედიაწიგნიერების კომპეტენცია – სანდო უნარი, რომელიც გვჭირდება

მედიაწიგნიერების რაობა

მედია ანუ ინფორმაციული წიგნიერება უნარების ნაკრებია, რომელიც ინდივიდისაგან მოითხოვს, „გააცნობიეროს, როდის არის საჭირო ინფორმაცია და შეძლოს მისი ადგილის განსაზღვრა, შეფასება და ეფექტურად გამოყენება“. ინფორმაციული წიგნიერების მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებისა და მზარდი ინფორმაციული რესურსების თანამედროვე გარემოში. ამ გარემოს მუდმივი გართულების პირობებში ინდივიდი მრავალფეროვანი, უხვი ინფორმაციის არჩევანის წინაშეა ყველა კონტექსტში – აკადემიური კვლევის, სამუშაოს შესრულების თუ პირადი ცხოვრების დროს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, საჯარო რესურსების ცენტრის, სპეციფიკური ინტერესების ორგანიზაციების, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, ინდივიდამდე „გაუფილტრავი“ სახით მიდის და ბადებს კითხვებს მისი ავთენტურობის, ვალიდურობისა და სანდოობის შესახებ. ამას გარდა, ინფორმაცია მრავალი ფორმით მიეწოდება ინდივიდს – მრავალფეროვანი მედიასაშუალებებით, მათ შორის, გრაფიკული, სმენითი, ტექსტური – რაც მისი შეფასებისა და გაგების ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ინფორმაციის საეჭვო ხარისხი და მზარდი რაოდენობა დიდ სირთულეს უჩენს საზოგადოებას. ინფორმაციის სიუხვე თავისთავად ვერ შეუწყობს ხელს უფრო ინფორმირებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას. საჭირო ხდება უნართა გარკვეული ნაკრები ინფორმაციის ეფექტურად გამოსაყენებლად. ინფორმაციული წიგნიერება უწყვეტი განათლების საფუძველს ქმნის. ის საერთოა ყველა დისციპლინისთვის, ყველა სასწავლო გარემოსთვის და განათლების ყველა საფეხურისთვის. ის საშუალებას აძლევს შემსწავლელს, ოსტატურად ჩაწვდეს შინაარსს და გააფართოოს კვლევა, უფრო თვითმართულს ხდის და დამოუკიდებელი სწავლის პროცესის მეტი კონტროლის საშუალებას სთავაზობს.

ინფორმაციულად წიგნიერ ინდივიდს შეუძლია:

- განსაზღვროს საჭირო ინფორმაციის მოცულობა;
- შეაფასოს საჭირო ინფორმაცია ეფექტურად;

- შეაფასოს ინფორმაცია და მისი წყაროები კრიტიკულად;
- გააერთიანოს შერჩეული ინფორმაცია საკუთარი ცოდნის ბაზაში;
- ეფექტურად გამოიყენოს ინფორმაცია სპეციფიკური მიზნების მისაღწევად;
- გააცნობიეროს ინფორმაციის გამოყენების თანმდევი ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხები და ეთიკურად და სამართლიანად გამოიყენოს ინფორმაცია.

ინფორმაციული წიგნიერების უნარების განვითარება კიდევ უფრო ამდიდრებს მოსწავლისთვის თვით მართული სწავლის შესაძლებლობებს, ცოდნის გასაღრმავებლად, გააზრებული კითხვების დასასმელად და კრიტიკული აზროვნების დასახვეწად ისინი ფართოდ იყენებენ მრავალფეროვან საინფორმაციო წყაროებს. ინფორმაციული წიგნიერების კომპეტენცია მოითხოვს იმის გააზრებას, რომ უნარების ეს ნაკრები უცხო არ არის კურიკულუმისათვის, ის გადაჯაჭვულია მასთან შინაარსობრივად, სტრუქტურულად და თანმიმდევრულად. კურიკულუმში ამგვარი ინტეგრაცია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდების – პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლა, კვლევაზე დაფუძნებული სწავლა – შემდგომი გავლენისა და ზემოქმედების ზრდის მრავალ საშუალებას გვთავაზობს. აკადემიური პერსონალისა და სხვათა ხელმძღვანელობით პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისას მოსწავლე კურსის შინაარსს უფრო მეტად უღრმავდება, ვიდრე ეს მხოლოდ ლექციისა და სახელმძღვანელოს გამოყენებით არის ხოლმე შესაძლებელი. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის შესაძლებლობები სრულად რომ გამოიყენოს, მოსწავლეს ხშირად აზროვნების ისეთი უნარები სჭირდება, რომლებიც განსხვავებული ადგილმდებარეობისა და ფორმატის საინფორმაციო წყაროების გამოყენებას მოითხოვს, ეს კი, თავის მხრივ, სწავლის პროცესზე პასუხისმგებლობას ზრდის.

მედია, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. რადიო, ტელევიზია, ჟურნალები და სხვა მედიასაშუალებები მძლავრ გავლენას ახდენს ჩვენ მიერ სამყაროს აღქმაზე – გავლენას, რომელიც ხშირად ჩვილი ასაკიდან იწყება.

იმისთვის, რომ მოზარდები მედიაში ჩაერთონ და მის კრიტიკულ მომხმარებლებად იქცნენ, საჭიროა ინფორმაციული განათლების უნარებისა და ქცევების ჩამოყალიბება-განვითარება. ეს უნარები მოიცავს მედიისადმი წვდომის შესწავლას საბაზო დონეზე, მის კრიტიკულ ანალიზს, რომელიც რამდენიმე საკვანძო კონცეფციას ემყარება, მედიის შეფასებას, რომელიც ანალიზის შე-

დეგადაა შესაძლებელი და, დასასრულ, მედიის წარმოებას/შექმნას თავად მომხმარებლის მიერ. მედიაწიგნიერების უნარების ათვისების ამ პროცესს მედიაწიგნიერება, ანუ ინფორმაციული განათლება დავარქვათ.

ინფორმაციული განათლება არის პროცესი, რომლის გავლის შემდეგ ადამიანი მედიაწიგნიერი ხდება, ანუ შეუძლია კრიტიკულად აღიქვას მედიის შინაარსი, ტექნიკა და ის გავლენა, რომელსაც მედიაპროდუქცია და მედიის გზავნილები ახდენს მასზე.

ინფორმაციული განათლება აღიარებს და ეფუძნება პოპულარული კულტურის დადებით, შემოქმედებით და სიამოვნების მომგვრელ განზომილებებს. იგი მოიცავს მედიის ტექსტურ პროდუქციას და მედიის კრიტიკულ აღქმას, რაც მზარდ და რთულ მედია-ლანდშაფტში ორიენტაცია-მოგზაურობაში გვეხმარება.

დღევანდელი მედიის მრავალფეროვანი ლანდშაფტი შედგება არა მარტო ტრადიციული და ციფრული მედიისგან, არამედ ისეთი პოპულარული კულტურული სივრცეებისგანაც, როგორებიცაა სავაჭრო ცენტრები, მოდა და მისი ინდუსტრია, სათამაშოები თუ თემატური პარკები. მედიის შესახებ განათლების აუდიტორიაში ინტეგრირებისთვის არ არის აუცილებელი, მასწავლებელი მედიაექსპერტი იყოს, რადგან ეს ყველაფერი კითხვების დასმას ეფუძნება.

მაგალითად, კითხვები ორიენტაციისთვის:

- ვინ არის მედიაპროდუქციის აუდიტორია და რატომ? ვისი პერსპექტივიდან ხდება ამბის თხრობა?
- რა გავლენას ახდენს ჩვენ მიერ დანახულზე, მოსმენილსა თუ წაკითხულზე რომელიმე სპეციფიკური ჟანრის ელემენტები თუ კოდები?
- როგორ შეიძლება აღიქვან განსხვავებულმა აუდიტორიებმა ერთი და იგივე მედიაპროდუქტი? ვინაიდან მედიის საკითხები კომპლექსურია და ხშირად წინააღმდეგობებითაა აღსავსე, განმანათლებლის როლია არა ცოდნის გადაცემა, არამედ შემეცნების პროცესის შემსუბუქება.

დღეს მთავარი გამოწვევებია სწორი ინფორმაციის პოვნა და შეფასება ვისიმე მოთხოვნილების შესაბამისად და მოპოვებული ინფორმაციის სინთეზირება სასარგებლო ცოდნისა თუ კავშირებისთვის. მედიაწიგნიერება კრიტიკულ აზროვნებასთან, რეფლექსიასა და ეთიკურ საქციელთან ერთად შეადგენს იმ ძირითად შინაარს, რასაც დღევანდელი სამყაროს განათლებული ადამიანი შეიძლება ეწოდოს.

მედიაწიგნიერება და მასწავლებელი

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია მედიაგანათლების კონცეფციის აქტიური მხარდამჭერია. ამ პროცესს ის პირდაპირ აკავშირებს პიროვნების განვითარების სტადიებთან მასობრივი კომუნიკაციების საშუალებით. მედიაგანათლება თანამედროვე სამყაროში განიხილება როგორც აუცილებლობა. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის ჯერ კიდევ 1999 წლის მასალებში კონფერენციიდან Education for the Media and the Digital Age (ვენა) ხაზგასმით აღინიშნება, რომ მედიაგანათლება უკავშირდება ყველა სახის მედიას – ბეჭდურს, გრაფიკულს, ხმოვანს, ვიზუალურსა და სხვადასხვა ტექნოლოგიებს. მისი საშუალებით ადამიანს შეუძლია გაიგოს, როგორ გამოიყენება მასობრივი კომუნიკაცია სოციუმებში, როგორ ზემოქმედებს ის სხვა ადამიანებზე და აძლევს ცოდნას იმის შესახებ, რომ შეძლოს ანალიზი, კრიტიკული შეფასება, შექმნას ახალი მედიატექსტები, განსაზღვროს მედიატექსტების წყარო, მათი პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, კომერციული ინტერესი და კონტექსტი, მოახერხოს ინტერპრეტირება როგორც ტექსტების, ისე მედიის საშუალებით გავრცელებული ღირებულებების, საინფორმაციო ნაკადიდან გამოყოს მისთვის საჭირო მედია და შექმნას/გაავრცელოს ახალი მედიატექსტები, დააინტერესოს აუდიტორია, ჰქონდეს თავისუფალი წვდომა მედიაზე.

მედიაგანათლება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქის ძირითად უფლებად მიიჩნევა და აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას, უფლებას ინფორმაციაზე, რომელიც დემოკრატიის მხარდამჭერ ინსტრუმენტად არის აღიარებული. მედიაგანათლება არაერთი სახელმწიფოს სასწავლო გეგმის ნაწილია, ასევე, ეს არის დამატებითი, არაფორმალური განათლების ნაწილი, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იღებს.

მედიაგანათლება გასული საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში: დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ავსტრალიაში, საფრანგეთში, აშშ-ში პედაგოგიურ მეცნიერებებში სპეციფიკურ მიმართულებად ჩამოყალიბდა. მისი დახმარებით სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები მედიაკულტურის სამყაროში ადაპტირებას უფრო იოლად გადიოდნენ. კანადის პროვინცია ონტარიოში 1987 წელიდან მედიაგანათლება სწავლების ძირითად კომპონენტად იქცა 5 ათასზე მეტ სკოლაში, მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. 90-იანი წლებიდან მედიაგანათლებამ კანადის ყველა სკოლა მოიცვა, ხოლო ავსტრალიის სკოლებში ის 1990 წლიდან დამკვიდრდა. მე-

დიაგანათლება მშობლიური ენის გაკვეთილებში თანამედროვე ბრიტანულ სკოლებშიც ინტეგრირდა. 25 ათასამდე უფროსკლასელი და 8 ათასამდე სტუდენტი დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად ირჩევს მედიაკურსს შემაჯამებელი გამოცდების პერიოდში.

თანამედროვე საზოგადოების განვითარება ინფორმაციული ნაკადების გაძლიერებითა და მათი აქტიური ურთიერთზემოქმედებით, აგრეთვე, იმ შედეგებით ხასიათდება, რომლებიც გლობალიზაციით – სწრაფი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით მივიღეთ. ინფორმაციული პროცესების შემსწავლელი არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ საინფორმაციო რევოლუცია წარსულს ჩაბარდა და საზოგადოება ახალ საინფორმაციო ერაში აღმოჩნდა. სწორედ ამ კონტექსტში ფორმირდება საინფორმაციო ეკონომიკა. ახალ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხოვრებისეული მიზნების და პროექტების განხორციელება დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ რამდენად ჩართულია საინფორმაციო სივრცეში ადამიანი. მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლების სადავეები მათ ხელშია, ვინც რეალობის რეპრეზენტაციისთვის ახალ კულტურულ კოდებს ქმნის, რათა გარკვეული გავლენა იქონიოს აუდიტორიის ცნობიერებაზე.

ასეთ პირობებში განათლების სისტემის წინაშე კომპეტენციების ფორმირებასთან დაკავშირებული ახალი ამოცანები დგება. მათ უნდა უზრუნველყონ ადამიანების ადაპტაცია სიცოცხლისუნარიან გარემოსთან. ერთ-ერთი ასეთი კომპეტენცია მედიამწიგნობრობა გახლავთ. სწორედ მისი დახმარებით შევძლებთ ადეკვატურ თანაარსებობას მედიაინფორმაციასთან: განვახორციელებთ წარმატებულ ძიებას და ანალიზს, კრიტიკულად შევაფასებთ და შევქმნით მედიატექსტებს, რომლებიც სხვადასხვა სახის მედიაკომუნიკაციის საშულებებში გავრცელდება.

ცივილიზაციის თანამედროვეობის პარადიგმის გათვალისწინებით და იმ როლით, რომელსაც მედია საინფორმაციო გარემოს შექმნაში თამაშობს, უპრიანი იქნება მედიამწიგნობრობა განვიხილოთ ცალკეულ, დამოუკიდებელ კომპეტენციად თანამედროვე სპეციალისტის პროფესიონალური კომპეტენტურობის სტრუქტურაში და ვუწოდოთ მას ძირითადი კომპეტენცია „ძირითადი-საბაზისო-სპეციალური“ კომპეტენციების სისტემაში.

პროფესიონალური კომპეტენტურობის მოდელებში მედიაწიგნიერება შესაძლოა იყოს მრავალსახა პროფესიული სფეროდან გამომდინარე. ასე, მაგალითად, სპეციალისტებისთვის მედიცინის, ფინანსების, ეკონომიკის სფეროში მედიაგანათლება განიხილება ძირითად კომპეტენციად, რომელიც განსაზღ-

ვრავს სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროში ეფექტურ ურთიერთქმედებას მედიატექსტებთან. ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, განათლების სფეროში კი ის გაცილებით მეტ მნიშვნელოვნებას იძენს და ეფექტურად ზემოქმედებს სოციალურ-შრომით საქმიანობაზე. ისევე, როგორც სხვა კომპეტენციები, მედიაწიგნიერება წარმოადგენს განსაზღვრული უნარ-ჩვევების და ღირებულებათა სისტემების ნაკრებს.

მედიაგანათლების თემაზე მომუშავე ბევრი ავტორი მედიამწიგნობრობის სტრუქტურას განასაზღვრავს, როგორც ცოდნისა და უნარების სისტემას, რომელიც მედიაგანათლების ძირითადი კონცეპტების ნაკრებს ეფუძნება. მის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს გვთავაზობს ბრიტანული კინო-ინსტიტუტი. ის მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის მედიასააგენტოები, მედიაკატეგორიები, მედიატექნოლოგიები, მედიაენები, მედიააუდიტორიები, მედიაპრეზენტაციები. სამეცნიერო ლიტერატურაში მედიაგანათლებას სხვადასხვაგვარად აღწერენ. მაგალითად, რ. ჰობსი გვთავაზობს მის სტრუქტურაში ცოდნის ოთხი ჯგუფის გამოყოფას: ძიების ცოდნა, ანალიზის გაკეთების ცოდნა, შეფასებისა და მედიატექსტების შექმნის ცოდნა. ზოგიერთი მკვლევარი კომპეტენციების შინაარსობრივ მხარეში ასახელებს შემდეგ ასპექტებს: სამოტივაციო ასპექტი – კომპეტენციის გამოვლენის სურვილი, კოგნიტური ასპექტი – კომპეტენციის შინაარსის ცოდნის ფლობა, ქცევითი ასპექტი – კომპეტენციის გამოვლენის უნარი სხვადასხვა სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციებში, აზრობრივი ასპექტი – კომპეტენციის შინაარსისადმი დამოკიდებულება.

მედიაგანათლება შეგვიძლია დავყოთ პირობით მიმართულებებად:

1. მომავალ პროფესიონალთა მედიაგანათლება – ჟურნალისტების (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი), კინემატოგრაფისტების, რედაქტორების, პროდიუსერების და სხვ.
2. მომავალი პედაგოგების მედიაგანათლება უნივერსიტეტებში, მასწავლებელთა გადამზადების ცენტრებში მედიაკულტურის კუთხით;
3. მედიაგანათლება, როგორც სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტების განათლების ნაწილი;
4. მედიაგანათლება დამატებითი განათლების მიღების ტერიტორიებზე (კულტურის ცენტრები, მოსწავლეთა სასახლეები, ესთეტიკური და მხატვრული აღზრდის ცენტრები და სხვ.);
5. მოსწავლეების და სტუდენტების დისტანციური მედიაგანათლება ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის საშუალებით (აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიაკრიტიკას);
6. უწყვეტი მედიაგანათლება (დამოუკიდებლად).

რამდენად მნიშვნელოვანია მედიაგანათლება სკოლის სივრცეში, ამის ნათელ მაგალითს ბალტიისპირეთის ქვეყნები – ლატვია და ლიტვა წარმოადგენენ. აქ მედიაგანათლება ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2011 წლიდან დაინერგა. გეგმის ცვლილებისას გათვალისწინებულ იქნა ყველა არსებული ნაკლოვანება და ხარვეზი, შემუშავდა ახალი სტანდარტები, რათა სწავლების პროცესი არა მხოლოდ მოქნილი და ხარისხიანი ყოფილიყო, არამედ ცენტრალური ფიგურა გამხდარიყო მოსწავლე, რომლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა მასმედია.

მედიაპედაგოგები მიიჩნევენ, რომ საგანმანათლებლო პროცესში მასმედიის გამოყენება ამაღლებს სწავლის ეფექტიანობას. ბალტიისპირეთის ქვეყნებში 2008 წელს ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებელთა უმეტესობა წარმატებით ახერხებს მასმედიის ინტეგრაციას სასწავლო დისციპლინებში. ვთქვათ, პედაგოგები იყენებენ რადიოს, რადგან, მათი აზრით, ის სასარგებლოა მეტყველების (მშობლიური და უცხო ენის) ანალიზისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლეები უბრალოდ მუსიკას უსმენენ.

10-დან 7 მასწავლებელი აცხადებს, რომ რადიოს სკოლაში გაკვეთილებზე ან საშინაო დავალების შესრულებისთვის იყენებს. თავად მოსწავლეები და სტუდენტებიც ამბობენ, რადიოთი მიღებული ინფორმაცია ეხმარება უცხო ენის შესწავლაში. რადიოს თემასთან დაკავშირებით მასწავლებლები მოსწავლეებს სხვადასხვა დავალებებს აძლევენ, შემდეგ ერთად არჩევენ ამა თუ იმ გადაცემას, ქმნიან საკუთარ პროგრამებს, აანალიზებენ და კრიტიკულად აფასებენ რადიოტექსტებს. იგივე პროცესი მიმდინარეობს პრესის მიმოხილვისას. პრესა გვეხმარება ახალი ფაქტების მოძიებაში, ინფორმაციის პრეზენტაციაში. მოსწავლეები თავად ქმნიან გაზეთის ელექტრონულ ვერსიებს. მასწავლებელთა დაკვირვებით, ასეთი ტიპის სამუშაო ზრდის მოსწავლეთა კულტურულ დიაპაზონს. ასევე, სწავლების პროცესში მასწავლებლები ხშირად იყენებენ ფოტომოსალას (ცნობილი მწერლები, მხატვრები, თანამედროვე მუსიკოსები...), რაც ტრადიციულ გაკვეთილს ვიზუალურად ამდიდრებს. ასეთ ინფორმაციას მოსწავლეები უკეთ ითვისებენ და იმახსოვრებენ. კომიქსებისა და მულტფილმების გამოყენება შესაძლებელია დაბალ კლასებში. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დაწერონ დიალოგები ან ისტორია კომიქსისთვის. ბავშვები ხალისით ასრულებენ ასეთ დავალებებს.

რატომ – მედიაწიგნიერება?

- მედიაში გათვითცნობიერების აუცილებლობის რამდენიმე მთავარი მიზეზი: ინფორმაციული განათლება ახალგაზრდებში ხელს უწყობს კითხვების გაჩენას, შეფასებას, მულტიმედიური კულტურის არსის გაგებას და მის დაფა-

სებას. იგი ახალგაზრდებს ასწავლის, გახდნენ მედიის აქტიური, ჩართული მომხმარებლები.

- ინფორმაციულ განათლებას მსოფლიო აუდიტორიებში შემოჰყავს, გვიჩენს უშუალო მონაწილეობის განცდას და უფრო თვალსაჩინოს ხდის ისეთ ტრადიციულ საგნებს, როგორებიცაა ისტორია, ენა, ჯანმრთელობის დაცვა, სამოქალაქო განათლება და ხელოვნება. მედია ხდება ხიდი საგნების ინტეგრირებისა და ინტერდისციპლინური საგნების შესწავლისთვის.
- ინფორმაციული განათლება განასახიერებს და განავითარებს თანამედროვე პედაგოგიკას, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, მრავალმხრივ უნარებს, ანალიზსა და მენეჯმენტს და არა მხოლოდ ინფორმაციის უბრალო დაგროვებას.
- ინფორმაციული განათლება ეფუძნება ჯანსაღ პედაგოგიურ მიდგომას, რომელიც განსაზღვრავს სწავლების პროცესის იმ სივრციდან დაწყებას, სადაც ახალგაზრდები ისედაც იმყოფებიან. მედია – მუსიკა, კომიქსები, ტელევიზია, ვიდეოთამაშები, ინტერნეტი და რეკლამებიც კი – წარმოადგენს ცხოვრების იმ ნაწილს, რომელიც ახალგაზრდებს მოსწონთ. მედია ქმნის მოზარდებისათვის თანაზიარ სივრცეს და ამიტომაც შეთვისების კატალიზატორად გვევლინება.
- ინფორმაციული განათლება უბიძგებს ახალგაზრდებს, მულტიმედიური საშუალებები შემოქმედებითად გამოიყენონ. ეს არის სტრატეგია, რომელიც იყენებს „გავიგოთ კეთების პროცესში“ მიდგომას და ამზადებს ახალგაზრდა თაობას, როგორც სამომავლო სამუშაო ძალას, რომელსაც კომუნიკაციის კომპლექსური საშუალებების გამოყენება მოეთხოვება.
- საზოგადოებაში, სადაც ახალგაზრდები აპათიურნი არიან პოლიტიკური პროცესის მიმართ, ინფორმაციული განათლება აღვივებს „რეალური სამყაროს“ პრობლემებისადმი მათ ინტერესს. იგი ეხმარება ახალგაზრდებს, დაინახონ და გააცნობიერონ საკუთარი თავი „აქტიური მოქალაქეების“ როლში, რომლებიც საჭირბოროტო საკითხების საჯარო განხილვის მნიშვნელოვანი მონაწილეები გახდებიან.
- მრავალფეროვან და პლურალისტურ საზოგადოებაში ინფორმაციული განათლება ახალგაზრდა თაობას ეხმარება გაიგოს, როგორი შთაბეჭდილება, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიის შექმნილმა ხატებმა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის აღქმაზე. ეს უადვილებს ახალგაზრდებს განსხვავებულობის, იდენტობისა და სხვაობათა გაგებას.
- ინფორმაციული განათლება ხელს უწყობს ახალგაზრდების პერსონალურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას, ეხმარება მათ პოპულარული კულტურის ელემენტებს – მუსიკას, მოდას, სატელევიზიო პროგრამებს, ფილ-

მებსა და რეკლამებს – და მათ დამოკიდებულებებს, ცხოვრების სტილსა და თვითშეფასებას შორის კავშირის დადგენა-შესწავლაში.

- ინფორმაციული განათლება მოზარდებს საშუალებას აძლევს, კრიტიკულად გაიაზრონ მედიის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მოვლენა. მედია ასწავლის მათ, ერთმანეთისგან განასხვაონ რეალობა და გამონაგონი, შეადარონ მედიაში ნაჩვენები ძალადობა ცხოვრებაში ნანახს, მედიაგმირები – რეალურ ცხოვრებაში არსებულ ადამიანებს, მედიაში ნანახი როლები – ცხოვრებაში არსებულ როლებსა და მოლოდინებს.

მედიის კონსტრუქციები

მედიაპროდუქციას ინდივიდები ქმნიან, რომლებიც შემოქმედების პროცესში თავად აკეთებენ ცნობიერ თუ არაცნობიერ არჩევანს იმის შესახებ, რა გამოიყენონ, რა უგულებელყონ და როგორ წარმოადგინონ ის, რაც გამოიყენეს პროდუქტის შესაქმნელად.

ეს გადაწყვეტილებები ემყარება „შემქმნელის“, „ავტორის“ პირად მოსაზრებებს, რომლებიც წარმოიშვა მისი წარმოდგენების, ვარაუდებისა და სუბიექტური დამოკიდებულებების საფუძველზე, ასევე – იმ გავლენის მეშვეობითაც, რომელიც მასზე მედიამ მოახდინა.

შედეგად ვიღებთ იმას, რომ მედიაპროდუქტები არასოდეს არის სამყაროს ზუსტი ანარეკლი. ყველაზე ობიექტური დოკუმენტური ფილმის რეჟისორსაც კი უწევს იმის გადაწყვეტა, რა გამოიყენოს გადაღებული მასალიდან და რა მოჭრას, სად დადგას კინოკამერა და რა კუთხით გადაიღოს რეალობა. ჩვენ კი ინსტინქტურად ბევრ მედიაპროდუქტს აღვიქვამთ, როგორც რეალობის პირდაპირ გამოსახულებას.

შეეკითხეთ და განიხილეთ:

- ვინ შექმნა ეს მედიაპროდუქტი?
- რა მიზნით შეიქმნა ეს პროდუქტი?
- რა ვარაუდები და დაშვებები აქვთ გამოყენებული პროდუქტის შემქმნელებს, რომლებიც ასახულია და ჩანს პროდუქტის შინაარსში?

აუდიტორია განსაზღვრავს შინაარსს

ნებისმიერი მედიაპროდუქტის შინაარსს ქმნის არა მხოლოდ ავტორი. ხშირად პროდუქტი ავტორისა და აუდიტორიის თანამშრომლობის ნაყოფია –

რაც ნიშნავს, რომ განსხვავებულ აუდიტორიებს (მნახველებს, მსმენელებს, მკითხველებს) შეუძლიათ ერთი და იმავე პროდუქტის სხვადასხვაგვარად გაგება-აღქმა.

ინფორმაციული განათლება იმის გაგებაში გვეხმარება, როგორ შეიძლება, ისეთმა ინდივიდუალურმა ფაქტორებმა, როგორიცაა ასაკი, სქესი, რასა და სოციალური სტატუსი, გავლენა მოახდინოს მედიის ინტერპრეტაციაზე.

- როგორ შეიძლება, განსხვავებულმა ადამიანებმა განსხვავებულად დაინახონ მედიაპროდუქტები?
- როგორ მოქმედებს თქვენზე ის, რამდენად ჰგავხართ მედიაპროდუქტში ნაჩვენებ ადამიანებს ან განსხვავდებით მათგან?

მედიას აქვს კომერციული შედეგები

მედიის პროდუქტთა უმეტესობა ბიზნესის სფეროს განეკუთვნება და ამიტომაც ისინი მოგებაზეა გათვლილი. გარდა ამისა, მედიის ინდუსტრია ეკუთვნის კორპორაციების მძლავრ ქსელს, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ პროდუქტის შინაარსსა და მის დისტრიბუციაზე.

მფლობელობისა და კონტროლის საკითხები ცენტრალური მნიშვნელობისაა — ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ, ვკითხულობთ თუ ვუსმენთ მედიის საშუალებებით, კონტროლდება საკმაოდ მცირე რაოდენობის პირების, მფლობელების მიერ.

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მედიაპროდუქცია მოგებაზე არ არის ორიენტირებული (როგორებიცაა YouTube-ის ვიდეოები და Facebook-ის პოსტები), ამ პროდუქციის შინაარსის (კონტენტის) დისტრიბუცია/მიწოდება/განაწილება გონებაში მაინც მოგების მიზნით არის ორგანიზებული.

შეეკითხეთ და განიხილეთ:

- რა არის ამ მედიაპროდუქტის კომერციული დანიშნულება?
- რა გავლენას ახდენს ეს პროდუქტის შინაარსზე და როგორ მოგვეწოდება პროდუქტი?
- თუ პროდუქტის კომერციულ დანიშნულებას ვერ ვპოულობთ, სხვა რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ამ მედიაპროდუქტს (მაგალითად, გააღვივოს ავტორისადმი ყურადღება ან დაარწმუნოს აუდიტორიები რომელიმე თვალსაზრისში)?

- რა გავლენას ახდენს პროდუქტის დანიშნულება მის შინაარსზე და როგორ მოგვეწოდება იგი?

მედიის სოციალურ-პოლიტიკური შედეგები

მედიის მეშვეობით ხდება იდეოლოგიური გზავნილების გადაცემა ღირებულებებზე, ხელისუფლებასა და უფლებამოსილებებზე. ხშირად მედიაში ის უფრო მნიშვნელოვანია, ვინც ან რაც არ ჩანს, ვიდრე ის, რაც თვალნათლივ არის ნაჩვენები.

ეს გზავნილები შესაძლოა იყოს ცნობიერი გადაწყვეტილებების შედეგი, მაგრამ უფრო ხშირად ქვეცნობიერი გადახრებისა და უდავოდ მიღებული დაშვებების შედეგებს წარმოადგენს. შესაბამისად, მათ ხელეწიფებათ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ იმაზე, რას ვფიქრობთ და რისი გვჯერა.

საბოლოოდ, გამოდის, რომ მედიას დიდი გავლენა აქვს პოლიტიკასა და სოციალური ცვლილებების ფორმირების პროცესზე.

სატელევიზიო გაშუქებამ და რეკლამამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს ეროვნული ლიდერის არჩევნების შედეგზე მისი იმიჯის ფართო გაშუქების მეშვეობით.

მსოფლიო პროცესებზე წარმოდგენების, მათდამი დამოკიდებულებების წარმოჩენით როგორც ჟურნალისტურ, ისე ფიქციურ (გამოგონილ) სივრცეში შესაძლებელია ამ საკითხებისადმი საზოგადოების ყურადღების ინტენსივობის ცვლა და მართვაც.

მედიის მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენა, ამ საკითხების მედიაში გაშუქების სიხშირითა და მათი ინტერპრეტაციის მეშვეობით კი – მოვლენისადმი (პერსონისადმი, პროდუქტისადმი) დამოკიდებულებების მართვა და მისთვის საჭირო ხატის („იმიჯის“) შექმნა.

შეეკითხეთ და განიხილეთ:

- ვინ და რა არის ნაჩვენები (წარმოჩენილი) პოზიტიურად? ნეგატიურად?
- რატომ აჩვენებენ (წარმოგვიდგენენ) ამ ადამიანებს ასეთი კუთხით?
- ვინ და რა არ არის საერთოდ ნაჩვენები (გაშუქებული)?

- რა დასკვნების გამოტანა შეუძლია აუდიტორიას (საზოგადოებას) ამ ფაქტებზე დაყრდნობით?

თითოეულ მედიაწყაროს (მედიუმს) თავისი უნიკალური ესთეტიკური ფორმა აქვს.

მედიის შემადგენლობა და შინაარსი ნაწილობრივ ამ მედიუმის ბუნებაზეა დამოკიდებული. ეს მოიცავს ტექნიკურ, კომერციულ თუ თხრობით მოთხოვნებს თითოეულის მიმართ. მაგალითად, ვიდეოთამაშების ინტერაქციული ბუნების გამო ჩვენ ვიღებთ თამაშის თხრობის სხვადასხვა ფორმას, რომლებიც განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მედიის შემქმნელებს – ეს ფილმებსა და ტელევიზიაზე აისახება.

შეეკითხეთ და განიხილეთ:

- რა ტექნიკას იყენებს მედიაპროდუქტი თქვენი ყურადღების მისაპყრობად და გზავნილის თქვენამდე მოსატანად (კომუნიკაციისთვის)?
- რა სახის ტექნიკა და მანიპულაციებია გამოყენებული მედიაპროდუქტის გამოსახულებისთვის (მაგალითად, განათება, გრიმი, კამერით გადაღების კუთხე, ფოტომანიპულაციები)?
- რას ელით ჟანრისგან (მაგალითად, ბეჭდური რეკლამა, სატელევიზიო დრამა, მუსიკალური ვიდეო) მის მთავარ შინაარსთან მიმართებით?

სასწავლო გარემოში ინფორმაციული წიგნიერების ინტეგრაციის რამდენიმე ხერხი

რამდენიმე რჩევა, რომლებმაც შესაძლოა ინფორმაციული განათლების კურსი სასწავლო პროცესის ინტეგრირებულ და აზრიან ნაწილად აქციოს:

- როდესაც მოზარდს თავისუფალი დრო აქვთ, გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა და მოუსმინეთ, რაზე ესაუბრებიან ისინი ერთმანეთს. მოსალოდნელია, მათი საუბარი იმ მედიას შეეხებოდეს, რომელსაც ისინი აქტიურად უყურებენ, უსმენენ ან თამაშობენ. მნიშვნელოვანი ახალი ამბები, ბლოკბასტერები, ცნობილი ადამიანების შესახებ აგორებული სკანდალები – ყველა ეს მიმართულება მედიის ანალიზის ფართო შესაძლებლობას იძლევა.
- მიეცით მათ საშუალება, არა მხოლოდ გააანალიზონ მედიაპროდუქცია, არამედ თავადაც შექმნან. მიუხედავად იმისა, რომ მედიაგანათლება

უფრო მეტია, ვიდრე მისი შექმნა, ეს უკანასკნელი მაინც მისი საკვანძო ნაწილია: სტუდენტს პრაქტიკულ საქმიანობაზე უკეთ ვერაფერი გააგებინებს, რაოდენ მნიშვნელოვანია ტელემონტაჟი ან მუსიკა მაყურებელზე ფილმის ან სატელევიზიო შოუს ემოციური გავლენისათვის. ვიდეოკამერიანი ტელეფონებით ფოტო- და ვიდეოკადრების გადაღება თუ ჟურნალებიდან ამოჭრილი მასალით კოლაჟების კეთება სავსებით ხელმისაწვდომი საქმიანობაა მედიაპროდუქციის საკლასო ოთახში შესაქმნელად.

- ინფორმაციული განათლება და მედიის სამყარო შესაძლოა უსასრულო მოგეჩვენოთ, თუ მის გაანალიზებას დაიწყებთ. მედიაპროდუქტებისა თუ კულტურული არტეფაქტების ანალიზის დროს, მედიაწიგნიერების მთავარ კონცეფციებზე დაყრდნობით, შეძლებთ თავი აარიდოთ მთავარი კურსიდან გადახვევას და საკითხები ძირეული კონცეფციების გამოყენებით განიხილოთ.

მოზარდი და მედია

ძალიან მნიშვნელოვანია, ინფორმაციული განათლებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება გვქონდეს. ასწავლეთ მოსწავლეებს, რომ კრიტიკა ყოველთვის არ გულისხმობს გაკრიტიკებას; რომ შეგვიძლია, ისე ვისაუბროთ ჩვენი საყვარელი მედიის პრობლემურ საკითხებზე, რომ კვლავ შევძლოთ მისი მოწონება. არ დაგავიწყდეთ დადებითი მაგალითების მოშველიება ისეთ საკითხებზე კამათისას, როგორებიცაა სქესი, სტერეოტიპები და სხვა.

ასწავლეთ მოსწავლეებს მედიის შესახებ და არა მხოლოდ მედიის საშუალებით.

მედიის შესახებ სწავლებისთვის არ არის საკმარისი აუდიტორიაში მედიის გამოყენება. აუდიტორიაში მედიის გამოყენებისას მუდამ ეძებეთ მედიაგანათლების შესაძლებლობა. მაგალითად, თუ მათ უჩვენებთ წიგნისა თუ თამაშის კინოვერსიას, სთხოვეთ, მედიაწიგნიერების საკვანძო კონცეფციების გამოყენებით გააანალიზონ ამ ორს შორის არსებული განსხვავებები; გამართეთ დისკუსია ისეთ საკითხებზე, რომლებიც მედიის გააზრებასა და მის სრულყოფილ აღქმას შეუწყობს ხელს:

ა) რით განსხვავდება კინოფილმის კომერციული შედეგები წიგნისა თუ თამაშის ვერსიების შედეგებისგან?

ბ) რას ცვლის ტექნიკური განსხვავებები თხრობის მანერაში?
გ) რით განსხვავდება კინოფილმის აუდიტორიის მოლოდინი წიგნის მკითხველისა თუ მოთამაშის მოლოდინისგან?
დ) რით განსხვავდება ან წააგავს ფილმის შემქმნელთა ფასეულობები თუ ვარაუდები წიგნის ავტორისას?
ე) რა გავლენას ახდენს ეს განსხვავებები ამბის ნათელ თუ ფარულ მნიშვნელობაზე?

აქციეთ ინფორმაციული განათლება, ნაცვლად პასუხების დასწავლისა, კითხვების დასმის პროცესად.

განურჩევლად იმისა, დარწმუნებული ხართ თუ არა საკითხისა თუ მედიაპროდუქტის შინაარსში, მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა და სივრცე, თავად გამოიტანონ დასკვნები.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე გაქვთ ისეთ პრობლემებთან, როგორებიცაა სტერეოტიპები ან გამოსახულების აღქმა, როდესაც თქვენს მოსწავლეებს (და თქვენც!) უმეტესად უკვე ჩამოყალიბებული აქვთ საკუთარი ძლიერი პოზიცია: ბავშვებს უნდა უჩვენოთ, რას ნიშნავს ობიექტური ხედვა, კრიტიკული ანალიზი და დასკვნებისთვის მისი გამოყენება. ერიდეთ მხოლოდ საკუთარი ემოციებით მსჯელობას.

რატომ არის დეტალი მნიშვნელოვანი

მოზარდები ხშირად ცდილობენ, თავი აარიდონ საუბარს მედიაპროდუქტების გავლენის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ „ეს მხოლოდ სატელევიზიო შოუა“, ვიდეოთამაში, მუსიკალური კლიპი და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

შეახსენეთ მათ, რომ მედიას მაშინაც კი აქვს მნიშვნელობა, როცა შემქმნელს ეს არ დაუგეგმავს; რომ გარე სამყაროს აღქმისას ჩვენ ისევე ვეყრდნობით მედიას, როგორც სხვა საშუალებებს.

მაგალითად, მკვლევრებმა დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ მედიის მოხმარება გავლენას ახდენს ჩვენ მიერ სხვებისა თუ საკუთარი თავის აღქმაზე. ეს რეალობაა, თუნდაც ამას ვერ ვაცნობიერებდეთ; ეს არის მდგომარეობა, რომელსაც უხილავი ან არაცნობიერი მიკერძოება ჰქვია. მედიაში სხვადასხვა

ჯგუფის არსებობა თუ არარსებობა, გამოჩენა თუ არგამოჩენა, მოხსენიება თუ უგულებელყოფა ამ ჯგუფებისადმი აუდიტორიის დამოკიდებულებას ცვლის.

შეამოწმეთ და შეაფასეთ მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც მათ ინფორმაციული განათლების კურსის დროს შექმნეს.

„ნეტავ იქნება ეს საკითხები საგამოცდო ბილეთებში?“ – ხშირად უჩნდებათ კითხვა მოსწავლეებს. მედიაწიგნიერებაში მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნაშრომების ფორმალური შეფასებით უჩვენებთ მათ, რომ ეს სამუშაო მნიშვნელოვანი და ღირებულია.

დარწმუნდით, რომ თქვენი შეფასებები ისევე კარგად გააზრებული და ობიექტურია, როგორც ყველა სხვა საგანში. მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობაც: როდესაც ეჭვი გაგიჩნდებათ, დაუბრუნდით „საკვანძო კონცეფციებს“ და მიუსადაგეთ მათ შესაძლებლობებს მათი ცოდნა, აღქმა, გამჭრიახობა და უნარები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mediasmarts.ca/digital-media-literacy/general-information/digital-media-literacy-fundamentals/media-literacy-fundamentals
2. http://milunesco.unaoc.org/media-and-information-literacy/
3. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2010
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრი, 2011.

მედია-წიგნიერება

თამარ მოსიაშვილი

1. მედიაწიგნიერება და სხვა გამჭოლი კომპეტენციები 187
2. სიმართლის ორი მხარე 192
3. მედიაწიგნიერება – ფაქტის განხილვის ინსტრუმენტი 201

მედიაწიგნიერება და სხვა გამჭოლი კომპეტენციები

ზოგჯერ მასწავლებლებისთვის გაუგებარია მედიაწიგნიერების აუცილებლობა, არ ესმით, რატომ უნდა დახარჯონ დრო მოსწავლეებთან მისი დონის ასამაღლებლად. მასწავლებლებს მრავალ პრობლემასთან უწევთ გამკლავება. ისინი შრომობენ, რათა მათმა მოსწავლეებმა უკეთეს შედეგებს მიაღწიონ, დამატებით მუშაობენ დაბალი აკადემიური მოსწრებისა თუ რთული ქცევის მქონე ბავშვებთან, მათ მშობლებთან, უმცირესობებთან, ებრძვიან ძალადობას სკოლასა და თემში.

და აი, ისინი სვამენ კითხვას: რატომ – მედიაწიგნიერება? განა არ არსებობდა მედიაწიგნიერების გარეშე ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები?

ინტერნეტმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაზარდა. ინდუსტრიული ეპოქიდან ციფრულში გადავედით. სწორედ ახალი ეპოქა მოითხოვს განათლების ტრანსფორმაციას. არაერთხელ თქმულა, რომ არსებული ინფორმაციის დამახსოვრება ადამიანის გონებას არ შეუძლია. და მაინც, რატომ – მედიაწიგნიერება? რატომ დგას დღის წესრიგში ცვლილებები სკოლაში?

ცვლილება ამ საუკუნის მოთხოვნაა.

> *„2010 წელს, მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში, მსოფლიოში გავრცელდა 1 ზეტაბაიტი მოცულობის ინფორმაცია, რაც 1 ტრილიონ გიგაბაიტს ან 250 მილიარდ დი-ვი-დის (DVD) უდრის. ეს იგივეა, ამჟამად დედამიწაზე მცხოვრებ თითოეულ ადამიანს 60 დი-ვი-დი რომ შეექმნა. პროგნოზის თანახმად, 2020 წლისთვის ინფორმაციის რაოდენობა 35 ზეტაბაიტამდე გაიზრდება („The Leaky Corporation“, 2011).*
>
> *ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაოდენობა მართლაც უზარმაზარია და უფრო და უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღარ არის პრობლემა. პრობლემაა მისი იმგვარად ორგანიზება, რომ ინფორმაციის სასარგებლოდ გამოყენება შევძლოთ, არ*

მივცეთ საშუალება, ქაოსში მოგვაქციოს. მაგალითად, თუ გუგლის საძიებო სისტემაში ჩაწერთ: „ინფორმაციით გადატვირთვა", -0,07 წამში 7,3 მილიონ შედეგს მიიღებთ. ჯერ ვერ შეთანხმდნენ, რა უწოდონ ამ მდგომარეობას – მონაცემთა ასფიქსია, მონაცემთა ნისლი, ინფორმაციით გადაღლილობის სინდრომი, შემეცნებითი გადატვირთვა, დროის შიმშილი („ზედმეტი ინ-ფორმაცია", 2011) თუ სხვა რამ" (ჯეიმზ პოტერი, მედიაწიგნიერება).

ამასთან ერთად, საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაწიგნიერე-ბა პოზიტიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო ჩართულობაზე. ახალგაზრდები, რომლებიც იმ სკოლებში დადიოდნენ, სადაც მედიაწიგნიერება ისწავლებო-და, პოლიტიკურად აქტიურები არიან და შეხედულებათა ფართო სპექტრით გამოირჩევიან. მედიაწიგნიერების მაღალი დონის მქონე ახალგაზრდების 84% მიიჩნევს, რომ მათ ეს უნარები სკოლაში განივითარეს (Kahne, 2011).

სამწუხაროდ, საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი დიდი თუ მცირე კვლევა, რომელიც აღწერს საერთაშორისო გამოცდილებას მედიაწიგნიერე-ბის კუთხით და იმ ტენდენციებს, რომლებიც იკვეთება სასკოლო კულტურაში მედიაწიგნიერების დანერგვის შედეგად.

მედიაწიგნიერებაც აღარაა განათლებისგან გამიჯნული. გვინდა, მოსწავლე-ები გაიწაფონ კითხვასა და წერაში, ანგარიშში, ვასწავლით ლიტერატურას, სამშობლოსა და მსოფლიოს ისტორიას. ვიცით, ეს ცოდნა მათ ცხოვრებაში გამოადგებათ. მედია ჩვენი ცხოვრების ნაწილია და აყალიბებს კიდეც ჩვენს წარმოდგენებს, საზოგადოებრივ აზრს. მედიაწიგნიერება ეხმარება მოსწავ-ლეებს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდნენ აქ-ტიური მოქალაქეები და გააკეთონ გააზრებული არჩევანი. მასწავლებელმა უნდა დააკავშიროს მედიაპროდუქტი შესასწავლ საკითხთან ან სასწავლო პროცესში შექმნას მედიაპროდუქტი და გაუზიაროს სხვადასხვა აუდიტორიას. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და საზოგადოებრივი მოთხოვ-ნების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმა (2011 წლის რედაქცია) გამოყოფს 9 პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას. მედიაწიგნიერება ერთი მათგანია. ამ მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტში აღიარებულია, რომ ცხრა პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციის ფლობა გადამწყვეტია თანა-მედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და დამკვიდრებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწინიერების კომპეტენცია მოსწავლეს ყვე-ლა საგნის სწავლების დროს უნდა განუვითარდეს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში პრიორიტეტული კომპეტენცია მედიაწიგნიერება ასეა განმარტებული:

> *„საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად თანამედროვე სამყაროში ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. გარდა ამისა, თანამედროვე მსოფლიოში მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ – მედიასამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის გაფილტვრა) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება. ამ თვალსაზრისით, მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას“ (ესგ 2011-2016).*

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ცხრა გამჯოლი კომპეტენციის ცალ-ცალკე განხილვა რთულია. მედიაწიგნიერება მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებთან. მედიაწიგნიერების მიდგომის საკლასო ოთახში დანერგვა გულისხმობს, რომ მოსწავლე აანალიზებს და აფასებს მედიაპროდუქტს, ადარებს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ან შეისწავლის სხვადასხვა ეპოქაში გავრცელებულ ინფორმაციებს და გაიაზრებს ეპოქის გავლენას მედიაგზავნილზე. ამასთან ერთად მედიაწიგნიერება გულისხმობს, რომ სწავლის დროს მოსწავლეები თავად ქმნიან მედიაპროდუქტს და უზიარებენ სხვადასხვა აუდიტორიას.



სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიებისა და მუშაობის ფორმების გამოყენება მედიაწიგნიერებით განათლებას მჭიდროდ აკავშირებს სხვა გამჭოლ კომპეტენციებთან. მედიაწიგნიერებითი განათლება გულისხმობს, რომ:

- მოსწავლეები ამუშავებენ მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, გამოთქვამენ იდეებსა და მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და ფიქრობენ პრობლემების მოგვარების გზებზე **(წიგნიერება)**;
- მოსწავლეები ამუშავებენ ელექტრონულ ტექსტებს, შეუძლიათ ტექსტური შეტყობინების პროგრამების და, საზოგადოდ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. დღეს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ციფრულ ფორმატშია, პროფესიული და სოციალური მედია ინფორმაციას ამ ფორმატში უზიარებს აუდიტორიას, მოქალაქეებიც ამავე ფორმატში აზიარებენ მას **(ციფრული წიგნიერება (იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება))**;
- ხშირად ინფორმაცია გამოსახულია ციფრების, ცხრილებისა და გრაფიკების სახით. მოსწავლეები გაიაზრებენ ამ მონაცემებს, ადგენენ რიცხვებს შორის მიმართებებს და რაოდენობრივად ადარებენ მათ **(რაოდენობრივი წიგნიერება)**;
- გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერება გულისხმობს ეკოლოგიური საკითხების შესწავლას და სხვადასხვა პერსპექტივაში მათ განხილვას. ეკოლოგიურ საკითხებს მედია ინტენსიურად აშუქებს, შესაბამისად, მედიარესურსები სწავლების მნიშვნელოვანი წყაროა **(ეკოლოგიური წიგნიერება)**;
- დღევანდელი მსოფლიო წარმოუდგენელია კულტურული მრავალფეროვნების გარეშე. ევროკავშირი სხვადასხვა ენის, კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის მქონე 700 მლნ ადამიანის სამშობლოა. დღეს ევროკავშირში 40 ოფიციალური ენაა და ევროკავშირის მოქალაქეები დაახლოებით 200 ენაზე საუბრობენ (Elsner 2011: 12). არც საქართველოა გამონაკლისი. თანამედროვე ტექნოლოგიები მასწავლებლებს მხოლოდ ლინგვისტური მრავალფეროვნებისა და მრავალენობრივი კომპეტენციების განვითარებაში კი არ ეხმარება, არამედ ზრდის ლინგვისტური და კულტურული ტრადიციების შესახებ ცოდნას, ტოლერანტობასა და კულტურათა შორის დიალოგს (UNESCO 2011) **(მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია)**;
- ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში მედიარესურსების გამოყენება

ხშირად გულისხმობს რუკების, დიაგრამების, სქემების, ნახატების, მელოდიების საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებასა და ინტერპრეტირებას **(სემიოტიკური კომპეტენცია)**;

- სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვისას მნიშვნელოვანია მოსწავლეთა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს, დამოუკიდებლად შეარჩიოს მედიაპროდუქტის ანალიზისა და ახალი პროდუქტის შექმნისთვის საჭირო სტრატეგიები **(სწავლის სწავლა)**;
- სამოქალაქო აქტიურობა და მონაწილეობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდა დემოკრატიის მქონე ქვეყნებისთვის. მედიაწიგნიერება ამ მხრივ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. შესაძლებელია მოსწავლეებისთვის ისეთი პროგრამების შექმნა, რომლებიც მიმართული იქნება მათი მონაწილეობისა და სამოქალაქო აქტივიზმის ზრდისკენ. მედიაწიგნიერება საშუალებას იძლევა, აჟღერდეს მოზარდის ხმა და ცვლილებისკენ გადაიდგას ნაბიჯები **(სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია)**.

მედიაწიგნიერების განათლების კონცეფციის მიხედვით, მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენების დროს მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გამოიყენოს მედიაწიგნიერების მთავარი კითხვები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება, შეაფასოს მედიაპროდუქტი რამდენიმე კომპონენტთან მიმართებით. ეს კომპონენტებია: აუდიტორია, გზავნილი და მნიშვნელობა, გამოხატვა და სინამდვილე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2010
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011
3. Sherri H. Culver & Thomas Jacobson Filadelfia, Pennsylvania (USA) Media Literacy and Its Use as a Method to Encourage Civic Engagement, DOI: 10.3916/C39-2012-02-07
4. (Kahne, 2011)(2011). Youth online activity and exposure to diverse perspectives. New Media & Society, 14(3), 492–512

სიმართლის ორი მხარე

თევზმა თევზს უთხრა, ცოტა იქით მიიძარიო.
საით მივიძრა, ორივენი ერთ ტაფაში ვიწვითო.
ქართული ანდაზა

როგორია წყალი ჩემს ჭიქაში?

ამ სტატიის ეპიგრაფზე ფიქრი მომიწია. საბოლოოდ, ქართულ ხალხურ ანდაზაზე შევჩერდი, თუმცა არაბული ანდაზაც შეესაბამება ამ სტატიას. არაბებს უთქვამთ, ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო და მართლაც, ორ საზამთროს ორი ხელი უნდა, ორ მოსაზრებას – ორი ადამიანი. ამ სტატიაში ვისაუბრებთ საკლასო ოთახში მედიაწიგნიერების ინტეგრაციაზე. მანამ კი ერთ ამბავს მოგიყვებით:

კოლეგებთან ერთად ვსაუბრობდით მედიაწიგნიერების სასწავლო პროცესში დანერგვის ხერხებსა და მიზნებზე; შეხვედრაში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ; მორიგი დიკუსიის დროს მონაწილეებს დავუსვი რიტორიკული კითხვა:

რა შეიძლება დავუპირისპიროთ მედიას?

პასუხს ამაოდ ველოდი. შემდეგ მსმენელებს ჩემი აზრი მოვახსენე. მედიას შეიძლება დავუპირისპიროთ სიმართლე, რეალობა. ამ პასუხით მინდოდა, ერთად გვემსჯელა სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვის აუცილებლობასა და საშუალებებზე. თუმცა ჩემი პასუხის შემდეგ ერთმა მსმენელმა, ბუნებისმეტყველმა, თავისი ამბავი გვიამბო. „მოსწავლეებს წყლის ტემპერატურის გაზომვას ვასწავლიდი. მერხზე წყლით სავსე ორი მეტალის ჭიქა დავდგი, მესამე კი ჩემს მაგიდაზე დავდე. ორ მოსწავლეს ვთხოვე, ხელი მიედოთ წყლით სავსე ორი ჭიქისთვის. შემდეგ ვთხოვე, მოსულიყვნენ ჩემს მაგიდასთან და ხელი შეეხოთ ჩემი ჭიქისთვის. ბავშვებს ვკითხე: „როგორია წყალი?“ ერთმა მოსწავლემ მითხრა, ცხელიაო, მეორემ კი – ცივიაო.

შემდეგ კლასში დავსვი კითხვა: „რატომ ფიქრობენ განსხვავებულად? შეიძლება წყალი ერთდროულად ცივიც იყოს და ცხელიც?“ ბავშვებს არ გაუჭირ-

დათ ამ „საიდუმლოს“ ამოხსნა, და მათი პასუხი იყო: „გააჩნია, რა შემთხვევაში“. ამ პატარა სახალისო აქტივობის „საიდუმლო“ მარტივია: სანამ ჩემს ჭიქას შეამოწმებდნენ, მათ შეამოწმეს განსხვავებული ჭიქები; ერთში თბილი წყალი იყო ჩასხმული, მეორეში კი – ცივი. ბავშვებმა განსხვავებული გამოცდილება მიიღეს და, შესაბამისად, განსხვავებულად შეაფასეს ჩემს ჭიქაში ჩასხმული ოთახის ტემპერატურის მქონე წყალი“.

მედიაწიგნიერების თერმომეტრი

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ რეალობას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ვქმნით. როდესაც საბუნებისმეტყველო კვლევას ვატარებთ, რეალობის შესამოწმებლად ინსტრუმენტები გვაქვს. ყველაზე ობიექტურ ინფორმაციას თერმომეტრი გვაწვდის და ჩვენც ვთანხმდებით „სიმართლეზე“. მედიაწიგნიერების შემთხვევაში, საქმე ასე მარტივად არაა. მედია სინამდვილის რეპრეზენტაციაა და მისი გააზრებისთვისაც გვჭირდება თერმომეტრი, თუმცა, პრობლემათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ერთი უნიკალური თერმომეტრის შექმნა შეუძლებელია. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი პრობლემაა და მედიაც ამ პრობლემებს სხვადასხვა მხრიდან აშუქებს. მედია „გვაიძულებს“, აღმოვაჩინოთ სიმართლე, ვიპოვოთ საჭირო თერმომეტრი, ან ბრმად მივყვეთ საინფორმაციო ნაკადებს და ვირწმუნოთ ის „სიმართლე“, რომელიც ინტენსიურად შუქდება. ვფიქრობ, ბევრი თერმომეტრის აღმოჩენა უმჯობესია, ვიდრე მედიის გზავნილების ტყვეობაში ყოფნა.

მედიაწიგნიერებაში გამოყენებული მიდგომები ძალიან ჰგავს საბუნებისმეტყველო კვლევის დროს გამოყენებულ სამეცნიერო მეთოდს. როგორც ბუნებისმეტყველებაში, მედიაწიგნიერებაშიც აუცილებელია ჰიპოთეზის შემოწმება და კრიტიკული აზროვნება.

მედიაწიგნიერმა ადამიანმა უნდა მოახერხოს ინფორმაციაში სიმართლის „ამოცნობა“. როგორ? რამდენიმე მარტივი მიდგომა არსებობს. პირველ რიგში, აუცილებელია, **ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მარკეტინგული ინტერესები და ინფორმაცია**. მედიაწიგნიერი ადამიანი სვამს კითხვებს: ვინ შექმნა ეს გზავნილი? რატომ შექმნა? ვინაა აუდიტორია? ვინ გადაიხადა ფული? ვინაა მოგებული ამ გზავნილის შედეგად? ვის მიადგა ზიანი? ის ასევე ეძებს პასუხებს ამ კითხვებზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მედიაწიგნიერების დანერგვას ფორმალურ სივრცეში, ასევე, გვწამს, რომ მედიაწიგნიერების დანერგვა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულია მედიაწიგნიერების საჭიროება ყვე-

ლა საგანში და სწავლების ყველა საფეხურზე. საგანმანათლებლო პოლიტიკა მწვანე შუქს უნთებს სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების დანერგვის მსურველ მასწავლებლებს.

მედიაწიგნიერება მედიაგანათლება არ არის!

სანამ განვმარტავდეთ, რა არის მედია, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ **მედიაწიგნიერება მედიაგანათლება არ არის**. მედიაგანათლების ფარგლებში ცოდნას იღებენ ჟურნალისტები, ხოლო მედიაწიგნიერება არის ის კომპეტენცია, რომელიც გვჭირდება, რომ გავიკვლიოთ გზა ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში.

მედიაა ვიზუალური საშუალებებით, სიტყვებითა და ხმით გამოხატული ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მასობრივი აუდიტორიისთვის. მედიაა წიგნები, ჟურნალები, რადიო და სატელევიზიო გზავნილები, ფილმები, ვიდეო თამაშები, სოციალური მედია და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული გზავნილიც კი. საკლასო ოთახში მედიაა სახელმძღვანელო, პლაკატები და რუკები. მედიასაშუალება ფინანსებს ხარჯავს მასალის მომზადებაში, თუმცა რიგითი მოქალაქეებიც, რიგ შემთხვევებში, საკმაოდ საინტერესო მასალებს ქმნიან, ყოველგვარი ფინანსური ინვესტიციის გარეშე.

როგორ ჩავატაროთ „მედიაწიგნიერების“ გაკვეთილები?

თუ გადაწყვეტთ მედიაწიგნიერების მიდგომის ინტეგრირებას გაკვეთილზე, მაშინ მოგიწევთ კლასში პრობლემის მრავალმხრივი განხილვა, რისთვისაც აუცილებელია ქვემოთ მოცემულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

ყურადღება მიაქციეთ ფაქტების სისწორეს/სიზუსტეს – რა არის ამ ინფორმაციის წყარო? მეცნიერულად სანდოა? რატომ?

წაახალისეთ კრიტიკული აზროვნება – დაეხმარეთ მოსწავლეებს საკითხის მრავალი ასპექტის დანახვაში ისე, რომ არ მოექცნენ თქვენი შეხედულებების გავლენის ქვეშ (დასვით საკითხი ასე: რას ამბობს მედია გლობალური დათბობის შესახებ? წყალდიდობის ან ღვარცოფის შესახებ? რომელია უფრო სანდო? რატომ?).

სამეცნიერო აზრისა და პირადი მოსაზრების გამიჯვნა – ჰკითხეთ მოსწავლეებს, რატომ ფიქრობენ, რომ ტარანტული შხამიანია? ან რომ ღვარცოფის მიზეზი ახალი გზა იყო? ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ხუდონჰესი დაარღვევს ბუნებრივ წონასწორობას?

მეცნიერული არგუმენტები – როდესაც მოსწავლეების მოსაზრებებს შეიტყობთ, ჰკითხეთ მათ, რა არგუმენტები მოჰყავს ავტორს იმის დასასაბუთებლად, რომ ხუდონჰესი გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას? ან ღვარცოფი ახალმა გზამ გამოიწვია? სანდოა ეს არგუმენტები თუ გადამოწმება სჭირდება? როგორ არის ინტერპრეტირებული მონაცემები?

მედიაწიგნიერების გაკვეთილზე მნიშვნელოვანია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. დატოვეთ მოსწავლე პირისპირ მედიასთან, რომ კარგად გაეცნოს ინფორმაციას და არ მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ. შემდეგ მთელ კლასთან ერთად განიხილეთ საკითხი. საკითხის ერთობლივი განხილვა ხელს უწყობს აზრების გაცვლას, გააზრებას; მოსწავლეები იღებენ საჯარო ანალიზის გამოცდილებას.

მედიარესურსის განხილვის დროს შეარჩიეთ მედიაწიგნიერების მიზანი.

მედიაწიგნიერების მიზნებია:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა;
- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- მედიაში გამოყენებული ამბის მოყოლის სხვადასხვა ტექნიკის ანალიზი;
- მედიაფორმების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

მედიარესურსის შერჩევა

მედიარესურსის შერჩევისას აუცილებელია შეფასდეს დოკუმენტის შესაბამისობა მოსწავლეების ასაკთან და გაკვეთლის მიზნებთან. წინასწარ შეაფასეთ მედიარესურსის სექსუალური, რელიგიური და სხვა შინაარსი. დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: გამოიწვევს ეს რესურსი გაკვეთილის მიზნების შესაბამის დისკუსიას? მედიის შერჩევისას იხელმძღვანელეთ პრინციპით „არ ავნო“. უნდა შეარჩიოთ ისეთი შინაარსით მდიდარი მასალა, რომლის სწავლებაც კურიკულუმითაა გათვალისწინებული. სანამ მედიას შეიტანთ და მოსწავლეები მის დეკოდირებას დაიწყებენ, მათ თემის საკვანძო საკითხები შესწავლილი უნდა ჰქონდეთ. მულტიმედიარესურსში შეიძლება მეცნიერული ცოდნა მწირი იყოს ან არასწორად იყოს წარმოდგენილი. მედიის გამოყენება შეგიძლიათ მხატვრული ნაწარმოების, პითაგორას თეორემის, საქართველოს კონ-

სტიტუციის, გლობალური დათბობის ან ჟანგბადის მიმოქცევის სწავლებისას. მედიაწიგნიერების ინტეგრაცია აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას. საგაზეთო სტატიების, ვიდეოკლიპების, სიმღერების, ლექსებისა და სამეცნიერო ფანტასტიკის გამოყენება მოსწავლისთვის ერთგვარი სარკმელია; მას საშუალება ეძლევა, „გარედან" შეხედოს წარსულს და იწინასწარმეტყველოს მომავალი.

მედიაწიგნიერების ერთი საგაკვეთილო იდეა

ბოლო ხანებში, სამწუხაროდ, ღვარცოფი ძალიან გახშირდა; დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა საქართველოს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. ეროვნული სასწავლო გეგმით გეოგრაფიაში მერვე და მეცხრე კლასებში გათვალისწინებულია ბუნებრივ-კატასტროფული და გარემოსდაცვითი მოვლენების შესწავლა (ესგ, **გეო. VIII. 4. გეო.IX.1**).

VIII კლასში მოსწავლეს მოეთხოვება ინფორმაციის მოგროვება კავკასიის ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე, გარემოსდაცვით პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ხოლო მეცხრე კლასში ესგ-ში მედიაწიგნიერებაა აქცენტირებული **(გეო. IX.1)**. ერთ-ერთი ინდიკატორია: მოსწავლე „აგროვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელო, მასმედია და სხვა), მსჯელობს საქართველოს ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე (მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი და სხვა), გარემოსდაცვით პრობლემებზე და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე".

მედიაპროდუქტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მასწავლებლის გარდა ვინმემ განსაზღვროს, რომელ კლასში რომელი მედიარესურსის გამოყენებაა შესაძლებელი. მასწავლებელმა ყველაზე უკეთ იცის, როგორია მისი მოსწავლეების მზაობა, ასაკობრივი თავისებურებები და მათი გამოცდილება.

მოსწავლისთვის ყველაზე დიდი აღმოჩენაა, როდესაც საკლასო ოთახში ნასწავლს ცხოვრებას დაუკავშირებს და პიროვნულ არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებას შორის კავშირს დაინახავს. ღვარცოფზე ქართულ მედიაში მრავალი რესურსი შეიძლება მოიძიოთ.

გთავაზობთ ნეტგაზეთში 2014 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიის „ორი ღვარცოფი სამ თვეში დარიალის ხეობაში" განხილვას მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენებით. სტატიის სრული ვერსია იხილეთ საიტზე: http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35078/.

2014 წლის 17 მაისსა და 20 აგვისტოს დევდორაკის ხეობაში მეწყერი ჩამოწვა. შემდეგ ხეობაში ღვარცოფი მოვარდა. სტიქიური უბედურება ქართული მედიის ინტერესის საგანი გახდა. ამავე ხეობაში შენდება ჰესი, და სტიქიის მიზეზად ზოგიერთი სპეციალისტი მშენებარე ჰესს ასახელებდა. მედია ეძებს პრობლემის გამომწვევ მიზეზს და ინტერვიუს იღებს სახელმწიფო სტრუქტურისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან. სტატიაში სამი რესპოდენტია: ჟურნალისტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი.

ჟურნალისტი გვიყვება ამბავს:

> *„20 აგვისტოს, საღამოს 22 საათზე, დევდორაკის ხეობაში ღვარცოფულმა ნაკადმა გაიარა. ეს ის ადგილია, სადაც 17 მაისს კლდოვან-ყინულოვანი მასა მოწყდა. ღვარცოფული გავლის შედეგად, 350-400 ათასი კუბი მიწა ჩამოვიდა, რის გამოც სამხედრო გზის მონაკვეთი მწყობრიდან გამოვიდა, ჩრდილოეთ-სამხრეთის 1200 მილიმეტრიანი მაგისტრალური გაზსადენი დაზიანდა, ასევე დაზიანდა ლარსის ჰესი, დაიტბორა ლარსის საბაჟო-გამშვები პუნტი და „დარიალჰესის“ გვირაბი“.*

სტატიაში დასმულია კრიტიკული კითხვა: რა გახდა ღვარცოფის მიზეზი და შესაძლებელი იყო თუ არა სტიქიის პროგნოზირება?

დეპარტამენტის უფროსის აზრით:

> *„არავითარი კავშირი „დარიალჰესის“ მშენებლობას დევდორაკის ღვარცოფთან არ აქვს. მშენებარე ჰესი მდებარეობს მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე. რაც შეეხება დევდორაკს, ეს არის მარცხენა შენაკადი. ღვარცოფი, რომელიც ჩამოყალიბდა 17 მაისს, 11-ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული „დარიალჰესიდან“. 17 მაისის სტიქიის დროს ჰესის სატრანსპორტო გვირაბმა დადებითი როლი ითამაშა, ამ გვირაბმა გაატარა ქვაღორღოვან-ყინულოვანი მასა. მდინარე თერგის შეგუბება იმ მასშტაბებით არ მოხდა წყალსაცავის ქვედა დინებაში. ის, რომ ამ მშენებლობამ ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა ღვარცოფულ მოვლენებზე და პროვოცირება მოახდინა, ეს გამორიცხულია. არ ყოფილა იმ დონის ტექტონიკური ძვრები“.*

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი კი თვლის რომ:

„ჰესის მშენებლობა დარიალის ხეობაში სტიქიის მიზეზი ვერ გახდებოდა, თუმცა დევდორაკის ხეობა რისკის ზონაა და ამ ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობა ადამიანების სიცოცხლეს მუდმივად შეუქმნის საფრთხეს. მდინარე დევდორაკის მყინვარიდან, ადრე თუ გვიან, 5-10 წელიწადში მაინც მოხდებოდა ზვავების ჩამოწოლა, ღვარცოფები, მეწყერები. შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს ბრალია, როცა ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში არ თქვა, რომ ამ ტერიტორიაზე ჰესის აშენება არ შეიძლება. ეს არის საშიში იმ ადამიანების სიცოცხლისათვის, ვინც ჰესზე იქნება დასაქმებული და ასევე ეკონომიკურ მოგებას ვერ მოუტანს ინვესტორს, რაც უწერია ბიზნესგეგმაში, ვინაიდან მუდმივად იქნება სტიქიის საფრთხის ქვეშ ეს ენერგოობიექტი“.

ჟურნალისტი სვამს მეორე კითხვას:

შესაძლებელი იყო თუ არა 17 მაისის ღვარცოფის შემდეგ მოსალოდნელი სტიქიის პროგნოზირება და უნდა შეჩერებულიყო თუ არა „დარიალჰესის“ მშენებლობა დროებით მაინც?

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის აზრით:

„სტიქიის პროგნოზირება შეუძლებელი იყო: მსგავსი ტიპის ღვარცოფების თუ მეწყერების ჩამოყალიბებისთვის ყველა ღვაცოფული წყალსადინარი, ხევი იქნება თუ მდინარე, მათ შორის დევდორაკიც, პერიოდული აქტივიზაციით ხასიათდება. ეს აქტივიზაცია ოდესღაც შეიძლება ციკლურობას ემორჩილებოდა, მაგრამ დღეისათვის პრაქტიკულად არანაირ კანონზომირებას არ ემორჩილება. შეუძლებელია პროგნოზირება. ჩვენ ვიცით, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესი, მაგრამ დროში ამის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია“.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი კი თვლის, რომ:

„დარიალის ხეობაში 17 მაისის შემდეგ სტიქიის განმეორება მოსალოდნელი იყო: შეიძლება ვერ ეთქვათ, რა დროში მოხდებოდა სტიქია. ის, რომ მოხდებოდა, თავისთავად ცხადი იყო. 17 მაისს, როცა მასა მოწყდა მყინვარიდან, დაახლოებით 5 მილიონი კუბური მეტრი მიწა ჩამოვიდა. მთის ძირამდე ჩამოაღწია ერთმა მილიონმა კუბურმა მეტრმა და დროთა განმავლობაში დანარჩენიც წამოვიდოდა, რადგან ამ მიწის მასის გამოტანა ტექნიკით შეუძლებელია... 17 მაისის სტიქიის შემდეგ „დარიალჰესის“

მშენებლობა ან უნდა შეეჩერებინათ, ან ობიექტის დროებით დაკონსერვება მომხდარიყო. საინტერესოა, რას აპირებენ? რაღაც პერიოდულობით უნდა გაწირონ ადამიანები, რომლებიც ამ ჰესზე მუშაობენ? თანაც პროექტი ვერ იქნება ეკონომიკურად მომგებიანი: ჰიდროელექტროსადგური რამდენ დენს გამოიმუშავებს და რა ეკონომიკურ მოგებას მოიტანს – ეს არის დამოკიდებული მდინარის ჩამონადენზე. ანუ რამდენად სუფთა წყალი იქნება მომარაგებული. რაც უფრო მეტი ნატანი იქნება – ეს ნიშნავს, რომ ნაკლებ დენს გამოიმუშავებს ჰესი".

სტატიაში მოცემულია ფაქტი და ორი „სიმართლე". გაკვეთილის მიზანია ღვარცოფის მიზეზების კრიტიკული შეფასება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიის კრიტიკული ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლე არ მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ. სთხოვეთ მოსწავლეებს, ინდივიდუალურად წაიკითხონ სტატია, ცალ-ცალკე განიხილონ დეპარტამენტის უფროსისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

პირველი საფეხური: ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა

ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის მიზნით მოსწავლეებს დაუსვით კითხვები: რა ფაქტს ეხება დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებები? როგორ ხდება ფაქტის ინტერპრეტაცია? არის მსგავსი მოსაზრებები გამოთქმული? რა განსხვავებაა გამოთქმულ მოსაზრებებს შორის?

მეორე საფეხური: მოსაზრებების შეფასება

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გამიჯნავენ ფაქტსა და მოსაზრებას, სასურველია, შეფასდეს სტატიაში მოყვანილი მოსაზრებები. დაუსვით მოსწავლეებს კითხვები: ვინ არის ავტორი? რა არის ამ მოსაზრების საფუძველი? რატომ?

სანდოობა: რომელი მოსაზრება ეფუძნება სანდო არგუმენტებს? რატომ ფიქრობთ, რომ მოსაზრების არგუმენტი სანდოა/არ არის სანდო?

ჩაიწერეთ პასუხები და გამოყავით საპირისპირო მოსაზრებები. მოსწავლეების ნაწილი დეპარტამენტის უფროსის მოსაზრებას ჩათვლის სანდოდ, ნაწილი კი – არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებას.

მესამე საფეხური: მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარება სამეცნიერო ცოდნასთან

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გააანალიზებენ სტატიას, სასურველია, კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ სამეცნიერო ცოდნას და გაიხსენონ, მეცნიერთა აზრით, რა იწვევს ღვარცოფებს; შეიძლება თუ არა მათი პროგნოზირება და როგორ ავირიდოთ თავიდან.

მოსწავლეები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ეკოლოგიურ საკითხებზე. შესაძლოა მოსწავლეთა ჯგუფმა მოამზადოს სტატია სასკოლო საზოგადოებისთვის; შესაძლოა ეს სტატია განთავსდეს ბლოგზე და ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისთვის.

კიდევ ერთხელ, რატომ – მედიაწიგნიერება?

მედიაწიგნიერება მოსწავლეებს მოაზროვნეებად აყალიბებს. **მედია ბევრ მითს ქმნის**. ხშირად გააანალიზეთ პოპულარული მედია. დაუკავშირეთ მისი შინაარსი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მედიაწიგნიერების მიდგომებით გაკვეთილის ჩატარება ნიშნავს გაკვეთილზე მედიარესურსის განხილვასა და ახალი მედიარესურსის შექმნას; ხოლო განხილვა-შექმნის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა კრიტიკული და შემოქმედებითი სააზროვნო უნარების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016
2. http://www.projectlooksharp.org/?action=kits ნანახია 2015 წლის 16 ივლისს;
3. http://www.netgazeti.ge/GE/105/News/35078/ ნანახია 2015 წლის 16 ივლისს.

მედიაწიგნიერება – ფაქტის განხილვის ინსტრუმენტი

მე მყავს ექვსი გულწრფელი მსახური.
მათ მასწავლეს ყველაფერი, რაც მე ვიცი.
მათი სახელებია: რა? რატომ? როდის? როგორ? სად? ვინ?
რადიარდ კიპლინგი

სხვა ეპოქაა. ყოველდღე დაახლოებით 1500 ახალი წიგნი გამოიცემა მთელ მსოფლიოში (Fiore, 2011). თუ ამას რადიოთი, ტელევიზიითა და ჟურნალ-გაზეთებით, კომპიუტერითა და ინტერნეტით გავრცელებულ ინფორმაციას დავუმატებთ, წარმოდგენა გაგვიჭირდება, რა მოცულობის ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

ინფორმაციის რაოდენობის ამგვარი ზრდა მიუთითებს, რომ მის შექმნასა და გაზიარებაში გაცილებით მეტი ადამიანი მონაწილეობს, ვიდრე ეს რამდენიმე დეკადის წინ ხდებოდა.

დავფიქრებულვართ, რამდენ ინფორმაციას ვავრცელებთ ყოველდღიურად ელექტრონული ფოსტითა თუ სოციალური ქსელებით? რამდენ ფოტოს ან ვიდეოს ვუზიარებთ საზოგადოებას? ჩვენ, ერთი მხრივ, გვიწევს უდიდეს საინფორმაციო ნაკადთან გამკლავება და, მეორე მხრივ, თავად ვმონაწილეობთ ახალი საინფორმაციო ნაკადის შექმნაში.

შეიძლება საინფორმაციო ბუმის იგნორირება და საკლასო ოთახში მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენება? კითხვა რიტორიკულია და მას მოკლე პასუხი აქვს: არა!

თუმცა სკეპტიკოსები კვლავ განაცხადებენ, რომ კარგი სახელმძღვანელო არის ხსნა და გადაჭრის იმ პრობლემას, რომელსაც საინფორმაციო ნაკადთან გამკლავება ჰქვია.

მაგრამ როგორ შევუზღუდავთ მოსწავლეებს ინფორმაციის ნაკადებთან ურთიერთობასა და ახალი ინფორმაციის გაზიარების არხებს?

პასუხი ამ კითხვაზეც ერთია: შეზღუდვას ვერ შევძლებთ. მაშ, სად ვეძებოთ გამოსავალი? გამოსავალი შეიძლება იყო სასწავლო პროცესში მედიის ჩართვა და ასევე სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტების გაზიარება.

ამ პროცესს ბევრი რისკი ახლავს თან, მათ შორის კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი, თუმცა ამ სტატიაში მას არ განვიხილავთ.

სწორედ შეცვლილი რეალობისა და სხვა ფაქტორების გავლენით დაიწყეს დასავლურმა ქვეყნებმა სასკოლო კურიკულუმში მედიაწიგნიერების ინტეგრირება. კურიკულუმში მედიაწიგნიერების ინტეგრირებისთვის მათ ადვოკატირების რთული გზა გაიარეს. ისინი იბრძოდნენ, ცდილობდნენ, სკეპტიკოსებისთვის დაესაბუთებინათ მედიაწიგნიერების მნიშვნელობა, მისი როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. ქვეყნებს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, მასწავლებლები არ იყვნენ მზად, გაკვეთილზე გამოეყენებინათ საინფორმაციო ტექნოლოგიები. ბევრი სწავლების პარადიგმის ცვლილებას პროტესტსაც უცხადებდა.

ყველა ქვეყანა განვითარების საკუთარ გზას გადის და საქართველოც დგამს ამ სფეროში ნაბიჯებს. განვითარების გზა ჩვენს ქვეყანას განსხვავებული აქვს. ცვლილებები 2005 წელს დაიწყო. პროექტი „ირმის ნახტომი“ მიზნად ისახავდა სკოლების კომპიუტერიზაციას. 2009-2013 წლებში ყველა პირველკლასელს საჩუქრად გადაეცა „ბუკი“ და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები. 2009 წლიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგები. საქართველოს სკოლების მასწავლებლებმა წლების განმავლობაში შეიძინეს კომპიუტერთან და ინტერნეტთან მუშაობის უნარები; სკოლაში შემცირდა კომპიუტერისა და მოსწავლის თანაფარდობა. დღეს კომპიუტერი და ინტერნეტი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია.

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მედიაწიგნიერებას განსაზღვრავს, როგორც გამჭოლ კომპეტენციას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მედიაწიგნიერების უნარები მოსწავლეს ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განუვითარდეს. *მოსწავლემ უნდა შეძლოს როგორც ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, ასევე მედიასამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება (ინფორმაციის „გაფილტვრა“) და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება.*

ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯი იყო. საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაწიგნიერებას დადებითი გავლენა აქვს სამოქალაქო ჩართულობაზე (Kahne,2011). ახალგაზრდები, რომლებიც იმ სკოლებში დადიოდნენ, სადაც მედიაწიგნიერება

ისწავლებოდა, პოლიტიკურად აქტიურები არიან და შეხედულებების ფართო სპექტრით გამოირჩევიან. მედიაწიგნიერების მაღალი დონის მქონე ახალგაზრდების 84% მიიჩნევს, რომ მათ ეს უნარები სკოლაში განივითარეს.

მედიაწიგნიერების დანერგვა სკოლებში, ქართულ კონტექსტზე მორგებული რესურსების შექმნა და ამ მასალის პოპულარიზება ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ნიადაგი ამისთვის მზადაა. საქართველოს სკოლებში შესაძლებელია მედიაწიგნიერების დანერგვა და ამ გზით სასკოლო კულტურის ცვლილება, რადგან ქართველი მასწავლებლების ნაწილი საინფორმაციო ტექნოლოგიებს კარგად ფლობს. მედიაწიგნიერების სფეროში ქართული გამოცდილების შესახებ საუბარი ჯერ ადრეა, რადგან მხოლოდ ახლა ხდება პატარა ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. კერძოდ, თუ მედიაწიგნიერებას განვიხილავთ, ერთი მხრივ, ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში ორიენტირების, ინფორმაციის გაფილტვრის და, მეორე მხრივ, ახალი ინფორმაციის/ცოდნის შექმნისა და გაზიარების ინსტრუმენტად, იოლად დავინახავთ მის კავშირს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან. ინფორმაციის გაფილტვრა რთულია კრიტიკული აზროვნების უნარის გარეშე, ხოლო ახალი ინფორმაციის შექმნას სჭირდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

2014 წლიდან სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს მედიაწიგნიერების საკითხებზე. გვსურს, გაგიზიაროთ ამ სფეროში დაგროვილი მცირე გამოცდილება. პირველი ისაა, რომ საკითხით დაინტერესებული მასწავლებლები ცდილობენ, მედიაწიგნიერება დანერგონ სასწავლო პროცესში. მაგალითად, ისტორიული მოვლენების სხვადასხვა კუთხით განხილვის მიზნით, მასწავლებელმა გაკვეთილზე შეიტანა მედიარესურსები კატინის ტრაგედიის შესახებ, მოსწავლეებს სთხოვა, გაენალიზებინათ სხვადასხვა ქვეყნის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კატინის ტრაგედიაზე. ბიოლოგიის მასწავლებელმა გაკვეთილზე გააანალიზა სატელევიზიო მედიის მიერ გავრცელებული სიუჟეტი საქართველოში შემოსული ჰიბრიდული სიმინდის შესახებ.

სწორედ მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა, დასკვნისა და არგუმენტების შეფასება, მტკიცებულებების მოძიება და წყაროს სანდოობის შეფასება აყალიბებს მოზარდს დამოუკიდებელ მოაზროვნედ. ეს ინტელექტუალური პროცესები თანდათანობით ავტომატიზებული ხდება და ზრდასრულ ასაკში ამ უნარებში გაწაფული პიროვნება მე-

დიამანიპულაციის მსხვერპლი ნაკლებად გახდება. მედიაწიგნიერება მოზარდს ეხმარება, დამოუკიდებლად შეაფასოს მოვლენები, განივითაროს კრიტიკული აზროვნება და სოციალური აქტიურობის გზით შეეცადოს, შეცვალოს გარემო.

ახლა შემოგთავაზებთ, როგორაა შესაძლებელი ურბანული ლეგენდებისა და გაბატონებული მითების გადაფასება სასწავლო პროცესში მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენებით.

ურბანული ლეგენდა – ფართოდ გავრცელებული ჭორი ან ამბავი, რასაც მთხრობელი გვაწვდის, როგორც სიმართლეს, ყველანაირი მტკიცებულების გარეშე; ურბანული ლეგენდების გავრცელების წყარო მედიაა. სად გადის ზღვარი ფაქტის უტყუარობასა და შეთხზულ ამბავს შორის?

ურბანული ლეგენდების მოძიება ქართულ მედიაში საკმაოდ ადვილია. მთავარია, მედიაში გავრცელებული ტექსტური, აუდიო და ვიზუალური ინფორმაცია შეესაბამებოდეს შესასწავლ საკითხსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ილუსტრირებისთვის შემოგთავაზებთ ცნობილ ამერიკულ ურბანულ ლეგენდას ლემინგების შესახებ. ამ ამბის გაკვეთილზე განხილვა მოსწავლეებს დაეხმარება გაიაზრონ, რომ ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადები ხშირად ადამიანებს არასწორ შეხედულებებს უყალიბებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ნებისმიერი წყაროსა და ნებისმიერი ადამიანის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სკეპტიკურად განხილვა და არა ბრმა ნდობა.

მოსწავლეებს უთხარით, რომ ლემინგები პატარა ზომის ცხოველები არიან. ისინი ზღვის გოჭებს ჰგვანან. შესაძლოა საქართველოში მათ შესახებ ბევრს არაფერი სმენია, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლემინგი საკმაოდ პოპულარული ცხოველია. რა განაპირობებს მის პოპულარობას? ლემინგების პოპულარობაში მედიამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ტუნდრის ბინადრებზე იქაურებს სწორი წარმოდგენა აქვთ. ადამიანებს სჯერათ, რომ ლემინგები კლდიდან ხტებიან და ისე ამთავრებენ სიცოცხლეს. საიდან გაჩნდა ეს ლეგენდა?

ახალ ამბებსა და დოკუმენტურ ვიდეოებს ხშირად ინფორმაციის სანდო წყაროდ მიიჩნევენ. 1958 წელს დისნეიმ გადაიღო დოკუმენტური ფილმი პოლარული ტუნდრის ბინადარ ცხოველებსა და ჩიტებზე. ფილმს „თეთრი უდაბნო“ ჰქვია. დისნეი საუკეთესო დოკუმენტური ნამუშევრისთვის დაჯილდოვდა აკადემიის ჯილდოთი (Academy Award for Best Documentary Feature). მოსწავლეებს აჩვენეთ ამ ფილმის 2-წუთიანი კადრი.

კადრი ასეთია: დრამატული მუსიკის ფონზე კომენტატორი გვიყვება ლემინგების ამბავს: „როდესაც ლემინგები საკვებს ვეღარ შოულობენ, მათ გონებაში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებთ: წავიდეთ, წავიდეთ, არ გავჩერდეთ. მათ არ ეშინიათ ბარიერების, რადგან მოძრაობა აქვთ გადაწყვეტილი“.

ფილმში მოჩანს პოლარული ნაპირი და ზღვა. პატარა ცხოველები წინ მიიჩქარიან.

მოძრაობის დაუკებელი სურვილის გამო, ისინი ვერ ჩერდებიან. ლემინგები უფსკრულს უახლოვდებიან. მათ უკან დახევის ბოლო შანსი აქვთ. თუ გაჩერდებიან, გადარჩებიან. მაგრამ პატარა ლემინგები გზას აგრძელებენ და უფსკრულში იჩეხებიან (ვიდეოს ნახვა შეგიძლიათ youtube-ზე).

ფილმის ნაწყვეტის ჩვენების შემდეგ:

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ კომენტატორის ხმას და მუსიკას, ასევე, დააკვირდნენ ლემინგების ქცევას;
- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რატომ ისმის დრამატული მუსიკა და კომენტატორის ტრაგიკული ხმა, როდესაც ის ლემინგების თვითმკვლელობაზე საუბრობს;
- ჰკითხეთ მოსწავლეებს, დოკუმენტური ფილმი სანდო მტკიცებულებაა თუ არა?
- საკმარისი მტკიცებულებაა თუ არა დისნეის დოკუმენტური ფილმი ლემინგების სუიციდის შესახებ?
- როგორ მოვძებნოთ სიმართლე ლემინგების ცხოვრების წესის შესახებ?

რეკომენდებულია, მოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში იმუშაონ, გამოიკვლიონ, მართლა ხტებიან თუ არა ლემინგები კლდიდან ისე, როგორც ამას დოკუმენტური ფილმი გვიჩვენებს. ამის შემდეგ მათ კვლევის ანგარიში უნდა წარმოადგინონ. ანგარიში უნდა შეიცავდეს კვლევისას მათ მიერ გამოყენებულ საძიებო ტერმინებს, ვებგვერდების ნუსხას. სასურველია, მოსწავლეები ფლობდნენ ინგლისურ ენას, ან ინგლისურის მასწავლებელთან ერთად მოიძიონ ინფორმაცია, რადგან ლემინგების შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე მწირია. ბავშვებს ალბათ გაუკვირდებათ, რომ დისნეის ეს წარმატებული დოკუმენტური ფილმი არის ავტორის მიერ წარმატების მოპოვების მიზნით მაყურებლის ემოციებზე ზემოქმედების კარგი ნიმუში. სინამდვილეში ლემინგები შიმშილის გამო არსად გარბიან და არც კლდიდან ხტებიან. ეს ცრურწმენა კი შეთხზული დოკუმენტური ფილმისა და სხვა მედიასაშუალებების დახმარებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და დღესაც განაგრძობს არსებობას ურბანული ლეგენდის სახით. ფილმში გადაღებულია ლემინგების კლდეზე აცოცება და არა კლდიდან ვარდნა. თუმცა კადრში საპირისპიროს ვხედავთ. ვხედავთ, როგორ ხტებიან ლემინგები კლდიდან. და ეს კადრები საკმაოდ სარწმუნო ჩანს.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები სიმართლეს დაადგენენ, აუცილებელია, კლასში გაიმართოს დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

- რატომ გადაწყვიტეს კინორეჟისორებმა, ლემინგების კლდიდან გადახტომა ფილმში შეეტანათ?
- განიხილეთ რეჟისორების გადაწყვეტილება – ლემინგების კლდიდან ხტომის ჩვენება – ეთიკის თვალსაზრისით.
- დისკუსია ამ საკითხებზე მარტივი არ არის და ეხება ეთიკას. ამგვარი დისკუსიები მიზანშეწონილია გაიმართოს სწავლების მესამე საფეხურზე.

ლემინგების ისტორიის შესწავლის საბოლოო ფაზა შეიძლება მოხსენების მომზადება იყოს. შესაძლოა მოხსენება ვიკიპედიაშიც განთავსდეს.

მოსწავლეებს სთხოვეთ, მოძებნონ სტატია ვიკიპედიაში. წაიკითხონ, განაახლონ ან შეცვალონ ჩანაწერი. მთავარია, მათ შეძლონ შეცვლილი ან განახლებული ინფორმაციის წყაროს დასაბუთება. ასეთი საქმიანობით მოსწავლეები გაიაზრებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ცოდნის ერთობლივი შექმნა ან განახლება იმ თემის ან საკითხის შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოში კარგადაა ცნობილი.

ინფორმაციის წყაროები

ხშირად მასწავლებლები ვჩქარობთ და თავად ვწყვეტთ, დავალების შესასრულებლად რომელი წყაროა სანდო. თან გვინდა, რომ მოსწავლეებმა გადაწყვეტილება თავად მიიღონ, დამოუკიდებლად შეარჩიონ თემის შესასწავლად საჭირო წყაროები. იფიქრონ, სად შეძლებენ ინფორმაციის მოპოვებას, სკოლაში, შინ თუ ბიბლიოთეკაში. **მოსწავლეები ჩართეთ წყაროების შერჩევის პროცესში. კლასში მათთან ერთად იმსჯელეთ, რა სახის წყაროები შეიძლება გამოვიყენოთ ახალი თემის შესასწავლად.** დროთა განმავლობაში მოსწავლეების ლექსიკაში გაჩნდება სიტყვები: „ამ ამბის წყაროა...“

განვრცობა და ადაპტაცია

საქართველოში მრავალი ურბანული ლეგენდა არსებობს, რომელთა განხილვა გაკვეთილზე შესასწავლ საკითხთან მიმართებაში საინტერესოა. გთავაზობთ ბოლო ხანებში პოპულარულ ურბანულ ლეგენდებს, რომლებიც მასწავლებლებთან შეხვედრებზე შევაგროვე:

- გველი წყალში შესვლამდე ქვაზე ტოვებს შხამს და წყლის გველი უვნებელია;
- ღამურა შეიძლება თმაში ჩაგაფრინდეს და სერიოზულად დაგაზიანოს;
- კოღო შიდსის გადამტანია;
- ნასამ დააფიქსირა, რომ სვეტიცხოველიდან ნათელი ამოდის;

- შოკოლადი ვნებს ძაღლებს;
- ჩინეთის დიდი კედელი მთვარიდან შეუიარაღებელი თვალით ჩანს;
- ბიჭები უფრო ნიჭიერები არიან მათემატიკაში, ვიდრე გოგონები;
- ტარანტულები შხამიანები არიან და მათ ნაკბენს ადამიანის მოკვლა შეუძლია;
- კოკა-კოლა კოკაინს შეიცავს;
- მარილის დაბნევა ჩხუბის მომასწავებელია;
- ჩვენ მხოლოდ ტვინის 10%-ს ვიყენებთ.

ამ ურბანული ლეგენდების განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში სწავლების სამივე საფეხურზე.

დასკვნა

როდესაც ვსაუბრობთ გაკვეთილზე ურბანული ლეგენდების განხილვის მნიშვნელობაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს **სწავლა-სწავლების მიზნები.** მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მეცნიერული მტკიცებულებების ვალიდურობის განხილვა, გამოკვლევა და ურბანული ლეგენდების შემოწმება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა:

- შეიძინონ შესასწავლ საკითხზე მონაცემების მოგროვების გამოცდილება;
- გაიწაფონ დეტალურ დაკვირვებასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პასუხების მომზადებაში;
- გაიწაფონ აუდიოვიზუალური მედია მესიჯების ანალიზში;
- განივითარონ მედიაპროდუქტების შექმნის ტექნიკა;
- გაიაზრონ, რა გავლენას ახდენს მედია სამყაროს შესახებ ადამიანების წარმოდგენებზე.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კრიტიკული აზროვნება ადამიანს ყოველთვის სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა, რა წყაროს იხილავენ. ინფორმაციას ბრმად არ უნდა ენდონ. ყოველთვის უნდა დასვან კითხვა: ეს სიმართლეა?

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011
2. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2014
3. (Kahne, 2011)(2011). Youth online activity and exposure to diverse perspectives. New Media & Society, 14(3), 492-512

WWW.TPDC.GE